



ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მუშაობაზე სერია

მისილ გოგატიშვილი

**ლექსიები
პოლიტიკური
ხელისუფლების
თეორიაში**

„მეცნიერება“
თბილისი
2003

სერვის მთავარი რედაქტორი

მარინე ჩიტაშვილი

რედაქტორი

ლია კაჭარავა

**საავტორო უფლება (copy right) ვაკუუმის ფონდს
„ლია საზოგადოება - საქართველო“**

ISBN 99940-735-8-3

შ ი ნ ა რ ს ი

საღმებრიო კურსის მიზნები და ამოცანები 7

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი . შ ი ს ა გ ა ლ ი	10
§1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის საკითხის პრობლემური ექსპლიკაციისათვის	10
§2. პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათის წინასწარი განმარტებისათვის	23
§3. პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონში მართვისა და ძალაუფლების ფაქტორების გამიჯვნა და მისი რეალიზაციის ფორმები	24
§4. „ხელისუფლების“ და „ძალაუფლების“ ცნების განმარტებისათვის	29
§5. პოლიტიკური ხელისუფლების მიმართება პოლიტიკურ თეორიასთან	36
§6. პოლიტიკური ხელისუფლების არსებითი ნიშნები	38
თ ა ვ ი მ ე ო რ ე . პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს საეციფიკა	42
§1. პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურის ძირითადი ფორმები და პოლიტიკის მმართველი სუბიექტები	42
§2. პოლიტიკური მოღვაწეობის მახასიათებლები და პოლიტიკური ხელისუფლება	50
§3. მმართველობა და ხელისუფლება	55

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე . პოლიტიკური ხელისუფლების
თეორიის საბეჭდი ნაშრომი 65

- §1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის
ეგზისტენციალური ინფორმაცია და პოლიტიკური
მეტყველების ველის ფორმირების სპეციფიკა 65
- §2. „ბრძანებ“, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის
ინსტრუმენტი 94

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე . XX საუკუნის პირითადი
პოლიტიკური დისკურსები 106

- §1. ლიბერალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების
თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური
ინფორმაცია 107
- §2. კონსერვატიზმის პოლიტიკური ხელისუფლების
თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური
ინფორმაცია 109
- §3. მარქსიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის
დისკურსი და ეგზისტენციალური ინფორმაცია 113
- §4. ნაციონალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების
თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური
ინფორმაცია 120

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე . არარამპრესიული დისკურსები –
ტოტალიტარიზმის კრიტიკა 125

- §1. „მუშის გეშტალტი“, როგორც ტოტალიტარული
ხელისუფლების ჩამოყალიბების წინარე პირობა
ერნსტ იუნგერთან 126
- §2. ტოტალიტარული ხელისუფლება და სპსიცოცხლო
სივრცე ჰანა არენდტთან 130

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე . პოლიტიკური ხელისუფლებისა
და თეორიის პრობლემა XX ს-ის დასაბოლო
ფილოსოფიაში – არარამპრესიული
დისკურსების წარმოშობა 156

- §1. „ყოფიერება და დრო“, როგორც წინარე პოლიტიკური პროექტი მარტინ ჰაიდეგერთან 156
- §2. ფრანკფურტის სკოლა – ხელისუფლების უზილავი ფორმების ანთოლოგია 162
- §3. იურგენ ჰაბერმასის კომუნიკაციური მოქმედების პროექტი და გაუკუღმართებული კომუნიკაციის დაძლევის გზები 170

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე . წინარეპოსტმოდერნული სიტუაცია და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის პრობლემები 180

- §1. „ახალი მემარცხენები“ – ცოდნისა და ხელისუფლების პრობლემა 181
- §2. „ხელისუფლების დისკურსი“ და „დისკურსის ხელისუფლება“ 185
- §3. პიტერ სლოტერდაიკი – განმანათლებლობის მარცხი და ხელისუფლების ცინიზმი 199

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე . ანტირეპრესიული დისკურსები 205

- §1. ანდრე გლუკსმანის ანტიიდეოლოგია 205
- §2. მორის ბლანშო – უხელისუფლოს მცდელობა 211

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე . პოლიტიკური ხელისუფლების რეპრესიული დისკურსის უარყოფა 214

- §1. ჟან ბოდრიარი – თვით რეფერენციალური ნიშანთა სისტემა და ხელისუფლების სიმულაკრები 214
- §2. ჟან ფრანსუა ლიოტარი – დიდი ნარატივები და პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრინციპები 223

თ ა ვ ი მ ე ა თ ე . პოლიტიკური თეორიის გაუცხრების პრობლემა 231

- §1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია და პოლიტიკური მითოსი 231

§2. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის
ტრანსცენდენტალური განსჯის სტრუქტურა 244

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე . პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი
ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა დ ა ს ა წ ყ ი ს ა მ თ ა ნ
დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა 253

§1. პოლიტიკური მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის
პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში 253

საღიგობო კურსის მიზნები და ამოცანები

ღიგობის კურსი „პოლიტიკური ხელისუფლების თეორიამ“ მოგვითხრობს პოლიტიკური მეცნიერებისათვის ისეთ ბაზისურ კატეგორიებზე, როგორცაა ხელისუფლება და მისი მიმართება პოლიტიკურ თეორიასთან. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ძალაუფლების არსებითი ნიშნები, როგორც ნებელობითი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც განისაზღვრებიან ძალაუფლებითა და ავტორიტეტით, დარწმუნებითა და იძულებით, მართვითა და ბატონობით, ძალაუფლებითა და გავლენით, პოლიტიკური ხელისუფლებითა და სახელმწიფო მმართველობით. პოლიტიკური ხელისუფლების განხილვისას, პირველ ყოვლისა, შევეხებით ისეთ ასპექტებს, როგორცაა მართვა და გავლენა; ხოლო პოლიტიკას განვიხილავთ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ერთიანი მართვის სისტემაში სხვადასხვა პარტიათა და საზოგადოებრივ ინტერესთა რეალიზაციის მედელობას. ასევე ყურადღება ექცევა იმას, რომ ერთმანეთთან არ იყოს გაიგივებული მმართველობა და ძალაუფლება. ჩვენი ზრით, პოლიტიკური ხელისუფლება არა მარტო მართვის სხვადასხვა ფორმათა ჯამია ანდა სოციალური მართვის რაღაც ელემენტი, არამედ — მისი ძირითადი ბირთვი. იგი განსაზღვრავს მართვის სოციალურ ხასიათს, მისი ძირითადი მოღვაწეობის სფეროებს და მიზნებს. ეს უკანასკნელი კი აყალიბებს პოლიტიკური ყოფიერების ველს და სივრცეს.

პოლიტიკასა და ხელისუფლებას შორის კავშირი ერთ-ერთი რთული თეორიული საკითხია და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვცდილობთ სრულად მოვიცვათ ის. მაგრამ, თუ ამოვალთ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან, გმინ პოლიტიკა აქ, უპირველეს ყოვლისა, ამოცირდება მმართველობასთან. ეს უკანასკნელი კი თავის თავის რეალიზაციას ახდენს პოლიტიკური

ხელისუფლების თეორიის სამუალებით. ჩვენი მხრით, პოლიტიკური თეორია არის გამაერთიანებელი რგოლი პოლიტიკასა და ძალაუფლებას შორის. პოლიტიკური თეორია კი ქმნის პოლიტიკური ძალაუფლების ფლობის რეპრესიულ ნიშანთა სისტემას ანუ ენას, რომელიც გამოხატავს პოლიტიკური ძალაუფლების არსს — ბატონობას, ანუ შესაძლებლობას, როცა საჯარო ხელისუფლება გამოყენებულია გარკვეული კლასის ან სოციალური ჯგუფის მიერ თავისი ინტერესების შესაბამისად. ამიტომაც ბატონობის ძირეული ცნება შეიძლება აიხსნას მხოლოდ პოლიტიკური ბატონობის ენის აპარატის ანუ პოლიტიკური თეორიების შესწავლით.

ჩვენ არსებით ყურადღებას ვუთმობთ პოლიტიკური თეორიის, როგორც პოლიტიკური ბატონობის, რეპრესიული აპარატის შესწავლას და ამ მხრით განვიხილავთ ძირითად პოლიტიკურ თეორიებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს XX ს-ის პოლიტიკურ პროცესებზე.

ჩვენი მხრით, XX ს-ის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიები ბატონობის ერთი რეპრესიული დისკურსიდან მეორე რეპრესიული დისკურსისაკენ სვლას. ის ენა, რომელსაც ქმნის ესა თუ ის პოლიტიკური თეორია, არ ცნობს სხვა პოლიტიკური თეორიის ენას. ამიტომაც აიძულებს პოლიტიკაში ჩართულ სუბიექტებს მოვლენები განიხილონ მხოლოდ ამა თუ იმ თეორიის მიერ შექმნილი ენობრივი დისკურსის ჩარჩოში; ე.ი. ზორციელდება თეორიის მიერ შექმნილი ენის რეპრესია სოციალურ გარემოზე. ამგვარი რეპრესიული დისკურსის მატარებელ თეორიებად ჩვენ განვიხილავთ XX ს-ის დასაწყისის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიებს — *მარქსისტული ფილოსოფია და ნაციონალიზტური მსოფლმხედველობა (ჩვენ მათ ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის პოლიტიკური დისკურსის კორელაციაში განვიხილავთ)*. ამ თეორიებს რეპრესიულობის დონეს განვსაზღვრავთ სიკვდილის თემის თემატიზაციის ხარისხით. ყველა ეს თეორია, გარკვეულწილად, თავის თავში ატარებს რეპრესიული დისკურსის გარკვეულ მომენტებს.

მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიის გამოჩენის შემდეგ, შესაძლებელი ხდება მისი დესტრუქციული მეთოდის გამოყენებით არარეპრესიული ნარააციების გამოვლენა პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში.

ამის მაგალითია ჰანა არენდტის, ერნსტ იუნგერისა და ფრანკფურტის სკოლის ტექსტები, რომლებშიც მოცემულია ხელისუფლების ნარატივის დაშლის მცდელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკფურტის სკოლაში ერთმანეთის გვერდით არსებობდა უკიდურესი კრიტიკული პათოსი და რეფორმისტული განწყობილებანი. თუმცა ფრანკფურტელებს უკიდურესმა კრიტიკულმა პათოსმა, რომელიც ხელისუფლების დისკურსის დაშლისაკენ იყო მიმართული, მათი ნების მიუხედავად, ასეთივე უკიდურესი რეპრესიული დისკურსი წარმოშვა პოლიტიკურ თეორიაში, რასაც მოჰყვა ტერორიზმის ტალღის აგორებაც კი. ასეთმა შედეგმა დიდი იმედგაცრუება გამოიწვია მთელ დასავლურ სამყაროში.

რეპრესიული დისკურსისაგან გათავისუფლების მცდელობა წარმოშობს პოსტმოდერნისტულ სიტუაციას. მთელი შემდგომი ტრანსფორმაციები ხელისუფლების „არაპოლიტიკურ“ თეორიებში რეპრესიული დისკურსის დაშლის მცდელობებში გამოიხატება. პოლიტიკური თეორიის რეპრესიული დისკურსისაგან გათავისუფლების მცდელობებში წამოიჭრება საწყისებთან დაბრუნების პრობლემა და თუ რა კრიტერიუმები უნდა იყოს პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსში განმსზღვრელი.

ამ საკითხთა პრობლემატური განხილვა საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ რა წინააღმდეგობები და შეთანხმებები არსებობს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის გაგების საკითხში. გააჩნია თუ არა მას პერსპექტივა და თუ იქნება ხელისუფლების თეორია პოლიტიკური პროცესების განმსზღვრელი ფაქტორი.

თ ა გ ი I

შესავალი

§1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის საკითხის პრობლემური ექსპლიკაციისათვის

პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც თავად სამყარო. ამ პრობლემის თეორეტიზება ძველი ბერძნებიდან იღებს სათავეს. პოლიტიკა (ბერძ. *politikos* – სახელმწიფოებრივი), კლასიკური განსმარებების თანახმად, არის მოღვაწეობის სფერო, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული ჯგუფის, ფენის ან კლასის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებასთან, შენარჩუნებასთან და გამოყენებასთან. პოლიტიკისა და ხელისუფლების შინაარსი განისმარება მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადამიანთა ჯგუფის ან ფენათა ინტერესებით. ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა იძენს პოლიტიკურ ხასიათს, თუ მისი გადაწყვეტა პირდაპირ ან უშუალოდ არის დაკავშირებული ხელისუფლების პრობლემასთან. მაგრამ პოლიტიკური ხელისუფლების თეორიისა და რეალური პოლიტიკის დამოკიდებულება ყოველთვის პრობლემურია, რადგანაც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიას ყოველთვის პქონდა რეალურ პოლიტიკურ პროცესებთან ადეკვაციის პრობლემა.

ჯერ კიდევ სოფისტი პროტაგორა (480-410 ძვ.წ.აღ.) ოცნებობდა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება დამორჩილებოდა სამართლიანობის (*dike*) პრინციპს. სოლო კლატონის (348-347 ძვ.წ.აღ.) თანახმად, ზუსტად იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილს იკავებს ადამიანის სულში მორალური კეთილგონიერულობანი და რა შინაარსიც აქვს მათ, განისმარება ხელისუფლების და სახელმწიფოს ხასიათი¹.

¹ Платон, Государство, Соч. е.3(1), М., "Мысль", 1971. 455d, 544e.

როგორც ცნობილია, პლატონი პრაქტიკაში, კერძოდ სიცილიაზე, შეეცადა თავისი პოლიტიკური იდეალების რეალიზაციას, მაგრამ წარუმატებლად. მან ვერ შეძლო ხელისუფლების სათავეში ფილოსოფოსები მოეყვანა და არც თავად დაუშვეს ხელისუფლებაში. მისი პოლიტიკური მოძღვრება დაკავშირებული იყო მის ეთიკურ, გნოსეოლოგიურ და ონტოლოგიურ შეხედულებებთან – ადამიანთა სულიერი სტრუქტურის შესახებ. პლატონი ამოდიოდა ადამიანთა სულებში მორალური კეთილგონიერულობის არსებობის იდეიდან და მის საფუძველზე ცდილობდა პოლიტიკური პრინციპების რეალიზაციას.

არისტოტელე (384-322ძვ.წ.აღ.), პლატონისგან განსხვავებით, იღებოდა კი არ ამოდიოდა, არამედ ემპირიული მრავალფეროვნების გამოკვლევისაგან. მან გაანალიზა 158 პოლისის კანონები და გამოყო სახელმწიფო ხელისუფლების სამი ფორმა და ასევე მისი გაუკუღმართებანი: „მონარქია“ დევრადირდება „ტირანოკრატიად“, „არისტოკრატია“ – „ოლიგარქიად“ და „ტიმოკრატიად“, ხოლო „პოლითეია“ – ფსევდოდემოკრატიულ „ოლზოკრატიად“, ე.ი. ბრბოს ბატონობად. არისტოტელეს ზრით, ადამიანი არის „სახელმწიფოებრივი არსება“ (zoon-politikon), ხოლო პოლიტიკა, ეთიკასთან ერთად, არის პრაქტიკული ფილოსოფია, რომლის ამოცანაა ისეთი კანონების შემუშავება, რაც შეესაბამება სახელმწიფო მოწყობის სწორ ფორმებს.

ბერძნული ცხოვრების სპეციფიკურმა მომენტებმა – „იზონომიამ“ (სახელმწიფო თანასწორობის კანონის მიხედვით) და „აკტონომიამ“ (სახელმწიფო საკუთარი კანონის მიხედვით) – განაპირობეს ის, რომ მათ გამოიგონეს პოლიტიკური მოქმედების მარტივი სქემა, რომლის მიხედვითაც ხმის მიცემა ხდება გარკვეული წესრიგის მიხედვით და უმცირესობა ისე უსიტყვოდ ემორჩილება უმრავლესობის ნებას, თითქოს ამით საკუთარ ნებას გამოხატავდეს². თანაცხოვრების ამგვარი გამოცდილება აყალიბებს ინდივიდისა და საზოგადოების უშუალო ერთიანობას, როცა ინდივიდის გადაწყვეტილება საზოგადოების გადაწყვეტილებაა და – პირიქით. პოლიტიკური ფილოსოფია და

² B. Bousenquet. The philosophical theory of the state, 1899, London, p.5.

ხელისუფლების გააზრების პრობლემა წარმოიშობა, როგორც ამ უშუალო ერთიანობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს, სწოგადობისა და ინდივიდების დაშლის კრიტიკა. ამ დარღვეული იგივეობის საკითხი ხდება ძირითადი პლატონის პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

ანტიკური პოლისის დაღუპვასთან ერთად, ქრება პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემის გააზრების მცდელობები. იგი, რომის იმპერიის სოციალური გამოცდილების შედეგად, გადაიქცევა აბსტრაქტულ სამართლად და თავისუფლების სტრიკურ გაგებად, როგორც სახელმწიფოსა და სწოგადობისაგან თავისუფლებისა. ადამიანის ბუნებისა და ქცევის თეორია ვითარდება მხოლოდ რელიგიურ ფილოსოფიაში, რომელშიც არის ინდივიდების პოლიტიკისა და ხელისუფლებისაგან მოწყვეტით განხილვის მცდელობა³.

შუა საუკუნეებში ავეუსტინესთან (354-430) ყველა პოლიტიკური პრობლემა კონცენტრირდება ზეციურ და მიწიერ სახელმწიფოთა დამოკიდებულებებზე (*Civitas terrena et civitas dei*), რომელიც საბოლოოდ ეკლესიის სასარგებლოდ წყდება. თომა აქვინელთან (1225-1274) პოლიტიკა და პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემა, უმთავრესად, თეოლოგიიდან უნდა ამოდიოდეს, რომელიც გამოავლენს ღმერთის ნებას – ახსნას ადამიანთა თანაცხოვრების „ბუნებრივი კანონები“⁴.

აღორძინების ეპოქაში პოლიტიკური ხელისუფლების გაგების საკითხში ძირეული შემობრუნება ხდება ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) შემდეგ. იგი პოლიტიკას აფუძნებდა „ბუნებრივ“ ზნეობრივ მოვალეობებზე, რომლებიც ეყრდნობოდნენ „ეკთილგონივრულობას“. მაგრამ იგი აღიარებდა, რომ რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ინიციატივა არაკეთილგონიერ ბოროტ ადამიანებს ეკუთვნის. იგი თავის მნიშვნელოვან ნაშრომში – „მთავარი“ – მიდის იმ დასკვნამდე, რომ მმართველმა იმისათვის, რათა მოუაროს სახელმწიფოს, უნდა დაუპირისპირდეს ამგვარ ზალხს, მათთან ბრძოლაში გამოავლინოს მოქნილობა და დაუნდობლობა. ამგვარად, მორალი ემორჩილება რეალურ პოლიტიკურ ინტერესებს

³ Ibid. p. 7.

⁴ Strauss L., *Natural Right and History*. The University of Chicago Press, 1992, p. 52.

და პრაქტიკულ საქმიანობაში განისაზღვრება ამ უკანასკნელის ინტერესებით.⁵

თ.პობსი (1588-1679) ასრულებს პოლიტიკურ თეორიაში ეთიკისა და თეოლოგიისაგან გათავისუფლების ტენდენციას, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ მიმართებას განიხილავს როგორც ხელოვნურ „სხეულს“ – ადამიანთა გონივრული მოღვაწეობის პროდუქტს, რომელიც შემდგომში მისი ქვეშევრდომების ყოველგვარი ქცევისათვის წერტილად უნდა იქცეს, რადგანაც სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მაღლა დგას. ეს ასევე ეხება საზოგადოებრივი ხელშეკრულებას პრინციპებს და ხალხის სუვერენიტეტის გადაცემას ხელისუფლებისათვის.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია ხდება შემდგომში ყველა ცნობილი პოლიტიკური. ფილოსოფოსის განსჯის ობიექტი. განსაკუთრებით ეს ეხება XVIII-ის მოწროვნებს – ჰუგო გროციუსს, ბენედიქტ სპინოზას და ჯონ ლოკს.

ჯ.ლოკის (1632-1704) „ორ ტრაქტატს სახელმწიფოს შესახებ“ საფუძვლად დაედო მისი მოძღვრება ბუნებრივი უფლების შესახებ. ჯ.ლოკის პოლიტიკური დოქტრინის პრაქტიკული მოთხოვნები სამართლებრივი სახელმწიფოს, ხელისუფლების ხალხისადმი ანგარიშვალდებულების, საზოგადოებაში კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების სახით არა მარტო ლიბერალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, არამედ პრაქტიკული პოლიტიკური პრობლემების თეორეტიზების ნიმუშს.

ფრანგული განმანათლებლობისათვის პოლიტიკური პრობლემები იმთავითვე ითვლებოდა ფილოსოფიური განსჯის საგნად. მაგალითად, შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) თვლიდა, რომ სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი უნდა გამომდინარეობდეს ფილოსოფიურად ორიენტირებული გონებიდან. ჟან ჟაკ რუსო (1712-1778) მოითხოვდა შეენარჩუნებინა ადამიანთა საზოგადოებაში ყველაფერი კარგი, რაც ბუნებრივი გახლდათ, გაძლიერებული იყო „სალი გონების“ პოზიციებით, რომელიც გამოვლინებული უნდა ყოფილიყო სამყაროს ფილოსოფიური განხილვიდან. განმანათლებლობაში კვლავ წინ წაშიწევს მორალური პრობლემები,

⁵ მაკიაველი ნ., მთავარი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984.

რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ბუნებრივ სამართალთან და ორიენტირებულია განმანათლებლობის პირობების შესაქმნელად. კა.ჰელვეციუსის (1715-1771) თანახმად, განათლება სპობს ადამიანთა გარყვნილ ინტერესებს, მოთხოვნილებებს და ქმნის პოლიტიკურ წყობას, რომელიც თავისკჳალია დამლუპველი გარყვნილებისაგან და აღადგენს საღ, ბუნებრივ მორალს. განმანათლებლობაში აშკარად ჩანს პოლიტიკური თეორიის პრიორიტეტი პრაქტიკულ პრობლემებთან მიმართებაში. ფაქტობრივად, რეალური პოლიტიკური პროცესი თეორიული განსჯის ტყვე ხდება და ნებისმიერი პოლიტიკური პრობლემა მხოლოდ იდეალიზებული თეორიული რაკურსით მოიჭრება.

განმანათლებლობის იდეალისტურ წარმოდგენებს ადამიანის ბუნების, პოლიტიკისა და მორალის შესახებ სათანადო შედეგი მოჰყვა საფრანგეთის რევოლუციის სახით. საფრანგეთის რევოლუციის სისხლიანმა ტერორმა აჩვენა განმანათლებლობის პოლიტიკური იდეალების არაადეკვატურობა რეალურ პოლიტიკურ პროცესთან მიმართებაში.

განმანათლებლობის იდეას უპირისპირდება ინგლისელი ფილოსოფოსი ედმუნდ ბერკი (1720-1798). იგი პრინციპულად გაემიჯნა განმანათლებლობას, რომელიც გონების რაციონალიზმისა და ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან განიხილავდა სპოზადობას. განმანათლებლობის ამ პოზიციას იგი „ზნეობრივ-პოლიტიკურ სიცრუეს უწოდებდა“. მან, არსებითად, ხელისუფლების პრობლემა მორალურ პრობლემას დაუკავშირა „პოლიტიკა, — წერდა იგი, — გონებას კი არ უნდა მიესადაგოს, არამედ ადამიანის ბუნებას მთლიანობაში.“

გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიასა და პოლიტიკას შორის დამოკიდებულება ძალზე რთულია. ა.კანტის (1724-1804) თვალსაზრისით, პოლიტიკის ზოგადი თეორია არის გამოყენებითი ეთიკა. „ზნეობის მეტაფიზიკის“ პირველ ნაწილში პოლიტიკის ეთიკასთან კავშირი რეალიზდება „სამართლის ჭეშმარიტი ცნების“ გზით. სამართლებრივი იმპერატივის საშუალებით, ეს ცნება უკავშირდება ზნეობრივი იმპერატივის ცნობილ ფორმულირებას და მიმართულია ყველა ადამიანის

თავისუფლებისა და სუვერენობის ჰარმონიულ შეთანადებაზე. შესაბამისად ამისა, კანტი ხელისუფლებასა და სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც მრავალი ადამიანის გაერთიანებას, რომლებიც ემორჩილებიან „სამართლიან კანონებს“.⁶

კანტის მნიშვნელოვან პოზიციას წარმოადგენს სახელმწიფოს ეთიკური გამართლებიდან პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიული პერსპექტივის გამოყვანა სახელმწიფოს შიგნით და სახელმწიფოთა შორის. ი.კანტის თანახმად, ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა ანტიმორალური ტენდენციისა „ლეგალურთან“, ე.ი. „ნაზვერად მორალურთან“, რომელსაც შემდგომში თანდათანობით გადასძლევეს ნამდვილი მორალური მოთხოვნილებები. თავიდან სახელმწიფო ბუნებრივად არსებობს „არასამართლებრივ მდგომარეობაში“. ეს არის „საომარი ვითარება“ (უფრო ძლიერის ვითარება)'. კაცობრიობა ლეგალური მომენტების ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, ბოლოს და ბოლოს მივა იმ ვითარებამდე, სადაც ადამიანები ერთმანეთს განიხილავენ კატეგორიული იმპერატივის ფომულირების თანახმად, არა მარტო საშუალებად, არამედ მიზნადაც. ი.კანტი ნაშრომში „მარადიული მშვიდობის შესახებ“ (1795) გამოთქვამს იმედს, რომ ოდესმე მიღწეული იქნება „მსოფლიო სამოქალაქო მდგომარეობა“ მსოფლიო ხალხების სამართლებრივი კავშირის გზით.

გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენელი ი.გ.ფიხტე (1762-1814) წერს პოლიტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილ ტრაქტატს. მისი ნაშრომი „ჩაკეტილი სავაჭრო სახელმწიფო, ფილოსოფიური მონახაზი, როგორც დამატება სამართლის მოძღვრებისადმი“ (1800) შეიქმნა იმ დროს, როცა გერმანიას სამხედრო საფრთხე ემუქრებოდა საფრანგეთისაგან და ეკონომიკური ექსპანსია ინგლისისაგან. ამიტომაც ამ ნაშრომში გამოვლენილი მოტივები, ყზარმული სოციალიზმის იდეების სახით, უფრო მეტად გასამხედროებულ ვითარებაში მყოფი სახელმწიფოს სტატუსისათვის იყო განკუთვნილი. ი.გ.ფიხტეს თვალსაზრისით, პოლიტიკა მეცნიერებაა სწორი გონივრული მართვის შესახებ, რომელიც რეალიზებული უნდა იქნეს ჭეშმარიტი სამართლის მოთხოვნის შესაბამისად და უნდა ეყრდნობოდეს

⁶ Кант. Соч. В-6 т. М., 1965, т. 4, ч. 2., с 233.

⁷ Ibid. 270.

ეთიკურ ნორმებს იგ.ფუნტესთან პოლიტიკური პრობლემის თემატიკების შედეგად, არა იდეალური სამართლის რეალიზებაა პირველადი პრობლემა, არამედ სამართლიანი მმართველობის პრობლემა, რომელმაც უნდა განაზოცვიელოს იდეალური სამართალი. ასე რომ, მმართველობის პრობლემის თეორეტიკებით პოლიტიკური ხელისუფლების სამართლებრივი რეალიზების პრობლემის საკითხი ისმება.

გ.ვ.ფ.ჰეგელის (1770-1831) ფილოსოფიის მიმართ ბევრი უსამართლო ბრალდებებია გამოთქმული. ყველაზე მეტად ეს ეხება მის „სამართლის ფილოსოფიას“ და პოლიტიკურ შეხედულებებს. გ.ვ.ფ.ჰეგელის პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართ შეიძლება გავიგოთ ნებისმიერი ბრალდება: რასიზმში, ნაცინალიზმში, ვოფდიზმში და სახელმწიფოს ხელისუფლების გაღმერთებაში, როგორც ადამიანური ღირებულების უმაღლეს გამოვლინებაში. ამგვარ მტკიცებათა ავტორები არ ითვალისწინებენ, რომ ხელისუფლებისა და სახელმწიფოს „ღვთიური საწყისის“ გამოვლინებას გ.ვ.ფ.ჰეგელი უშვებდა მხოლოდ იდეალური სახელმწიფოსათვის, ასეთი კი არც ერთი იმჟამინდელი სახელმწიფო არ იყო. ყველა სახელმწიფო წარმოადგენდა მსოფლიო სულის გაუცხოებული მდგომარეობის გამოვლინებას ობიექტური ყოფიერების სტადიაში. გ.ვ.ფ.ჰეგელი წერდა ომების ხალხთა გამათავისუფლებელი როლის შესახებ და იგი ამას უკავშირებდა ნაპოლეონის გამარჯვებების რევოლუციურ ზემოქმედებას ხალხთა ცხოვრებაზე. კერძოდ, ეს ეხებოდა ნაპოლეონის მიერ სამოქალაქო უფლებების საყოველთაოდ გავრცელებას მთელს ევროპაში. შემდგომში. გ.ვ.ფ.ჰეგელი წერდა გერმანელი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ბრძოლაზე ნაპოლეონის წინააღმდეგ. გ.ვ.ფ.ჰეგელი უშვებდა თავის დროის პოლიტიკურ კომპრომისებს, განსაკუთრებით ეს ეხება პრუსიის კონსტიტუციურ მონარქიას, თუმცა იგი ხაზს უსვამდა მონარქიის კონსტიტუციურობის საზრისს.

გ.ვ.ფ.ჰეგელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს, როგორც „ზნობრივი იდეის სინამდვილის“, ამოცანა განისაზღვრება გონის (Geist) მოთხოვნილებების რეალიზაციით, რაც განაპირობებს ადამიანთა თავისუფლების ზრდას. მაგრამ რეალურ პოლიტიკურ ისტორიაში

სახელმწიფოთა მოქმედება შორს დგას იდეალური გონივრულობისაგან. მათი მოქმედება უფრო „განსჯადია“, ვიდრე გონივრული; განსჯადია ის პოლიტიკური მოძრაობებიც, რომლებიც მიმართულია ამ თუ იმ სახელმწიფოს დანგრევისაკენ.⁸ აქედან გამომდინარეობდა ორი დასკვნა: ერთი მხრივ, აუცილებელია არსებული სახელმწიფოების შემდგომი დემოკრატიზაცია, მეორე მხრივ, ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობა (და მისი თეორია) შეზღუდულია თავის არსით და უნდა ვეცადოთ იგი „მოხსნას“ ინდივიდების სულიერ ცხოვრებაში „აბსოლიტური სულის მოძრაობის სფეროში“.

გ.კ.ფ.ჰეგელის მსჯელობის ხაზს აგრძელებს თომას პილგრინისა (1836-1882) და ბერნარდ ბოუსენკეთის (1848-1923) ფილოსოფია. უსამართლო შეფასებაა ის, რომ ამ ფილოსოფოსების გააზრებანი გავიგოთ, თითქოს მათ აბსოლუტის ფილოსოფიიდან გამოჰყავდათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებათა არაფრით შეზღუდული ავტორიტეტი (მაგ.ჰ.მარკუზე).⁹ სახელმწიფო და პოლიტიკური ხელისუფლება თ.პ.გრინისა და ბ.ბოუსენკეთის ფილოსოფიაში „პოზიტიური თავისუფლებისა“ და „თვითმართველობის“ იდეის სახით რეალიზდება, სადაც სახელმწიფოს მიერ განსოცილებული ძალადობა მხოლოდ თვითმმართველობის ატრიბუტს წარმოადგენს.¹⁰

XIX ს-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა როგორც პოლიტიკურ რეალიებში, ასევე თეორიულ წარმოდგენებშიც. პოლიტიკური თეორიების ინტერესის საგანი გახდა არა მარტო პოლიტიკური ხელისუფლების ანალიზი, არამედ პოლიტიკური პროცესებისაც. ამ დროს მოხდა პოლიტიკურ თეორიათა მკვეთრი პოლარიზაცია. ერთ პოლუსზე წარმოჩინდა რადიკალური ტენდენცია, რომელიც არა მარტო მკვეთრად უპირისპირდებოდა არსებულ ბურჟუაზიულ წყობილებას და ეძებდა ალტერნატიულ გზებს ახალი პოლიტიკური სტრუქტურებისა და რეალობების ჩამოყალიბების

⁸ იხ. Гегель, философия права, ст. 371. М., 1990. Klenner H., Hegels rechtsphilosophie, Berlin, 1983.

⁹ იხ. Marcuse, Reason and revolution. Hegel and rise of social theory, L., 1973.

¹⁰ Bousenquet B. The philosophical theory of the state, 1899, L., t. Y.Green, Lectures on the political obligations. 1964.

ბებისათვის, არამედ პოლიტიკური თეორიისათვის ხელისუფლების პრობლემა იქცა ეპოქის სულის გამოძახატველი. საუკუნის დასაწყისში ეს ტენდენცია წარმოდგენილი იყო სოციალ უტოანისტების მიერ. საბოლოო ჯამში დასრულებული სახით ის გაჩნდა მარქსისტულ ფილოსოფიაში, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული ხედვისა და ფნიცშესთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტიკური ხელისუფლების არსის გაგებას კ.მარქსისა (1818-1883) და ფნიცშეს (1844-1900) შემდეგ. მათ დაინახეს პოლიტიკური თეორიის ძალის მნიშვნელობა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხში. კ.მარქსმა ხელისუფლებას კლასობრივი ხასიათი მიანიჭა და პოლიტიკურ-კლასობრივი ბატონობის იარაღად წარმოაჩინა, ხოლო ფნიცშემ „ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ, ინდივიდთა სწრაფვის მთავარ მამოძრავებელად „ძალაუფლების ნებ“ გახადა. ამ ორი მოზროვნის მნიშვნელოვანმა დეკლარაციამ ხელისუფლების არსის გაგების საკითხში, მიუხედავად მათი სწრაფვისა, ეჩვენებინათ კაცობრიობისათვის ადამიანების ხელისუფლების სწრაფვისაკენ ფარული იმპულსები, მათი მოძღვრება ორი ყველაზე ავტორიტარული რეჟიმის — ფაშისტურისა და კომუნისტურის — კატალიზატორი გამოდგა.

პოლიტიკური თეორიის მეორე პოლუსზე მიმდინარეობდა პროცესი, რომელიც ადამიანს განიბილავდა „კომერციულ არსებად“. ეს თეზისი საფუძვლად დაედო იერემია ბენტამის (1748-1832) უტილიტარისტულ ეთიკას, რომლმაც ადამიანი დამოუკიდებელ არსებად გამოაცხადა და მოითხოვა, სახელმწიფო არ ჩარეულიყო სამოქალაქო ცხოვრებაში სახელმწიფოს ფუნქცია უნდა შემოსაზღვრულიყო მხოლოდ „ღამის დარაჯის“ ფუნქციით. საბოლოო ჯამში ამ პოზიციას გამოხატავდა XIX ს-ის ლიბერალიზმი. შემდეგი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგეს პოზიტივისტიკმა (ოკონტი და ჰ.სპენსერი), რომლებიც ცდილობდნენ პოლიტიკა განეხილათ, რო, გორც ერთ-ერთი ელემენტი რთული სოციალური მთელისა. ისინი მოითხოვდნენ სოციალურისა და პოლიტიკის საკითხისადმი რაციონალურ მიდგომას. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა „პოზიტიურ“ პოლიტიკის დამორჩილებას არსებული საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის და საზოგადოების გარდაქმნის რეკოლუციური მეთოდების უარყოფას.

ჰანს ფრ. იერისათვის (1887-1969) მიუღებელი ხდება ამ თეორიების გამოკვეთილი ბურჟუაზიული სული. მისი ზრით, „ბურჟუაზიულობის“ უტილიტარისტულმა სულმა მიგვიყვანა ოჯახურ-ზნეობრივი სფეროს სამოქალაქო საზოგადოებიდან გამოყოფამდე და მთელი ადამიანური რეალობის ეკონომიკური კანონზომიერებებისადმი დაქვემდებარებასთან. ეს აიძულებს ჰ.ფრაიერს მთელი იმედები სახელმწიფოზე დაამყაროს, როგორც ერთადერთ ძალაზე, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს მეურნეობა და ზნეობრიობა და ასევე გაათავისულოს საზოგადოება კლასობრივი ბრძოლისაგან. აქედან გამომდინარე, ჰ.ფრაიერი გვთავაზობს სოციოლოგიის გავებას, როგორც „მეცნიერებას სინამდვილის შესახებ“. „ლოგოსის“ სოციოლოგიის ანდა „სინამდვილის სოციოლოგიის“ იგი გადააქცევს სოციალური მოქმედების თეორიად, რომელიც განიხილება ეგზისტენციალურ ტერმინებში, როგორც ინდივიდების ნების თავისუფალი გამოვლენა, რომელიც უპირისპირდება სოციალური და ეკონომიკურ აუცილებლობას, რომელიც თავსმოხვეულია ბურჟუაზიული სულისა და მისგან წარმოქმნილი ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ. ინდივიდუალურ ნებათა ამგვარი მოქმედების საწყისს წარმოადგენს სახელმწიფოს ნება, როგორც ხალხის ნების საყოველთაო გამოხატულება. ჰ.ფრაიერი ყურადღებას მიაქცევს კლაუზევიცის იდეას, რომ „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება „ძალადობითი საშუალებით“. რადგანაც ომისათვის მზაობაში გამოხატება სახელმწიფოს უმაღლესი ნება. პოლიტიკის ამოცანაა ომისათვის მუდმივი მზაობა, ხოლო პოლიტიკური თეორიის ამოცანაა მოძებნოს გზები ამ მზაობისათვის.

ანალოგიური პოზიციის მიხედვით არის გამოხატული კარლ შმიდტის (1888-1985) თვალსაზრისი. მისი ძირითადი თეორიული მრწამსი გამოხატება დეციზიონიზმში (decisio – გადაწყვეტილება) დეციზიონისტურ საფუძველზე აფუძნებს იგი „პოლიტიკურის“ ცნებას. მისი ზრით, ძირითადი პოლიტიკური განსხვავება მეგობრისა და მტრის განსხვავებაა. ამასთან, მეგობრის ცნება მეორე პლანზეა გადატანილი. პირველადია მტრის ცნება. „მტერი სულ მცირე ... რეალური შესაძლებლობის მიხედვით არის მებრძოლი ხალხის ერთობლიობა, რომელსაც უპირისპირდება ამგვარი ერთობლიობა. მტერი მხოლოდ საზოგადოებრივი მტერია,

რადგანაც ყველაფერს, რასაც კავშირი აქვს ამგვარი ხალხის ერთობასთან, განსაკუთრებით მთელ ხალხთან, ამის წყალობით ხდება საზოგადოებრივი.“¹¹ ბრძოლა მათ შორის განადგურებისათვის ბრძოლაა, ე.ი. ომი: პოლიტიკური – ეს არა იმდენად ბრძოლაა, რამდენადაც ადამიანთა ქცევათა სფერო, რომელიც ყალიბდება ბრძოლის რეალური შესაძლებლობის შესაბამისად. რამდენადაც პოლიტიკური დაპირისპირება არ ეფუძნება ეკონომიკურ, ზნეობრივ და ა.შ. პრინციპებს, მაშინ პრობლემა ისაა, თუ ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას არსებული ასოციაციებისა და დისოციაციების პოლიტიკურ ან არა პოლიტიკურ ხასიათზე. ამდაგვარი უმაღლესი გადაწყვეტილების სუბიექტს წარმოადგენს უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს (თუმცა ეს აუცილებელი არ არის მას ეკუთვნოდეს).

ბერთან რასელი (1872-1970) ხელისუფლების ცნებას განიხილავს, როგორც ფუნდამენტურ ცნებას საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის. ბრასელი დიდ ყურადღებას უთმობს სეხელისუფლებო ურთიერთობებში ინდივიდუალურ მოტივებს. მისი კონცეფციის თანახმად, ხელისუფლება ინდივიდუუმის თვისებაა, რომელიც გარდაისახება ხელისუფლების სტრუქტურაში. ბრასელი ცდილობს, გაითვალისწინოს ხელისუფლების სუბიექტური და ობიექტური მხარეები. ინდივიდუალური ხელისუფლების ყველგან საშიშ ფორმად იგი მიიჩნევს ჩრდილოვან ხელისუფლებას, რომელიც მალულად ფლობს მართვის სადავეებს. ბრასელი ხელისუფლების ორგანიზაციის არც ერთ ფორმას არ თვლიდა სრულყოფილად. სახელისუფლებო ურთიერთობაში ნეგატიური ფორმების ანულირებისათვის, რომელიც მუდმივად წარმოიშობა, იგი მოითხოვდა სპეციალური საკანონმდებლო და პროპაგანდისტული ღონისძიებების გატარებას. ომი, ბრასელის თანახმად, არის სახელისუფლებო ურთიერთობის უკიდურესი გაუკუღმართებული ფორმა, რომელიც ანგრევს ნორმალურ სახელისუფლებო ურთიერთობებს.

კარლ პოპერი სახელისუფლებო ურთიერთობისათვის „დახურულ“ და „ღია“ საზოგადოებების სქემას გვთავაზობს. იგი თავის ფილოსოფიას განიხილავს, როგორც ლიბერალური „ღია“ საზოგადოების დაფუძნებას, რომელსაც უპირისპირდება „დახურულ“ ტოტალიტარული

¹¹ Schinitt C. The concept of political, New Burnswick, p. 70-71.

სახელმწიფოები. კპოპერი მარქსისტულ ფილოსოფიას განიხილავდა, როგორც „წინასწარმეტყველურს“ და ისტორიცისტულს. იგი საერთოდ შეუძლებლად მიიჩნევდა სოციალური პროგნოზირების შესაძლებლობას. თუმცა მისი მსჯელობა პლატონის, პეგელისა და მარქსის შესახებ, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოს თეორეტიკოსებზე, გარკვეულ წილად, ცალმხრივია. ამ მოზროვნებით, ტოტალიტარული სახელმწიფოს თეორეტიკოსობა მხოლოდ „ლიბ“ საზოგადოების სქემაში შეიძლება იყოს გამართლებული.

სახელისუფლებო ურთიერთობის ანთროპოლოგიურ კონცეფციას ავითარებს ელიას კანეტი (1905-1990). მისი აზრით, ერთ-ერთ ძირითად ანთროპოლოგიურ უნივერსალიას წარმოადგენს სიკვდილი, რომელიც პოლიტიკის არსებითი კრიტერიუმი (პოლიტიკური ცნობიერების მოქმედების და ა.შ.). ეკანეტის თანახმად, ხელისუფლება ზემოქმედებს მასაზე ბრძანებითა და სიკვდილის შიშის გზით. ხელისუფლების საწყისს წარმოადგენს თითოეული ინდივიდუუმის შიში, რომელიც ადამიანთა მასაში ეძებს შიშისაგან დამალვას. მასაში, შიშთან ერთად, იგი კარგავს პასუხისმგებლობას თავისი ქმედების გამო. ადამიანის უნარი – შეეწინააღმდეგოს ბრძანების შესრულებას – ხდება მისი თავისუფლების საზომი. ეკანეტი ვერ ხედავს ხელისუფლების დამორგუნველი ფორმებიდან სხვა გამოსავალს, გარდა ინდივიდუუმის შინაგანი გათავისუფლების გზისა, მის წინაშე არსებული საშიშროების გაცნობიერებით.

უფრო რადიკალურია ხელისუფლების საკითხი სტრუქტურალისტურ კონცეფციებში. მიხელ ფუკო (1926-1984) ხელისუფლების არქეოლოგიისადმი მიძღვნილ შრომების ციკლში ცდილობს გამოავლინოს საზოგადოებაში ხელისუფლების არსებობის სულ სხვაგვარი ფორმა, რომელიც არ აიხსნება პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული ტერმინების გზით. ხელისუფლების უნივერსალური ტიპი შეიძლება გამოკვეთული იყოს მხოლოდ სხვადასხვა ეპოქების არქეოლოგიური რეკონსტრუქციის გზით, რომელშიც ხელისუფლების დინამიკა თითქოს „გაქვავებული“ და შესაძინევია საზოგადოებრივი მთელის მატერიალური და სულიერი სტრუქტურების ყველა რგოლში. ხელისუფლების ეს ტიპი შეიძლება გაგებული იყოს ისტორიულად გარკვეული სხეულებრივი პრაქტიკის კონტექსტში. რამდენადაც

ამ ხელისუფლების ერთადერთ სამიზნეს წარმოადგენს არა ცნობიერება და კანონი, არამედ ადამიანის სხეული. მფუკო წარმოადგენს სხეულთა ისტორიას, სხეულებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სახეობებს და ხსნის, თუ როგორ აყალიბებს ხელისუფლების მრავალრიცხოვანი მიკროსკოპული ძალები ინდივიდუალს. მფუკოს მიერ წარმოდგენილია ისტორია ხელისუფლების სხეულებრივი პანთეონის სახით.

ანონიმური ხელისუფლების ბატონობის პროექტი განვითარებას პოულობს უკ დერიდას, ჟილ დელიოზის, ფელიქს გვატარისა და როლან ბარტის კონცეფციებში.¹²

XIXს-ის ბოლოს იქმნება პოლიტიკური სოციოლოგია, რომელიც მათი შემქმნელების იდეის თანახმად, პოლიტიკას განიხილავდა ეპოქის საერთო სოციალურ კონტექსტში. ემილ დიურკჰეიმის, მაქს ვებერისა და ვილფრედო პარეტოს ნაშრომებში შეიმჩნევა გადასვლა განყენებული თეორეტიკებიდან პოლიტიკური მოღვაწეობის ემპირიულ ანალიზზე. XXს-ის 20-იანი წლებიდან სოციალური და სამართლებრივი გამოკვლევის საერთო კონტექსტიდან პოლიტიკური მეცნიერება ცალკე გამოიყოფა და ორიენტირებულია შეისწავლოს პოლიტიკური პრაქტიკა წმინდა პრაქტიკული მიზნებისათვის.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოკლე ექსკურსიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ არ არსებობს ხელისუფლების გაგების საკითხში ერთი შეთანხმებული მოდელი, მაგრამ ერთი საერთო რამ, რაც ამ კონცეფციებს გააჩნიათ, ისაა, რომ ხელისუფლების პრობლემა მოაქციონ თეორიული კონსტრუქციებისა და განზოგადოებების ველში. ჩვენ ამ პრინციპს ვღებულობთ სახელისუფლებო მიმართების კატეგორიად, რომელიც გზამკვლევადა უნდა დაგვეხმაროს სახელისუფლებო ურთიერთობისა და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ურთიერთმიმართების საკითხებს წარმოჩინებაში.

¹² ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხილეთ მეშვიდე თავში.

§2. პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათის წინასწარი განმარტებისათვის

პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემა მნიშვნელოვანი კატეგორიაა სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურისა და პოლიტიკური პროცესების ანალიზისათვის. ხელისუფლების ცნება წარმოადგენს საფუძველმდებელ ცნებას პოლიტიკური თეორიისათვის და იძლევა გასაღებს პოლიტიკური ინსტიტუტების, თავად პოლიტიკისა და სახელმწიფოს გაგებისათვის. მხოლოდ ხელისუფლების წიაღში შეიძლება იყოს გაგებული ხელისუფლების არსებითი ნიშნები, როგორც სახელისუფლო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი კატეგორიები.

იმისათვის, რომ გავერკვეთ პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემაში, აუცილებლად მიგვაჩნია წინასწარ განვზილეთ პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, რომელიც ამახება ნებისმიერ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ცნობილია, რომ პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლება არ არის საჯარო ხელისუფლების ერთადერთი სახეობა. ხელისუფლება დამახასიათებელია ნებისმიერი ორგანიზებულ ან მეტ-ნაკლებად მდგრად და მიზანმიმართულ ადამიანთა ერთობისათვის; იგი დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანებისათვის, საზოგადოებისათვის საერთოდ და ასევე მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილისათვის.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავარჩიოთ თემის, გვარის, ტომის ხელისუფლება; საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელისუფლება, მშობელთა ხელისუფლება, ოჯახისა და ასე შემდეგ.

საჯარო ხელისუფლების ყოველ ნაირსახეობას ცნობილი თავისებურებანი გააჩნია, რომლებიც განირჩევიან სპეციფიკური განსაკუთრებულობებით. ამასთან, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია საერთო თავისებურებანი, რომელთა სინთეზი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ხელისუფლება, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია.

მამასადაამე, რა შეიძლება იყოს ხელისუფლება? ეს არის ცალკეული პირების, ადამიანთა ჯგუფის, პარტიის, სახელმწიფოს

უნარი თავისი ნება მოახვიოს სოციალური ურთიერთქმედების სხვა მონაწილეებს და მართოს მათი მოქმედება ძალადობით ან არაძალადობითი საშუალებებით და მეთოდებით.

როგორც აღვნიშნეთ, როცა სიტყვა ეხება პოლიტიკასა და ხელისუფლებას, უეჭველია პირველ ადგილს ხელისუფლების საკითხი იკავებს, ხოლო პოლიტიკა წარმოგვიდგება, როგორც სხვადასხვა ჯგუფებისა და პირების მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით ხელისუფლების რეალიზაციის მცდელობის პროცესი. რადგან ჩვენი მიზანი პოლიტიკური ხელისუფლების არსის გარკვევაა, არ მოვახდენთ ამ ცნებების ურთიერთგამიჯვნას. პოლიტიკა და ხელისუფლება ზშირად ერთმანეთის გადაკვეთი ტერმინებია. პოლიტიკის მიზანია მოიპოვოს ხელისუფლება და ამ უკანასკნელის გზით განხორციელოს თავისი მიზნების ბატონობა. ამ ბატონობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუციონიზებული ფორმების მიხედვით.

§3. პოლიტიკური ხელისუფლების ფენომენში მართვისა და ძალაუფლების ფაქტორების გამიჯვნა და მისი რეალიზაციის ფორმები

ხელისუფლება საზოგადოებებრივ ურთიერთობაში შეიძლება მოაზრებული იყოს მმართველობის ფუნქციაში. თუ განვიხილავთ მართვას უფრო ზოგადი ფორმით, მასში შეიძლება მოვიზროთ ყოველგვარი სახის ხელისუფლება. მაგრამ ეს არ იქნება სწორი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მმართველობა მჭიდროდ უკავშირდება ხელისუფლებას, ის არ არის ხელისუფლება. უფრო მეტად იგი გულისხმობს ხელისუფლების ფუნქციონირებას, რომელიც რაიმე პროცესის სახით ან საგნობრივ მატერიალურ შედეგში რეალიზდება.

თუ ამოვალთ იქიდან, რომ სახელმწიფო ხელისუფლება გულისხმობს მართვის პროცესს და თუ მიზნად დავისახავთ, გამოვაკლინოთ ნებისმიერი ხელისუფლების შინაარსი, როგორც ზოგადსოციალური კატეგორია, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს

სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის საშუალება.

ნებისმიერი ხელისუფლება განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხელისუფლების მპყრობელსა და ვინედაც ვრცელდება ეს ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, თუ რა გარეგნულ ფორმებში ვლინდება იგი, არსებითად იძულებითია, რადგანაც, ასე თუ ისე, ის ყოველთვის მიმართულია გაბატონებული ან მმართველი ჯგუფის მიერ გარკვეულ ადამიანთა ჯგუფის ნებელობის დამორჩილებისაკენ. მაშასადამე, იძულება წარმოადგენს ნებისმიერი ხელისუფლების არსებით ნიშანს. ამრიგად, ყოველგვარი საზოგადოებრივი ხელისუფლება შეუძლებელია იძულების გარეშე არსებობდეს.

თუ ხელისუფლების ამგვარი გაგება მისაღებია, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლების პრინციპი აგებულია სახელისუფლებო ურთიერთობაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს დამოკიდებულებას ორ დაპირისპირებულ პოლუსს შორის – ხელისუფლების მპყრობელსა და ხელქვეითს შორის, რომელიც ბატონობისა და მორჩილების ფორმაში ვლინდება.

მაშასადამე, პოლიტიკური ხელისუფლება სახელმწიფოს შიგნით არის გარკვეული სახელისუფლებო ურთიერთმიმართება და იგი ყველა შემთხვევაში იდენტიფიცირდება ბატონობისა და ქვეშევრდომობასთან, ანუ იძულებით ხელისუფლებასთან.

იმისათვის, რომ სწორად ავხსნათ პოლიტიკური ხელისუფლების სფეროსი – აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ხელისუფლების შინაგანი სტრუქტურა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ყალიბდება ორი მხარის საფუძველზე – ბატონობისა და ქვეშევრდომობის პრინციპით. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლება, პირველ რიგში, ობიექტივირებულია ბატონობისა და მორჩილების მიმართებაში და, მეორე მხრივ, მმართველობისა და დაქვემდებარების მიმართებაში. როცა ხელისუფლება ობიექტივირებულია ბატონობისა და ქვეშევრდომობის მიმართებაში, პირველ პლანზე გამოდის იძულების მეთოდი, როცა იგი ვლინდება მმართველობისა და დაქვემდებარების სახით – დარწმუნების მეთოდით. მაშასადამე, საკითხის არსი ისაა, რომ ყოველგვარი

ხელისუფლება, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც განიხილება, როგორც სახელისუფლებო მიმართება, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი – მორჩილებისა და ბატონობის მიმართებაში ან მმართველობისა და დაქვემდებარების მიმართებაში – შეუძლებელია მოიპოვებოდეს იძულების ელემენტის გარეშე.

იძულების საკითხი პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზების ძალზე რთული პრობლემაა. იგი არა მარტო ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, არამედ მორალურ იძულებასაც. მაგრამ, ჩვენი მხრივ, არამართებულია ხელისუფლების განხორციელებისას იძულებისა და დარწმუნების მეთოდი, რომ ერთმანეთს დაუპირისპიროთ. ასევე შეუძლებელია ამ უკანასკნელთან რომელიმეს აბსოლუტიზაცია მოვახდინოთ, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის ერთადერთი მეთოდი. ორივე ეს მეთოდი ერთმანეთს ავსებს, უზრუნველყოფს და წარმოგიდგება, რგორც ყოველგვარი ხელისუფლების რეალიზაციის ზოგადუნივერსალური მეთოდები. კონკრეტული სიტუაციისა და ფუნქციონირების პირობებში პირველ პლანზე გამოდის ან დარწმუნების მეთოდი, ან იძულების. უფრო სწორად თუ ვიტყვით, თუ ხელისუფლება ობიექტივირებულია ბატონობისა და მორჩილების მიმართებაში, მაშინ პირველ პლანზე გამოდის იძულების მეთოდი, მაგრამ, როცა იგი ვლინდება მმართველობისა და დაქვემდებარების ფორმაში – დარწმუნების მეთოდი. ეს უკანასკნელი ვლინდება, უმთავრესად, იმ შემთხვევებში, როცა მორჩილებისა და ბატონობის ურთიერთობის ფორმები რაციონალიზებულია, ანუ იგი უზრუნველყოფილია ნორმატიული აქტებით, ანუ კანონით, ე.ი. როცა ქვეშევრდომის ურთიერთობა ზემდგომთან კანონის საფუძველზე რეალიზდება.

მაგრამ ყველა მომენტში ნებისმიერი ხელისუფლებას რეალიზაციის ყველა ქვეტიქსტი არის იძულება. აქედან გამომდინარე, არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ იძულება განხილული იქნეს არა მარტო როგორც მეთოდი, არამედ, როგორც ნებისმიერი ხელისუფლების შინაარსი ანუ, როგორც მისი სტრუქტურული მხარე, როგორაც არ უნდა ვლინდებოდეს ის მმართველობის თუ ბატონობის ფორმაში.

რადგან იძულების ცნება, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის მეთოდი, ძალზე მრავალმნიშვნელოვანია, არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ განვასხვავებთ მას დათრგუნვისაგან. იძულება უფრო ფართო სოციალური კატეგორიაა, ვიდრე დათრგუნვა. იძულება არის ნებისმიერი ხელისუფლების სპეციფიკური თვისება, ხოლო დათრგუნვა წარმოადგენს იძულების გამოვლინების ერთ-ერთ შესაძლო პირობას, რომელიც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის ან სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. კერძოდ, დათრგუნვა არის ინდივიდების ძალმომრეობა, სახელმწიფო და პოლიტიკური ხელისუფლების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც რეალიზდება მორჩილებისა და ბატონობის მიმართებაში. ამგვარად, დათრგუნვა, მიუხედავად იმისა, თუ რა კონკრეტულ ფორმებში ვლინდება, არსებითად, წარმოადგენს იძულების განსაკუთრებულ ნაირსახეობას.

აქედან გამომდინარე, რადგან იძულება გულისხმობს დათრგუნვის მომენტებს, შეიძლება განვასხვავოთ ორი ტიპის იძულება: ფიზიკური და ფსიქიკური იძულება.

ფიზიკური იძულება გულისხმობს ხელისუფლების მპყრობელის ზემოქმედებას ქვეშევრდომის ყოფიერების ფიზიკურ მხარეზე (პირადზე ან მატერიალურზე) იმ მიზნით, რომ განხორციელოს თავისი ნება. ხოლო ფსიქიკური იძულება წარმოადგენს ხელისუფლების მპყრობელის მიერ თავისი ნების განხორციელებას ქვეშევრდომზე ზემოქმედებით, რათა თავიდანვე აღიკვეთოს ის შედეგი, რომელიც მოსალოდნელია, თუ ეს უკანასკნელი არ განხორციელებს მას. ფსიქიკური და ფიზიკური იძულების მეთოდის გამოყენების ხასიათი და დანიშნულება დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე, საზოგადოების ხასიათზე, ხელისუფლების შესაბამის ტიპზე, რომელიც იმყოფება განვითარების შესაბამის ეტაპზე.

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ განვიხილავთ იძულების სხვადასხვა ფორმებს, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის სახეობას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ისეთი კატეგორიების ურთიერთმიმართებაზე, როგორიცაა „იძულება“, „დათრგუნვა“ და „ძალადობა“. ტერმინი „ძალადობა“ ხშირად იხმარება როგორც „იძულების“, ასევე „დათრგუნვის“ აზრითაც. ძალადობა იძულების

ერთ-ერთი ფორმაა და, ჩვენი ჰართ, უშუალოდ უკავშირდება ფიზიკურ იძულებას.

ასევე უნდა განვსხვავოთ ერთმანეთისაგან ძალადობა და დათრგუნვა. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური იძულებაა, ხოლო მეორე — როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური იძულებაც.

პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციისას დათრგუნვა ხორციელდება სახელმწიფო მექანიზმის ძალით. ხოლო ძალადობა პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციისას ისეთ მომენტებს ეყრდნობა, როგორცაა ხელისუფლების ხელში ჩაგდება და საკუთარი ხელისუფლების ძალადობით რეალიზაცია.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პრინციპულად მცდარი პოზიცია იქნება, თუ განვიხილავთ ძალადობას (ისევე როგორც იძულებას და დათრგუნვას) კონკრეტული ისტორიული პირობებისაგან განცალკევებით და მოცემული სოციალური გარემოს შინაარსის გათვალისწინების გარეშე. ნათელია, რომ ძალადობისა და იძულების ცნება ყურს კარგად არ ხვდება, მაგრამ ხელისუფლების განხორციელება მხოლოდ დარწმუნების მეთოდით შეუძლებელია. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნებისმიერ სტადიაზე ხელისუფლების რეალიზაციის დარწმუნების მეთოდთან ერთად, არსებობს იძულების მეთოდიც. ინგლისელი ფილოსოფოსის თ.ჰ.გრინის (1836-1882) სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „რადგან ხალხის თვითმმართველობა იზრდება ისტორიის მანძილზე, ძალადობის მომენტიც მცირდება და მის ადგილს ნებაყოფლობითი მორჩილება იკავებს“¹³.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება შეიძლება განხილულ იქნეს ორი ასპექტით. ერთის მხრივ, ის აღნიშნავს ხელისუფლების მპყრობელის მიერ თავის ნების მოხვევას ქვეშევრდომზე, ხოლო, მეორე მხრივ — ქვეშევრდომის ნების დამორჩილებას ხელისუფლების მპყრობელისადმი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ცნება, თავისი შინაგანი არსიდან გამომდინარე, ნებელობითი აქტია, ანუ ხელისუფლების

¹³ The political theory of T.H.Green. Selected writings ed. By J.I.Rodman, 1964, p. 12.

მპყრობელის მიერ თავის ნების თავს მოხვევა ან გადაცემა მის ქვეშევრდომებზე, რომელიც პირველის მხრიდან გულისხმობს ადამიანების ქცევებისა და მოქმედების მართვას, ხოლო, მეორეს მხრიდან — მორჩილებას. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მითითებულ ასპექტში ხელისუფლების აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს იძულება, რომელიც ისტორიული პირობებისა და კონტექსტების გათვალისწინებით სხვადასხვა ფორმასა და შინაარსს ღებულობს. მეორე მხრივ, ხელისუფლებითი ურთიერთობა ატარებს ნებელობით ხასიათს და თავის სტრუქტურის მიხედვით ყალიბდება „ბატონობისა და მორჩილების“, ან „მართველობისა და მორჩილების“ პრინციპის მიხედვით. შესაბამისად ამისა, ხელისუფლება ისტორიული პირობებისა და კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება გამოვლინდეს ან „ბატონობისა და მორჩილების ფორმით“, ან „მართველობისა და მორჩილების“ ფორმით. მაშასადამე, ზემოთ გაანალიზებული ხელისუფლების მექანიზმიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისი ინსტრუმენტია ყოველნაირი სოციალური ერთობის ფუნქციონირებისათვის, რომელიც გამოიხატება ცალკეული პირების ანდა ადამიანთა ჯგუფის მიერ სხვათა ნების დამორჩილებაში და მათ მიერვე მოცემულ საზოგადოებაში მმართველობის განხორციელების ნებაში.

§4. „ხელისუფლებისა“ და „ძალაუფლების“ ცნების განმარტებისათვის

„ხელისუფლებისა“ და „ძალაუფლების“ ცნებები განსხვავებულ სფეროსს ატარებს. თუმცა, რაც ამ ორ ცნებას აერთიანებს, ეს არის ბატონობის საკითხი ანუ ქვეშევრდომის და ზემდგომის ურთიერთობის პრობლემა. მაშასადამე, ძალაუფლებისა და ხელისუფლების ცნება გულისხმობს ბატონობის განხორციელებას. მაგრამ აქ დაისმის საკითხი — ბატონობა რა გზით და როგორ? ზუსტად იმ ხერხისა და წესის გამო, როგორც ხორციელდება ბატონობა, ამ ორ ცნებას განსხვავებულ სფეროსს აძლევს.

ხელისუფლების (Authority) ცნების განსაზღვრების საკითხში ჩვენ ვეყრდნობით მაქს ვებერის შემოთავაზებული ხელისუფლების კონცეფციას. მკვებერის მიერ გამოყენებული ტერმინი „herrschaft“ ითარგმნება, როგორც ბატონობა. ბატონობა ხელისუფლების გზით მამინ ზორციელდება, როცა წარმოდგენილია ზემდგომ ჯგუფებსა და ქვეშევრდომ ჯგუფებს შორის ინსტიტუციონიზებული მიმართება, სადაც ქვეშევრდომის კონფორმულობა ზემდგომის ბრძანებებზე „ეყრდნობა მორჩილების აბსოლუტურად დადგენილ ვალდებულებებს, მიუხედავად პიროვნული მოტივებისა ან ინტერესებისა“¹⁴. მორჩილებისა და ბატონობის ლეგიტიმური მიმართების საფუძველი შეიძლება დაყვანილი იქნეს მკვებერისეული სოციალური მოქმედების ორ ტიპზე: მიზანრაციონალურ და ღირებულებითრაციონალურ ქმედებზე. მამსადაძმე, არსებობს ლეგიტიმური მიმართების ორი ბაზისი: გრძობაზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა (ავექტური) და გონებზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა (მიზანრაციონალური).

ავექტური ქმედება, რომელიც გულისხმობს ემოციურ მდგომარეობას, წარმოადგენს ქარიზმატული და ტრადიციული ხელისუფლების საფუძველს, მამინ როცა მიზანრაციონალური ქმედება შეიცავს რაციონალური რწმენის პრინციპს აბსოლუტური ღირებულების თვალსაზრისით და გამოკვეთს ლეგალურ-რაციონალურ და ღირებულებით რაციონალურ ხელისუფლებას. ეს უკანასკნელი ტერმინი წარმოდგენილია იმისათვის, რათა შემოისაზღვროს ხელისუფლების ვებერისეული ტიპები და გამოძინინარეობს ისეთი ძირეული პრინციპებიდან, როგორიც არის ბუნებრივი სამართალი და მართულთა შეთანხმება.

ამგვარად, ლეგიტიმური ბატონობა მოიზრება იმგვარი სიტუაციის მიხედვით, როდესაც ქვეშევრდომები და ზემდგომები იზიარებენ საერთო ღირებულებათა და ემოციურ რწმენათა რიგს, რომელიც განსაზღვრავს ზემდგომთა უფლებას, გასცენ ბრძანება ქვეშევრდომის მორჩილების მიზნით. ამგვარად, სოციალურ სისტემაში წარმოდგენილი ხელისუფლების განზორციელებისათვის ყველა აქტორი უნდა იზიარებდეს ღირებულებათა საერთო რიგს; ამ სიტუაციაში ზემდგომთა ბრძანებანი იმთავითვე ავტორიტეტულია და ამიტომაც

¹⁴ Weber M., Economy and society, New York: Bedminister Press. vol. III. p. 943.

ორიენტირებული უნდა იყოს კოლექტიურ მიზნებზე. ეს პოზიცია ობიექტურია იმდენად, რამდენადაც ეს არის მკვლელობა ჩამოყალიბებული იქნეს ბატონობის ფორმის ლეგიტიმური პოზიცია. ესაა ხელისუფლების სიტუაცია, მიუხედავად ინდივიდუუმის მიერ ნაგულისხმები მოტივებისა და დამოკიდებულებებისა. რადგან მიღებულია, რომ საზოგადოების ერთი წევრიც, თუკი არ იზიარებს „საერთო ღირებულებებს“, ობიექტური დებულებანი (რომლის საფუძველზეც რეალიზდება ხელისუფლება) ახდენს სიტუაციის მისტიფიკაციას აქედან გამომდინარე ბატონობის ცნება უფრო შესაბამისი სტრატეგიის მიხედვით უნდა იყოს განხილული, როგორც სახელისუფლებლო და არა ვინმე აქტორის მიერ ნაგულისხმები თვალსაზრისის მიხედვით. რადგან ზემდგომი ჯგუფებიდან მოდის ბრძანებანი და სწამთ, რომ მათ აქვთ უფლება ამგვარად იმოქმედონ და სხვები მოვალენი არიან დაემორჩილონ ამ ბრძანებებს, მაშასადამე ამ ჯგუფის თვალსაზრისიდან გამომდინარე, სიტუაცია გულისხმობს ლეგიტიმურ ბატონობას. თუკი ქვეშევრდომი ჯგუფი არ განიხილავს ბრძანებას, როგორც კანონიერს, მაშინ მისთვის ბატონობა სრულიად სხვა რამეა, ვიდრე ის, რაც ხელისუფლებაში იგულისხმება. ამგვარად, სიტუაცია, რომელშიც შესაძლებელია შეიქმნას ობიექტური დებულებანი (ნორმატიული აქტები), რათა ზემოქმედება მოახდინოს სიტუაციაზე, წარმოადგენს ლეგიტიმური ბატონობის სიტუაციის შეზღუდულ შემთხვევას, რომელშიც რწმენები და ღირებულებები ხაზს უსვამენ მოთხოვნას კანონიერებისადმი და რეალურად არიან გაზიარებული საზოგადოების ყველა წევრის მიერ.

„ძალაუფლების“ (power) ცნების გაგების საკითხი მრავალ თვალსაზრისს გულისხმობს. მაგალითად, ინგლისელი სოციოლოგი რ.მარტინი განიხილავს „ძალაუფლებას“, როგორც კომუნიკაციური ურთიერთობის ფორმას; ძალაუფლება განხილულია, როგორც „ინფორმაციის ნაკადის“ ტიპი, რომელიც განსაზიარებს არათვითკმარ ქცევას მიმღებისათვის¹⁵. იგი ამგვარად განიზრახავს გამორიცხოს „ქცევა, რომელიც მოითხოვს ბიოლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური

¹⁵ Martin R., The concept of power: a critical defence, British journal of sociology, vol. 22, 1971, p.245.

მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და განზრახული ქცევა, აჩვენოს სარგებლის სიჭარბედ საკარაულო დანახარჯებთან მიმართებაში¹⁶. ქცევის ეს უკანასკნელი ფორმა გამორიცხულია, ვიდრე ჯგუფები და ინდივიდულები ცდილობენ მიაღწიონ სულ მცირე დანახარჯებისა და სარგებლის ბალანსს სხვა ჯგუფებთან და ინდივიდულებთან მიმართებაში. რ.მარტინი ამიტომაც გამორიცხავს ძალაუფლების საკითხთან მიმართებაში რაციონალური ან განზრახული ქმედების განხილვის რაიმე შესაძლებლობას.

სხვაგვარ პოზიციას იკავებენ ამერიკელი პოლიტოლოგები პ.ბანარჩი და მ.ბარატ ზი ძალაუფლების ცნების გაგებაში. იხინი ამტკიცებენ, რომ უფრო მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ ძალაუფლების განხორციელებაზე სამი პირობის თანახმად: „პირველი, იმისათვის, რომ ძალაუფლებითი მიმართება არსებობდეს, მაშინ უნდა არსებობდეს ღირებულებებისა და ინტერესების კონფლიქტი ორ ან უფრო მეტ პერსონებს ან ჯგუფებს შორის... მეორე, ძალაუფლებითი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთი აქტორი ემორჩილება მეორე, აქტორის სურვილებს..... მესამე, ძალაუფლებითი ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთ მხარეს შეუძლია მუქარით გამოიწვიოს სანქციები.“¹⁷

ამის მსგავსად, ამერიკელი სოციოლოგი ვ.ბაკლი ძალაუფლებას განსაზღვრავს, „როგორც კონტროლს ან გავლენას სხვების მოქმედებაზე, რათა ხელი შეუწყოს ვინმეს მიზნების რეალიზაციას მისი შინაარსის, ვინმეს წინააღმდეგობის მიუხედავად, ან მიუხედავად მათი ცოდნისა და გაგებისა (მაგ., ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სოციოკულტურული გარემოს კონტროლის გზით, რომელშიც სხვები უნდა მოქმედებდნენ). ეს ხაზგასმა აქ ეფუძნება ურთიერთდადასტურებული „შეთანხმების“ ნაკლებობას, რომელიც განიხილება, როგორც რაღაც სოციალურად და ფსიქოლოგიურად ხილრმისეული, ვიდრე უსიტყვო მორჩილება ან აშკარა იძულება. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მახასიათებლები უფრო

¹⁶ Ibid. p. 245.

¹⁷ Bacharach P., Baratz M.. Power and powerty. New York: Oxford university press, 1970. p. 21.

მეტად ხაზს უსვამს - პრივატულ მიზან-ორიენტაციას, ვიდრე კოლექტიურ მიზან-ორიენტაციას.¹⁸

ამგვარად, ამ განმარტებების თანახმად, ორი აქტორი ძალაუფლებით ურთიერმიმართებაში მიმართული არიან თავიანთი საკუთარი მიზნებისკენ და ამგვარად კონფლიქტში არიან ერთმანეთთან; ყოველი მათგანი ცდილობს სხვამ იმოქმედოს იმგვარად, რომ მისი საკუთარი მიზნების რეალიზაცია და სხვების მიზნების იგნორირება მოხდეს. სანქციებით იძულება სამოქმედო სიტუაციის ერთ-ერთი ასპექტია, რომელსაც ორივე აქტორი ითვალისწინებს. როცა ძალაუფლების რეალიზების ვითარებაში B აქტორი ემორჩილება A აქტორის სურვილებს, ეს იმიტომ ხდება ასე, რომ B აქტორი განიხილავს იძულებას A აქტორის სურვილებთან ერთად, როგორც უპირატესს A სანქციების მიმღები მხარის საფუძველზე. მსგავსად ამისა, A განიხილავს თავის თავს, როგორც B-ზე ძალაუფლების განმამორციელებელს, როცა იგი ამას ჩათვლის საჭიროდ მაიძულებელი სანქციების საშუალებით, იმისათვის, რათა მიაღწიოს თავის მიზანს. ამიტომაც ყოველ აქტორს წმინდა ღირებულებით რაციონალური მიმართება აქვს სიტუაციისადმი: ყოველი ცდილობს მიაღწიოს თავის მიზანს მინიმალური დანახარჯებით და მაქსიმალური მოგებით.

ჩვენ მიერ განხილული ანალიზიდან ამკარაა, რომ ძალაუფლების ცნებას ძირითადი მიმართება უნდა ჰქონდეს წინასწარგანზრახულ რაციონალურ ქცევასთან; თუმცა „წინასწარგანზრახული ქცევის“ მოტივები აჩვენებს სარგებლის სიჭარბეს დანახარჯებთან მიმართებაში. რადგან დანახარჯების ცნებაში იგულისხმება სარგებელი, რომელიც შეიძლება მოპოვებული იყოს აქტორის მიერ, თუკი მას აქვს თავისუფალი ქცევის არჩევანი სხვა აქტორების მხრიდან, იძულების არყოფნის პირობებში. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ ძალაუფლებისადმი დამორჩილება არ გულისხმობს დანახარჯებზე სარგებლის სიჭარბეს. რაც არ უნდა იყოს, აღსანიშნავია, რომ სარგებლის კალკულაცია არ წარმოადგენს ძირითად ელემენტს აქტორის ქმედებაში. მას არ შეუძლია უარყოს გარეგანი იძულებანი; სხვა პერსონა და

¹⁸ Buckley W., Sociology and modern systems theory. Englewood cliffs: Prentice-Hall inc. 1967, p195.

მისი სანქციებით იძულება წარმოადგენს მისი ქმედების პირობას. ამიტომაც არჩევანი არ არსებობს იძულების ქვეშ ქმედებასა და რაღაც ზრით თავისუფალ ქმედებას შორის; იგი არსებობს A აქტორთან ერთად იძულებასა და არა იძულებას შორის. მაშასადამე, ნათელია, რომ იძულება სანქციების მუქარის ქვეშ (ძალაუფლების წარმატებით განხორციელებას შემთხვევაში) განზრახულია როგორც უფრო სარგებლიანი, ვიდრე არა იძულება. ამიტომაც ძალაუფლებისადმი დამორჩილება რაციონალური არჩევანია, როცა იძულების ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე მოსალოდნელი სანქციებისა. მაგრამ ეს რაციონალური არჩევანი ყოველთვის იძულების წესით არის განპირობებული და სარგებელი ამ რაციონალურ მორჩილებაში ერთი მხარისათვის ნაკლებია, ვიდრე მეორესათვის. მაშასადამე, ძალაუფლების განხორციელებაში ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ღირებულებით-რაციონალური მომენტი.

ამგვარად, რაც ერთი ვგუფისათვის ხელისუფლების ლეგიტიმურ განხორციელებად ჩანს, სხვა თვალსაზრისიდან გამომდინარე, სრულიად სხვა რამ შეიძლება იყოს. ეს სასესებით შესაძლებელია, რადგანაც, როცა შემდგომები ფიქრობენ, რომ ახორციელებენ ხელისუფლებას, ქვეშევრდომები ვარაუდობენ, რომ ისინი ემორჩილებიან მათ ძალაუფლებას. ამ სიტუაციაში ძალზე ძნელია ჩამოვაყალიბოთ ობიექტური პოზიცია, რომელიც ეხება ძალაუფლებისა და ხელისუფლების მიმართებას. როგორც ვ.ბაკლი აღნიშნავს, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ ძალზე რეალური შესაძლებლობა, რომ აქტორების ღიდი პროცენტისათვის ნებისმიერ სოციალურ სისტემაში ნორმები მიღებულია და ემორჩილებიან მას უბრალოდ, როგორც მოქმედების მოცემულ პირობას, მათი საწყისების ან იდეოლოგიური გამართლებების და იმის ნაკლებად გაცნობიერების გარეშე, თუ რა შეიძლება იყოს სხვაგვარად: და რომ სხვა უფრო ღიდი პროცენტი აქტორებისა თავის თავს გრძნობს დათრგუნულად ნორმების გამო და მისდევს მათ არაცნობიერად, არამედ მათთვის სხვა რაიმე კურსი მოქმედებისათვის ღიად არ ჩანს; თუ ჩვენ დავეუშვებთ ამ შესაძლებლობას, მაშინ ასეთი ვარაუდიც უნდა დავეუშვათ, რომ სოციალური სტრუქტურა შეიძლება ლეგიტიმიზებული ან ინსტიტუციონიზებული იყოს

მხოლოდ სისტემის წევრების უმცირესობის მიხედვით. ამიტომ იძულებული ვართ დავუშვათ, როგორც ზოგადი პოზიცია, იმდენად, რამდენადაც ძალაუფლება და ხელისუფლება რაციონალური ცნებებია, რაც ზოგიერთი აქტორისათვის ხელისუფლების სისტემაა, სხვა აქტორებისათვის შეიძლება იყოს ძალაუფლების სისტემა¹⁹.

ბოლო თვალსაზრისი, რომელიც ვბაკლს ეკუთვნის, გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ აუცილებელია მოვამდინოთ განსხვავება ყოველდღიურ ვითარებაში ძალაუფლების განხორციელების კონტინგენტსა და არალეგიტიმურ ბატონობაში ნაგულისხმებ იძულების ინსტიტუციონიზებულ ფორმას შორის. მკვებერი ამ პოზიციას განიხილავს ბატონობის მისეულ კონცეფციაში ინტერესების დაჯგუფების მიხედვით. ეს არის მიზანრაციონალურად ორიენტირებული ქმედების სისტემა, რომელშიც ერთი ჯგუფი მუდმივად მყოფობს იმგვარ პოზიციაში, რადგან მიიღწიოს დათმობას მის გრძნობებთან და შესწევლებებთან მიმართებაში. ბატონობის ეს ფორმა „ეფუძნება ზეგავლენას, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს საჭირო ან კარგი უნარ-ჩვევების ფლობიდან, გარკვეული თვალსაზრისით გარანტირებულია და ქმედითი დომინირებულების ქცევიდან გამომდინარე, რომლებიც რაც არ უნდა იყოს, ფორმალურად თავისუფალი და უბრალოდ თავიანთი საკუთარი ინტერესებით მოტივირებულები რჩებიან“²⁰.

ბატონობის ეს ფორმა აჩვენებს, რომ გავლენისა და ძალაუფლების არაინსტიტუციონალური ფორმები არსებითად ამორფულია და არ ექვემდებარება წინასწარი განზრახვის საბოლოო შედეგის დადგომის რაციონალურ სქემას. ამ შემთხვევაში ბატონობა სისტემატურად გენერირებადია და განისაზღვრება სტატუს-ფორსის საშუალებით. სიტუაციურად, ცვალებადი ძალაუფლების საპირისპიროდ, „ბატონობა უნდა აღნიშნავდეს სიტუაციას, რომელშიც მმართველის ან მმართველების ნებაა გაცხადებული (ბრძანება) და უნდა აღნიშნავდეს ერთ ან მრავალ სხვა (მართულების) ქცევაზე

¹⁹ Buckley W., Sociology and modern systems theory. Englewood cliffs: Prentice-Hall inc., 1967, p. 196.

²⁰ Weber M., Economy and society, vol III., Ntw York: Bedminister press. 1968, p. 943.

ზეგავლენას სინამდვილეში უნდა ახორციელებდეს ამ ზეგავლენას იმგვარი გზით, რომ მათი ქცევა შესაბამის სოციალურ დონეზე ისე ვლინდებოდეს, თითქოს და მართულები ბრძანების დაკმაყოფილებით თავიანთი ქცევის მაქსიმუმს სწორედ თავიანთი თავისთვის ჩადიან“.²¹

ამგვარად, ძალაუფლებისა და ხელისუფლების ტერმინოლოგიის გამოუქების საფუძველზე შესაძლებელია, რომ განვსჩავაოთ ლეგიტიმური და არალეგიტიმური ბატონობა; იძულების ამორფული მიმართებაანი შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ხელისუფლების განხორციელების ყოველდღიურ ვითარებაში.

მამასადაძე, ჩვენი ანალიზიდან ჩანს, რომ ხელისუფლების ცნება გულისხმობს ზემდგომ და ქვეშევრდომ სუბიექტებს შორის ურთიერთაპასუხისმგებლობის საფუძველზე (კონსენსუსის) განხორციელებულ ლეგიტიმურ ბატონობას. ძალაუფლების ცნება კი გულისხმობს ზემდგომსა და ქვეშევრდომს შორის კონფლიქტს, სადაც ძალაუფლების მპყრობელი იძულების წესით ახორციელებს თავის ნებას.

§5. პოლიტიკური ხელისუფლების მიმართება პოლიტიკურ თეორიასთან

პოლიტიკური ხელისუფლების უშუალო პრობლემას წარმოადგენს მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელსაც ისახავს ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი თავის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისას. იმასთან მიმართებაში, თუ როგორია კონკრეტული მიზნების შინაარსი და ხასიათი, ხდება საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსხვავება. თუმცა ეს განხვავება პირობითია, რადგანაც პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისას ერთი საერთო დეტერმინანტი არსებობს პოლიტიკური თეორიის სახით, რომელიც მოქმედების სტრატეგიასა და მიზნებს აყალიბებს. თუმცა პოლიტიკური მოქმედების თეორიას, რომელიც ზოგად ორიენტირებს იძლევა,

²¹ Weber M., Economy and society, Vol. 1, New York: The bedminister press. 1968, p. 946.

არ შეუძლია მოიცვას მოვლენათა მთელი მრავალფეროვნება. მას არ შეუძლია მოცემულ მიზეზთა ერთობლიობიდან ზუსტად გამოკვეთოს შესაძლო შედეგის დადგომა. ამიტომაც პოლიტიკური თეორია შეზღუდულია თავის არსით. ამასთან ერთად, პოლიტიკური ხელისუფლება ხშირად ექცევა პოლიტიკური მოღვაწეების პირადი თვისებების გავლენის ქვეშ, რომელსაც სერიოზული ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს მის მიმართულებებზე. ამიტომაც ერთი და იგივე ტიპის ობიექტური პოლიტიკური მოთხოვნილებანი შეიძლება სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებში იყოს გამოხატული, რომელთა შინაარსი, უმთავრესად, იმ პირების გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული, ვინც უფლებამოსილია მიიღოს ეს გადაწყვეტილება. მითითებულ გადახრათა ძირითადი ღიაპირობა, რომელიც არ ემორჩილება თეორიაში ჩამოყალიბებულ პოლიტიკური მოქმედების ძირითად კურსს, გამოწვეულია სუბიექტური ფაქტორების არსებობით. თუმცა ეს სრულიად საკმარისია, რადგან მან არაორდინალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან და შედეგებთან მიგვიყვანოს, რომელსაც შეიძლება ან პროზიტური, ან ნეგატიური ზასათი ჰქონდეს.

პოლიტიკური ხელისუფლების პრინციპი გულისხმობს არა მარტო სამოქმედო მიზნების განსაზღვრას, არამედ საშუალებათა და მეთოდთა დამუშავებას ამ მიზნის მისაღწევად. მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში ბატონობს დასახული ამოცანების მისაღწევად ომები, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა, სხვადასხვა ტიპის მანევრები და მოლაპარაკებები. სამინაო პოლიტიკის რეალიზაციისას პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებების ვარირება ხდება უშუალოდ იძულებიდან დაწყებული, მოქნილი მანევრებით დამთავრებული, რომელიც ხელისშემწყობ პირობებს ქმნის, რომლის საზღვრებშიც დასახული პოლიტიკური მიზანი თითქოს თავისთავად ხორციელდება დაინტერესებული სუბექტების ხილული მონაწილეობის გარეშე. აქ შეიძლება დაისვას საკითხი: ზომ არ არის ისე, რომ პოლიტიკაში უცვლელად მონაწილეობს ნ.მაკიაველის მიერ წამოყენებული პრინციპი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. რადგანაც პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედებისა და ზემოქმედების სუბიექტები ადამიანები არიან, ამიტომაც პოლიტიკური ხელისუფლების

პრობლემა არ არსებობს ადამიანური სუბიექტების გარეშე. ეს არის პოლიტიკის ეგზისტენციალური ვითარების პირველადი მომენტი, რომელიც ადამიანის სამყაროში ყოფნის მომენტს პოლიტიკური ყოფიერების სივრცეში ათემატიზირებს. ყოველი პოლიტიკური თეორია პოლიტიკური ხელისუფლების მიზნების გენერალიზაციას ახდენს. რა კეთილშობილურ მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს პოლიტიკური ხელისუფლების თეორია, იგი მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ მიზანზეა ორიენტირებული, რომლისთვისაც ადამიანები მხოლოდ საშუალების კონტექსტში მოიხსენიება. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ფლობისა და განხორციელების ტექსტი, თავის მიზანს მხოლოდ თავის თავში ახორციელებს. ამიტომ იგი ადამიანებს საშუალებებად მოიხმარს, რათა თავისივე თავი გახადოს რეალიზებადი. ამგვარად, პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციის კონტექსტში პოლიტიკურ თეორიას გააჩნია ძალაუფლებით კონტექსტი. ამ ძალაუფლების კონტექსტს არა აქვს ფიზიკური იძულების მხარე, მაგრამ იგი ყოველთვის გულისხმობს სიტყვიერ იძულებას გარკვეული აქტუალური პრობლემების თემატიზაციის გზით, რომელიც მისაღები ხდება პოლიტიკური სუბიექტებისათვის, იმოქმედონ გარკვეული პრინციპის მიხედვით.

წმ. პოლიტიკური ხელისუფლების არსებითი ნიშნები

პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფო და საჯარო ხელისუფლების განსაკუთრებულ ნაირსახეობას. პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლება ერთმანეთის მომცველი ტერმინებია. პოლიტიკური ხელისუფლება, ამ ცნების აზრით, სახელმწიფო ხელისუფლებაა, ე.ი. ეს არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოდან და რეალიზებულია მისივე საშუალებით.

ჩვენ მიუეთითებთ სახელმწიფო და პოლიტიკური ხელისუფლების ურთიერთგამჭვალლობაზე, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია პოლიტიკური ხელისუფლების პრინციპი ნაწილობრივ გავმეფნოთ სახელმწიფო

ხელისუფლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების საშუალებით, არის ერთი მომენტი, რომელიც პოლიტიკურ ხელისუფლებას პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში დამოუკიდებელ სტატუსს ანიჭებს. კერძოდ, ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპი.

პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაცია ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით. მაგრამ ეს ხელისუფლება ვერ განხორციელდება, თუ შესაძლო შედეგებზე და გადაწყვეტილებებზე ვინმემ არ აიღო პასუხისმგებლობა. მას შემდეგ, რაც ამგვარ პასუხისმგებლობას დებულობს ვინმე და ხელისუფლებაში მოსვლით ცდილობს თავისი გადაწყვეტილებების რეალიზება მოახდინოს, იგი ხდება პოლიტიკური ანუ სახელმწიფო ხელისუფლება, ე.ი. პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები სუბიექტი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მისი სრული იდენტიფიკაცია ხდება სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ამის გამო სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუციონალურ ფორმებს ლეგალურად მდგრადი ხასიათი აქვს, ხოლო პოლიტიკური ხელისუფლება ცვალებადია. იგი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა პასუხისმგებლობებს და პრინციპებს იზიარებს ის. პასუხისმგებლობის პრინციპი აქცევს სახელმწიფო ხელისუფლებას პოლიტიკურად და პირიქით, პოლიტიკურ ხელისუფლებას — სახელმწიფოდ.

მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლება არის საზოგადოებრივი ხელისუფლების ისეთი ფორმა, რომელსაც აქვს პოლიტიკური ხასიათი, ეყრდნობა სახელმწიფო იძულების სპეციალურ აპარატს და ვრცელდება პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამზიარებულ სუბიექტებზე, ანუ მათზე, ვინც პოლიტიკური პასუხისმგებლობის დელეგირებას ახდენს პოლიტიკურ ხელისუფლებებზე. პოლიტიკური ხელისუფლება ამავდროულად აღნიშნავს ორგანიზაციულ და ფაქტობრივ მოღვაწეობას იმ მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისათვის, რომელიც მას დასახული აქვს პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსვლამდე.

პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ მისი არსებითი ნიშნები:

1) იგი გამოხატავს და იცავს გარკვეული სოციალური ჯგუფის, კლასის, ფენის ინტერესებს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ბატონობისა და მორჩილების ფორმით ვლინდება;

2) პოლიტიკური ხელისუფლება რეალიზდება პოლიტიკური პასუხისმგებლობის სუბიექტების მიერ ანუ ავტორიტეტების, პარტიების, ან სხვა არჩევითი პირების საშუალებით;

3) პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია პოლიტიკური თეორია, რომელიც აყალიბებს პოლიტიკური აქტივობისათვის მორალურად გამამართლებელ და სტრატეგიულ-ტაქტიკურ პირობებს;

4) პოლიტიკური ხელისუფლება ეყრდნობა სახელმწიფო იძულების ძალას, რომელიც სპეციალურად არის ჩამოყალიბებული იმ მიზნისათვის, რათა დაიმორჩილოს სხვების ნება;

5) პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც პოლიტიკური ბატონობის მექანიზმი, ყოველთვის გაუცხოებული სახით წარმოდგება მათ წინაშე, ვის მიერაც ის იყო არჩეული, ან ვის მიერაც იყო პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპები დელეგირებული.

კითხვები

1. როგორ განვსაზღვროთ პოლიტიკური ხელისუფლების ცნება?

2. როგორი მიმართება არსებობს ხელისუფლების, მმართველობის, მორჩილების, იძულებისა და დათრგუნვის ვითარებებთან?

3. როგორ განვსაზღვროთ „ხელისუფლებისა“ და „ძალაუფლების“ ცნებები?

4. რა მიმართება აქვს პოლიტიკურ ხელისუფლებას პოლიტიკური ხელისუფლების თეორიასთან?

5. განვსაზღვროთ პოლიტიკური ხელისუფლების არსებითი ნიშნები.

პირითაღი ცნებები

მმართველობა — დაქვემდებარება — მორჩილება — იძულება — დათრგუნვა — ძალადობა — ძალაუფლება — ხელისუფლება — პოლიტიკური ხელისუფლება

დავატაბიოი ლიტერატურა

1. მამუკა ბიჭაშვილი. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში, „ნეკერი“, თბილისი, 2001.
2. ნიკოლოზ მაკიაველი, მთავარი, თბილისი, 1984.
3. Аристотель, Никомахова этика, Большая этика, Политика, В кн. Аристотель, Собр. соч., в 4-х томах. т 4., "Мысль", Москва, 1984.
4. Томас Гоббс, Левиафан. В кн. Гоббс, Собр. соч. в 2-х томах. т.2., "Мысль", Москва, 1991.
5. Платон, Государство, Вкн. Платон, Собр. соч. в 3 томах. т. 3, "мысль", Москва, 1971.
6. Джон Локк, Два трактата о правлений, В кн. Джон Локк Собр. соч., т 3, "Мысль", 1988.
7. Гегель, Философия права, "Мысль", Москва, 1990.
8. Имануел Кант, Метафизики нравов, Соч. в 6 т., т 4, "Мысль", Москва, 1965.
9. Лео Штраус, Введение в политическую философию, "Логос", 2000.
10. Макс Вебер, Избранные произведения, "Прогресс", Москва, 1990.
11. Элиас Канетти, Масса и власть, Москва, 1999.
12. Bernard Bosanquet, The Philosophical Theory of The State, London, 1899.
13. Bacharch P. and Baratz M., Power and Powerty. Oxford University Press, 1970.
14. Buckley W. Sociology and Modern Systems Theory, Englewood Cliffs: Hall inc., 1968.
15. Richard Sennett, Authority, Faber and Faber, 1993.

თ ა ვ ი II

პოლიტიკური ხელისუფლების სპეციფიკა

წი. პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურის ძირითადი ფორმები და პოლიტიკის მმართველი სუბიექტები

პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტების ფუნქციონირება თანამედროვე პირობებში არა მარტო ხელისუფლების საეკალიბრულ დაწესებულებებში ვლინდება, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციის იმ პლასტებში (მაგ., მმართველი პარტიის ხელისუფლება, ავტორიტეტები, ელიტა და. ა.შ.), რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში. ე.ი. ახორციელებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას პოლიტიკური მმართველობის ფორმით.

იმ სოციალური ჯგუფებისა და პირების აღსანიშნავად, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას, ჩვენი ზრით, მიზანშეწონილად გამოვიყენოთ „პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურის“ ცნება. ამდაგვარი ცნება უფრო მომცველია და ატარებს სრულიად გარკვეულ სოციოლოგიურ სმარბს, რამდენადაც საშუალებას იძლევა პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტის ფუნქციონირების კონტექსტში „სოციალური ჯგუფის“ ცნებასთან გავაერთიანოთ „როლის“ და „ფუნქციის“ ცნება. თუ ჩვენ ურთიერთკავშირში განვიზილავთ პოლიტიკურ-მმართველობით სტრუქტურებსა და პოლიტიკის მმართველ სუბიექტებს, მაშინ ხელისუფლების ფლობის ხარისხის გამოცემის ერთეული იქნება ისეთი ცნებები, როგორიცაა „კონტროლი და გავლენა“. იმის მიხედვით, თუ რა გავლენისა და კონტროლის ხარისხით

გამოირჩევინ პოლიტიკის მმართველი სუბიექტები, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ გავლენაზე პოლიტიკურ პროცესებში. პოლიტიკური ხელისუფლების სტრუქტურისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ პოლიტიკური გავლენისა და კონტროლის ის სუბიექტები, რომლებიც უშუალოდ დებულობენ გადაწყვეტილებას, ან მასზე არსებით გავლენას ახდენენ. ჩვენი ზრით, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტები არიან ისინი, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ ბატონობას. ასეთი სუბიექტები შეიძლება იყოს შემდეგი: „პოლიტიკური პარტია“, „პოლიტიკური ელიტა“ და „პოლიტიკური ავტორიტეტები“. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ეს სუბიექტები ერთმანეთთან დაკავშირებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ხარისხით. გავლენისა და კონტროლის ყველაზე მაღალი ხარისხი პოლიტიკურ პროცესებში პოლიტიკურ პარტიას აქვს, რადგან ის განსაზღვრავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ზოგად კურსს და იდეოლოგიას. შემდეგში გადაწყვეტილებების მიღების ხარისხით გამოდის „პოლიტიკური ელიტა“, რომელიც პოლიტიკური მოქმედების კონკრეტულ სტრატეგიას ამუშავებს, დაბოლოს — „პოლიტიკური ავტორიტეტები“, რომლებიც უშუალოდ დებულობენ გადაწყვეტილებას. პოლიტიკური გავლენისა და კონტროლის ეს სუბიექტები ურთიერთანგააზრებულნი არიან და მოიზარებიან პოლიტიკურ-მმართველობით ერთიან სტრუქტურაში, რომელიც ვლინდება პოლიტიკური მოღვაწეობის ერთიან ველში. განვიხილოთ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე.

ნოიმიანის მიხედვით, პოლიტიკური პარტია „იმ აქტიურ პოლიტიკურ პირთა ორგანიზაციაა, რომელიც დაინტერესებულია სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლით და ხალხის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ებრძვის და ეჯიბრება სხვა შეხედულების მქონე ჯგუფს ან ჯგუფებს. ამ სახით პარტია წარმოადგენს საზოგადოებრივ ძალებს, იდეოლოგიებსა და ოფიციალურ სახელმწიფო ინსტიტუტებს, აგრეთვე დიდი პოლიტიკური გაერთიანებების პოლიტიკურ ქმედებათა შორის მძლავრ შუამავალს“. მამსადაძე, პოლიტიკური პარტია მდგრადი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს პირებს ერთიანი სოციალურ-კლასობრივი, პოლიტიკურ-ეკონომიური, კულტურულ-ნაციონალური და სხვა ინტერესებითა და იდეებით.

პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა პოლიტიკური აქტივობის თეორიული საფუძვლით უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი გამოიხატება საზოგადოებაში გარკვეული ტიპის ხელისუფლების, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ურთიერთობის და მთელი პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში. პოლიტიკური პარტია ასევე ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკურ აღზრდას და სოციალიზაციას, მათი მხარდაჭერის მოპოვებას, თავიანთი ინტერესების გამოხატვას პარტიული პროგრამებისა და მანიფესტების საშუალებით. იგი ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკურ მობილიზაციას (პირველ რიგში, ამომრჩევლების ან მხარდამჭერების), რადგან თავისი პოლიტიკური მიზნების რეალიზება მოახდინოს არჩევნებს საშუალებით და განაზოგადოს პოლიტიკური კონტროლი სახელმწიფო პოსტებზე მყოფი პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ (განსაკუთრებით საკანონმდებლო ორგანოებში).

პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ბატონობის ძირითადი ბირთვია. ის არა მარტო პოლიტიკური აქციების მთავარი ორგანიზატორია, არამედ ქმნის პოლიტიკური ზროვნების მიკროსოციუმს, რომელშიც პოლიტიკური ურთიერთანგაყირებულობის საფუძველზე პოლიტიკურ სუბიექტებს შორის აყალიბებს ზროვნებისა და შეფასებების ერთგვაროვან სისტემას ანუ პოლიტიკურ შეფასებათა შეზღუდულ დისკურსს; ენობრივი კომუნიკაციის ნაირსახეობას, რომელიც მიმართულია მისი მონაწილეების მიერ მოქმედების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ასპექტის, შეზღუდულებიანა და გამოთქმების დასაბუთებისა და განხილვისათვის. ოღონდ ეს გამოთქმები და კომუნიკაცია ყალიბდება პარტიული ურთიერთსოლიდარობის პრინციპით ჩამოყალიბებული დისკურსის საშუალებით, რომელიც თავის თავში ატარებს შეზღუდვების მომენტს და არ ცნობს სხვა დისკურსს, გარდა საკუთარისას. ამგვარად, პოლიტიკური ბატონობის მთავარ წარმმართველად გამოდის ის პოლიტიკური დისკურსი, რომელიც პარტიის მიერ არის აღიარებული. პარტიული დისკურსი ახორციელებს საუბრით იძულებას ჯერ თავის წევრების მიმართ, ხოლო შემდგომ სოციალური გარემოს მიმართ²².

²² უფრო დაწვრილებით იხილეთ მესამე თავში — პოლიტიკური თეორიის სპეციფიკა.

ახლა გადავიდეთ გავლენისა და კონტროლის მქონე მეორე პოლიტიკურ სუბიექტზე ანუ ელიტაზე, ესენი, ვილფრედო პარეტოს (1848-1923) მიხედვით, არიან ადამიანები, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მაღალი ინდექსი თავიანთი მოღვაწეობის სფეროში; ისინი საზოგადოების ორგანიზებულ უმცირესობაა, პოლიტიკურ ურთიერთობაში ყველაზე აქტიური ადამიანები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხელისუფლებაზე; ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება მიაგებს ყველაზე დიდ პატივს, სტატუსსა და სიმდიდრეს; ადამიანები, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური ან მორალური უპირატესობა მასთან მიმართებაში და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა; ადამიანები რომლებიც ფლობენ ხელისუფლების პოზიციებს ფორმალური ხელისუფლების ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში, პირები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ ცხოვრებას; „ღვთიკურთხეულ“ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ქარიზმა; საზოგადოების შემოქმედებითი უმცირესობა, რომლებიც უპირისპირდებიან არამეშველეთი უმრავლესობას; შედარებით მცირე ჯგუფი, შემდგარი იმ პირებისაგან, რომლებიც იკავებენ წამყვან ადგილს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ინდუსტრიული საზოგადოება, „ტექნოკრატია“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და კონტროლის დროს, აქედან გამომდინარე ეს ადამიანები ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები, მენეჯერები და უმაღლესი თანამდებობის პირები აღმოჩნდნენ ბიუროკრატიულ სტრუქტურაში.

თითქმის ყველა ელიტისტური თეორიის ამოსავალი პუნქტია პოლიტიკურ ურთიერთობათა აბსოლუტიზაცია მორჩილებისა და ბატონობის ფორმაში. ისევე როგორც პარტიას, ელიტასაც აქვს თავის დისკურსი. მაგრამ ელიტის დისკურსს არა მარტო პარტიული ანგაჟემენტი აყალიბებს, არამედ სოციალური დისტანციაც, რომელიც შეიძლება არ იყოს დაკავშირებული ამ უკანასკნელთან. რამდენადაც იგი განიხილავს თავის თავს ბატონობისა და მორჩილების აბსოლუტიზებულ ურთიერთობაში. ამდენად, ის თავის თავს მხოლოდ მმართველის, ზემდგომის, ბატონის ფორმაში მოიხარებს. აქედან გამომდინარე, ამ თეორიას უწოდება „ბატონის“

სპეციფიკური დისკურსი, როგორც უპირატესობის მქონისა, რაც განსაზღვრავს მისი ქმედების ორიენტირებს.

ელიტარული საზოგადოება არ არსებობს ავტორიტეტის გარეშე. ავტორიტეტის პრობლემა ყველამე მნიშვნელოვანი საკითხია ხელისუფლების რეალიზაციის საკითხში და მასზე არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს. მაგრამ თავად ავტორიტეტის როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უდავოა. ამიტომ პოლიტიკის მეცნიერებათა და სოციოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ ყურადღებას უთმობს მას. ჩვენი მხრით, ავტორიტეტის პოზიციაში ერთიანდება პარტიისა და ელიტის პოზიცია.

ავტორიტეტი (ლათ. auctor, წამომწყები, დამფუძნებელი, შემქმნელი) ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ემყარება პიროვნების, ან ორგანიზაციის გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ავტორიტეტის საშუალებით ხორციელდება კონტროლი ადამიანთა მოქმედებაზე და მათი შეთანხმება საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებთან, რომელიც ქცევის ერთიანი ტიპის სტიმულირებას ახდენს და ზღუდავს, კრძალავს ქცევის სხვა ტიპს. ავტორიტეტის გავლენა ვარაუდობს ადამიანის მოქმედებაზე უშუალო ზეგავლენას, რომელიც კლინდება დირექტივის, ბრძანების, განკარგულების ან გარეგნული იძულების ფორმაში. ის, რომ ბრძანების შესრულება ეკრძობა ავტორიტეტს, გულისხმობს შემსრულებლის დარწმუნებულობას ავტორიტეტის ლეგიტიმურობაში და არა იმის გაცნობიერებას, რომ ბრძანების შეუსრულებლობას ბრძანების გამცემის მიერ შეიძლება მოჰყვეს წამახალისებელი ან რეპრესიული ღონისძიებანი. ლეგიტიმურობა გულისხმობს ავტორიტეტის ცნებას: ასე თუ ისე იგი ყოველთვის გამოდის, როგორც ზემოქმედების საშუალებების დამკანონებელი, რაც, თავის მხრივ, ვარაუდობს გარკვეული ღონის სოციალურ წესრიგს და ამაში ჩანს ავტორიტეტის განსხვავება უბრალო გარეგნული იძულებისაგან. ავტორიტეტის ეფექტურობა უმთავრესად განისაზღვრება ხელისუფლების სხვა ფორმებთან ურთიერთობით, რაც არ გამორიცხავს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას. ავტორიტეტი იმ შემთხვევაში შეიძლება

იყოს გაძლიერებული, თუ მისთვის თანმხლები ღონისძიებანი სხვა ფორმის სახელისუფლო მექანიზმითაც არის უზრუნველყოფილი, კერძოდ, გარეგანი იძულების სახით. ავტორიტეტის დაკანონებამ, რომელიც ხორციელდება იძულებითი კონტროლის საშუალებით, შეიძლება მიგვიყვანოს ავტორიტეტის იძულებით ხელისუფლებასთან, რომელიც წარმოგვიდგება ნამდვილი ავტორიტეტის მოწინააღმდეგედ და ფაქტობრივად მის დამანგრეველად. გარეგანი იძულებისაგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა შიშველ ძალასა და იძულების გამოყენების მუდმივ შესაძლებლობას, ავტორიტეტის ხელისუფლება სხვაგვარი საშუალებებით არის გარანტირებული. მაქს ვებერის თანახმად, მისი გარანტი შეიძლება იყოს ტრადიცია, რაციონალურად დაფუძნებული კანონიერება და ქარიზმა. პირველი შემთხვევაში საქმე გვაქვს ლეგიტიმაციის ტრადიციულ ხერხთან; მეორე შემთხვევაში — რაციონალურ-ლეგალურთან; მესამე შემთხვევაში — ქარიზმატულთან. დაკანონებამ ექვემდებარება ავტორიტეტის ჩამოყალიბების ყველა ძირითადი ელემენტი: ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ის რეალიზდება; ავტორიტეტების „სუბიექტების ავტორიტეტული როლი, რომელსაც იგი ამტკიცებს თავის ქმედებით; საკვეწოდ განცხადების ხერხი — თავად ავტორიტეტული მოთხოვნებისა და განკარგულებების სტრუქტურა. პირველ შემთხვევაში ყველა ამ ელემენტის ავტორიტეტულობა მადლით იმოსება იმით, რომ „ის მოხდა შორეულ წარსულში“ (მოცემული ტრადიციის წყაროს შემოწმების შესაძლებლობა კრიტიკულ-რაციონალური რეფლექსიისათვის აძლიერებს ლეგიტიმაციის ხარისხს). მეორე შემთხვევაში აპელირება ხდება ყოველი მათგანის რაციონალური საფუძვლის დაფუძნებზე, რომელიც თავის თავში პოულობს ლეგიტიმაციის საკმარის საფუძვლებს. მესამე შემთხვევაში აპელირება ხდება ავტორიტეტის პირველწყაროს საკრალურ ხასიათზე — მისი ზებუნებრიობის საერთო რწმენიდან გამომდინარე.²³

ავტორიტეტის ინსტიტუტის სიტემის დაკანონება, ავტორიტეტის სუბიექტების თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება, ავტორიტეტული ნორმებისა და განკარგულებების დეკლარაციის პროცედურები

²³ იხილეთ, მაქს ვებერი, პოლიტიკა, როგორც ხელობა და მოწოდება, თბილისი, 1991.

ხორციელდება უმაღლესი მალეგემიტირებული ხელისუფლების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს „ღვთის ნება“, დინასტიის დამმარსებლის „აღქმ“, „ხალხის ნება“, „ბუნებრივი სამართალი“ და ასე შემდეგ. არა მარტო ქარიზმატული, არამედ ასევე ავტორიტეტის ტრადიციული და რაციონალურ-ლეგალური საშუალებანი ეფუძნება საკრალურისადაც ანუ ქარიზმისადაც რაღაც კავშირის რწმენას. ავტორიტეტის ლეგტიმაციას ესაჭიროება არა მარტო მმართველები („ავტორიტეტის“ სუბიექტები), არამედ ქვეშევრდომები („ავტორიტეტის“ ობიექტები), განკარგულების შემსრულებლები. პირველი საჭიროებს ამას, მასში ხედავენ არა მარტო თავიანთი ხელისუფლების განმტკიცების საფუძველს, არამედ იმასაც, რომ მათ ესაჭიროებათ თვითგამართლება – დარწმუნებულობა, რომ მათი მოქმედება და ქცევა წარმოადგენს მართლზომიერს, რომელიც შეესაბამება „უმაღლეს სამართლიანობას“. ანალოგიური გამართლება სჭირდება მის ქვეშევრდომებსაც, რომლებიც მიიღებენ, აღმოაჩინონ მაღალი სიზრისი თავიანთ ქმედებებში, რომლებსაც საფუძველად უდევთ ავტორიტეტული განკარგულება და ბრძანება. აქედან გამომდინარეობს მათი სურვილი – ხელისუფლება განიხილონ (პირველ რიგში, ავტორიტეტის ხელისუფლება), როგორც კანონიერი. იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლება აპელირებას ახდენს ავტორიტეტისადმი და ჩადის უსამართლობებს, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ავტორიტეტის კანონიერების დარღვევის ფაქტი, და აქედან გამომდინარე, თვით ავტორიტეტის დაკარგვაც კი. ავტორიტეტის დაკარგვა, მისი არაეფექტურობის გარდაუვალი შედეგის მაჩვენებელია სოციალური წესრიგის შენარჩუნების საკითხში, რომელიც უმთავრესად განისაზღვრება საყოველთაოდ აღიარებული სამართლიანობის დონის სიზომით. ხელისუფლების ავტორიტეტი იცვლება „ავტორიტეტის ხელისუფლებით“ იმ შემთხვევაში, როცა ის წარმოადგება იძულებითი კონტროლის სახით, რომელიც შეუზღუდავ ძალაუფლებას ეყრდნობა. თუ ამ შემთხვევაში სოციალური წესრიგი შენარჩუნებულია დიდი ხნის განმავლობაში, რომელიც არა სამართლიანია სწოვადობის უმრავლესი წევრების მიმართ, შეიძლება კვლავ წარმოიშვას ლტოლვა იძულებითი ხელისუფლებისადმი, რომელიც ეყრდნობა

ამ უკანასკნელის მიერ დემონსტრირებულ თვისებას, შეინარჩუნოს სოციალური წესრიგი ავტორიტეტის „თვითდაკანონების“ გზით. ხელისუფლების ავტორიტეტი მიისწრაფვის, რათა მადლით შემოსოს თავისი თავი ავტორიტეტის ხელისუფლებით. XXს-ის უმრავლესი პოლიტოლოგისა და მკვლევრის მიერ ეს პროცესი წარმოდგენილია, როგორც ავტორიტარიზმიდან ტოტალიტარიზმისაკენ გადასვლა და — პირიქით. ხელისუფლებას ავტორიტეტის დამორება „ავტორიტეტის ხელისუფლებისაგან“ ძალზე ძნელია. ისინი სოციალურ რეალობაში ერთად გამოდიან სხვადასხვა კომბინაციის სახით. ხშირად შერყეული ავტორიტეტი ცდილობს საყრდენი აშკარა იძულებაში იპოვოს, თავის მხრივ, კი ეს უკანასკნელი საჭიროებდეს ავტორიტეტს. ავტორიტეტის ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ იძულებას ეყრდნობა, მხოლოდ ერთი ტიპის ავტორიტეტს ეთანადება, კერძოდ, ქარიზმატულს, რომელიც აპელირებს ავტორიტეტის „უზენაესი სუბიექტის“ ზებუნებრივი თავისებურებებით. ეს უკანასკნელი ისტორიაში რჩება, როგორც ავტორიტეტის ხელისუფლება და ხელისუფლების ავტორიტეტი ერთდროულად. ტრადიციული და რაციონალურ-ლეგალური ავტორიტეტების ტიპების განხილვისას, წარმოიშობა წინააღმდეგობა ხელისუფლების ავტორიტეტსა (რომელიც მხოლოდ თავის თავს ეყრდნობა) და ავტორიტეტის ხელისუფლებას შორის (რომელიც ზღუდავს ამ ხელისუფლების გავლენას). ამ შემთხვევაში კანონიერი ხელისუფლებისადმი აპელაციამ შეიძლება არა მარტო ანტიტოტალიტარული, არამედ ანტიავტორიტარული როლი ითამაშოს (ამის მაგალითად გამოდგება: შემთხვევა ესპანეთში, როცა მეფემ — ხუან კარლოსმა — ანტიპუტჩისტური პოზიცია დაიკავა 1973 წ.). ავტორიტეტს სოციალური ფუნქციის ანალოზი და შემდგომ შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ შესაბამისობაშია მკვებერს მიერ განსაზღვრული ავტორიტეტი „იდეალურ ტიპებთან“. ის პოლიტოლოგები და სოციოლოგები, რომლებიც ავტორიტეტის ამოსავალ პუნქტად განიხილავენ ქარიზმატულ ლიდერს, მიიჩნევენ, რომ იგი არის თვითნებობის შედეგად წარმოშობილი და ავტორიტარული რეჟიმების მუდმივი თანმდევი კლიშე (თადორნო, მკორკჰაიმიერი, კიასპერსი). ავტორიტეტის ამდაგვარი პოზიციებიდან განხილვის შედეგია ის, რომ იგი

ყოველთვის უკავშირდება პოლიტიკურ ძალადობას და ვარაუდობს ყოველგვარი ავტორიტეტის გამოვლენას, როგორც იდეოლოგიურ კომუფლიაჟს, რადგან შეიქმნეს საზოგადოება ავტორიტეტების გარეშე. ის მოაზროვნეები, რომლებიც მთლიანად ღებულობენ რაციონალურ-ლეგალური ავტორიტეტის მოდელს, მას მიიჩნევენ, ლიბერალურ-კონსტიტუციური ხელმძღვანელობისათვის აუცილებელ მომენტად, რაც იწვევს კრიტიკას როგორც კონსერვატორების მხრიდან, ასევე მემარცხენე რადიკალების მხრიდანაც. დაბოლოს, სოციოლოგები და პოლიტიკოსები, რომლებიც ორიენტირებული არიან ტრადიციულ ავტორიტეტზე: კონსერვატორები(რ.სკრუტონი, რ.სანეტი,რ.ნიზბეტი) თვლიან, რომ ავტორიტეტის ტრადიციულობა საზოგადოების მასტაბილიზებელი ფუნქციაა. ამ თვალსაზრისს უპირისპირდება რადიკალური შეხედულებების მოაზროვნეები (მემარცხენე ინტელიგენცია), რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იგი ყოველგვარი პროგრესის შემაფერხებელია.

§2. პოლიტიკური მოღვაწეობის მახასიათებლები და პოლიტიკური ხელისუფლება

პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რის ირგვლივ ხდება პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს არის პარტია, ელიტა და ავტორიტეტი. ძირითადად ესენი არიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სუბიექტები, რომლებიც აყალიბებენ გავლენისა და კონტროლის ველს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პოლიტიკური აქტივობა და მოღვაწეობა.

პოლიტიკური მოღვაწეობის ცნება გულისხმობს პოლიტიკური პროცესის სფეროში მისივე სუბიექტების პროფესიულ დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღოს სოციალური მართვისა და გავლენის ველში; ხოლო პოლიტიკური აქტივობის ცნება ეს არის პოლიტიკური მოქმედების პროცესში შემოქმედებითი უნარების გამოვლინება გარკვეული მიზნის მიღწევისათვის.

მამასადამე, პოლიტიკური მოღვაწეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური სუბიექტების მიერ გამოვლენილი აქტიუობა, რომელიც ვლინდება პოლიტიკური მართვისა და გავლენის ველში.

რა მახასიათებლები შეიძლება განსაზღვრავდეს პოლიტიკურ აქტიუობას? ჩვენი აზრით, 1) სუბიექტურ მიმართებათა(ანუ პოლიტიკურ მიზანთა) და ობიექტურ მოთხოვნილებათა(ამა თუ იმ დონით პოლიტიკურ მიმართებებზე და ხელისუფლებებზე შემოქმედების) ერთობლიობა; 2) კერძო და საერთო ინტერესების გაცნობიერება პოლიტიკური სუბიექტების მიერ მათი ურთიერთქმედების პროცესში; 3) პოლიტიკური სიტუაციის განსაზღვრა და მართვა, რომელიც გამოხატავს საერთო ინტერესს; 4) პოლიტიკური სუბიექტების (კლასის, ფენის, სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის) მიერ პოლიტიკური მოღვაწეობის წარმართვა ძირითად პრობლემებთან მიმართებაში ანუ პოლიტიკური ბატონობის რეალიზაციისათვის.

დავამახასიათოთ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე.

1) პოლიტიკურ პროცესში სუბიექტურ მიმართებათა და ობიექტურ მოთხოვნილებათა ერთობლიობა აღნიშნავს პოლიტიკური სუბიექტებისათვის მოქმედების თვისების ფორმირებას, რომელიც, ამოდის რა სოციალურებისათვის დამახასიათებელი პრობლემებიდან და პოლიტიკურ მიზანთა ობიექტურად არსებული წინააღმდეგობრივი კავშირიდან, ამ პრობლემებს უდგება პოლიტიკურად ანუ სახელმწიფო ხელისუფლების პოზიციიდან პოლიტიკური სუბიექტებისათვის აქტიური მოღვაწეობის კრიტერიუმის განმსაზღვრელი ხდება მისწრაფება და შესაძლებლობა იმისა, რომ შემოქმედება მოახდინოს პოლიტიკურ ხელისუფლებებზე, რათა რეალიზება მოახდინოს თავისი პოლიტიკური ინტერესების ანუ განაპროცელოს ბატონობა.

2) კერძო და საერთო ინტერესების გაცნობიერება პოლიტიკური სუბიექტების მიერ მათი ურთიერთქმედების პროცესში გულისხმობს ობიექტურად არსებული პოლიტიკური ფაქტორების სისტემის ინტეგრირებულ გამოხატულებას პოლიტიკურ ინტერესში, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ მოღვაწეობას და ფორმირდება კერძო და საერთო ინტერესების ურთიერთქმედების საფუძველზე პოლიტიკური

ინტერესი სისტემატიზებული სახით ასახავს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ მოთხოვნას და გამოხატავს პოლიტიკური მოღვაწეობის განვითარების დონეს და მასში მნიშვნელოვანი სოციალური მოთხოვნილებების კონცენტრაციის ხარისხს.

პოლიტიკურ ინტერესს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური პრობლემების რეგულაციის პროცესში. კერძო ინტერესებთან მიმართებაში საერთო ინტერესების პრიორიტეტების უზრუნველყოფისას ყოველთვის ივარაუდება პოლიტიკური ინტერესი, როგორც ობიექტური პრინციპი, რომელიც გამოხატავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესთა ერთიანობას და წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს პოლიტიკური სუბიექტების მიერ თავიანთი ინტერესების განხორციელებისას.

ძირითადი პოზიცია პოლიტიკური ინტერესების გაცნობიერებისას გამოიხატება იმით, თუ როგორ უნდა მოხდეს გარკვეული პოლიტიკური სუბიექტის მიერ თავისი პოლიტიკური ინტერესის შექცევა და როგორ უნდა იყოს ეს პოლიტიკური ინტერესები ხელისუფლებაში რეალიზებული, რათა განხორციელდეს ამ ინტერესთა ბატონობა.

3) პოლიტიკური სიტუაციის განსაზღვრა და მართვა, რომელიც გამოხატავს საერთო ინტერესს.

პოლიტიკური მოღვაწეობის დეტერმინაციის აქტში მოქმედებს კონკრეტული მოდიფიკაციის კანონები, ინტერესები, კლასობრივი და თეორიული პოზიციები. ამ ფაქტორთა სისტემას შეგვიძლია ვუწოდოთ პოლიტიკური სიტუაცია. პოლიტიკური სიტუაციის ღერძია პოლიტიკური სუბიექტების, კლასების, სოციალური ფენებისა და პოლიტიკური ინტერესის ჯგუფთა ურთიერთობა ისტორიის გარკვეულ დროის მონაკვეთში და სივრცეში. თავისი არსით ის გამოხატავს გარკვეულ მომენტს — ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორთა რიგის ურთიერთქმედებას, რომელიც ზემოქმედებს პოლიტიკურ ქცევაზე.

პოლიტიკური სიტუაცია ეს არის პოლიტიკურ პროცესში წარმოქმნილი სისტემურ, ინტეგრალურ და დინამიკურ ფაქტორთა ერთობლიობა. ამ ფაქტორთა გათვალისწინების საფუძველზე ყალიბდება პოლიტიკური სუბიექტის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ზემოქმედებენ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე.

ძირითადადში, პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეული შრეები წარმოადგენს სოციალური კანონზომიერებების, საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ინტერესებისა და მოთხოვნების წინააღმდეგობების კომპლექსს, რომელთა ურთიერთზემოქმედება ქმნის გამეორებად და ცალკეულ სიტუაციებს პოლიტიკურ პროცესში. პოლიტიკური სიტუაციის განმსაზღვრელ ფაქტორებში ყოველთვის მნიშვნელოვანია, გამოვლენილი იქნეს ამ წინააღმდეგობრივი მთლიანობის ძირითადი ღერძი. პოლიტიკური სიტუაციის ძირითადი ფაქტორები ვლინდება ეგზისტენციალური ინფორმაციის ფორმაში, რომელიც ამ სიტუაციას აღწერს სამშრობის, ან მშვიდობიანობის პერსპექტივაში.²⁴

პოლიტიკური სიტუაციის ცნება ვლინდება იმ ფაქტორების ანალიზის საშუალებით, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს პოლიტიკური მოღვაწეობის გარკვეულ ტიპს. პოლიტიკური სიტუაციის სწორი გაჩნება მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სუბიექტისათვის – ვინც არ უნდა იყოს ის, სოციალური ჯგუფი, პოლიტიკური ორგანიზაცია თუ პოლიტიკური ლიდერი.

4) პოლიტიკური სუბიექტის მიერ პოლიტიკური მოღვაწეობის თავმოყრა ძირითად პრობლემასთან მიმართებაში ანუ პოლიტიკური ბატონობის რეალიზაციისათვის გამოხატება სუბიექტური მოღვაწეობის ელემენტებში, რომლებიც ვლინდება პოლიტიკურ ცნობიერებაში, საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში და პოლიტიკურ კულტურაში.

პოლიტიკური ცნობიერება წარმოადგენს სამი კომპონენტის სინთეზს: სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერებისას, იდეოლოგიისას და პოლიტიკური ფსიქოლოგიისას. იგი მოიცავს პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს და ისეთ აუცილებელ ელემენტებს, როგორცაა სახელმწიფოს მოღვაწეობა, პოლიტიკური სისტემის და ხელისუფლების აპარატის ფუნქციონირება.

სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერება ადამიანთა ყოფიერების სპეციფიკური პირობების გამოსახვაა, რომლის ფარგლებშიც ხდება სოციალის ცალკეული ჯგუფების, ფენებისა და ელიტის

²⁴ უფრო დაწვრილებით იხილეთ მესამე თავში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სპეციფიკა.

პოზიციების და ინტერესების გაცნობიერება და დაფიქსირება. იმის მიხედვით, თუ რა პოზიციებს აცნობიერებს ცალკეული სუბიექტები სოციუმში, ხდება მათი ინტერესებისა და პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება.

პოლიტიკური ცნობიერების ძირითადი ელემენტია იდეოლოგია. პოლიტიკური ცნობიერების ყველა ელემენტი ვითარდება იდეოლოგიის გავლენით. იგი წარმართავს სოციუმის ცალკეული ჯგუფების ქცევას გარკვეული ინტერესების შესაბამისად.²⁵

პოლიტიკური მოღვაწეობის დეტერმინაციის მექანიზმში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური ფსიქოლოგია. ის სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერების ინტეგრალური გამოხატულებაა, რომელიც ელინდება პოლიტიკური ნების ფენომენში, როგორც პოლიტიკური ქმედების გაცნობიერებულ მზაობაში.

პოლიტიკური კულტურა ერთ-ერთი გადაწყვეტი ფაქტორია სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაში და პოლიტიკური ხელისუფლების მექანიზმის განმტკიცებაში, რამდენადაც ის განმსჭვალავს პოლიტიკური მოღვაწეობის, დეტერმინაციისა და რეალიზაციის სამუალებათა კომპლექსს. ის ახასიათებს პიროვნების განვითარების გარკვეულ დონეს, რომელიც გულისხმობს იდეოლოგიურ, ემოციონალურ-ფსიქოლოგიურ და ქცევის ტიპებს.

პოლიტიკური კულტურა რეალურ გამოვლინებებს პოულობს პოლიტიკური ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესების ორგანიზების ხარისხში. ის, არსებითად, წარმოადგენს პოლიტიკური მოღვაწეობის დონის განმსჯღვრელს. ასე რომ, რაიმე ტიპის პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ასევე პოლიტიკურ ინსტიტუტებში კონცენტრირდება პოლიტიკური კულტურის გამოხატულება, მისი განვითარების დონის მახასიათებლები, პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება, პოლიტიკური სიახლეების ათვისების უნარი, მიზანმიმართული და მუდმივი განვითარების შესაძლებლობანი.

²⁵ უფრო დაწვრილებით იხილეთ მესამე თავში: პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სპეციფიკა.

§3. მმართველობა და ხელისუფლება

თუ პოლიტიკური ხელისუფლება მხოლოდ სინონიმია ფაქტობრივი მმართველობის ფორმისა ან მისი სოციალური დინამიკის ნაირსახეობაა, მაშინ ლოგიკურად სოციალური დინამიკა უნდა განვიხილოთ „მმართველობის“ ცნების შიგნით.

ეს ცნება საზრისს ღებულობს მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს ცნების შინაარსსა და ფორმას ემატება სახელმწიფო-ორგანიზებული საზოგადოების ახლი პარამეტრი, სახელდობრ, ის პირობები, რომლებშიც მიმდინარეობს პოლიტიკური ცხოვრება. კერძოდ, ესაა, სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული მიმართებების მთელი სისტემა, ამ სისტემის ფუნქციური ინსტიტუტები, პოლიტიკური ცნობიერება, სოციალური ქცევა, ყოველდღიური ცხოვრების სოციალური ინსტიტუტები და ინდივიდების ქცევის მოდელები. ასეთი პირობები ყალიბდება სახელმწიფოს ყველა ელემენტის ურთიერთქმედების შედეგად და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურის იდეოლოგიური და მარეგულირებელი ზეგავლენის გამო. ამიტომაც პოლიტიკური ხელისუფლება სოციალური კრეატურაა. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ისეთი რამ, რაც დამოკიდებულია ცვლილებებზე, მმართველობის ფორმაზე, და თანაც არა იმდენად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანიზაციის ფორმებზე, არამედ საზოგადოებაში პოლიტიკური კონტროლისა და გავლენის პოზიციების ფაქტობრივი განაწილების შედეგზე, პოლიტიკური მმართველობის სტილზე, ხელისუფლების განხორციელების მეთოდებზე, რომლებიც ახასიათებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სუბიექტებს (ანუ მმართველ ჯგუფებს). ეს უკანასკნელი, უმთავრესად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართებაა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან გაბატონებულ ჯგუფებსა და სხვა სოციალურ ფენებს შორის, პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის ტიპზე, მმართველთა პიროვნულ თვისებებზე, მთელ პოლიტიკურ დინამიკაზე, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს ფუნქციონირებას. პოლიტიკური ხელისუფლება დამოკიდებულია ასევე სახელმწიფოს ცხოვრების ისეთ ძირითად კომპონენტებზე, როგორიცაა იდეოლოგია,

პოლიტიკური ტრადიციები, მასობრივი საზოგადოების ცნობიერების მდგრადი ღირებულებითი ორიენტირები, ანუ პოლიტიკური კულტურა, ამ სიტყვის ფართო აზრით, რომელშიც შეიძლება მოაზრებული იქნეს სახელმწიფოს მთელი ისტორიული გამოცდილება.

მაგრამ პოლიტიკური ხელისუფლების ცნება აღნიშნავს არა მარტო მმართველობის ფაქტობრივ ფორმას, პოლიტიკური ცხოვრების ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ბუდმივ და ღროებით მოქმედ ფაქტორს, არამედ პირობებს და გარემოს, რომელშიც იგი მიმდინარეობს. ამიტომაც პოლიტიკური ხელისუფლების ცნების ქვეშ უშუალოდ განვიხილავთ იმ რეალურად მოქმედ ნორმებს, ქცევის სახეობებს, რომლებიც აყალიბებენ პიროვნების პოლიტიკურ ცნობიერებას და რეგლამენტირებას ახდენენ პოლიტიკური პროცესის მონაწილეების ურთიერთობებისას. კერძოდ, ფენების, კლასების, ჯგუფების და მათი ორგანიზაციების; და ასევე იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენებიან პოლიტიკური მმართველობის მიერ სოციალური კონტროლისა და მართვისას თავიანთი პრეროგატივების გასაზოგადოებლად. ამგვარად, პოლიტიკური ხელისუფლების კატეგორია მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ ის უშუალოდ არ წარმოადგენს მისი შინაარსის შემადგენელ ნაწილს, ის გულისხმობს მთელ რიგ მნიშვნელოვან შინაარსობრივ დატვირთვას პოლიტიკური პროცესის შინაგანი მხარეებისას და ამ აზრით განასახიერებს სახელმწიფოს კატეგორიის შინაარსის გარკვეულ ასპექტს.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია მმართველობა განვსაზღვროთ, როგორც სამართლებრივ ქცევათა და ნორმათა სისტემა, რომელიც გამოხატულია: ა) ცალკეული ჯგუფების, კლასების, ფენებისა და პარტიების კანონის რანგში აყვანილ ნებაში, რომელიც აზოციელებს პოლიტიკურ ძალაუფლებას; ბ) სახელმწიფოს მიერ სანქციონირებულ ან დადგენილ ფორმებში, რომლის დარღვევაც დაცულია იძულების ძალით; გ) პოლიტიკური პროცესების საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში.

ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მმართველობის განმარტება ვრცელდება როგორც სახელმწიფოზე, ასევე პოლიტიკურ ხელისუფლებებზეც. მაგრამ ჩვენ მიერ

სამართლებრივ რეგულაციაში შემოტანილი ცალკეული ჯგუფების, კლასების, ფენისა და პარტიის კანონის რანგში აყვანილი ნება გულისხმობს ამ უკანასკნელთა ბატონობას (ბატონობასა და მმართველობას) ან მხოლოდ მმართველობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სამართლებრივი ნორმების ფუნქციონალურ, დინამიკურ ხასიათს და მის კავშირს პოლიტიკურ და სახელმწიფო ხელისუფლებასთან. არც ერთი პოლიტიკური ხელისუფლება ვერ შეძლებს ფუნქციონირებას სამართლებრივი რეგულაციის გარეშე. სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაში სამართალი წარმოადგენს სპეციფიკურ, ობიექტურად აუცილებელ იარაღს მისი სოციალური რეგულაციის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფო-პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის. სამართალი მნიშვნელოვანი საშუალებაა სახელმწიფოს პრაქტიკული მოღვაწეობის განსაზოციელებლად. მაგრამ სახელმწიფოს ნება გამოიხატება არა მარტო სამართლებრივი ნორმებით, არამედ არანორმატიული ხასიათის დოკუმენტებითაც, კერძოდ, განცხადებები, მიმართვა და ა.შ. თუმცა სახელმწიფოს მიერ თავის ნების ამგვარი გზით განცხადება არაა სახელმწიფოს სპეციფიკური თვისება ან სახელმწიფო ხელისუფლების ელემენტი: ნების ასეთი გზით გამოხატვა, უმთავრესად დაკავშირებულია პოლიტიკურ ხელისუფლებასთან და ის სათავეს პოლიტიკური ხელისუფლების სხვა შინაგანი პლასტიდან იღებს, ვიდრე ნორმატიული აქტებიდან. ასეთი განცხადებებისა და მოქმედების საფუძველია პოლიტიკური ხელისუფლების თეორია. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში არის ჩამოყალიბებული, თუ რა არის „პოლიტიკური“ და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და საზოგადოების მმართვეის პრინციპები. ჩვენი აზრით, პოლიტიკური თეორია წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ძირითად დამაკავშირებელ რგოლს.

პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლების სპეციფიკური ელემენტია სახელმწიფო ნების გამომხატველი სუბიექტების სამართლებრივ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კანონის რანგში აყვანა. ყველაზე სრულ განზოგადებულ წარმოდგენას სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ იძლევა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული

კომპონენტების ერთმანეთთან შეთანადება. კერძოდ: ა) ბატონობისა და მმართველობის ან ბატონობისა და ქვეშევრდომობის ურთიერთმიმართება; ბ) მისი სტრუქტურული ნიშნის - „ხელისუფლების ავტორიტეტისა“ და „ავტორიტეტის ხელისუფლების“ ურთიერთმიმართება; გ) ფუნქციონალური ნიშნების - პოლიტიკური ნების, სახელმწიფო ძალაუფლების და სამართლებრივ ნორმათა ურთიერთმიმართება.

ჩვენი აზრით, ამ სამი კომპონენტის ურთიერთობა ქმნის პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსის გარემოს, რომელიც საბოლოო ჯამში გამაერთიანებელი ნიშანი ხდება პოლიტიკური ხელისუფლების ფლობისა. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სამ პოზიციას თავისი ავტონომიური დისკურსი ახასიათებს. მათ შორის კომუნიკაცია პოლიტიკური თეორიისა და ბიუროკრატიის დონეზე მყარდება. ეს არის ის პოზიციები, სადაც ხდება პოლიტიკური ხელისუფლების ფლობის დისკურსის გამოხატვა.

პოლიტიკური თეორია ხელისუფლების ხელში ჩავადებისა და მართვის რაციონალიზებული ფორმაა, რომლის რეალიზაცია შესაძლებელია პარტიებისა და ბიუროკრატიების გზით. თავიდან იგი მიზნად ისახავს ხელისუფლების ხელში ჩავადებას, ხოლო შემდეგ - პოლიტიკური მართვის განხორციელებას.

ის, რისი საშუალებითაც უშუალოდ ხორციელდება მართვა ან პოლიტიკური ხელისუფლება, არის ბიუროკრატია. აქ განვიხილავთ რამდენიმე პოზიციას, რომლებიც უკავშირდებიან ბიუროკრატიის გზით ხელისუფლების განხორციელებას.

ბიუროკრატიის გზით ხელისუფლების რეალიზაციის პრობლემა პირველად განიხილა მაქს ვებერმა. მაქს ვებერის სახელმწიფოს სოციოლოგია ორიენტირებული იყო მმართველობის დახვეწაზე რამაც გამოხატულება პპოვა მის „რაციონალური ბიუროკრატიის“ თეორიაში. მკვებერი ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც რაციონალური ბიუროკრატიის თეორეტიკოსი, რომელმაც ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ორგანიზაციის იდეალური ტიპი. ახასიათებს რა მკვებერი ბიუროკრატიულ ორგანიზაციას რაციონალობისა და ეფექტურობის ტერმინებით, მის არსებით ნიშნებად გამოყოფს - ფუნქციების დიფერენციას, ფორმალური წესების არსებობას, ანგარიშგებისა და დაქვემდებარების იერარქულ პრინციპს, მმართველობის

მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას, მოსამსახურეთა დაქირავებას საჭირო უნარ-ჩვევათა და განათლების მიხედვით. მკვებერი ბიუროკრატიულ რაციონალიზმს თვლიდა კაპიტალისტური რაციონალიზმის გამოვლინებად. იგი მას უკავშირებდა გადამწვევტ როლს, რომელიც უნდა ითამამოს ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში ტექნიკურმა სპეციალისტებმა, რომლებიც საქმეს უძღვებიან შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდებით. მკვებერის თანახმად, ბიუროკრატიული ორგანიზაცია ხსიათდება: ა) ეფექტურობით, რომელიც მიიღწევა მისი წევრების მოვალეობათა მკაცრი რეგლამენტაციით და დანაწევრებით, რაც საშუალებას იძლევა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მმართველ თანამდებობებზე ყოფნისას; ბ) ხელისუფლების მკაცრი იერარქიულობით, რაც საშუალებას იძლევა ზემდგომმა თანამდებობის პირებმა განახორციელონ კონტროლი ქვეშევმდრომებისაგან დავალებების შესრულებაზე; გ) ფორმალურად დადგენილი და ნათლად გამოხატული წესების სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სისტემის ერთგვაროვნებას და საერთო ინსტრუქციების გამოყენებას კერძო შემთხვევების მიმართ შემჭიდროებულ ვადაში; დ) აღმინისტრაციული მოქმედების უპიროვნებო და ემოციურად ნეიტრალური მდგომარეობით, რომელიც ყალიბდება ორგანიზაციის ფუნქციონერებს შორის, სადაც ყველა გამოდის არა როგორც ინდივიდუმი, არამედ სოციალური ხელისუფლების მატარებელი, გარკვეული თანამდებობის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ მკვებერი ცნობდა ბიუროკრატიის ეფექტურობას, იგი მიუთითებდა, რომ მისმა საყოველთაო განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს ინდივიდუალურობის დაკარგვამდე. ნორმალურ პირობებში ბრძოლა დემოკრატიასა და ბიუროკრატიას შორის აუცილებლად მთავრდება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ: „პოლიტიკური პატრონი“, ვინც არ უნდა იყოს ის, ხალხი თუ პარლამენტი, დილეტანტები არიან ბიუროკრატიულ ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომლის შედეგადაც „სრულად განვითარებული ბიუროკრატიის ხელისუფლების პოზიცია გაბატონებული აღმოჩნდება“ და „პრაქტიკულად გადაულახავი“. უფრო მეტიც, ბიუროკრატიული აპარატი სრულიად ნთქავს ჩინოვნიკებს პიროვნებას: ეს უკანასკნელი გადაიქცევიან „ბიუროკრატიული მანქანის ჭანჭიკებად“, რომლისგან

გათავისუფლების შესაძლებლობა ცალკეულ ბიუროკრატს არ აქვს¹.

მკვებერის შემდგომ პერიოდში თანდათანობით ხდება დამორება ბიუროკრატის რაციონალური მოდელისაგან და გადასვლა უფრო რეალისტური მოდელებს აგებინავენ, რომელიც ბიუროკრატის გამოხატაქს როგორც ბუნებრივ სისტემას, რაც, რაციონალურ მომენტთან ერთად, შეიცავს ირაციონალურ, ფორმალურ, არაფორმალურ, ემოციონალურად ნეიტრალურ და პიროვნულ მომენტებს. რ.მბეილსის ბიუროკრატის თეორიას იმავე ფენომენტთან აქვს საქმე, თუმცა პოლიტიკური მოღვაწეობის სხვა რაკურსში, კერძოდ, პოლიტიკურ პარტიებში. როგორც მკვებერი, ისევე რ.მბეილსიც თვლიდა, რომ ყოველგვარ თანამედროვე მასობრივ ორგანიზაციას ესაჭიროება სპეციალიზებული სამმართველო აპარატი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური ადმინისტრატორებისაგან. დემოკრატია, რ.მბეილსის, მართ, შეუძლებელია ორგანიზების გარეშე, ხოლო ორგანიზაცია – ლიდერის გარეშე. მაგრამ მოცემულ ობიექტურად განპირობებულ პროცესს აქვს თავის უარყოფითი გამოვლინებანი, რაც დაკაფშირებულია იმ სპეციალურ სტატუსთან, რომელსაც მოიპოვებენ მათი პოლიტიკური ლიდერები, ხოლო სხვები უშუალოდ გამომდინარეობენ პოლიტიკური პარტიების ბიუროკრატიული ბუნებიდან. ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი ბიუროკრატისაციისა ვლინდება იმით, რომ ლიდერები გადაიქცევიან ხელისუფლებით აღჭურვილ ჩაკეტილ არისტოკრატიულ ჯგუფად, ოლიგარქიად, რომელთა ტექნიკური კომპეტენტურობა კიდევ უფრო აძლიერებს დისტანციას მასებსა და ლიდერებს შორის და, საბოლოო ჯამში, მასების ლიდერისადმი დამორჩილებას და მათი ბატონობის გამართლებას ემსახურება.

ფუნქციონალური თვალსაზრისით, ბიუროკრატისა პოლიტიკურ სისტემაში ევალება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემსრულებლის მექანიზმის ფუნქცია. მაგრამ ის მუშაობს პოლიტიკური სისტემის სასარგებლოდ, მისი დემიორგის, ჯგუფურ-კორპორაციული ინტერესების შესაბამისად. ამას აუცილებლად მიეყვართ სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის დაქვეითებამდე. საბოლოო ჯამში, სისტემა უკვე სრულიად უუნარო ხდება იმისათვის, რომ ფუნქციონალური დავალებები შესარულოს სახელმწიფო მინიებიდან გამომდინარე.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მექანიზმის შესრულების დესტრუქციას ხელს უწყობს ბიუროკრატიულ სისტემაში არსებული ინდივიდუალობის გაუკლმართებელი გამოცდილება. ბიუროკრატიულ სისტემაში მოქცეული ადამიანი არც ერთ პარამეტრში არ რეალიზდება, როგორც ინდივიდუმი. მისთვის არსებობს მხოლოდ ვიღაც ზემდგომი და ვიღაც ქვეშევრდომი. თავად მისი მცდელობა მიმართულია იმაზე, რომ რეალიზება მოახდინოს ვიღაცის ზემდგომში. ამ სისტემის შინაგანი იმპულსი პატრონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულებებზეა აგებული. კანონით ნორმატივიზებული ეს ურთიერთობანი უფრო მყარი და შეუცვლელი ხდება. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ინდივიდუმათა დეპერსონალიზაციასთან. იერარქიულ სტრუქტურაში ბიუროკრატიის ხელისუფლება მისტიკურ ხასიათს იძენს. იგი ხშირად აიძულებს ადამიანებს იმოქმედონ თავის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასე რომ, ბიუროკრატია წარმოგვიდგება განსაკუთრებულ ჩაკეტილ სისტემად, რომელიც მხოლოდ თავის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. ბიუროკრატია არ აქვს სხვა ინტერესები, გარდა საკუთარი თავის არსებობისა და წარმატებისა. ცალკეული ბიუროკრატისათვის ეს, უპირველეს ყოვლისა, არის კარიერის კეთება, მოძრაობა სამსახურებრივ კიბეზე, ყოველ ახალ თანამდებობასთან ერთად შესაბამისი მატერიალური პირობების გაუმჯობესება. ბიუროკრატის ინტერესი იმთავითვე უარყოფს დემოკრატისა და ლიბერალიზმის იდეებს. ამ სისტემაში პოლიტიკას მართავს არა პოლიტიკური იდეალები, არამედ ბიუროკრატის შიდაკორპორაციული ინტერესები. ასე რომ, ბიუროკრატია მის გაუკლმართებულ ფორმაში წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური სიტუაციის რეალური მმართველი და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რეალური დამკვეთი. ნებისმიერი ლიბერალური იდეა ამ სისტემაში გარდაისახება თავად ამ სისტემის მკვებად. ნებისმიერ ლიბერალურ დისკურსს ის თავისი მიზნების შესაბამისად იყენებს და თავის არსებობის გამამართლებელ პოზიციად აქცევს. ბიუროკრატის სტრუქტურული დისპოზიცია, ჰიროვნება და ქცევა წარმოქმნის ბიუროკრატის სოციალურ-კულტურულ წესებს, „ცხოვრების სტილს“. ის ახორციელებს ფარულ სიმბოლურ ძალადობას თავის წევრებზე, თავს ახვევს რა თავის შეფასებათა

სისტემას ღირებულებათა იერარქიას. სიმბოლური იძულების გზით წარმოიშობა ბატონობისა და მორჩილების თავისებური სისტემა, რომელიც ვერ იგუებს სხვა ღირებულებათა სისტემას, გარდა საკუთარისა. ბიუროკრატიის ძალაუფლება ვარაუდობს მისი ქვეშევრდომების მიერ ამ სისტემაშივე გაბატონებული ღირებულებებისა და განწყობილებების არაცნობიერ მიღებას.

ბიუროკრატიის ფარული ძალაუფლება წარმოიშობა და ფუნქციონირებს მისი ქვეშევრდომების თანამონაწილეობით, რომელიც მის ლეგიტიმურ ხასიათს აღიარებენ. ბიუროკრატიის სტრუქტურული მისტიფიკაცია თავის თავში შეიცავს ელემენტებს, რომლებიც არ ცნობიერდებიან ბიუროკრატიის სუბიექტების მიერ. ეს არ არის შეგნებული თავის მოტყუება, რამდენადაც ბიუროკრატიის მისტიკური ძალაუფლების ბატონობაზე ყველა ნებაყოფლობით აცხადებს თანხმობას. მთელი ბიუროკრატიული სისტემის თავისებურება და „მიძლიერე“ განპირობებულია ქვეშევრდომობის ვსალური სტრუქტურით, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ამ სისტემაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა ნორმატიული აქტებით ქმედებას, არამედ სიმბოლურ იძულებას. ამ სისტემაში მოხვედრილი ადამიანი ავადდება ძალაუფლებისადმი ლტოლვის მისტიკური ჟინით, რომელიც ინდივიდუალური ურთიერთობების გაუკუღმართებულ ფორმებში ვლინდება²⁶. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბიუროკრატია თავისი თავის ძალაუფლების თვითმკვებავი და თვითუზრუნველყოფადი სისტემაა, რომელსაც თავისი ჩაკეტილი ურთიერთობის დისკურსული ფორმებით ახდენს შიდასისტემური კომუნიკაცია. ბიუროკრატიის კომუნიკაციური დისკურსი მხოლოდ საკუთარ შექმნილ ნიშნებში ახდენს შესაძლო კომუნიკაციური ველის ფორმირებას, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ საკუთარი დისკურსის აღნიშვნების სიტემაში უპასუხებს კითხვებს.

ამერიკელი მკვლევარი დევიდ ო'ბრეინი სავსებით სწორად აღწერს ამგვარ პირობებში წარმოქმნილ პოლიტიკური ხელისუფლების

²⁶ იხილეთ, მიხეილ გოგატიშვილი, თანამედროვე ლიბერალური იდეა პოლიტიკური ყოფიერების გაუკუღმართებულ ველში. კრებული ლიბერალიზმი დემოკრატიის წინააღმდეგ. ვიოცნებოთ კარგ პინოჩეტზე, თუ შეგვეუთ უზარისხო დემოკრატიას CIPDD, თბილისი, 2001, გვ. 21-22.

რეალობას (განსაკუთრებით მესამე სამყაროს ქვეყნებში). იგი მიუთითებს, რომ ბიუროკრატის ბატონობა პოლიტიკურად ეფექტურია, მაგრამ უუნაროა ელიტის ყოველდღიური კომპეტენტური მართვისათვის, რომელიც ძირითადად დაკავებულია გამდიდრებით ინერტული და ამორფული მასის, მორალური არამდგრადობის ატმოსფეროს ფონზე, რომელიც ხელს უწყობს ვგუფებსა და პიროვნებებს, განაზორციელონ კერძო ინტერესები, ადმინისტრაციული მოქმედების განუსაზღვრელობა და ნორმატიული ორზროვნება, რომლის პირობებშიც კორუფცია და ფავორიტიზმი ყველა დონეზე წარმოადგენს ბიუროკრატის ძირითად მახასიათებელს. უფროსები იღებენ ხარკს ქვეშევრდომებისგან, რათა დაფარონ მათი მაქინაციები. ბიუროკრატია გარდაისახება მაფიად ან „ხანინის ქურდებად“.²⁷

ამ შემთხვევაში დემოკრატიული მექანიზმების ნაცვლად, რომელთაც რეალურად შეუძლიათ განაზორციელონ კონტროლი ბიუროკრატიაზე, წარმოიქმნება ყოველგვარ სახელისუფლებო ფუნქციამოკლებული „ყრილობები“ და „კრებები“, რომლებიც ბიუროკრატიულ დიქტატურას სახალხო მხარდაჭერის ილუზიას უქმნიან. სინამდვილეში კი, ამ იდეოლოგიურ „კომუფლიაჟთან ერთად“, პოლიტიკური მოქმედების ეს ფორმები, სრულიად რეალურ ფუნქციას ასრულებენ: მოსახლეობის მორჩილების, ერთხმოვანების, და „ნაციონალური ერთობის“ წვრთნის ზრით.

კითხვები

1. როგორი ცნებებით შეიძლება დავახასიათოთ პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურა?
2. ვინ არიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტები?
3. როგორ განესაზღვროთ პოლიტიკური მოღვაწეობისა და აქტივობის ცნებები?
4. როგორი მახასიათებლები განსაზღვრავენ პოლიტიკურ აქტივობას?

²⁷ O' B r e i n D. Modernization, order, and the erosion of democratic ideal. Development theory: Four critical studies. London, 1979, p. 58.

5. რა კომპონენტები განსაზღვრავენ პოლიტიკურ ცნობიერებას?
6. როგორი მიმართება არსებობს მმართველობასა და პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის?
7. რა ფუნქციას ასრულებს ბიუროკრატია პოლიტიკურ-მმართველობით სტრუქტურაში?

ქრონოლოგიური ცნებები

პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურა – კონტროლი – გაკვლევა – პოლიტიკური პარტია – პოლიტიკური ელიტა – პოლიტიკური ავტორიტეტები – პოლიტიკური მოღვაწეობა – პოლიტიკური აქტივობა – პოლიტიკური ინტერესი – პოლიტიკური სიტუაცია – იდეოლოგია – მმართველობა – პოლიტიკური ხელისუფლება – ბიუროკრატია

დამატებითი ლიტერატურა

1. მაქს ვებერი, პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა, „გონი“, 1994.
2. დომენიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია, „მარტი“, თბილისი, 1999.
3. ედუარდ კოდუა, „სოციოლოგია“, I-II ნაკვეთი, თბილისი, 1996.
4. გივი ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (პრობლემები), საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2000.
5. ამირან ბერძენიშვილი, პოლიტიკური სოციოლოგია, „მერიდიან“, 2001.
6. Макс Вебер, Избранные произведения, „Прогресс“, Москва, 1990.
7. Роберт Михелс, Социология политической партии в условиях демократии, „Диалог“, № 1-3-5-7-11-13-15-17, 1990.
8. Морис Дюверже, Политические партии. „Академический проект“, Москва, 2000.
9. Power - Critical concepts, Ed. by Jon Scott, „Routledge“, 1994.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სპეციფიკა

§1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ეგზისტენციალური ინფორმაცია და პოლიტიკური მეტყველების ველის ფორმირების სპეციფიკა

თუ ამოვალთ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან, პოლიტიკა, აქ უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება მმართველობასთან. ეს უკანასკნელი კი თავის თავის რელიზაციას ახდენს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის საშუალებით. ჩვენი აზრით, პოლიტიკური თეორია გამაერთიანებელი რგოლია პოლიტიკასა და ხელისუფლებას შორის. პოლიტიკური თეორია კი ქმნის პოლიტიკური ძალაუფლების ფლობის ნიშანთა სისტემას ანუ ენას. ენა, ანუ პოლიტიკური მეტყველების სემანტიკური ველი, ქმნის თავის კოდებსა და ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ ამ სემანტიკურ ველში ვერიფიცირდება.

პოლიტიკური მოღვაწეები დარწმუნებულები არიან, რომ თეორიული ცოდნა ეფექტური ქმედების წინაპირობაა, რათა სასურველი შედეგი იქნეს მიღწეული. ექსპლიციტურად და იმპლიციტურად პოლიტიკური თეორია ამახავს მიზანს ძალაუფლებისაკენ. ამ შემთხვევაში პოლიტიკური თეორია უხილავი არაფორმალური მბრძანებელია, რომელიც გამოხატავს ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. თუმცა ეს თეორიული ცოდნა მათ მიერ არის შექმნილი, ვინც თავად ისწრაფის ძალაუფლებისაკენ. უეჭველია, რომ თეორიული ცოდნა უმთავრესად იქმნება იმისათვის, ვისაც სურს ფლობდეს ძალაუფლებას. ეს უკანასკნელი, ნაზიარები უნდა იყვნენ თეორიული ცოდნის გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც გაუადვილებენ სვლას ხელისუფლებისაკენ. ეს კი მოითხოვს ინტელექტუალურ ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია თეორიის ინტერპრეტაციისათვის.

ყველა პოლიტიკური მოძრაობა, რომლის თვითორგანიზება თეორიული პრინციპების ირგვლივ ხდება, ყოველთვის ბიუროკრატიული და იერარქიულია, რადგანაც, თეორიული პრინციპების მიხედვით, ორგანიზება ყოველთვის გულისხმობს ურთიერთობას უკეთესად განათლებულთა და ნაკლებ განათლებულთა შორის, რაც წარმოშობს შიდა იერარაქიულ სტრუქტურას პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის გამზიარებულთა შორის. პოლიტიკურ ორგანიზაციაში პოლიტიკური თეორია მართვისა და პოლიტიკური ხელისუფლების ფლობის რაციონალიზებული გამოხატვაა, რომელიც ეყრდნობა რწმენას, რომ პოლიტიკური აქცია ეფუძნება ვითარების საღ გააზრებას და შესაძლო ალტერნატიული შედეგების ანალიზს, უნდა წარმოქმნას პოლიტიკური მოქმედების უკეთესი შედეგი, ვიდრე იმ აქციამ, რომელიც სრულიად გაუზრებელია. რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკური აქცია დაფუძნებული უნდა იყოს ცოდნაზე და ყველა ცოდნას კი ფესვები გადგმული აქვს თეორიაში. ეს ვარაუდობს იმას, რომ პოლიტიკური თეორია გამოყენებდა კონკრეტული სიტუაციისა და სამოქმედო სტრატეგიისათვის.

პოლიტიკური თეორეტიკოსების თვალსაზრისით, თავის მოტყუება იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ თეორეტიკოსების შემოქმედებისაგან თავისუფალი აქცია უფრო საიმედოა. სოციალურ აჯანყებათა გამოცდილების ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე ანარქიული ტიპის პოლიტიკურ ქმედებებშიც კი არიან „ლიდერები“, რომლებიც უნარშემწენი გახლავან გარკვეული ტიპის აქციის „წარმართვისა“ და „გათვლისა“ და გაცნობიერებულად იკავებენ თავს გარკვეული ქმედებისაგან. პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ ცალკეულ პოლიტიკურ ვითარებაში, ამავე დროს, საზოგადოებრივი შრის ლიდერები არიან, ე.ი. აყალიბებენ საზოგადოებრივ შრის ყველა სახის ერთობებში და ოპერირებენ სიტუაციის გაგების ბაზისზე, რომელიც დამოკიდებულია ცოდნაზე და იმთავითვე თეორიის მიხედვით არის ჩამოყალიბებული. ეს თეორია შეიძლება სიტუაციური ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც თეორიაა, თუქცა თეორია, რომელიც სიტუაციურ ანალიზს გამოხატავს, წინასწარ გულისხმობს უფრო ფართო ანალიზის საზეობას, რაც სოციუმში არსებულ საერთო სოციალურ ტენდენციებზე მიუთითებს.

სოციალური თეორეტიკოსები, რომლებიც მთავარ მიზნად ისახავენ, ნათელი გახადონ და კრიტიკულად განიხილონ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესები, შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური ანალიზის თეორიებად, მაგრამ, როცა ისინი ცდილობენ, ჩამოაყალიბონ სოციუმისა და საზოგადოების განვითარების გზები, უკვე პოლიტიკურ მიზანს ისახავენ და გადაიქცევიან პოლიტიკური მოქმედებების თეორიებად. ამგვარი პოლიტიკური თეორიები შეიძლება ძალზე ქმედითაა პოლიტიკური აქციებისათვის, მაგრამ ისინი თავის თავში შეიძლება შეიცავდნენ უბილავ წინააღმდეგობებს, რომლებმაც პოლიტიკური ზემოქმედებისა შეიძლება ნაგულისხმევების და განსაზღვრულის განსხვავებული შედეგი მოიტანონ. უფრო ნათლად თუ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს აზრს, შეიძლება ვთქვათ, რომ პათოლოგიური პოლიტიკური აქცია პათოლოგიური პოლიტიკური თეორიის შედეგია²⁸.

²⁸ პათოლოგიურ (ნორმისგან გადახრილ) პოლიტიკურ თეორიაში იგულისხმება „მასობრივი ბენდიერების მოტანის“ დამახასიათებელი ცდა „მასობრივი განადგურებით“ (მაგ., იაკობინელთა ანუ მონტანიართა მიერ ჩატარებული სასტიკი რეპრესიები „თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგით“; ბოლშევიკების ზრუნვა პროლეტარიატის ლექტატურის გზით „საყოველთაო ბენდიერებში“ დამპყრებისათვის; ნაციონალ-სოციალისტური „აღთქმული ქვეყნის“ დამკვიდრება ეთნოსებისა და ერების მოსპობით). ამ თეორიების პრაქტიკულად განმასობრციელებელთა ქმედებები ასევე შეიძლება პათოლოგიურ აქციებად ჩაითვალოს, მაგრამ ისტორიაში ცნობილია ისეთი მოვლენები, როდესაც „გადახრილ“ (თუნდაც სიძულვილის მქადაგებელ) თეორიათა პრაქტიკა უარყოფდა „გადახრილ“ ქმედებებს, მაშინ როდესაც რეაქცია და ქმედება ამ თეორიათა მოწინააღმდეგეების მხრიდან შეიძლება „გადახრილად“ ჩაითვალოს. ალბიგოელთა (ფრან., Albigeois — ქალაქ ალბის მცხოვრებნი) მოძრაობის ნაირსახეობას წარმოადგენდა, ქადაგება (მანიქეიზმის გავლენით) სიკეთისა და ბოროტების ღმერთების მარადიულ ბრძოლას და ირწმუნებოდა ბოროტების უსლეველობას. სიკეთის ღმერთი ქნოდა ცაას და ანგელოზებს, ბოროტების ღმერთი — მიწიერ ცხოვრებას. ალბიგოელებს სძულდათ ყოველივე მიწიერი, უარყოფდნენ ეკლესიის საიდუმლოებებს, საეკლესიო რიტუალს, დოგმებს (ქრისტეს ღვთაებრივ დაბადებას, მკვდრეთით აღდგომას, ვოჯოხეთის არსებობას). ეკლესია მათთვის არ იყო წმინდა ადგილი. მიუხედავად ამქვეყნიერების მოძულე მოძღვრებისა, ალბიგოელთა ქმედება იყო მშვეილობიანი, ისინი უარყოფდნენ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას. მაგრამ „გადახრილი“ იყო მათი წინააღმდეგე ქმედება, კათარების ქალაქებს ანგრევდნენ, ხოლო ერეტიკოსებს ჯიკტდნენ ან ცოცხლად წვავენ. ეს ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ ხშირად როგორ უწიორდებოდნენ „გადახრილი მოძღვრებების მიმდევრებს, თითქოსდა „მართალ“ „გადახრილი“ აქციებით.

პოლიტიკური ქმედების ყველა თეორია ატარებს ეგზისტენციალურ ინფორმაციას. „მისი საკითხი არაა ის, თუ რისი შეტყობინება ხდება, არამედ, თუ როგორ ხდება იგი და საიდან აქვს ამ რიგის შეტყობინებებს ასეთი ძალა ყველა ეგზისტენტია დარწმუნებისა, ეგზისტენციალურ სამყაროში ასე ელვისებურად გავრცელებისა, ამ სამყაროს მობილიზაციისა“²⁹. იგი შეუძლებელია გაგებული იქნეს მეცნიერული თეორიის აუცილებელი და საყოველთაო ზასიათის გასაგებობის თვალსაზრისით: ეგზისტენციალური ინფორმაციისათვის ასეთი საყოველთაოდ გასაგებობა დამაზასიათებელი არაა და ვერც იქნება. ეგზისტენციალური ინფორმაციისათვის დამაზასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი აბსოლუტური და ყველასათვის დამავალდებულებელი ზრით გაიგება. ამ შეტყობინებამ შეიძლება მომავალში განიცადოს ცვლილება, შესაძლოა — გაუარესება ან გაუქმებაც კი. ამ ინფორმაციის შინაარსი იმთავითვე უარყოფს მის რელატიურობას. ყოველ ეგზისტენციალურ შეტყობინებას შეიძლება დაზღუნენ ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებიან მას და სხვისი მოსმენა ურჩევენიათ. მაგრამ ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ, უმცირესობაში არიან და ვერაფერს აწყობენ თავიანთი სამყაროს მობილიზაციისა და ინფორმაციის საწინააღმდეგოდ. ეგზისტენციალური ინფორმაცია დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე (სოციალურ-ეკონომიკურზე, პოლიტიკურზე და. ა.შ.), რომელსაც ეგზისტენციალური ინფორმაცია ყოველთვის რაღაც გარკვეული (მაგ. კლასობრივი) თვალსაზრისით ასახავს.

ეგზისტენციალურ შეტყობინებაში იგულისხმება ისეთი რამ, რომელიც ძირეულად ეხება მისი მიმღები ადამიანის არსებობას. ეს ინფორმაციის ისეთი სახეა, რომლის მიღების შემდეგაც ეგზისტენტია ის აღარ არის, რაც მის მიღებამდე იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგზისტენტია ამით დებულობს მნიშვნელობას, ადრინდელი მისი ცხოვრების შეცვლა ძალუმს — რომელსაც, მაგალითად, შეუძლია რაღაცა ძალიან არასასიამოვნო ჭეშმარიტება გააგებინოს მის აზრობლებზე და თვით მასზე, ან იგი სრულიად

²⁹ გ ი ვ ი მ ა რ გ ე ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ფინალობის პრობლემა ნიკოლაი პარტმანისა და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიაში, მეცნიერება, თბილისი, 1983, გვ. 148.

ახალი საზიფათო ამოცანის წინაშე დააყენოს. მაგალითად, ისეთის, რომელიც ძალიან დიდი ძალისხმევებსა და მსხვერპლის ფასად გადაიჭრება. ეგზისტენციალურ ინფორმაციას მიმართება აქვს მისი მიმღები ეგზისტენცის ყოფიერებასთან მთლიანად — ეს შეტყობინება ეხება მისი ადრესატის მთელ ცხოვრებას, რომელიც მისაგან მანამდე შეიძინა და ამიტომ იძულებულია შეიცვალოს, ახალი საყრდენი ეძებოს ან პირიქით ძალა მოიკრიბოს იმნათვის, რომ დაიცვას თავისი წესი (მაგ., გარეშე მტრებისაგან)³⁰. ყოველ ეგზისტენციალურ ინფორმაციას საქმე აქვს მიმღებ ეგზისტენტთან, როგორც სამყაროში ყოფიერებასთან, ვინაიდან ეს შეტყობინება ისეთი რამ არის, რაც იწვევს პრინციპულ ცვლილებებს ეგზისტენცის დამოკიდებულებაში თავის სამყაროსადმი, ამ სამყაროში მისი არსებობის წესში (ამის თვალსაჩინო მაგალითია ეგზისტენცის გადასვლა მშვიდობიანი ვითარებიდან ომში)³¹. რადგანაც ეს შეტყობინება, როგორც წესი, ეგზისტენტს უჩვენებს რაღაც მოულოდნელ დაბრკოლებებსა და სიძნელეებს მის ყოფიერებაში, ამდენად იგი დასაწყისია მძიმე ეგზისტენციალური გამოცდისა ყველა იმათთვის, ვინც ამ წესით ინფორმირდება. ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი შეტყობინებების უკან ყოველთვის ხიფათი ან უბედურება იმალება. პირიქით თავის ფინალურ საზრისად ზოგჯერ მათ აქვთ დიდი ბედნიერება ყველა ადრესატისათვის (მაგ., კომუნისტის იდეა). მაგრამ ასეთი ფინალისაკენ მიმავალ გზას ყოველთვის ძნელი და მძიმე გამოცდის სახით წარმოადგენენ მათთვის, ვისაც ეს ინფორმაცია ეხება. ამგვარად, ეგზისტენციალური ინფორმაციის საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია საკუთრივ ეგზისტენცის ონტოლოგიურ ცნებასთან, ანუ ისეთ ეგზისტენციალობასთან, რომელმაც თავი გაიგო, როგორც ბოლოვადი, პოტენციალური აზრით, ბრალიანი, როგორც სიკვდილისთვის ყოფნა — გალაუწყვეტია თავის ბედის ბატონი გახდეს³².

ეგზისტენციალურ ინფორმაციაში შემოდის არა მარტო ერთი-ორი საპასუხისმგებლო დეკლარაცია, არამედ სახელმწიფო

³⁰ Ibid. 148.

³¹ იქვე.

³² Ibid. 149.

იდეოლოგიის ყოველი გამოხატულება. ამგვარი ინფორმაცია გადაიცემა დეკონცენტრირებული ფინანსების პრინციპით, რომ მის ეგზისტენციალურ სამყაროში წარმატების მნიშვნელოვანი ნაწილი განსაზღვრულია ეგზისტენციალობის ონტოლოგიკური საფუძვლისადმი მისი სტრუქტურის მისადაგების ხარისხით³³. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეგზისტენციალური შეტყობინება მაშინ აღწევს წარმატებას, თუ იგი ეგზისტენციალურ ათემატიზმს არათემატურს, ანუ იმას, რაც მათ არსობრივად ეხებათ, რაღაცა ფინანსური აზრით, მაგრამ ინფორმირების მოჭინტამდე. მისი თვალხედვის მიღმა იყო, ან მათ მიერ განიცდებოდა ძალიან ბუნდოვნად (სწორედ, რომ არათემატურად). ეგზისტენციალური შეტყობინება მიზანში მიდის იმ შემთხვევაში, თუ იგი შეგვსო ეგზისტენციის მიკრო ან მაკრო სამყაროს, რაღაც ფარულად მოცემულ (საგანგებოდ არათემატიზებულ) სულაც (თემატურად არარსებულ) სპირისს³⁴.

ეგზისტენციალური შეტყობინება ეგზისტენციალური კომუნიკაციის სამ საფეხურზე ხორციელდება: კერძოდ, კომუნიკაციის ინდივიდუალურ, პოლიტიკურ, და იდეოლოგიურ დონეზე. ყველა შემთხვევაში ეგზისტენციის ბედის არათემატური ფინანსური სპირისის თემატიზება ხდება, ე.ი. ეგზისტენციალობის ფინანსურ ონტოლოგიკტიზმს საფუძვლად უდევს არათემატური და თემატური ფინანსობის დიალექტიკა. ამ შეტყობინების მთელი შემპრეული ეფექტი აქ უპირატესად იმითაა განპირობებული, რომ მას შეუძლია ურვენოს ინდივიდებს, რომ მისი ყოფიერება მნიშვნელადია სულ სხვა (არათემატური) სპირისით. მაგალითად, ასეთი ინფორმაცია უზნის ოიდიპოსს იმ გარემოებას, რომ იგი არა მხოლოდ ამ ვითარების ადამიანია, არამედ, ამასთანავე, სხვა ადამიანია – სპელდობრ, იოკსტეს შვილია და მამის ძველი. ეგზისტენციალური შეტყობინება ოიდიპოსს მიუთითებს იმ უღმობველ ფაქტზე, რომ მას აქვს ეგზისტენციალური თავისუფლება, იყოს სრულიად სხვა, ვიდრე არის. „ამგვარი შეტყობინება, რომელსაც ოიდიპოსი იღებს, მას აცნობებს მის თავისუფლებას, ანუ ათავისუფლებს მას იმ

³³ Ibid, 152.

³⁴ Ibid.

თემატური ერთგანზომილებიანობისაგან, რომელშიც მისი ცხოვრება მიმდინარეობდა ინფორმაციის აქტამდე, და აიძულებს, თავი გააცნობიეროს ორგანზომილებიანად — იმ ეგზისტენციალურ თავისუფლებაში მყოფად, როდესაც ეგზისტენციულობის თემატიზმი არათემატიზმის დიალექტიკიდან გამომდინარეობს³⁵.

ამგვარად, ამ საზრისის ზოგად სტრუქტურულ ფაქტორად, რომელიც ეგზისტენციალურმა ინფორმაციამ უნდა გამოხატოს, წარმოდგება უმთავრესად სამი მომენტი: ყოვლის განმსაზღვრელი არათემატიზმი, ორგანზომილებიანი (დეკონცენტრირებული) ფინალობა და ეგზისტენციულობის ონტოლოგიური თავისუფლება.³⁶

ეგზისტენციალური შეტყობინება ეგზისტენციალური კომუნიკაციის პოლიტიკურ დონეზე ხოციელდება სამი ძირითადი ცნების ირგვლივ — „ღმერთი“, „სამშობლო“ და „თავისუფლება“. ეს ცნებები ყველაზე წმინდანის თემატიზმას აბდენს, როგორც თავისთავად არათემატიზმადისას. აქ უზოგადესი და განმსაზღვრელი არათემატიზმები უკვე თემატიზმებულა სათანადო ზოგადი ცნებების საბით.³⁷ ეგზისტენციულობის ინდივიუალური დონის განსხვავებით, სადაც ამგვარ არათემატიზმებს სათანადო გამოხატულების გარეშე შეუძლიათ არსებობა. კომუნიკაციის უფრო მაღალ დონეზე, ეგზისტენციალური შეტყობინება ხასიათდება არა იმდენად ასეთ თემატიზმთა გახსნის ფუნქციით, არამედ ეგზისტენციულობის ცნობიერებაში მათი აქტიუაციის ფუნქციით³⁸. სამშობლოს ცნებას ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ამ დონის ეგზისტენციალურ შეტყობინებაში. ის ინფორმაციული ველი, რომელშიც სამშობლოს თემის თემატიზმება ხდება, ყოველთვის მშობლიური ენაა. დედაენა ის პირველადი ცნებითი სტიქიაა, რომელშიც ეგზისტენციულობა ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, როგორც ორგანზომილებიანი (დეკონცენტრირებული) ფინალობა³⁹. თავის უზარმაზარ მნიშვნელობას სამშობლო იმითაც იძენს, რომ იგი

³⁵ Ibid. 161.

³⁶ იქვე.

³⁷ Ibid. 164.

³⁸ Ibid. 165.

³⁹ Ibid. 166.

ხალხის ერთადერთი საარსებო ადგილია ანუ ის ადგილია, სადაც ხალხმა უნდა გაუძლოს ნებისმიერ მტრულ გამოხტომებს გარედან, სდაც იგი ვერ მოითმენს უცხო ენის მატარებელთა ძალდატანებით იძულებას⁴⁰. ამ სახის ინფორმაცია, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ხოლმე პირდაპირ ხიფათთან მისი შიძლების ონტოდალექტიკური (ეგზისტენციალური) საფუძვლისათვის. იგი თვითონ წარმოადგენს ხოლმე ასეთი ხიფათის ამბავს და, როგორც წესი, მოწოდებასაც — არ დაემორჩილონ ამ ხიფათს.⁴¹ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ: ეგზისტენციალური კომუნიკაციის პოლიტიკურ დონეზე ეგზისტენციალური შეტყობინება მუდამ თვითონ თავისუფლების, როგორც ეგზისტენციალური სამყაროსათვის პირველი აუცილებელი საგნის, საყოველთაო გაცნობიერების საფუძველზე ხდება⁴². ეგზისტენციალური კომუნიკაციის პოლიტიკურ დონეზე ამგვარი შეტყობინების ტიპობრივი ნიმუშია დეკლარაცია უშუალო სამხედრო საფრთხის შესახებ, რომელიც ეგზისტენციალურ სამყაროს ემუქრება. აგრესიის შესახებ, რომელსაც ამ სამყაროს დამონება განუზრახავს. შესაძლოა არავითარ აგრესიას არ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს ეგზისტენციალური შეტყობინება შეიძლება ემსახუროდეს სიძულვილის გაღვივებას ეგზისტენტებს შორის. ის ფაქტი, რომ არსებული ეგზისტენციალური ინფორმაცია-შეტყობინება შეიძლება არცკი შეესაბამებოდეს სინამდვილეს, მოწმობს თავისუფლების ცნების უდიდეს მნიშვნელობას. ეგზისტენციალური კომუნიკაციის ინდივიდუალური დონისაგან განსხვავებით, სადაც თავისუფლება პირად ბედთანაა გადაჯაჭვული, აქ ეგზისტენციალური თავისუფლების იგივე ცნება წარმოგვიდგება, როგორც ამაღლებული ყოველგვარ პიროვნულ თვალსაზრისზე ეგზისტენციალობის შესახებ, მისი ფუძემდებლური არათემატიზმი აქ ვლინდება, როგორც ეგზისტენციალური სამყაროს მთელი მოსახლეობისათვის ზოგადკულტურული ღირებულება⁴³.

ეგზისტენციალური კომუნიკაციის იდეოლოგიურ დონეზე ეგზისტენციალური ინფორმაცია მკვეთრად გამსხვავდება წინა

⁴⁰ Ibid, 167.

⁴¹ Ibid, 168

⁴² Ibid, 169.

⁴³ Ibid, 173.

ორისაგან. აქ იგულისხმება მსოფლმხედველობის დაფორმებული გამოხატულებანი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მსოფლგაგება ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრების ანუ ისეთი თეორიის სახით დადგენილი, რომელიც შეიცავს უზოგადეს კითხვებს, აპაუტებს ყოფიერების შესახებ. ამ დონეზე ეგზისტენციალურ ინფორმაციას, როგორც შეტყობინებას, ვერ ექნება მიმართება ყველასთან, თუ ამ ყველაში ეგზისტენციალური სამყაროს მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ. ამის ასახსნელად შეიძლება დავიმოწმოთ ასეთი ინფორმაციის მეტისმეტად განყენებული ფორმა. მისი მიზანია მეტისმეტად ზოგადობა, მისი გადმოცემის მეტისმეტად სირთულე, რომელიც განპირობებულია მის ტერმინთა და ცნებათა სპეციალური აპარატით. ეგზისტენციალურ-იდეოლოგიური ინფორმაციის შეზღუდული საყოველთაობა მისი კომუნიკაბელობის შეზღუდულობის ტოლმალა⁴⁴. აქ ეგზისტენციალურ შეტყობინებებს აკლიათ საყოველთაობა, იგი გადაიცემა კონკრეტულ სიტუაციაში და, შესაბამისად, გამიზნულია მხოლოდ გარკვეული (კონკრეტული) ადამიანისათვის ან ადამიანებისათვის. აქ ეგზისტენციალური შეტყობინების გადაცემის ფორმა თემატიზაციის აბსოლუტური რადიუსით ხასიათდება – იგი მიმართულია ეგზისტენციალური სამყაროს მთელი მოსახლეობისადმი და, ჩვეულებრივ, სათანადო ექოსაც კპოვებს ხოლმე. ეს იმას ნიშნავს, რომ შეტყობინების ადრესატი აქ ყველანაირად საყოველთაო (ტოტალურ) სპირიტის ღებულობს და ეს ადრესატი ყველაა. ამგვარად, აქ კომუნიკაცია ხდება თანაყოფიერების, როგორც ტოტალურად თემატიზებული მთლიანობის, როგორც ეგზისტენციალურ-პოლიტიკური შეტყობინების მიერ თემატიზების ტოტალური ობიექტის დონეზე. ამგვარად, ასეთი ინფორმაციის გადაცემის ფორმიდან საკვებით გამოირიცხულია არათემატურობა (არათემატური, ანუ შეტყობინებასთან კავშირის არმქონე ეგზისტენცები). ყველა ამგვარი ინფორმაცია - ეხება ყველას უკლებლივ, ეს კი ნიშნავს, რომ იმ თანაყოფიერებაში, რომელსაც ეს ინფორმაციები მიმართავენ, არ არის ადვილი არათემატური ეგზისტენციალობისათვის⁴⁵.

⁴⁴ Ibid 184.

⁴⁵ Ibid 185.

ვგ ხისტენციალური ინფორმაციის სტრუქტურის ზოგადი განხილვის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ ინფორმაციითა თეორიული რეფერენციები თითქმის შეუძლებელია მოხვდეს სხვა თეორიული რეფერენციების ველში ან, თუ ხვდება, მხოლოდ თავის თავის აღმნიშვნელის მნიშვნელობა აქვს — განსაკუთრებით იდეოლოგიის სფეროში.

ვგ ხისტენციალური შეტყობინება ადამიანთა საყოველთაო ურთიერთქმედების სისტემაში ჩაკეტილი სისტემის ორგანიზაციულ სოლიდარობაში გადაიზრდება. რაც არ უნდა იყოს, ვგ ხისტენციალური შეტყობინებები სოციალური ურთიერთქმედების ველში ხორციელდება. ჩაკეტილი სოციალური ურთიერთქმედების პრინციპის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სოციალური აგენტი, ინდივიდუმი ან სამოგადოება ყოველთვის არსებობს სხვა სოციალური აქტორის ფიზიკურ, ან მარობრივ გარემოში და იქცევა ამავე სოციალური სიტუაციის შესაბამისად.

ვგ ამანსი სოციალურ ურთიერთქმედებას განიხილავდა „აქტორს“ და „სხვას“ შორის ურთიერთობაში. ამგვარ ურთიერთქმედებაში ყოველი მხარე ცდილობს მაქსიმალიზება მოახდინოს თავის ქმედების წახალისებისა და მინიმალიზაცია მოახდინოს დანაკარგისა. ამ სოციალურ წახალისების ტიპს წარმოადგენს სოციალური მოწონება. ურთიერთმოწონებულ სოციალურ ურთიერთქმედებას აქვს რეგულარული ტენდენცია და გადაიზრდება ურთიერთმოლოდინის სისტემაში. ურთიერთქმედების ერთ-ერთი მხარის მიერ მოლოდინის დარღვევა იწვევს ფრუსტრაციას და აგრესიას, რომელშიც თვით აგრესიულობაა დაკმაყოფილების საშუალება. „სხვისათვის“ მისი ქცევის წამახალისებელი შეიძლება გახდეს აგრესიის პროუოცირებისათვის თავის არიდება*. ამგვარად, ყოველი სოციალური აგენტი ყოველთვის არის, როგორც ალტერნატიული წახალისებათა სიტუაციაში, ანუ — ერთი და იგივე წახალისების მოპოვების ალტერნატიული ხერხების არჩევანში. სიტუაცია განსაკუთრებულად რთული ხდება, თუ საკითხი ეხება არა დიადს, არამედ მრავალ მოქმედ პირს. ამ სიტუაციაში განსაკუთრებულ მარეგულირებელ როლს თამაშობს ამ ურთიერთქმედების სისტემაში ზოგადად

* Homans J. K., Social behavior: its elementary forms, N.Y. 1961.

მიღებული ნორმები და ღირებულებანი: ადამიანური ურთიერთობის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს ასევე მათი ლტოლვა ურთავაროვნებისაკენ; ანუ იმლაგვარი მდგომარეობისაკენ, როცა ორ აგენტს შორის ურთიერთობა ატარებს ან წამახალისებელ, ან დამსჯელ ხასიათს. სოციალური ურთიერთქმედების ჩაკტილ სისტემაში განუსაზღვრელი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას, როგორც შესაძლებლობა ყოველი სოციალური აგენტისათვის, შეუშალოს ხელი სხვას თავის მიზნის მიღწევაში, ამიტომაც წარმოიშობა სხვების ქცევათა კონტროლის პრობლემა, ანუ პოლიტიკური სოლიდარობის პრობლემა. ეს პრობლემა წარმოიშობა იმიტომ, რომ აგენტებს შეიძლება კჭონდეს განხილვის ობიექტებზე სხვადასხვა სიმბოლური წარმოდგენები, ე.ი. მათ შეიძლება არ კჭონდეთ საერთო ენა აგენტებმა განხილვის ობიექტებს შეიძლება მიანიჭონ სუბიექტური ან ერთიმეორეს საწინააღმდეგო მნიშვნელობები, რაც ერთგვაროვანი აზრობრივი აღქმის პრობლემას ქმნის. ეს პრობლემა რეგულირდება სიმბოლური მედიატორების საშუალებებით, რომელიც გულისხმობს ადამიანური მოღვაწეობის ამა თუ იმ ხფეროს საკმარისად დიფერენცირებას. მათი ურთიერთქმედება ატარებს ურთიერთგაცვლის ხასიათს და რეგულირდება სპეციალურ სიმბოლურ საშუალებათა გზით. მაგალითად, პოლიტიკური ხფეროს განცალკევება წარმოქმნის პოლიტიკური ურთიერთმხარდაჭერის ველს, რომელზეც სიმბოლური მედიატორის სახით გამოდის ხელისუფლება მის სიმბოლურ გამოხატულებაში, ე.ი. არა ის, რაც ეყრდნობა ძალადობასა და იბულებას, არამედ ის, რასაც ნებაყოფლობითი მორჩილების ინსტიტუციონიზებული სახე აქვს. კერძოდ, ხელისუფლება და გავლენა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც სპეციალიზებული ენის ველი, რომელიც აყალიბებს შეფასებებს საერთო სისტემას და გამოყოფს საშუალებებს, რაც საჭიროა მისი ფუნქციონირებისა და გავებისათვის.

სოციალური ურთიერთქმედების ველში პოლიტიკური თეორია, ყველაზე ზოგადი მართ, იძლევა შესაბამისი რეალობის საშუალო იდეალურ ვარიანტს, ე.ი. საბუნდობრ, არსებითად სინამდვილის რაფინირებულ სახეობას. ამიტომაც თეორია თავისი ნომოლოგიურობის გამო წარმოადგენს სინამდვილის იდეალიზებულ

სახეობას, რომელიც ორიენტირებულია მის მიერ გამოკვლეული სფეროს რაიმე კანონზომიერის გამოკვლევისაკენ. იგი აბსოლუტიზმებს ახდენს თავისი სფეროს კვლევის შედეგებისას, ამიტომაც არასოდეს არ იძლევა სოციალური ან პოლიტიკური მთლიანობის სრულყოფილ სურათს. პრაქტიკაში თეორია, ექსპერიმენტის შემთხვევაშიც კი, არ იძლევა წმინდა შედეგს, ან კანონზომიერების გამოვლენის საშუალებას, რადგანაც ნებისმიერი მოვლენის განსაზღვრება გულისხმობს თანმდევი მოვლენების კანონზომიერების უწყვეტ ჯ აჭვს. წმინდა ზრით რაიმე კანონზომიერების გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ თეორიის ფარგლებში. ამგვარად, ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის არც პროცესი და არც შედეგი არ ექვემდებარება სოციალური სინამდვილის რაიმე მოვლენის სრულყოფილ გამოვლინებას პოლიტიკურ-სოციალური თეორიის პლასტში. სინამდვილის მატერიალური ველი სრულიად არასოდეს არ ემთხვევა თეორიული დესკრიპციის ველს, ამიტომაც თეორია, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც თავის თავის თვითლექტიმაციას ახდენს, რომელიც შემდგომში თავად არ ცნობს თეორიული მსჯელობის ველთან შეუსაბამო მოვლენებს. ამ თეორიული ველის დისკურსშია შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ ტრეშმარიტებათა კოდიფიკაციები. ის, რაც შეუსაბამოა ამ კოდიფიკაციის სტატუსთან, არასწორად მიიჩნევა.

ამგვარად, პოლიტიკური თეორიული სისტემა არსებობს და ყალიბდება თავისი საკუთარი კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მხოლოდ თავისი საკუთარი კოდიფიკაციის ველში უკეთებს სოციალური სინამდვილის ელემენტებს „ლექტიმაციას“. ამიტომაც პოლიტიკური თეორია აყალიბებს ჩაკეტილ სისტემას, რომელიც გარე სამყაროსთან მიმართებაში წარმოქმნილი პრობლემებს გადაწყვეტის ფუნქციონალურ-ეკვივალენტური ხერხებით ათვლის საერთო წერტილს ამავე პოლიტიკური თეორიიდან დებულობს. პოლიტიკური თეორიის საზროვნო სისტემა გამოცალკევებულია გარე სამყაროსაგან, როგორც ნაკლებად „კომპლექსურობის“ სფერო უფრო დიდი „კომპლექსურობისაგან“⁴⁷.

⁴⁷ L u m m a n N . , Essays on self-reference, Columbia university press, New York , 1990, p54.

ნიკლას ლუმანის ზრით, „კომპლექსურობა“ წარმოადგენს გარე სამყაროსა და სისტემის თანაფარდობით დაბასიათებამ, რომელიც დამოკიდებულია ელემენტების რაოდენობაზე, მათ შორის შესაძლო კავშირზე, მდგომარეობაზე, გარკვეულ სტრუქტურასთან შეთავსებადობაზე და ა.შ. კომპლექსურობის პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში წყდება რედუქციის გზით. ფსიქიკური და სოციალური სისტემების კომპლექსურობის რედუქცია ატარებს ზნობრივ (meaning) ხასიათს. ზნობრივი არჩევანი ხასიათდება იმით, რომ არჩეულთა შორის ყოველთვის მოჩანს არა არჩეულები და გარკვეულობა მიიღწევა მათგან განსხვავების გზით. ამ განსხვავებულ ზნობრივ არჩევნებს ენიჭებათ სპეციალური განმასხვავებელი ნიშნები და კოდები, რომლებიც ქმნიან ამ პოლიტიკური თეორიის სემანტიკურ ველს. ამ სემანტიკურ ველში წარმოქმნილი ღირებულებებისა და შეფასებების სისტემა კვლავ ამ სემანტიკურ ველში ვერიფიცირდება, რადგანაც შეფასება ხდება რაღაც პოზიციიდან (კლასი, ფენა, ერი და ა.შ.). ვერიფიკაციის ეს ველი ქმნის პოლიტიკური ზნოვნების ავტონომიურ სისტემას, სადაც პოლიტიკური თეორია თავის თავის თვითაღწარმოებას ანუ თვით თემატიზებას (ან აუტოპოეზისს) ახდენს, მისი ელემენტები (კოდები და ნიშნები) მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთს შეთანადებინან, ე.ი. თვით რეფერირებადია, რაც მათ გაუმჭვირვალედ აქცევს სოციალური გარემოსადმი და ართულებს ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას სხვა საზნოვნო სისტემებთან. ზუსტად იმგვარად, როგორც ყველა სხვა ნებისმიერი ელემენტი ხდება ელემენტი მხოლოდ თვითმიკუთვნებისა და თვითგანსხვავების გზით, ასევე — პოლიტიკური თეორიის სისტემის თვითიდენტიფიკაცია—უნრუნველიყოფა მისადმი თვითმიკუთვნების გზით. ამისათვის მუშავდება სპეციალური ეგზისტენციალური ინფორმაციები, რომლებიც ამაღლებენ სისტემის მგრძნობელობას გარე სამყაროსადმი და, იმავედროულად, უუნაროს ხდის მას, აღიქვას სხვა რაიმე მოვლენა სპეციფიკური სისტემური კრიტერიუმების გარეშე. ამიტომაც შიღმსისტემური ურთიერთობა გარანტირებულია „კომუნიკაციის სიმბოლურად განზოგადებული საშუალებებით“ (ამ შემთხვევაში პოლიტიკური ხელისუფლებით), ხოლო სისტემათშორისი ურთიერთობა გართულებულია.

მამასადამე, ჩაკეტილ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ ყალიბდება პოლიტიკური დისკურსის ნაირსახეობა, რომელიც მის საკუთარ ენობრივ გარემოს ქმნის. კომუნიკაცია მხოლოდ ამ ენობრივ გარემოში ხორციელდება და სოციალურ სინამდვილეს მხოლოდ საკუთარი რეფერენციების, კოდების სისტემაში აღიქვამს.

მამასადამე, პოლიტიკური კომუნიკაცია მხოლოდ ამ დაბურულ სამეტყველო სივრცეში ხორციელდება. ი.ჰაბერმასის თანახმად, კომუნიკაციური ქმედების ცნება გულისხმობს ორ ასპექტს: მიზანთა რეალიზაციის ტელეოლოგიურ ასპექტს (ანუ მოქმედების გეგმის შესრულება) და მოქმედების სიტუაციის განხილვის კომუნიკაციურ ასპექტს (ურთიერთგაგების მიღწევა)⁴⁸. თუ ი.ჰაბერმასის კომუნიკაციური ქმედების სქემას მივუსადაგებთ კონკრეტული პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სამეტყველო სივრცეს, მშინ პოლიტიკური კომუნიკაციის ქმედების ჩარჩოში მონაწილეები ურთიერთგაგებას და შეთანხმებულად მოქმედებას ახორციელებენ პოლიტიკური და სოციალური სიტუაციებს ერთგვაროვანი განსაზღვრების გზით. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მეტყველების სივრცე კონსენსუსს მხოლოდ თავის რეფერენციების ველში გულისხმობს.

პოლიტიკური მოქმედების გეგმას მონაწილეები ყოველთვის ადგენენ არსებული პოლიტიკური სიტუაციის გაგების საფუძველზე. ამასთან ერთად, ამდაგვარი კომუნიკაციური ქმედებისათვის დამახასიათებელია ურთიერთშეთანხმება მონაწილეებს შორის, რაც ერთ-ერთი პირობაა კერძო წარმატების მისაღწევად, კერძოდ, მოქმედების გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. თავის მხრივ, შეთანხმების მიღწევა რაიმეს შესახებ გულისხმობს, რომ მონაწილეები უკვე ამოდიან მათი მოქმედების კონკრეტული სიტუაციის გაგებიდან, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის იმავე სემანტიკურ ველში ვერიფიცირდება, რაც მათ იმთავითვე ნაგულისხმები აქვთ. ამ ზრით, შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ სიტუაციის საერთო განმარტება აყალიბებს მის ფონს: ეს საშუალებას აძლევს აქტორებს სიტუაციის ამ თუ იმ

⁴⁸ Habermas Jürgen, Postmetaphysical thinking. Blackwell publishers. Oxford, 1998, p 78.

ფრაგმენტების იდენტიფიცირება მოახდინონ იმ სემანტიკურ ველთან, რომლიდანაც ის ამოღის – მიაკუთვნოს თავისი თავი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ განსაზღვრულ სამყაროს და, როგორც მოქმედმა პირებმა, განისხვავოს თავისი თავი სხვა სამყაროსაგან. აბავდროულად პოლიტიკური სამოქმედო ვითარების ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ურთიერთგაგების პრაქტიკაში, სახელდობრ, იგი ეფუძნება სიტუაციის გაგების მნიშვნელოვნებას, რომელიც წარმოდგენილია მონაწილეების მიერ ამ თუ იმ წინადადებათა შინაარსში. ეს აღნიშნავს იმას, რომ აშკარა თუ არა აშკარა აბელაცია გარკვეული სიტუაციისადმი საშუალებას აძლევს აქტორებს გააზრებული და საფუძვლიანი რეაგირება მოახდინონ ვინმეს მიერ წარმოდგენილ თემზე და მიადწიონ, ან არ მიადწიონ შეთანხმებას მასთან მიმართებაში მოცემული პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის საფუძველზე.

ნათელია, რომ პოლიტიკური სამოქმედო ვითარება მუდმივად იცვლება, ამასთან ერთად, სამოქმედო სიტუაციები სრულიად არ წარმოადგენს იზოლირებულ ან მკაცრად გამიჯნულ სამყაროებს. ისინი თანდათანობით და შეუქმნეველად გადაადიან ერთმანეთში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სემანტიკური ველი უცვლელია და პოლიტიკური ქმედების დროს ის ყოველთვის იგულისხმება მონაწილეების მიერ, როგორც განსაზღვრული არათემატიზში. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სიტუაცია შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც თემატურად გამოცალკევებული ფრაგმენტი განუსაზღვრელი მოქმედების ველიდან. თემა შეიძლება წარმოიშვას პოლიტიკური მოქმედების სუბიექტების ამა თუ იმ კონკრეტულ მიზნებთან მიმართებაში და განსაზღვროს სიტუაცია პოლიტიკური მოქმედების ვითარებაში არ თემატიზდება აქტორისათვის ყველა მნიშვნელოვანი თემა, არამედ პოლიტიკურად თემატურად მნიშვნელოვანი; და მოწესრიგდება თავიანთი პოლიტიკური თემატური რელევანტობის მიხედვით. პოლიტიკური მოქმედების ვითარება წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ წარმოდგენილი, ურთიერთგაგების, აქტუალური მოთხოვნილებისა და მოქმედებათა

შესაძლებლობის სფერო. მოქმედების დანარჩენი კელი გამოდის, როგორც არათემატური პორიზონტი, რომელიც პოლიტიკურად აქტუალური სიტუაციის ცენტრიდან დაშორების ხარისხის მიხედვით უფრო ანონიმიური და გაურკვეველი ხდება.

პოლიტიკური სიტუაციის სწავლები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცვალებადია და შეუმჩნეველად ურთიერთგადაიკეთება ან გადაინაცვლებს პოლიტიკური თემის ცვალებადობის დროს. ამავდროულად, პოლიტიკური აქტორი გადადის ახალ ვითარებაში, რომელიც მოქმედების ახალი განუსაზღვრელი ცენტრი ხდება, ადეკვატურად ინაცვლებს პოლიტიკური მოქმედების პორიზონტიც და ნთქავს წინარე სიტუაციას.

პოლიტიკური მოქმედების ახალ ვითარებაში სიტუაციის აღრინდელი განმარტებები არ კარგავს თავის აქტუალობას. მიუხედავად ამისა, მოქმედი პირები არ აღმოჩნდებიან გაურკვეველ ვითარებაში: ახალი ვითარება, გარკვეული ზრით, მათთვის ნაცნობია პოლიტიკური თეორიის მიერ აღწერილი თემის შესაბამისად. პოლიტიკური კომუნიკაციის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს მიმართებებსა და გამოძახილებს კონკრეტული ქმედებების სიტუაციასთან, რეალურად თანყოფობს აქტუალურ თემატურ ცენტრთან ერთად, როგორც შესაძლო ვითარების პოტენციალების მოძრავ ცენტრთან. ამ მდგომარეობის წყალობით, შესაძლო ახალი პოლიტიკური სიტუაციები უკვე ცნობილია აქტორისათვის, არათემატური ცოდნის ზრით, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის თავისთავად ნაგულისხმები თემატიზების წყალობით. ამ არათემატური შინაარსიდან, რომლის თემატიზებაც კონკრეტულ ვითარებასთან მიმართებაში ხდება, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსის მონაწილეების მიერ გაიგება გარკვეული კონკრეტული სიტუაციები; ამასთან ერთად, ზოგიერთი (წინარე არათემატური) შინაარსი, რადგან სწრაფად მოდის თავსებადობაში აქტუალური პოლიტიკური მოქმედების სიტუაციასთან, გაცნობიერდება მონაწილეების მიერ და გამოიხატება ვითარებათა ერთგვაროვან განსაზღვრებაში, რომელიც მოწმდება კონკრეტული პოლიტიკური ქმედების შესრულებით და ამ გზით ხდება მისი პრობლემატიზება. ეს აღნიშნავს, რომ პოლიტიკური მოქმედების

სიტუაციასთან მიმართებაში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის არათემატური პორიზონტი წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის მონაწილეების მიერ სხვადასხვა, ან ერთგვაროვანი პროცესების განხილვისათვის თავისთავად ნაგულისხმები და გამოყენებადი რეზერვი.

პოლიტიკური თეორიის დისკურსში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს არათემატური ცოდნა, რომელიც პირველ პლანზე არსებობს და რომელსაც ეყრდნობიან პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სივრცეში მოქმედი კომუნიკაციის მონაწილეები როგორც კერძო პრაგმატულ, ასევე სემანტიკურ წანამძღვრებში. ამასთან ერთად, მხედველობაში მიიღება, ერთის მხრივ, ამა თუ იმ სიტუაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ ჩამოყალიბებული ცოდნა და, მეორე მხრივ, ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული კონტექსტური ცოდნა. კონტექსტური ცოდნა ყოველთვის გულისხმობს პოლიტიკური თეორიის არათემატურ ველს, უფრო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, წინა პლანის არათემატურ პოლიტიკურ ცოდნას ადგილი აქვს იმის წყალობით, რომ პოლიტიკური აქტორების მიერ აქტუალურად აღქმული უახლესი გარემო, რომელიც მოქმედების სიტუაციის ცენტრშია, გულისხმობს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის არათემატურ პორიზონტს. სხვადასხვა აქტორები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ცოდნის საფუძველზე აფასებენ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციას. პოლიტიკური სამოქმედო ვითარების მიმდინარეობის დროს მონაწილეები ულაპარაკოდ ვარაუდობენ, ანსნა-განმარტება კონკრეტულ სიტუაციას პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში დაშვებული თემატიზების სახით მისცენ. პოლიტიკური პორიზონტული ცოდნა პოლიტიკური აქტორის მიერ აღქმულ ვითარებაში ამკარად გამოხატულად, იმპლიციტურად არსებობს და გააშუალებს გამოთქმების ინტერსუბიექტურ მნიშვნელობებს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ დაშვებული თემატიზების წყალობით, რითაც ის მას ხდის პრობლემატურს.

არათემატური ცოდნის მეორე სახე ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური აქტორების ხელისუფლების თეორიის სიმბოლური მნიშვნელობების გასაგებად პოლიტიკური კომუნიკაციის

სხვა მონაწილეებისათვის - ეს დაკავშირებულია აქტუალური თემის კონტექსტურ ცოდნასთან. პოლიტიკური აქტორი, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ გარემოში მყოფობს სხვა ადამიანებთან ერთად, ეხება გარკვეულ პოლიტიკურ თემს და ამით მას მოქმედებაში მოჰყავს მასთან საგნობრივად დაკავშირებული კონტექსტები, რომლებიც (ლოკალური, ეთნიკური ტრადიციების, სასკოლო განათლების ან პოლიტიკური მსჯელობების იგივეობის გამო) საერთოა პოლიტიკური კომუნიკაციის ყველა მონაწილისათვის. კონტექსტური ცოდნის შექმნე პოლიტიკური აქტორის ხელისუფლების თეორიის სიმბოლური მნიშვნელობები წარმოგვიდგება, როგორც ჩვეულებრივი, ან არაჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო, მისაღები, ან მიუღებელი.

იურგენ ჰაბერმასის თანახმად, სიტყვიერად დაკავშირებული ჰორიზონტული ცოდნა და თემატურად დაკავშირებული კონტექსტური ცოდნა განსხვავდება წინამხრის არათემატური ცოდნისაგან ან ცხოვრების სამყაროსაგან. „ცხოვრების სამყარო“ წარმოადგენს არათემატური ცოდნის ფენას, რომელშიც თავმოყრილია ჰორიზონტული ან კონტექსტური ცოდნა. არათემატური ცოდნა, რომელიც აყალიბებს ცხოვრების სამყაროს, სტაბილური ხასიათით გამოირჩევა, რადგან ის, მნიშვნელოვანწილად, იმუნიზებულია გამოცდილების შემთხვევითი დინების პრობლემატიზებადი ზეწოლისაგან. ყოველთვის საგარაუდო ცოდნის ეს ფენა შეიძლება თემატიზებული იქნეს მხოლოდ სპეციალური მეთოდური ძალისხმევით და მხოლოდ თანდათანობით, რაც ქმნის კონსენსუსის პირობას აქტორებს შორის. ამისაგან განსხვავებით, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ დაშვებული თემატური ცოდნის ჰორიზონტი აყალიბებს, ჰაბერმასის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ყალბი შეთანხმების“ ნაირსახეობას, რომელშიც კონსენსუსი მხოლოდ ამავე თეორიის სივრცეშია შესაძლებელი.

ამჟამად გვსურს შევხვთ არა პოლიტიკურ ენას, არამედ პოლიტიკურ მეტყველებას და ზემოთ ხსენებული პოლიტიკური თემატიზების ჰორიზონტების სოციალიზაციას, რომელიც კონტექსტუალურ იძულებას ახდენს მეტყველებაზე.

პოლიტიკური თეორიის დისკურსში მყოფი აქტორი სპეციფიკური პოლიტიკური იდენტობის მეტყველების კელში იმყოფება და

იგი, ამ იდენტობიდან გამომდინარე, იძლევა პასუხებს ნებისმიერ პოლიტიკურ სიტუაციაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ პოლიტიკური ენის სოციალიზაციის პროცესი წარმოადგენს კონტროლის რთულ პროცესს, სადაც განსაკუთრებული მორალური, კონიტური და ემოციონალური ცოდნა ჩამოყალიბებული პოლიტიკურად მეტყველ აქტორში და მეტყველებას აძლევს სპეციფიკურ ფორმებსა და შინაარსს. თეორიის პოლიტიკური სოციალიზაცია ამაღლებს პოლიტიკურად მეტყველ აქტორის მგრძობელობას საზოგადოების ზედასხვა წესრიგისადმი, რადგან იგი ამ ენას რეალობად აქცევს სხვადასხვა პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც მან უნდა იმოქმედოს. ამ შრიტით, პოლიტიკური ხელისუფლებს თეორიის მიერ მეტყველების სოციალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რათა გარკვეული ჯგუფის ხალხმა შექმნას თავის უსაფრთხოებისა და გავლენის სივრცე. ეს პროცესი დროის განმავლობაში ადამიანების შესაძლებლობაზე შერჩევითად ზემოქმედებს მოცემული სოციალური სტრუქტურისადმი აუცილებელის საზრისის მინიჭებით და დაშვებული ცვლილებების სფეროების შეზღუდვის გზით⁴⁹.

სოციალიზაციის ძირითადი აგენტები თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახები, პირველადი ჯგუფები და სამსახურია. სოციოლოგიური შეზღუდვების თანახმად, ყველაზე ფართო ზეგავლენა აქვს სოციალურ კლასს. კლასის სტრუქტურას ზეგავლენა აქვს სამსახურზე განათლების როლზე, აკავშირებს ოჯახებს ერთიმეორესთან სპეციფიკური ურთიერთობით და სიღრმისეულად გამსჭვალავს ცხოვრების გამოცდილების სტრუქტურას კლასის სიღრმისეულად გამოკვეთს დანაწილებას საზოგადოების ფარგლებში. იგი იძლევა განსხვავებული საზრისის დაშვებებს, რომლითაც სამყარო შეღწევადია. იგი ერთმანეთისაგან განაცალკევებს ან თავის თავში კეტავს საზოგადოებებს და მის განთავსებას ახდენს ურთიერთარაკეთილი განწყობილებების ღირებულებების სასწორზე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კომპონენტი - ცოდნა, შესაძლებლობა და არაკეთილგანწყობილი ურთიერთიზოლაცია. ცოტათი ნაივური იქნებოდა დაგვეჯერებინა,

⁴⁹ B. Bernstein, Social class, language and socialization, p. 132.

რომ განსხვავებანი ცოდნაში, შესაძლებლობებში, რომელიც კომბინირებულია არაკეთილგანწყობილ ურთიერთიზოლაციასთან და ფესვგადგმულია განსხვავებულ მატერიალურ კეთილდღეობაში, არ ზემოქმედებს განსხვავებული სოციალური კლასების სოციალიზაციის პროცედურებში, ინოვაციისა და კონტროლის ფორმებზე კომუნიკაციის სიღრმისეული სტრუქტურა იმთავითვე ზემოქმედია, მაგრამ არა რაიმე ფინალური ან უცვლელი აზრით. ჩვენ შეიძლება დავინახოთ, რომ კლასების სტრუქტურა ზემოქმედებს ცოდნის განვრცობაზე ისტორიულად და ამჟამადაც. მხოლოდ მოსახლეობის უმცირესი პროცენტი იყო სოციალიზებული ინოვაციისა და კონტროლის მეტაენების ცოდნის დონეზე, მაშინ როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალიზებულია კონტექსტურად დაკავშირებული ოპერაციების დონეზე. მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილი იყო დაშვებული ინტელექტუალური გაცვლის პრინციპებთან, მაშინ როცა უმრავლესობა არ იყო დაშვებული ამგვარი ინტელექტუალური გაცვლის სათავეებთან. ეს ვარაუდობს იმას, რომ ჩვენ შეიძლება გავარჩიოთ განსხვავება მნიშვნელობის ორ წესს შორის. ერთს შეიძლება ეწოდოს უნივერსალისტური, ხოლო მეორეს — პარტიკულარისტული. უნივერსალისტური მნიშვნელობისაა ის, რომლის პრინციპები და ოპერაციები ლინგვისტურად ექსპლიციტურადაა (სრულად გამოთქმული) ჩამოყალიბებული. მნიშვნელობის პარტიკულარისტული წესები არის ისეთი მნიშვნელობები, რომლებშიც პრინციპები და ოპერაციები ლინგვისტურად რელატიურად იმპლიციტურია (ნაგულისხმები). თუ მნიშვნელობების წესები უნივერსალისტურია, მაშინ მნიშვნელობები ნაკლებად დაკავშირებულია მოცემული კონტექსტისადმი. აზროვნების საზოგადოებრივი ფორმების მეტაენები, ისე როგორც ის მიესადაგება ობიექტებს და პერსონებს, რეალიზებას ახდენს უნივერსალური ტიპის მნიშვნელობებისას. როცა მნიშვნელობებს აქვთ ასეთი მახასიათებლები, მაშინ ინდივიდუუმებს აქვთ წვდომა მათი გამოცდილების საფუძველისადმი და შეუძლიათ შეცვალონ ეს საფუძველი. იმ დროს, როცა მნიშვნელობების წესები პარტიკულარულია, სადაც პრინციპები ლინგვისტურად ნაგულისხმებია, მაშინ ამგვარი მნიშვნელობები კონტექსტურად ნაკლებად დამოუკიდებელია და უფრო შეზღუდულია.

იგი გადაბმულია ლოკალურ ურთიერთობებთან და ლოკალურ სტრუქტურებთან. როცა მნიშვნელობის სისტემა პარტიკულარულია, უმრავლესი მნიშვნელობა განსახიერებელია კონტექსტში და შეიძლება შეზღუდული იყოს მათ მიერ, ვინც იზიარებს მსგავს კონტექსტუალურ ისტორიას. ხოლო, როცა მნიშვნელობები უნივერსალურია, პრინციპში ისინი მიესადაგება ყველაფრს, იმიტომ, რომ პრინციპები და ოპერაციები ჩამოყალიბდნენ ექსპლიციტურად და შესაბამისად საზოგადოებრივად.

სოციალიზაციის ფორმები ორიენტირებს ახდენს აგენტისას სამეცხველო კოდების მიმართულებით, რომელიც მაკონტროლირებელი დაშვებია რელატიურად კონტექსტურად გადაბმული ან რელატიურად კონტექსტურად დამოუკიდებელი მნიშვნელობებისადმი. ამგვარად, ნათლად გამოხატული კოდები წარმართავს მათ გამოძყენებებს უნივერსალისტური მნიშვნელოებებისაკენ, მაშინ როცა შეზღუდული კოდები უფრო გრძნობს და წარმართავს მათ გამოძყენებებს პარტიკულარული საზრისისადმი: ასე რომ, ამ ორი წესის ლინგვისტური რეალიზაცია განსხვავებულია და ის სოციალური ურთიერთობანიც, რომლებიც მათ რეალიზაციას ახდენენ. ნათლად გამოხატული კოდების შემთხვევაში საუბარი გათავისუფლებულია მისი გამოძყვევი სოციალური სტრუქტურისაგან და ღებულობს ავტონომიურ ხასიათს (უნივერსტიტეტი არის ადგილი, რომელიც ორგანიზებულია საუბრის ირგვლივ). შეუზღუდავი კოდები ნაკლებადაა გადაბმული ლოკალურ სოციალურ სტრუქტურასთან და აქვს გარდამქნელი პოტენციალი, რათა ცვლილება მოახდინოს პრინციპებში. როცა კოდები ნათლადაა გამოხატული, სოციალიზებულს მეტი დაშვება აქვს მისი სოციალიზაციის საფუძვლისადმი და ასე შეუძლია შევიდეს რეფლექსურ ურთიერთობაში სოციალურ წესრიგთან, რომელსაც იგი ცვლის. როცა კოდები შეზღუდულია სოციალიზებულს ნაკლები დაშვება აქვს მისი სოციალიზაციის საფუძვლისადმი და ამგვარად მისი რეფლექსურობა შეიძლება შეზღუდული იყოს გარკვეულ საზღვრებში. კლასის სისტემის ერთ-ერთი ეფექტია დაშვების შეზღუდვა ნათლად გამოხატულ კოდებთან.

შეზღუდულ კოდებს თავისი ბზისი შეკუმშულად გამოხატულ სიმბოლოებში აქვთ, მაშინ როცა ნათლად გამოხატულ კოდებს

თავიანთი ბაზისი არტიკულირებულ სიმბოლოებში ავლენენ. ეს შეზღუდული კოდების სათავეს იღებენ მეტაფორისგან, ნათლად გამოხატული კოდები კი — რაციონალობისგან. ასე რომ, ეს კოდები იბულებას ჰქონენ კრიტიკული სოციალიზაციის კონტექსტებში ენის კონტექსტუალური გამოყენებისას და ამ გზით ისინი არეგულირებენ მართებულობის და მიმართების წესებს, რომელთაც სოციალიზებული ღებულობს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ცვლილება, ჩვეულებრივ, სასაუბრო კოდებში გულისხმობს ცვლილებას საზრისში, რომლის მიხედვითაც პერსონების ურთიერთმიმართება რეგულირდება.

ხელისუფლების ფენომენი ვარაუდობს ურთიერთდამოკიდებულებას მოქმედებასა და სოციალური სტრუქტურის ინსტიტუტებს შორის, რამდენადაც ხელისუფლების ესა თუ ის ასპექტები ყველა დონეზე ვლინდება. მოქმედების, დონეზე ეს არის ხელისუფლების სუბიექტის უნარი, იმოქმედოს თავის მიზნებისა და ინტერესების შესაბამისად, ჩაერიოს მოვლენათა მიმდინარეობაში და შეცვალოს ის. ინსტიტუციონალურ დონეზე ხელისუფლება აღნიშნავს უნარ-შემწევობას, რათა უფლებამოსილებით აღჭურვის ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი ან ინსტიტუტები, რათა მიიღონ გადაწყვეტილებანი და განახორციელონ პრაქტიკაში. თავის მხრივ, კონსტიტუციური ხელისუფლების საზღვრები იზღუდება სოციალური სტრუქტურით. ხელისუფლების ეს ასპექტი გამორჩეული უნდა იქნეს ბატონობის კატეგორიისაგან, რაც წარმოადგენს ურთიერთობის განსაკუთრებულ დონეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია უთანასწორობა კლასებს, ერებს, სქესებს, რასებსა და სახელმწიფოთა შორის³⁰.

პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუციონალური ფორმები უნივერსალური კოდების გზით ფიქსირდება. ე.ი. ხელისუფლების ინსტიტუციონალური ფორმები უნივერსალურ ენაზე გამოითქმის. ხელისუფლების ინსტიტუტები უნივერსალური ენის დისკურსში მყოფობს. მის მიერ განხორციელებული სიმბოლური იბულება კონტექსტუალურ ხასიათს მხოლოდ მაშინ იღებს, როცა პოლიტიკური ხელისუფლების ფლობის შესაძლო სუბიექტი იწყებს

³⁰ Thomson G. Language and ideology, The sociological review, 1987,

ოპერირებას ამ უნივერსალისტური კოდების საშუალებით. ხოლო ამ კოდებით ოპერირებას იწყებს ის, ვინც დაშვებულია ამ უნივერსალური ენის სწარისთან, ე.ი. ვინც ხელისუფლების ტექსტის უნივერსალური კოდების სწარისს კითხულობს. ეს უკანასკნელნი არიან ის სოციალური აგენტები, რომლებიც ინტელექტუალური ცოდნის გაცვლის უნარებს ფლობენ და კისრულობენ ხელისუფლების უნივერსალური კოდების ინტერპრეტატორის ფუნქციას. ინსტიტუციონალური ხელისუფლების უნივერსალური ტექსტი კვლავ უნივერსალური ენის საშუალებით წაიკითხება. მაშასადამე, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაც უნივერსალურ ენაზე გამოითქმის და წარმოადგენს ხელისუფლების ინსტიტუციონალური ფორმების კონტექსტურ ინტერპრეტაციას. ეს კონტექსტები ხელისუფლების ფლობის სხვადასხვა ნარატივით შეიძლება იყოს გაშუალებული (კერძოდ, ეროვნული საკითხით, თავისუფლების პრობლემათ, კლასობრივი ჩაგვრით, პროლეტარიატის დიქტატურით და ა.შ). მაშასადამე, ხელისუფლების ფლობის უნივერსალური ენა მხოლოდ ინტელექტუალური გაცვლის სფეროში ოპერირებს. ხელისუფლების ფლობის უნივერსალურ ენას (ანუ პოლიტიკურ თეორიას) ყოველთვის აქვს მიმართება კონტექსტურად შეზღუდული კოდების პორიზონტთან. რადგანაც უნივერსალურმა ენამ უნდა მოიპოვოს ნდობა კონტექსტურად შეზღუდული სასაუბრო ენის სივრცეში, იგი ხელისუფლების ფლობის თეორიის კონტექსტის ეგზისტენციალურ ინფორმაციას აგზავნის, რომელიც გასაგებია კონტექსტურად შეზღუდული კოდების მოსაუბრეთათვის. მაშასადამე, საუბრის ამ პორიზონტში პოლიტიკური თეორიის უნივერსალური ენის ინფორმაცია მხოლოდ შეზღუდული კოდებით და ინფორმაციებით შეიძლება გავრცელდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოიპოვოს ნდობა კონტექსტურად შეზღუდული სივრცის სფეროებში. ამგვარად, პოლიტიკური თეორიის უნივერსალური ენა ახდენს სამეტყველო სივრცის რანჟირებას იმის მიხედვით, ვინც ფლობს ხელისუფლების ფლობის უნივერსალურ ენას და ვინც ამ ენას კონტექსტურად შეზღუდულ სივრცეში აღიქვამს.

ტრადიციულ კულტურებში „ნდობაში შესვლა“ ან ნდობის მოპოვება (კომუნიკაცია) შესაძლებელია ჩვეულებრივი სიტყვიერი

პრაქტიკის „ნაკრძალი“ სამეტყველო პორიზონტებისადმი მიმართვით, ისეთი გამოთქმებისადმი, როგორცაა ზემალაღი (დალოცვა ან ფიცა) და ქვედაბალი (წყევლა ან გინება). ზემალაღი პორიზონტი, კეთილმეტყველების უმაღლესი სფერო, გათვლილია მორალური კომუნიკაციის სფეროსათვის, ხოლო მეორე – შემთხვევა, როცა კომუნიკაციის შესაძლებლობის იგნორირება ხდება.⁵¹

აქედან გამომდინარე, ენა არის წესების რიგი, რომლსაც ყოველი სიტყვიერი კოდი უნდა დაემორჩილოს, მაგრამ ის სიტყვიერი კოდები, რომლებიც რეალიზებულია, წარმოადგენს კულტურის ფუნქციას, რომელიც მოქმედებს სპეციფიკურ კონტექსტში სოციალური ურთიერთქმედების გზით. განსხვავებული სიტყვიერი ფორმები და წესები სიმბოლიზებას ახდენს სოციალური ურთიერთმიმართების ფორმებისა, არეგულირებს საუბარში შემსვლელთა

⁵¹ სამეტყველო სივრცის ნაკრძალი პორიზონტებისადმი მიმართვა მომდინარეობს სიტყვის მაგივს გამოყენებიდან. არქაული ადამიანის წარმოდგენით, სიტყვას ძალა აქვს. სიტყვა არის ერთგვარი კოდი, რომელიც საკრალური ტექსტიდან გამოიხმოება ან ვინმეს დასალოცად, ან ვინმეს შესარისხავად. თავად საკრალური ტექსტი ქმნის მაღალი მეთყველების სივრცეს, რომელიც ღმერთთან კავშირით არის გაშუალებული. საკრალური ტექსტი არის ღმერთის სიტყვა, რომელიც არ ექვემდებარება შესწორებას. აქედან გამომდინარე, საკრალური ტექსტის ირგვლივ იქმნება სამეტყველო სივრცის ნაკრძალი პორიზონტები, რომელსაც ადამიანი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს. არქაული ადამიანი საკრალური ტექსტის მაღალი სამეტყველო სივრციდან აყალიბებს მეთყველების ორ უკიდურეს ნაკრძალ პორიზონტს, რომელიც საკრალურ ტექსტში არ არის, მაგრამ გამოიყენება, როგორც კომუნიკაციის პირობა. ამ ორი უკიდურესი ნაკრძალი პორიზონტის აღსანიშნავად, რომელიც საკრალური ტექსტის მაღალი მეთყველების სივრციდან იღებს სათავეს, შემოგვაქვს „ზემაღალ“ და „ქვედაბალი“ მეთყველების ცნებები. არქაული ადამიანისათვის დამახასიათებელია ნაკრძალი სამეტყველო პორიზონტების გამოყენება კომუნიკაციაში შესვლისათვის, რომელიც ღმერთს უკავშირდება, ან ღმერთის ძალა გამოიყენება ადამიანის დასარისხად, ან ქვესკნელის ბოროტი ძალა. რა თქმა უნდა, ღმერთთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება მოყვარისათვის, სტუმრისათვის, კარგი ადამიანისათვის არის გათვალისწინებული (მაგ., „ღმერთმა დაგლოცოს“, „ღმერთი იყოს შენი შემწე“ და ა.შ.) აქ კომუნიკაციის ველი სიკეთესთან იდენტიფიცირდება. ხოლო მეორე შემთხვევა მტრისათვის, არა მოყვარისათვის არის გათვალისწინებული (მაგ., „ღმერთმაც შეგრისხოს“, „ეშმაკმა დაგლატეროს“ და ა.შ.).

ბუნებას და ქმნის მოსაუბრეთათვის მართებულობისა და მიმართების განსხვავებულ წესრიგს. მაშასადამე, მოსაუბრეთა გამოცდილება ტრანსფორმირდება იმის მიხედვით რაც მნიშვნელოვნად ან მართებულად წარმოდგება საუბრის ფორმის მიხედვით. აქ საუბრის ფორმა აღებულია, როგორც სოციალური მიმართების ფორმა, ან, უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ის არის სოციალური სტრუქტურის ფორმა. საუბრის ფორმა იმთავითვე გულისხმობს მოცემული სოციალური ორგანიზაციის ფუნქციას. ეს არ აღნიშნავს იმას, რომ საუბრის ფორმები თანდათანობით არ გარდაიქმნიან ან თუნდაც არ შეცვლიან ამ სოციალურ სტრუქტურას, რომელიც იმთავითვე საუბრის ფორმების განვითარებას ახდენს. სინამდვილეში ეს ფორმულირება მიუთითებს იმ საკითხზე, თუ რა პირობებში შეუძლია მოცემულ საუბრის ფორმებს საკმარისად გაითავისუფლოს თავი სოციალურ სტრუქტურაში მისი განსახიერებისაგან, ისე, რომ მნიშვნელობათა სისტემა, რომლის რეალიზებასაც ის ახდენს, ადამიანის სამყაროში მიუთითებდეს ალტერნატიულ რეალობებზე და ალტერნატიულ სტრუქტურაზე. ჩვენ აქ უშუალოდ ვეხებით კულტურისა და სუბკულტურის სპეციფიკობის პრობლემას⁵².

აქ ენა წარმოგვიდგება, როგორც პიროვნების სოციალურ გარემოში ადაპტაციის და იმ ღირებულებითი ველის დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების სამყაროს ნებისმიერი სირთულის საზოგადოებრივ სისტემაში.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ ხდება ენის ფუნქციის გაცნობიერება და, აქედან გამომდინარე, ახდენს ენის ჰიპოსტაზირებას, რაც საშუალებას აძლევს პოლიტიკური თეორიის ერთ მეტყველებს ყოველდღიურ პრაქტიკაში სწორი გამოთქმების შეთანადებით არასწორ გამოთქმებთან, ან მეტაფორებით მოახდინოს სამყაროს სოციალური სურათის თემატიზება თავის მიზნების შესაბამისად.

პოლიტიკურ თეორიას საქმე აქვს არა ენასთან, არამედ სოციალურ სინამდვილესთან, რომლის ათვისებისასაც იდეოლოგიის

⁵² B. Bernstein. Social class, language and socialization. Language and social context. ed. By Pier Paolo Gigoli. Penguin, 1972, p. 134.

მატარებელი აუცილებლად ახდენს მოდელირებას ენობრივ ქცევაში. იგი, თვლის რა თავს ენის პატრონად, ხოლო ენას გარკვეული დადებითი მიზნების მიღწევის საშუალებად, იწყებს იმ ენობრივი სამყაროს ცვლილებას, ან ინტერპრეტაციას, რომლის კოდფიკაციებსაც იგი არ ეთანხმება. ამასთან ერთად, ის აუცილებლად ეყრდნობა იმ თეორიას, რომლის ლეგიტიმაციის სტატუსს თვითონვე განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, იგი იწყებს ჩვეულებრივი ყოფითი ენის ცვლილებასაც – მიზანმიმართულად წერგავს რა მასში იდეოლოგოგრაფიურ გამოთქმებს.

ამგვარ ენაზე შეტყვევლნი ეყრდნობიან მოცემული ენობრივი პორიზონტების დიდ სიზუსტეს და მის გამოყენებადობას საუბრის თემის უშეცდომოდ განსაზღვრისათვის. საუბრის თემის უშეცდომოდ განსაზღვრას ისინი ახდენენ იმ ეგზისტენციალური ინფორმაციის კოდებით და იდეოლოგრაფებით, რომლებიც პოლიტიკური თეორიის თემატურ პორიზონტში მყოფობს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მცდელობანი – იდეოლოგოგრაფების მეშვეობით განისაზღვროს, ან დაიდალოს საგანი, თრგუნავს ყოველგვარ მცდელობას, რათა ისინი ჩვეულებრივი სიტყვების საშუალებით გამოირჩენ, შეიმეცნონ ან გამოიხატონ.

საგნებისა და მოვლენების იდეოლოგოგრაფებით განსაზღვრა (დადაღვა), არასწორი გზით წარმართავს შროვნებას ან თრგუნავს მას მისი უსარგებლობის გამო. ენის მფლობელს იმისათვის, რათა დარჩეს მოცემული თეორიის პოლიტიკური დისკურსის ველში, ესაჭიროება ზუსტი მითითებანი, რომლებსაც იგი ამავე პოლიტიკური თეორიის ველში პოულობს. რადგან ყოველი ახალი მითითება უარყოფს არსებულ საგნობრივ სახელებებს, ენის მფლობელი იძულებულია მინიმუმამდე შეამციროს მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება და, ნაცვლად ამისა, გამოიყენოს კონოტაციები. ეს წარმოქმნის ენობრივად გაუკუღმართებულ სივრცეს, რომელიც მხოლოდ თავის რეფერენციების გზით კითხულობს გარე სამყაროს მოვლენებს.

პოლიტიკური თეორიის თვითლეგიტიმაციის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივად გაუკუღმართებული სამყარო არ არის თავისუფალი იმისათვის, რომ საგნებსა და მოვლენებს თავის

სახელი დაარქვას. აქედან გამომდინარე, ენის მუდღობელი შეიშუშავენს მყარ სიტყვიერ უპირატესობებს, რომლებიც საგნობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვების ჩანაცვლებულ სპირისებში კლინდება (ერთ-ერთ ლექციამე მერაბ მაძარდაშვილი აღნიშნავდა, რომ ავღანეთში მებრძოლ ჯარისკაცს ერქვა არა ჯარისკაცი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, არამედ „მომძარი ინტერნაციონალისტი“). ეს არის აღნიშვნადისა და აღნიშნულის პირდაპირი დიქსიოპორცია. აღნიშნული თავის თემატური პორიზონტის სამყაროში ცხოვრობს დამოუკიდებლად. რეალობის განსაზღვრება ზდება არა მისი შექცნების გზით, არამედ „აღნიშნული კონოტაციებით“. ეს უკანასკნელი ადვილად იკავებს ზემადალი და ქვედაბალი სსაუბრო პრაქტიკის პორიზონტებს. ზემადალ სიტყვიერებაში იგულისხმება ის, რაც პოლიტიკური თეორიის დისკურსის სსაუბრო პრაქტიკაში „ნათელ მიზანს“ ემსახურება, ზოლო სიტყვიერების ქვედაბალ პრაქტიკაში ნავულისხმევი, რაც პოლიტიკური თეორიის სიტყვიერების სპირისს ეწინააღმდეგება, ანუ ის გამოთქმები და სიტყვები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის პოლიტიკური თეორიის ზემადალი საუბრის პრაქტიკასთან. პოლიტიკური თეორიის ქვედაბალ სიტყვიერებაში ჩვეულებრივი სიტყვის სპირისის დადაღვა ზდება ზემადალ პრაქტიკაში გამოქმეშეებული იდეოლოგორამების მეშვეობით. ეს იდეოლოგორამები ერთგვარი „სიტყვა-შელოცვები“, რომლებიც ტაბუირებას ახდენენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სიტყვების სპირისისს. ყოველდღიურ სსაუბრო პრაქტიკაში სიტყვის იდეოლოგიურობა და სიტყვის სპირისის ჩანაცვლება მისი საპირისპირო სპირისით თანდათანობით შეუმჩნეველი ზდება ამ ენით მეტყველთათვის. პერებერტ მარკუზეს გამოთქმას თუ დავიმოწმებთ, „ჭემარიტი რეალობა არასწორი ზდება“.

პოლიტიკური კომუნიკაციის ნლობის ველის შექმნისათვის, პოლიტიკური თეორიის დისკურსში განვითარებული იდეოლოგორამები და ეგზისტენციალური ინფორმაციები, სამეტყველო პრაქტიკაში რეალიზდება რეპრესიული ცნებების საბით – ერთგვარ სიტყვა ფეტიშებად. ეს რეპრესიული ცნებები აყალიბებს სკაბრეზულ გამოთქმებს, რომლებიც განსხვავებული კომუნიკაციის გარემოს

იგნორირებას ახდენენ. პოლიტიკური თეორიის მიერ წარმოქმნილი სოციოლინგვისტური ველი თანდათანობით გადაიქცევა გარემოზე ძალადობის ნაირსახეობად, რომელიც მოიცავს ყველა ამ ერთ მეტყველს, იმათი ჩათვლითაც კი, ვინც არ ცნობს შესაძლო პოლიტიკური დისკურსის სისწორეს: პოლიტიკური თეორიის მეტყველების ერთი „სიტყვა-შელოცვა“ ცვლის მეორეს და ეს გრძელდება იქამდე, ვიდრე იგი ჩვეულებრივი სიტყვახმარების რეჟიმში არ შევა. საბოლოო ჯამში, რეპრესიული ცნებებით იწყებს მეტყველებას ყველა, ვინც ამა თუ იმ პოლიტიკური დისკურსის ზეგავლენით იწყებს კომუნიკაციას. ნებისმიერი სოციალური მოვლენა აიხსნება პოლიტიკურ დისკურსში ჩამოყალიბებული სკაბრეზული გამოთქმებით ან იდეოლოგოგრაძებით.

რეპრესიული ცნებების სამეტყველო სივრცე თანმიმდევრულად ახორციელებს სიტყვიერ ტერორს საზოგადოების ყოველი წევრის და მთლიანად სოციუმის მიმართ. პოლიტიკური კომუნიკაციის დამყარების მიზნით (ანუ დიალოგის შენარჩუნებისათვის), ენის მფლობელი წარმოთქმული სიტყვის საპირისპიროდ ავტომატურად ეძებს ანტინომებს, ერთგვარ სიტყვიერ საყრდენებს, რომლებიც თავის თავში გულისხმობს საუბრის საგნის ან თემის პირველად უარყოფით განსაზღვრებას. სოციალური ქცევის დონეზე (პოლიტიკური მეტყველების რიგითი წევრიდან დაწყებული, იდეოლოგიის „ქერუმების“ ჩათვლით) ეს თვისება ვლინდება რეპრესიული ცნების დემონსტრაციულ არმილებში, რომელიც მარკირებულია, როგორც ცუდი და ხდება შექება სხვა რეპრესიული ცნებისა, რომელიც მარკირებულია, როგორც კარგი. მაგალითად, „თეთრგვარდიელები“ და „წითლები“, „ზვიადისტები“ და „შევარდნადისტები“ (რეპრესიული ცნებების მარკირება სხვა ნიშნითაც შეიძლება მოხდეს, ამ შემთხვევაში იგი სხვა პოლიტიკურად მეტყველის იგნორირებას კი არ ისაძავს მიზნად, არამედ – პერსონიფიცირებულ იგნორირებას პერსონიფიცირებული იგნორირების მაგალითად შეიძლება გამოდგეს „აკაკასური გარეგნობის პიროვნება“, „ებრაელი“, „ზანგი“, „კომუნისტ“, „დემოკრატი“ და ა.შ. ყოველი ამ ცნების რეპრესიულობის ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, რომ ამ გამოთქმების მეტასკრიპცია გულისხმობს სიკვდილის თემის მიჩქმალულ თემატურ პორიზონტს. ე.ი.

თითუელი რეპრესიული ცნება მარკირებულია სიკვდილის კოდის ნიშნით).

უნდობლობა, პირდაპირი და ორპროფანი გამოთქმები შეუძლებელია შერჩევით გავრცელდეს სამეტყველო ქცევის ერთ პორიზონტზე და არ გავრცელდეს მეორეზე. თუკი პოლიტიკურ დისკურსში აქტორმა იცის, რომ არსებობს ისეთი თემატიზმები, რომლებიც ტაბუირებულია და არ შეიძლება მისი გამოყენება, სამეტყველო სივრცეში შემოსული ეს თემატიზმები მის მიერ აღიქმება ან, როგორც სისულელე, რომელზეც არ ღირს ყურადღების მიქცევა, ან — როგორც ბრძანება. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ „პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის“ მიერ დამკვიდრებული სამეტყველო პორიზონტების სივრცით ოპერირებს. ხოლო პოლიტიკური ხელისუფლების სამეტყველო სივრცეში გამოიშვავებული იდეოლოგოგრამები წარმოადგენს ბრძანებას ხელისუფლების რეალიზაციისათვის.

ეს იდეოლოგოგრამები ხელისუფლების რეალიზაციისათვის იმდენად არის სასურველი, რამდენადაც იგი ვარაუდობს რადიკალურ მიმართებას სხვა სამეტყველო სივრცისადმი. ეს რადიკალური მიმართება გულისხმობს არა მარტო სხვა სამეტყველო სივრცის განდევნას, არამედ მისი შესაძლო მატარებელი აგენტის იგნორირებას. ამ შემთხვევაში სრულიად არ აქვს მნიშვნელობა განადგურების თემა ჩანს, თუ არ ჩანს ხელისუფლების რეალიზაციის ტექსტში. მისი კონტექსტი ყოველთვის გულისხმობს ტექსტის რადიკალიზაციის საფრთხეს, რომლის ფინალური სპარისის კონტექსტი სხვისი განადგურებაა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სოციოკულტურულ ვარიანტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკრალური ტექსტი, რომელიც გამოდის ადამიანებისადმი გარედან მიმცემი ნორმებისა და მოთხოვნების, ან ერთგვარი „ცხოვრების სახელმძღვანელო“ საფუძველი, რომელიც მისი ამხსნელის ხელში წარმოადგენს ხელისუფლების რეალიზაციას და სხვაგვარად ზროვნების საწინააღმდეგოდ, მისი ლეგიტიმაციისა და ბრძოლის იარაღს. ამგვარი ტიპის კულტურა აყალიბებს არა პიროვნებებს, არამედ ტექსტოიდებს, რომელიც დასულია მოცემული მითითებებისა და ბრძანებების შესრულების დონეზე და რომლებსაც არა აქვთ საკუთარი

ქვეყნის შეფასების ზნეობრივი მექანიზმი⁵³. ტექსტი ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს არა თავის საზრისეულ სისტემურ მთლიანობაში, არამედ როგორც მოწყობილობა, რომელიც ბადებს შესაბამისობის ვიწრო ფორმალურ გაგებებს (დავა სიტყვის გამო ან მისი დაწერის თაობაზე, შეიძლება გახდეს ძმათა მკვლეელი ომის ინსპირატორი), ან — პირიქით, იგი წარმოგვიდგება ბუნდოვანი და განუზოგადებელი ცნებების სახით, რომელიც შეუსაბამოა ფაქტებისადმი და ამიტომაც ხელსაყრელია იდეოლოგიური მანიპულირებისათვის.

§2. „ბრძანება“, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის ინსტრუმენტი

ჩვენ მიერ აღწერილ სალექციო კურსში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მეტყველების სივრცე ქმნის „რეპრესიულ ცნებებს“, რომლებიც ბრძანებების სახით წარმოადგებიან ხელისუფლების რეალიზაციის კონტექსტში. ბრძანება, თავისი არსით, გულისხმობს ქვეშევრდომის იძულებას გარკვეული ქმედებისაკენ, რომელსაც ზემდგომი იძლევა. სამეტყველო პრაქტიკაში ბრძანება გამოხატავს სიტყვიერ იძულებას ქვეშევრდომის მიმართ. ეს იძულებას კონტექსტი აუცილებლად გულისხმობს ზემდგომის ხელისუფლებას, რომელიც არა მარტო ძალაუფლებითი მეტყველების კონტექსტებით არის გამოკლებული, არამედ — რეალური დათრგუნვის მექანიზმებითაც.

თუ ჩვენ ბრძანების საზრისის თემატური პორტონტის რადიკალიზაციას მოვანდენთ, მისი საწყისი სათავე გულისხმობს რეპრესიის განხორციელებას ბრძანების არშესრულების შემთხვევაში. მაშასადამე, ბრძანება ყოველთვის გამოხატავს რეპრესიას. ეს რეპრესია ან სასჯელი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმაში. ბრძანება სამეტყველო სივრცეში მუქარის არათემატიზმებს გულისხმობს, მუქარა კი თემატურ საზრისში იძულებისა და შიშის თემატიზმებს გულისხმობს. ქვეშევრდომის მხრიდან ბრძანების

⁵³ Miligram, S. Obedience to authority. 1974, p. 155.

შესრულება ასევე გულისხმობს მის გაცნობიერებულ პასუხისმგებლობას ან შიშს. აქ შეიძლება დადგეს კონსენსუსის პრობლემა ქვეშევრდომსა და ზემდგომს შორის. თუ კონსენსუსი ზემდგომსა და ქვეშევრდომს შორის გაცნობიერებული პასუხისმგებლობაა, მაშინ საჭმე გვაქვს ბრძანების გაცემისა და მიღების რაციონალიზებულ მიმართებასთან. მაგალითად, თუ ოფიცერი ბრძოლის დროს უბრძანებს ჯარისკაცს შეასრულოს დავალება და თუ ჯარისკაცი ასრულებს მას, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება დაიღუპოს, მაშინ მის მიერ სიკვდილის თემატიკაში იგნორირებულია და იგი პასუხისმგებლობის თემატიკაში უფრო წინ აყენებს, ვიდრე საფრთხეს. მაგრამ ეს უკანასკნელი უმრავლეს შემთხვევაში იდეალურ სიტუაციას გულისხმობს. ჩვენ აქ გვერდს ვერ ავუვლით არასწორი ბრძანების გაცემის საფრთხეს. მაშინ ბრძანების შესრულება თავის რადიკალიზაციაში გულისხმობს შიშს. შიში კი თავის ფინალურ საზრისად დასჯას, განადგურებას გულისხმობს.

თუკი, ჩვენ მიერ აღწერილი პროექტის თანახმად, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში მყოფობს ბრძანების გაცემის და შესრულების მექანიზმი, მაშინ ბრძანების სტრუქტურა მხოლოდ ქვედაბალი სიტყვიერების პრაქტიკაში შეიძლება იყოს მოზარბებული, რომელიც კომინკაციაში შესვლის სფეროებისათვის არ არის გათვალისწინებული. ნებისმიერი ბრძანების საზრისი თავის ამოსავალ პუნქტში გულისხმობს შიშის თემას, ე.ი კლინდება ბრძანების შესრულების მათემატიზებული სათავე — შიში.

ბრძანების თემატური საზრისის განსწისათვის გ.ვ.ფ.კეგელის მონისა და ბატონის ურთიერთობის თემას მივმართავთ. ამ თემაში შეიძლება დავინახოთ არა მარტო ხელისუფლების რეალიზაციის პირველადი ანთროპოლოგიური საზრისი, არამედ ბრძანების საბით რეპრესიული მეტყველების ფარული კორიზონტებიც.

„გონის ფუნქციონოლოგიაში“ განვითარება მიმდინარეობს „გრძნობადი სინამდვილიდან“, რომელიც ყველაზე მარტივი საფეხურია ცნობიერების გადასასვლელად თვითცნობიერებაში. „თავის უშუალო ფორმაში თვითცნობიერება არის კერძო ინდივიდუალური სუბიექტი: გრძნობადი ცნობიერება აქ შემონახულია, როგორც მომენტი, საგანი

მისთვის ნეგატიურია. თვითცნობიერებამ უნდა შეიმეცნოს, რომ ის მიისწრაფვის მისკენ. ე.ი. ადამიანის წიანშე წამოიწვევს პრაქტიკული ინტერესები. ადამიანები ეუფლებიან და მოიხმარენ საგნებს. და ეს წარმოგვიდგება, როგორც „თვითცნობიერების პირველი საფეხურის დახასიათება“ და აქ ერთმანეთს ხვდება ორი ინდივიდი. „ინდივიდებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ პიროვნება, რამდენადაც ისინი ჯერ არ მისულან წმინდა შროვნებასა და ცოდნასთან თავის თავის შესახებ“. მამსადაძმე, მათ სამეტყველო სივრცეში არ მყოფობს ინდივიდუალ რეალობების თემა. ჰეგელის მიხედვით, გამოდის რა ინდივიდი ინდივიდის საპირისპიროდ „ისინი ერთმანეთისათვის არსებობენ ჩვეულებრივი საგნების წესში; ისინი ცნობიერების თვითმყოფი ფორმებია, სიცოცხლის არსში ჩანთქმული, ჩაძირული, ცნობიერებანი.“ მაგრამ თითოეული ინდივიდში, რომლებიც არსებობენ „ჩვეულებრივი საგნების წესში“, ისინი, როგორც თვითცნობიერებანი დარწმუნებული არიან „თავის თავის და არ სხვის სიცხადე უტყუარობაში“. ამგვარად, ყოველი თვითცნობიერება ფიქრობს, რომ მას აქვს უპირატესობა მეორე „თვითცნობიერებაზე“. მამსადაძმე ინდივიდუალები ერთმანეთს უკვე თავიანთ თემატურ ჰორიზონტში განიხილავენ, როგორც ერთმანეთის უპირატესს, მაგრამ ეს უპირატესობის თემა მხოლოდ მათი საკუთრია. ეს უპირატესობის თემა იმით გამოიხატება, რომ „საგნის არსობა, ბუნებრივი უშუალო არსობა, ყოველთვის განპირობებულია სხვა არსობით, იგი არ მოიცავს დამოუკიდებლობას, „თავის თავის არსობას“. ე.ი. თავისუფლებას. ინდივიდი თავის უპირატესობას ხედავს იმაში, რომ სხვა თვითცნობიერება ცხოვრობს მთლიანად ბუნებრივი ცხოვრებით და რამდენადაც „საგნების წესში“, მამსადაძმე ის არ არის შებორკილი და ამდენად თავისუფალია. მაგრამ აქ წამოიწვევს თემა ინდივიდუალებს შორის და ერთმა ინდივიდმა უნდა აღიაროს უპირატესობა მეორეზე და საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ საქმით ის მაღლა დგას თავის უშუალო არსობაზე, ე.ი. „თავის თავი გვიჩვენოს თავის საგნობრივი წესის წმინდა ნეგაციალ“; იმას, რომ ის წარმოადგენს თავის თავის არსობას. თუმცა მის თემატურ ჰორიზონტში „საკუთარ ღირსსარწმუნოებას

ჯერ კიდევ არა აქვს ჭეშმარიტება. ინდივიდის წარმოდგენა თავისი „ღირსსარწმუნოების“ შესახებ მაშინ რეალიზდება, როცა ინდივიდს აღიარებს სხვა, როგორც თავის თავის არსობას. ეს აღიარება მხოლოდ ბრძოლის გზით არის შესაძლებელი. ყოველი ინდივიდი ცდილობს დაუმტკიცოს სხვა ინდივიდს თავის თავისუფლება. მამასადაძმე, ინდივიდების ურთიერთობის თემატური პორიზონტები ბრძოლის გადაწყვეტილებითაა გაშუალებული. თავისუფლების დამტკიცება შესაძლებელია სიკვდილის შიშის გადალახვით – თავისი თავის საფრთხეში ჩაგდებით. ინდივიდებმა უნდა დაამტკიცოს, რომ აღიარებისათვის ბრძოლაში მისთვის თავისი სიცოცხლე არარაულია „და მხოლოდ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით დამტკიცდება ის, რომ თვითცნობიერებისათვის არსება არაა არსი. არა ის უშალო წესი, თუ როგორ გამოდის იგი, არა მისი ჩაძირულობა სიცოცხლის გაშლილ სივრცეებში, არამედ ის, რომ მამში არაფერია ისეთი, რაც მისთვის გაქრობადი მომენტი არ იყოს; რომ იგი წმინდა თავის თავის არსია. ინდივიდი, რომელსაც სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაუგდია, არა გაუბედია რა, თუმცა კი შეიძლება „პიროვნებად“ აღიარო, მაგრამ მას ამ აღიარებულობის, როგორც თვითმყოფი ჭეშმარიტებისათვის, არ მიუღწევია. ასევე თითოეული „სხვის“ სასიკვდილოდ მიდის იმდენად, რამდენადაც იგი საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს, რადგანაც სხვას მისთვის არ აქვს იმაზე მეტი ძალა და მნიშვნელობა, ვიდრე თვით მას; მისი არსება მას წარმოუღებია, როგორც რომელიღაც „სხვს“. იგი თავის თავის გარეთ არის და უნდა მოხსნას თავისი თავის გარეთ ყოფნა“. მამასადაძმე ინდივიდმა აღიარებისათვის უნდა სძლიოს თავის თავს და იგი უნდა გათავისუფლდეს სიკვდილის შიშის კოდისაგან, რომელიც მას ბუნებრივად აქვს. ე.ი მან იგნორირება უნდა მოახდინოს თავის თავისათვის სიკვდილის თემის პორიზონტისა და უნდა გადაანაცვლოს ის არათემატურ პორიზონტში. სიკვდილის თემის ობიექტი მისთვის მხოლოდ სხვაა.

ინდივიდებს შორის ბრძოლაში ყალიბდება გამოცდილება და „ამ გამოცდილებაში თვითცნობიერებისათვის ცხადი ხდება, რომ

სიცოცხლე მისთვის ისევე არსებითია, როგორც წმინდა თვითცნობიერება. თვითცნობიერებისათვის ამ გამოცდილებაში ნათელია, რომ საკუთარი აღიარებისათვის საჭიროა სხვისი სიცოცხლის შენარჩუნება. ამგვარად, ინდივიდმა რომ მოიპოვოს აღიარება, საჭიროა სიცოცხლე კი არ წაართვას მეორე ინდივიდს, არამედ — თავისუფლება, ე.ი ერთი ინდივიდი ყველაფერზე მალა აყენებს თავისუფლებას — მისთვის სიცოცხლე არარაულია, ხოლო მეორე სიკვდილის შიშის გამო ცდილობს შეინარჩუნოს სიცოცხლე. ეს ორი ინდივიდი გამოდის, როგორც ცნობიერების ორი დაპირისპირებული ფორმა — „ერთის სახეა თვითმყოფი ცნობიერება, რომლისთვისაც თავის თავის არსი არსებაა, მეორე სხვათა არათვითმყოფი ცნობიერებაა, რომლისთვისაც არსება სიცოცხლეა, ანუ ყოფნა სხვისთვის; პირველია ბატონი, მეორე — ყმა“. „სამკვდრო-სამიცოცხლო ბრძოლა ინდივიდების შორის ახალი ურთიერთობით იცვლება, სადაც ბატონი გამოდის, როგორც „თავისთვის მყოფი ცნობიერება, მაგრამ უკვე არა მისი (ცნობიერების) მხოლოდ ცნება, არამედ თავისთვის მყოფი ცნობიერება, რომელიც თავს თავთან გაშუალებულია სხვა ცნობიერებით, სახელდობრ, ისეთი ცნობიერებით, რომლის არსებასაც ეკუთვნის ის, რომ იგი სინთეზირებულია თვითმყოფობასთან ანუ ნივთობასთან“. ხოლო მონა წარმოდგება, როგორც სხვისთვის ყოფნა, მისი მეობა ბატონის „მე“-ში არის გათქვეფილი, ბატონი მას განიბილავს არა როგორც თავის თავისათვის არსებულ ცნობიერებას, არამედ, როგორც ნივთს. ამიტომ დამოკიდებულება ასეთ ორ ინდივიდს შორის არის ბატონისა და მონის დამოკიდებულება. „ბატონს მიმართება აქვს მონასთან შუალობითი თვითმყოფი არსის საშუალებით, რადგან სწორედ ამით ინარჩუნებს ის ყმას, ეს მისი ჯაჭვია, რისგანაც მან კერ შეძლო ბრძოლაში განყენება, აბსტრაქცირება და ამიტომ აღმოჩნდა, რომ, რაკი არათვითმყოფია, თავისი თვითმყოფობა აქვს ნივთობაში. ბატონმა თავისი ბრძოლით დაადასტურა, რომ მისთვის საგნობრივი ყოფიერება არარაულია, მან შეძლო ამ ბრძოლაში საგნობრივი არსებულობისაგან გათავისუფლება, ე.ი. საგნობრიობაზე მალა დადგა. საგნობრიობას ბატონი მისჩერებია, როგორც მფლობელი,

იგი დამოუკიდებელია საგნებისაგან. გადაწყვეტს რა მონა თავის სიცოცხლე შეინარჩუნოს, მან უარი უნდა თქვას თავის თავისუფლებებზე და ასე იგი იძულებულია „საგნობრივ წესში“ დარჩეს, ანუ იყოს ნივთისმაგვარი. მონა დაუმორჩილდა საგნობრივ ყოფიერებას და ამიტომაც საგანი ბატონობს მონაზე. მონისათვის სიცოცხლე უფრო არსობრივია. სიკვდილისადმი შიში აიძულებს მას იყოს მონა. მონის ცნობიერებას შიში ჰქონდა არა ამა თუ იმ საბაბით, ან ამა თუ იმ წუთის გამო, არამედ მთელი თავის არსების გამო, რადგან იგი გრძნობდა სიკვდილს, აბსოლუტური ბატონის შიშს. ის მასში შინაგანად გაიხსნა, თავის თავში მთლიანად ათრთოლდა და ყოველივე მყარი მასში შეირყა. სწორედ ამიტომ იქცა მონა მონად. სიკვდილისადმი შიშმა აიძულა მონა თავის თავისუფლება უარეყო და ბატონის მსახური გამხდარიყო. „ამგვარად მიიღება ასეთი დამოკიდებულება – ბატონი მფლობელობს საგანს, საგანი კი მფლობელობს მონას“.

ბატონს სურს დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი. მას ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი საგნები ვერ დააკმაყოფილებს, იგი აიძულებს მონას დაამუშაოს ეს საგნები, რადგან ისინი სასარგებლო გახდეს. აქ უკვე ბატონს ნივთთან მხოლოდ მონის საშუალებით აქვს კავშირი. მონა გადამუშავებული სახით მიართმევს ნივთს ბატონს. ბატონი კი მონის საშუალებით დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგანაც ის არაფერს არ ქმნის, ის მხოლოდ მბძანებლობს და მოიხმარს.

ბატონის ტექსტი ბრძანების გაცემისას თემატურია. ბრძანების სახით იგი იძლევა თემას საგნებთან მიმართებაში. მონისადმი მიმართების კონტექსტი ბატონის სამეტყველო სივრცეში ალბათ ყოველთვის გულისხმობს ქვედაბალი სიტყვიერების პრაქტიკას. ბატონი ბრძანების გაცემით არა მარტო თემას იძლევა საგნებთან მიმართებაში, არამედ ამ ბრძანებაში იგულისხმება სიკვდილის კოდის არათემატური ჰორიზონტი. მონა, როგორც საგნობრივ მდგომარეობასთან იდენტიფიცირებული, ყოველთვის გულისხმობს ბატონის მიერ განხორციელებულ სასიკვდილო პრაქტიკას. ბრძანების შესრულება მონის მიერ ბატონის სამეტყველო

პრაქტიკის არათემატურ კორიზონტს გულისხმობს. მისი რეალიზაციის კონტექსტში ეს არათემატიზმები მუდმივად მყოფობს ბატონის ნების უცილობელი შესრულების სახით. ხოლო მონის თემატურ კორიზონტში მუდმივად მყოფობს სიკვდილის შიშის არათემატური კორიზონტი. მონა ბრძანებს შესრულებით ადამტურებს სიკვდილისათვის მზაობის არყოფნას. მონისათვის ნებისმიერი ბრძანების შესრულება სიკვდილის შიშის თემატიზაციას უკავშირდება. ბატონის ბრძანების სპარსი კი მის რადიკალიზაციაში ყოველთვის გულისხმობს სიცოცხლის განადგურების თემას.

მონის „სიკვდილისადმი შიშში“ უკვე ჩადებულია თავისუფლების მომენტი. მაგრამ მონის სიკვდილისადმი შიში არ არის საკმარისი, რომ მონა საგნებს არსებობის წესიდან გათავისუფლდეს. ეს გათავისუფლება ხდება შრომის პროცესში: „თუმცა ბატონისადმი შიში სიბრძნის დასაწყისია, ცნობიერება მასში მაინც არ არის თვით მისთვის თავის თავის არსი. მაგრამ შრომის წყალობით ის მიდის თავის თავთან. ბატონი მხოლოდ მოხმარს, დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, „ხოლო ეს დაკმაყოფილება მხოლოდ გაქრობაა“, ანუ ნივთის შიშველი უარყოფა. მონის შრომა კი პირიქით „დაძუნბრუჭებული გულისთქმაა, შეკავებული გაქრობა, ანუ იგი ქმნის.“ მუშაობს რა მონა ბატონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იგი უშუალო ურთიერთობაშია საგანთან. შრომის პროცესში ხდება მისი გათავისუფლება საგნობრიობის ბატონობისაგან. „მომუშავე ცნობიერება ამ გზით მიდის თვითმყოფი არსის, როგორც თავის თავის, განჭვრეტამდე“. შრომის პროცესში მონა საგნობრიობაზე მალლა დგება. იგი უკვე საგნობრივ ყოფიერებას კი არ ემორჩილება, არამედ საგნობრივი ყოფიერება ემორჩილება მას; და ამ „ქმნაში“ (შრომაში) თავის თავისთვის ყოფნა მისთვის იქცევა მის საკუთრებად და მივა იმის გაცნობიერებამდე, იმის შეგნებამდე, რომ თვითონ არის თავისთავად და თავისთავი“. შრომის პროცესში მონა შეიცნობს ნივთებს და ბუნება მისთვის აღარ წარმოადგენს დაპირისპირებულ არსს.“ შრომის პროცესში მონა იცვლის შეხედულებებს არა მარტო ბუნების შესახებ, არამედ თავის თავის შესახებაც. მონა მიდის იმ დასკვნამდე, რომ თვითმყოფი ჭეშმარიტების ცნობიერება... მონური

ცნობიერებაა. მონას უკვე საკუთარი თვალსაზრისი გააჩნია, მაგრამ „საკუთარი ზრი ვერ კიდევ თავისუფლების შესახებ საკუთარ სიკერაქს წარმოადგენს, რომელიც ყმობის შიგნით რჩება“.

მაშასადამე, ბატონისათვის საგანთან მიერთების თემა აქტუალურია მანამდე, ვიდრე ის მას მოიხმარს, მონა კი საგნის დამზადებით „სიკვდილის შიშის“ კოდის არათემატური პორიზონტის ნეგაციას ახდენს. მონამ უკვე იცის, რომ საგნის დამზადების ანუ შრომის თემის მიმცემი ბატონი მხოლოდ მომხმარებელია. მისთვის საგნის დამზადების თემა მოხმარებაში თავდება, მონა კი სწვდება საგნის არსს, იცის მისი გარდაქმნა სასარგებლო პროდუქტად, მაგრამ იგი მას ვერ მოიხმარს. საგანთან მას სიკვდილის შიშის არათემატური პორიზონტი აკავშირებს. ბატონისათვის კი პირიქით სიკვდილის შიშის თემატიზმი არ არსებობს, იგი თვითონ წარმოადგენს ამ უკანასკნელის თემატიზაციის არსს.

გ.ვ.ფ.ჰეგელის მიერ აღწერილი მონის დამოუკიდებლობა მსოფლმხედველობრივი ფორმების სახით წარმოდგება სტოიციზმში, სკეპტიციზმში და ქრისტიანობაში („გონის ფენომენოლოგიაში“ ეს უკანასკნელი „უბედური ცნობიერების სახით ვლინდება“).

გ.ვ.ფ.ჰეგელის ზრით, ისეთი ცნობიერება, რომელიც თვითონ განჭვრეტს სამყაროს, აღარ არის მონური ცნობიერება. ასეთი ცნობიერება სტოიკური ცნობიერებაა. სტოიკური ცნობიერება თავისუფალია შინაგანი მონობისაგან. „მაგრამ სტოიციზმი ისეთი თავისუფლებაა, რომელიც ყოველთვის უშუალოდ მისგან გამოდის და ზრის წმინდა ზოგადობას უბრუნდება“, ე.ი. სტოიციზმის თავისუფლებას განიხილავს მის აბსტრაქტულ ფორმში, რომელიც მონობის ფარგლებს შიგნითაა.“ სტოიკურ ცნობიერებას ნეგატიური დამოკიდებულება აქვს სინამდვილის მიმართ. ამიტომ იგი ვერ ძლევს სინამდვილეს და გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება: „როდესაც მის წინაშე დაისვა საკითხი, როგორიც იყო გამოთქმა, საერთოდ ჭეშმარიტების კრიტერიუმზე, ე.ი. საკუთრივ თვით ზრის შინაარსის შესახებ; როდესაც მას ეკითხებოდნენ, თუ რა არის კარგი და ჭეშმარიტი, ის პასუხად ისევე უშინაარსო ზრონებას ასახელებს: გონიერებაში უნდა იყოსო ჭეშმარიტი და კეთილი“. სტოიკური ცნობიერება გამოთავისუფლებულია საგნების

არსებობის წესიდან და თავის თავს განიხილავს აბსტრაქტულად თავისუფალს. თუმცა ეს აბსტრაქტული თავისუფლება, რომელიც მან მოიპოვა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მან თავი დააღწია სიკვდილის შიშის კოდს. იგი უბრალოდ სიკვდილსაც სტოიკურად მისჩერებია. სიკვდილის შიშის კოდის მატარებელი ბატონის არსობრივი გამოხატულება მისთვის აღარ არსებობს. ბატონის მბრძანებლობა მისთვის სტოიკური განხილვის ობიექტს წარმოადგენს. ბატონის მიერ განხორციელებული სასიკვდილო პრაქტიკა მისთვის ცნობილია: მას შეუძლია მოკვდეს და ამასაც სტოიკურად შეხედოს. მან იცის, რომ ის მოზროვნეა და ამით აქვს დადამტურებული თავისი თავისუფლება. სტოიკურ ცნობიერებას თავისუფლება გაცნობიერებული აქვს, მაგრამ გაცნობიერებული არ აქვს სიცოცხლის საზრისის პირველადობა.

მონური ცნობიერების სკეპტიციზმი იმის რეალიზაციაა, რის შესახებაც სკეპტიციზმი მხოლოდ ცნებაა — და ნამდვილი გამოცდილება იმისა, რა არის ზრის თავისუფლება: ის არის თავისთავად ნეგატიური და ასეც უნდა წარმოადგინოს თავის თავი. სკეპტიციზმი ყველაფერს ეჭვის თვალით მისჩერებია და უარყოფს ყველაფერს. სტოიკურ ცნობიერებას თავის თავი აბსტრაქტულად ქონდა გაგებული, სკეპტიკური ცნობიერება კი თავისი თავის უტყუარობაში აბსოლუტურად დარწმუნებულია. სკეპტიკური ცნობიერება წინააღმდეგობაში ვარდება, რასაც უარყოფს ფაქტობრივად, იმას ეყრდნობა, რის წარმოთქვამს სმენის, ხედვის და ასე შემდეგ არარსობას და თავად ხედავს და ისმენს და. ა. შ. იგი წარმოთქვამს ზნეობრივ არსობათა არარსობას და ამავე დროს ის თვითონვე აქცევს მათ თავის ქცევის ძირითად ძალებად. მისი საქმე და სიტყვები მუდამ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სკეპტიკური ცნობიერება სიკვდილის შიშის კოდის იგნორირებას ახდენს. თუმცა იცის, რომ სიცოცხლე პირველადია, ამიტომაც სიცოცხლისეული იმპულსების იგნორირებით ცდილობს სიკვდილის შიშის თემის იგნორირებას.

ამგვარად, წარმოიშობა გაორებული ცნობიერება, სკეპტიციზმში ცნობიერება თავის თავს ნამდვილად გამოცდის, როგორც თავის თავში წინააღმდეგობრივ ცნობიერებას; ამ გამოცდილებიდან

წარმოდგება ახალი ფორმა, რომელიც თავს უყრის და აბამებს ამ ორ შრს, სკეპტიციზმი კი ერთმანეთთან არ მთარეგებს'. ცნობიერების ეს ახალი ფორმა „უბედური ცნობიერებაა“. უბედურ ცნობიერებას გაცნობიერებული აქვს თავის გაორება და ამიტომ არის უბედური. „უბედური“ ცნობიერება ერთი ცნობიერების გაორებაა, რომელიც ორი დაპირისპირებული სინამდვილის სახით წარმოდგება, ესენია ცვალებადი ცნობიერება და უცვალებელი ფორმა. ცვალებადი ცნობიერება ანუ ცვალებადი სინამდვილე ის სფეროა, რომელშიც ინდივიდი მყოფობს. ამავე დროს ცვალებადი ცნობიერება ადამიანური ცნობიერებაც არის. ხოლო უცვალებელს ფორმა ეს არის ღვთაებრივი ცნობიერება. ეს ორი დაპირისპირებული სინამდვილე ერთი ცნობიერების გახლეჩას წარმოადგენს. „უბედური ცნობიერება“ ცდილობს ამ ერთობის აღდგენას, ეს აღდგენა მხოლოდ მაშინ მოხდება, ანუ მისი ჭეშმარიტი დაბრუნება თვით თავის თავში, ანუ თავის თავთან. მისი შერიგება წარმოადგენს ცოცხალქმილი და არსებობაში შესული გონის ცნებას. „უბედურმა ცნობიერებამ იცის, რომ „სიკვდილის შიშის“ კოდისაგან უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ იგი არ არის თავისუფალი ამ კოდისაგან. მან იცის, რომ სიცოცხლე პირველადია მაგრამ შეუძლია ეს სიცოცხლე თვითონვე გაანადგუროს. იგი თავის თავში ატარებს სიცოცხლის პირველადობისა და სიკვდილის შიშის კოდს. ქრისტიანობა ათავისუფლებს კაცობრიობას მიღმურ სამყაროში ხსნის იდეით. იგი ქადაგებს, რომ ყველა ადამიანი არის მონა ღვთისა და უფალს სურს, რომ ყველა ადამიანი იხსნას; ყველა ადამიანი უფლის წინაშე თანასწორია. ადამიანი მხოლოდ მის წინაშეა პასუხისმგებელი. ადამიანი არა კონკრეტული ბატონის წინაშეა პასუხისმგებელი, რომელიც სიკვდილის შიშის კოდით იყო დადასტურებული, არამედ უფლის წინაშე. თუმცა კაცობრიობა არ არის გათავისუფლებული სიკვდილის შიშის კოდის თემატური საზრისისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძალაუფლების რეალიზაციის საშუალებას.

ბ.კ.ფ.ჰეგელის ფუნდამენტური იგავის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი ძალაუფლების რეალიზების თემატური საწყისი „სიკვდილის შიშის კოდის“ პირველად საწყისში დევს,

რომელმაც წარმოშვა ხელისუფლების პირველი ფორმა. თუ ამ მხრივ ბრძანებაში შიშის თემის რადიკალიზაციას მოვასწავნებთ, მისი ფინალური საზრისი „სიკვდილისადმი შიშია“.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორია თავის ფარულ ჰორიზონტში მიცემული ბრძანების თემატიზებას შიშის რადიკალიზაციის გზით ცდილობს. მხოლოდ შიშის თემატიზების საფუძველზე პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ეგზისტენციალური ინფორმაცია ამოქმედდება, როგორც ბრძანება მოქმედებისაკენ. სხვისი მხრიდან განადგურების თემის შიშით შეპყრობილი ადამიანი იმისათვის, რომ ნეგაცია მოახდინოს თავის განადგურების თემისა, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მოცემულ ეგზისტენციალურ ინფორმაციებს ბრძანების საბით დებულობს, რომელსაც თავის თემატიზში კვლავ სხვისი იგნორირება ან განადგურება აქვს.

ღია ინდივიდების საზოგადოება ინფორმაციის ღიაობასაც მოითხოვს. ინდივიდებისათვის ნებისმიერი ინფორმაციის გაცემა ნიშნავს მათთან ნლობაში შესვლას. ამგვარი ტიპის ინფორმაციაც ეგზისტენციალურია, რადგანაც მეორე მხარეს მდგომი ინდივიდის ღიაობასა და ნლობას გულისხმობს. ინფორმაცია, რომელიც ბრძანების თემატურ საზრისს არღვევს, სიკვდილის შიშის თემატური საზრისიდან ვასვლის დემონსტრირებას ახდენს. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის თემატურ დისკურსში კი ნებისმიერი ანეკლოტი, სახუმარო სიტუაცია, საიდუმლოვს გაცემას წარმოადგენს. „საიდუმლოვს“ გამცემი ერთი ინდივიდუმი მეორესთან კი ღიაობას მოითხოვს. ამგვარი ინფორმაციის გადაცემა დახურულ პოლიტიკურ დისკურსში ყოველთვის არის დაკავშირებული რისკთან, რადგანაც იგი ბრძანებაში მოცემული შიშის კოდის იგნორირებას ახდენს და ამით იგი თვით დგება „იგნორირების“ ან „განადგურების“ საშიშროების ქვეშ.

კითხვები

1. როგორ ყალიბდება პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ეგზისტენციალური ინფორმაციები?
2. როგორ ყალიბდება პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსი?

3. როგორ ყალიბდება პოლიტიკური მეტყველების სივრცე?
4. როგორ ყალიბდება პოლიტიკური მეტყველების რეპრესიული ცნებები?
5. რას გულისხმობს „ბრძანების გაცემის“ არათემატური პორიზონტი?

ქირიოალი ცნებები

ეგ ზისტენციალური ინფორმაცია – დეკონცენტრირებული ფინალობა – პოლიტიკური დისკურსი – რეპრესიული ცნებები – კონტექსტურად გაფართოებული კოდები – კონტექსტურად შეზღუდული კოდები – ბრძანება – სიკვდილის შიში, როგორც ხელისუფლების განხორციელების კოდი

დაპატენტებული ლიტერატურა

1. ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია: გონის ფილოსოფია, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.
2. გივი მარგველაშვილი, ფინალობის პრობლემა ნიკოლაი ჰარტმანისა და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიაში, თბილისი, „მეცნიერება“, 1983.
3. დომენიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია, თბილისი, „სმარტი“. 1999.
4. Ален Турен, Возвращение человека действующего, Научный мир, Москва, 1998.
5. Pierre Bourdieu, Language and Symbolic Power, Cambridge: Polity Press, 1991.
6. Niklas Luhman, Essays on self-reference. Columbia University Press.1990.
7. Niklas Luhman, Trust and Power, Jon Wiley and Sons, 1990.
8. Jurgen Habermas, Postmetaphysical Thinking, Blakwell Publishers, Oxford, 1998.
9. Jurgen Habermas, The Theory of communicative action, vol. 1: Reason and Rationalization of Society. London: Heineman, 1984.
10. Language and Social Context, Ed. By Pier Paolo Giglioli, Penguin, New-York, 1972.

თ ა გ ი IV

XX საუკუნის ძირითადი პოლიტიკური დისკურსები

ამჟამად გვინდა შევეხოთ XX საუკუნის ძირითად პოლიტიკურ დისკურსებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს XX ს-ის პოლიტიკურ პროცესებზე და, უმეტესწილად განსაზღვრავდა ამ პოლიტიკური პროცესების რეალებს. ეს პოლიტიკური დისკურსები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიიდან იღებს სათავეს. ამ თეორიების რეპრესიულობის ხარისხი სხვადასხვაგვარია, თუმცა ყოველი მათგანი ატარებს ეგზისტენციალური ინფორმაციის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების რეალობის კონტექსტს გულისხმობს.

საერთოდ, ძალზე ძნელია განისაზღვროს, რამდენად რეპრესიულია ყოველი პოლიტიკური დისკურსი. ჩვენი აზრით, პოლიტიკური დისკურსის რეპრესიულობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით მოიხსენიება მათში სიკვდილის თემა. სიკვდილთან ყოფნის თემატიკის ხარისხით განესაზღვრავთ მათი რეპრესიულობის ხარისხსაც. ასეთი აზრით ჩვენ მოვახდენთ ამ თეორიების ძირითადი თემატიკებისა და ეგზისტენციალური ინფორმაციების ანალიზს.

ჩვენ მიერ განსახილველი პოლიტიკური დისკურსები ერთმანეთთან დაპირისპირებით მოიხარება. ყოველი ამ დისკურსთაგანი გულისხმობს ერთიმეორეს, როგორც განხილვის ობიექტს. ყოველი მათგანის ეგზისტენციალური ინფორმაცია ერთიმეორეს საწინააღმდეგოდ არის მიმართული: ლიბერალიზმი — კონსერვატიზმის, კომუნიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ; კონსერვატიზმი — ლიბერალიზმის და კომუნიზმის წინააღმდეგ; კომუნიზმი — ლიბერალიზმის,

კონსერვატიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ; ნაციონალიზმი — ლიბერალიზმის, კონსერვატიზმის და კომუნიზმის წინააღმდეგ. ყოველი ამ დისკურსთაგანი ატარებდა ეგზისტენციალურ ინფორმაციას, რომელიც თავისთავს მხსნელად აცხადებს ერთმეორესთან მიმართებაში. ამ პოლიტიკურ დისკურსთა მოგადობილი წრე აყალიბებს საერთო პოლიტიკურ თემატურ ველს, რომელთა ურთიერთსაწინააღმდეგო რეფერენციები ცალკეული თეორიულ-პოლიტიკური დისკურსის ჩაკეტილ სისტემებს წარმოქმნის. ეს დისკურსები არა მარტო არ ცნობენ ერთმანეთს, არამედ ურთიერთმტრულიც არიან.

რით არის განპირობებული ეს არცნობა? ჩვენი აზრით, ამას განაპირობებს ამ თეორიული დისკურსების უნივერსალისტური მოთხოვნილებანი პოლიტიკური პროცესების მიმართ. რეალური პოლიტიკური პრინციპები ამ თეორიებში იმდენად აისახება, რამდენადაც თავიანთ უნივერსალურ პრინციპებთან მოდიან თანხმობაში. ეს უნივერსალისტური აზროვნების წესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. იგი გამოიხატება იმით, რომ მოვლენები და სამყარო აზროვნების განზოგადებულ აბსტრაქტულ წესებს ექვემდებარება.

მაშასადამე, ჩვენ გამოვყავით ორი პოზიცია, რომელიც ორი პრინციპის ირგვლივ კონცენტრირდება. პოლიტიკურ დისკურსებში სიკვდილთან ყოფნის თემა და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების უნივერსალისტური მოთხოვნილებანი რეალური პოლიტიკური პროცესების მიმართ.

§1. ლიბერალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური ინფორმაცია

ლიბერალიზმის (ლათ. *liberalis* — თავისუფლება) პოლიტიკურ-თეორიული დისკურსის წარმმართველია ეგზისტენციალური ინფორმაცია, რომ აღამიანი იმთავითვე თავისუფალია. ლიბერალურ-პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსიც ამ ეგზისტენციალური ინფორმაციის

ირგვლივ კონცენტრირდება. ეგზისტენციალური ინფორმაციის ეს ტიპი აყალიბებს მაროვნების მოქმედებისა და განწყობილების სახეობას, რომლისთვისაც დამსასიათებელია დამოუკიდებლობა ტრადიციებთან, ჩვევებთან და დოგმებთან მიმართებაში; და სწრაფვა იმისაკენ, რომ ინდივიდუალმა აქტიური თვითგანსაზღვრა მოახდინოს სამყაროში. როგორც თეორიული მოძღვრება, იგი წარმოადგება იდეურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრამათა ერთობლიობის სახით, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი და სახელმწიფო იძულების სხვადასხვა ფორმების ლიკვიდაციას ან გაუქმებას. ყველა ეს იდეა სათავეს იღებს XVII-XVIII ს.ს. ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციიდან, რომელმაც შემდგომში მთელს ევროპაში პოვა გავრცელება. მსოფლმშენებლობრივი თვალსაზრისით, ლიბერალიზმი გულისხმობს თავისუფლებას ჯგუფური, კლასობრივი, ნაციონალური და ა.შ. ცრურწმენებისაგან და წინა პლანზე გამოაყვას კოსმოპოლიტიზმის, შემწყნარებლობის, ჰუმანიზმის, ინდივიდუალიზმის, დემოკრატიზმისა და პიროვნების მიერ თვითშეწყალების კრიტერიუმი. პოლიტიკურ სფეროში ლიბერალიზმი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს, ხელისუფლების დანაწევრების პრინციპს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება; თავისუფალი არჩევანის პრინციპს და კონკურენციის თავისუფლებას.

პოლიტიკური ლიბერალიზმი ეფუძნება განმანათლებლობის ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებებს (საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას და თანდაყოლილი ადამიანური უფლებების იდეებს). ლიბერალიზმმა აითვისა და თავის ძირითად პოზიციად აქცია ი.კანტისეული პიროვნების ზნეობრივი თავისუფლების იდეა, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვა ადამიანთა ძალადობაზე და, იმავდროულად, ატარებს მორალური პასუხისმგებლობის ტვირთს. ამიტომაც ინდივიდების თავისუფლება და მათი სოციალური პასუხისმგებლობა ერთმანეთისაგან განუყრელია. ინდივიდუალის ამგვარ გაგებას შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს. ეკონომიკურ სფეროში ლიბერალიზმი მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან რეგლამენტაციებისა და შეზღუდვების გაუქმებას — სივრცეს კერძო ინიციატივების

განვითარებისათვის – და კერძო მეწარმეობისათვის მაქსიმალურად თავისუფალი პირობების უზრუნველყოფას. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები ყველაზე სრულყოფილად კლასიკური ლიბერალიზმის მოძღვრებებშია გადმოცემული. ეს უკანასკნელი ეყრდნობა ინოუტონის მოძღვრებას, რომ ინდივიდუალთა, როგორც თავისუფალი საზოგადოებრივი ატომების, თავისუფალ ურთიერთქმედებას აუცილებლად მივყავართ საზოგადოების რაღაც გაწონასწორებულ მდგომარეობამდე, რომელიც, საბოლოო ჯამში, სმარტებლოა ყველასათვის (ა.სმიტი). ლიბერალური პოლიტიკური თეორიის დისკურსმა (ჩამოყალიბებული იყო ი.პენტამის, ჯ.სმილისა და პ.სპენსერის შრომებში) იმთავითვე აჩვენა შეუთავსებლობა კონსერვატიზმის იდეებთან, რომელიც ხმას უსვამდა ინდივიდუალური ღირებულებების „საერთო“ ხმაიათს. და ტრადიციულად ჩამოყალიბებული „ორგანულად გზადილ“ სიცოცხლის ფორმების პირველადობას, ხოლო ეკონომიკურ მიმართებაში – პატრემონიალური სახელმწიფოს იდეასთან, რომელიც ვარაუდობდა სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალიზაციას (თ.პ.გრინი, ბ.ბოუსენტი). ლიბერალიზმის განვითარებამ შექმნა ნეოლიბერალური დოქტრინა, რომელიც ინარჩუნებს დემოკრატიის, თავისუფალი კონკურენციის, კერძო მეწარმეობის იდეებისადმი ერთგულებას, თუმცა ვარაუდობენ, რომ შეუძლებელია წარმატების ავტომატურად მიღწევა. ამიტომ მოითხოვენ სახელმწიფოს მუდმივ ჩარევას, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მათი რეალიზაციისათვის. დაბოლოს მათ გაიზიარეს ის პატერნალისტური მისწრაფებანი, რომლებსაც კონსერვატორები იცავდნენ.

თანამედროვე სოციალურ ფილოსოფიაში ლიბერალიზმის პრინციპები გამოხატულია კარლ პოპერის და ალბერტის კონცეფციებში. თეორიული მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მათთვის დამახასიათებელია რაციონალიზმი, ინდივიდუალიზმი და ევოლუციონიზმი. პოლიტიკური თვალსაზრისით კი – ანტიტოტალიტარიზმი და ანტიეტატიზმი. აქედან გამომდინარე, ამ თეორიული დისკურსისათვის დამახასიათებელია ანტიფაშისტური, ანტიკომუნისტური და ანტიტოტალიტარული მისწრაფებანი.

ამგვარად, ლიბერალური დისკურსის ნებისმიერი თეორიული განზოგადება დატვირთულია ეგზისტენციალური ინფორმაციით,

რომელიც ადამიანის თავისუფლების თემატიზების ირგვლივ ქმნის თეორიულ კონსტრუქტებს. ლიბერალური თეორიული დისკურსი ინდივიდუალური თავისუფლების ეგზისტენციალურ ველში ქმნიდა და ქმნის ძალზე აბსტრაქტულ თეორიულ განსაზღვრებებს, რომლებშიც ინდივიდუალური თავისუფლება თვითრეფერენციალურია და მხოლოდ მის თეორიულ ველში მოიპოვება აბსოლუტურად თავისუფალი ინდივიდები. ნებისმიერი ინსტიტუტაცია, რომელიც შესაბამისი არ არის ლიბერალიზმის მიერ თავისუფლების გაგების თეორიულ კონსტრუქციებთან, იგნორირდება. ამიტომაც, მიუხედავად ლიბერალიზმის დისკურსის ტოლერანტულობისა, ის მაინც ატარებს რეპრესიის გარკვეულ ნიშნებს სოციალური გარემოსადმი, კერძოდ, ეს ვლინდება კონსერვატორულ დისკურსთან, ტრადიციებთან და ტრადიციულ ერთობებთან მიმართებაში. ლიბერალიზმი, თავისი აბსტრაქტული კონსტრუქციების გამო, თავისივე თეორიულ ველში იკეტება და თავისივე კოდიფიკაციების საფუძველზე ცნობს არსებულ რეალობას. ძირითადში, ეს განპირობებულია იმ უნივერსალისტური მიდგომების გამო, საიდანაც მისი თეორიული დისკურსი იღებს სათავეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შიშისა და სიკვდილის თემატიზაციის პრობლემა ლიბერალიზმში თითქმის არ არსებობს. მისი არც ერთი ინფორმაცია არ არის მიმართული საკუთარი თავის ან სხვისი განადგურებისაკენ.

§2. კონსერვატიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური ინფორმაცია

კონსერვატიზმის (ლათ. conservare — შენახვა შენარჩუნება) პოლიტიკური ხელისუფლების წარმმართველი ეგზისტენციალური ინფორმაციაა არსებული მდგომარეობის შეცვლის საფრთხე, რომელიც ანგრევს ადამიანთა ტრადიციული ყოფნის წესს. აქედან გამომდინარე, კონსერვატიული დისკურსი აყალიბებს ხელისუფლების პოლიტიკურ თეორიას, რომელიც ორიენტირებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფო და სწოვადო

ცხოვრების შენარჩუნებაზე. უპირველეს ყოვლისა, აქცენტირებულია მისი მორალური სამართლებრივი საფუძვლების შენარჩუნებაზე, რომელიც განსაზღვრებულია ეროვნულობით, რელიგიით, ქარწინებით და საკუთრებით.

კონსერვატიული მსოფლმხედველობა გამოდიოდა განმანათლებლობის იდეის საწინააღმდეგოდ. კონსერვატორული ღირებულების თანაბმად, ნებისმიერი მმართველობა იმთავითვე დეფექტურია და აბსტრაქტული მოდელებით ოპერირება მორალურ ზნეობრივ სფეროში არა მარტო ანგრევს არსებული ცხოვრების წესს, არამედ – სოციალური ცხოვრების სტრუქტურასაც (ე.ბერკი). კონსერვატიზმი ტრადიციულად უპირისპირდება როგორც სოციალიზმს, ასევე ლიბერალიზმსაც. პირველს იგი უპირისპირდება რევოლუციური მისწრაფებების გამო, მეორეს კი – მისთვის დამახასიათებელი რაციონალური პათოსისათვის, რომელიც ბუნებრივად გადადის ტრადიციულად და ობიექტურად ჩამოყალიბებული ინსტიტუტების კრიტიკაში. ლიბერალიზმისა და სოციალიზმისაგან განსხვავებით, კონსერვატიზმს არ გააჩნია მდგრადი იდეური დისკურსი და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა ფორმებს იღებს. მრავალი ავტორის თვალსაზრისით (ე.ბერკი, ა.დე ტოკვილი, რ.ნისბეტი და სხვები), კონსერვატორულ განწყობილებებს კვებავენ ადამიანთა საერთო სულიერი განწყობილება, შეინარჩუნოს წარსული და სიფრთხილით მოეკიდოს ყოველგვარ ნოვაციებს. პოლიტიკურად კონსერვატიზმი განსხვავდება რეაქციონიზმისაგან. რეაქციონერი ცდილობს აღადგინოს წარსული, მაშინ როცა კონსერვატიზმი იღუწის, შეინარჩუნოს სტატუს კვო. თანამედროვეობაში კონსერვატორული განწყობილებანი გადაიზარდა ნეოკონსერვატორულ ტენდენციებში. განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა XX-ის 70-იანი წლებიდან. იგი წარმოადგენდა რეაქციას მემარცხენე რადიკალური მოძრაობის და მის საფუძველზე წარმოქმნილი ტერორისტული გამოზტომების მიმართ. იმავე დროს, მოხდა ლიბერალური ღირებულების საფუძველზე წარმოქმნილი საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსა და სიუხვის სპოგადობის ოპტიმისტური სოციალურ-ფილოსოფიური კონცეფციების დისკრედიტაცია. ამ უკანასკნელთ ბრალად ედებოდათ აბსტრაქტული იდეებით გატაცება სოციალურ

და ეკონომიკურ სფეროში, რეგულირების შესაძლებლობათა ზედმეტად შეფასება, რომელიც წარმოშობდა დესტრუქციული ხასიათის გვერდით მოვლენებს და იწვევდა ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების ნგრევას. ნეოკონსერვატორები, ამოდიოდნენ რა კონსერვატიზმის ძირითადი წანამძღვრიდან, ადამიანის მიერ შექმნილი ინსტიტუტების არასრულყოფილების ძირითადი იდეიდან, თვლიდნენ, რომ სიღარიბე ტანჯვაა და იგი არის გარდაუვალი ბოროტება, რომელიც შეიძლება შემცირებული იქნეს. მათი მხრით, უნივერსალური პოლიტიკური ინსტიტუტები არ არსებობს, კარგია მხოლოდ ისინი, რომლებიც საზოგადოების განვითარების მოცემულ დონეს შეესაბამებიან. ისინი ღებულობენ თავისუფალ საბზრო პრინციპებს, როგორც ინდივიდუალური არსებობის ერთადერთ ლოგიკას, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკა და პოლიტიკური ხელისუფლება. შესაბამისად, სახელმწიფოსთან მათი მიმართება ორგვარია. ერთის მხრივ, ისინი მოითხოვენ სახელმწიფოს როლის შეზღუდვას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენადაც თვლიან, რომ არასრულყოფილი ადამიანური საზოგადოება იოლად შეიძლება მოხვდეს ძალაუფლების პათოლოგიური გამოვლინებების ქვეშ, ინარჩუნებენ ტრადიციულ პატერნალისტურ პრინციპებს და მოითხოვენ სახელმწიფოს ავტორიტეტის გაზრდას წესრიგისა და კანონიერების დაცვის საკითხში. აქედან გამომდინარე, ნეოკონსერვატორები უარყოფენ სტატუს-კვოს შენარჩუნების რეჟიმს, ძველი წესრიგის აღდგენას და ფეოდალური აგრარული წესრიგის დამყარებას. ნაცვლად ამისა, ისინი მხარს უჭერენ ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების იდეას, ემზრობიან სოციალური რეფორმების პოლიტიკას, თუმცა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეას შეცდომად მიიჩნევენ. ნეოკონსერვატორები ცდილობენ მოახდინონ კაპიტალიზმის კულტურულ-ფილოსოფიური დაკავშირება და ხაზს უსვამენ მის ეთიკურ ასპექტს. მათ აერთიანებთ მცდელობა, აღადგინონ ისეთი ინსტიტუტების ავტორიტეტი, როგორცაა ოჯახი, სკოლა, ეკლესია და სხვადასხვა ასოციაციები, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ ინდივიდისა და საზოგადოებას შორის. ეს სტრუქტურები, რომლებიც ადამიანს თავის კერძო

ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების სფეროსთან აკავშირებენ, აღკვეთენ მის გაუცხოებას და წარმოადგენენ პლურალისტური საზოგადოების საფუძველს და დემოკრატიის საიმედო ბარიერს, რომლის ტოტალიტარული საცეცები ინდივიდის უფლებებსაც სწვდებიან. ნეოკონსერვატიზმი არ იკეტება ტრადიციულ „მემარცხენე-მემარჯვენე დაპირისპირების სქემაში და ძირითად ამოცანად ისახავს „ერის კონსერვატორული უმრავლესობის ჩამოყალიბებას“ ყველა სოციალური ჯგუფიდან და პარტიის წარმომადგენლებიდან. ნეოკონსერვატორები ცდილობენ ეს უმრავლესობა დაუპირისპირონ თავიანთ „მოწინააღმდეგეებს“ – მემარცხენე ინტელიგენციას ანუ ახალ კლასს.

ისევე როგორც ლიბერალური დისკურსი, კონსერვატიზმის პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსიც იმავე გზით ცდილობს თავისი რეფერენციების ველის შექმნას. მაგრამ ამ შემთხვევაში მისი წარმმართველი ეგზისტენციალური ინფორმაცია პიროვნების თავისუფლებისა და საზოგადოების შესახებ სხვა წყაროდან იღებს სათავეს. კერძოდ, წარსულის გამოცდილებიდან. „ერძ“, „სამშობლო“, „საზოგადოება“, „ოჯახი“ და ა.შ. წარმოადგენს ინდივიდუალიზაციის და რაციონალიზაციის პირობას.

გვ. მარქსიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური ინფორმაცია

აქ არ შეუდგებით მარქსისტული ფილოსოფიის დაწვრილებით ანალიზს, რადგანაც ის ჩვენი ამოცანა არ არის. გვსურს გავამზავილოთ ყურადღება მარქსისტული ფილოსოფიის იმ მომენტებზე, რომლებშიც ამ თეორიის ეგზისტენციალური ინფორმაციები ვლინდება და რაც აყალიბებს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიულ დისკურსს.

მარქსისტული პოლიტიკური თეორიის თანახმად, ის წარმოიშვა XIX ს-ის შუა წლებში, „როცა უკვე დაისახა კაპიტალიზმის ისტორიული სწავლებები და ისტორიის ასპარეზზე მისი მომავალი

მესაფლავე - მუშათა კლასი გამოვიდა. იგი შეიქმნა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის (გ.ვ.ფ.ჰეგელი, ლ.ფოიერბახის) და ადამ სმიტისა და ლევიდ რიკარდოს პოლიტიკური ეკონომიის, კ.ა.სენ-სიმონის, შ.ფურიესა და დ.ოუენის უტოპიური სოციალიზმის მიღწევათა კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე. მარქსიზმის შინაგანად დამაკავშირებელი ნაწილებია: ფილოსოფია - დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი. მარქსისტული პოლიტიკური თეორია პრეტენზიას აცხადებდა, რომ მან არა მარტო მეცნიერულად ახსნა სამყარო, არამედ განსაზღვრა კიდევ მისი გარდაქმნის პირობები, გზები და საშუალებები. საზოგადოების ანალიზისას, მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების შედეგად, აღმოჩენილი იქნა მისი ურთიერთგანსაზღვრულობისა და განვითარების კანონები. საზოგადოება პირველად იქნა გაგებული, როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომლის სტრუქტურაშიც შეიძლება გამოიყოს საწარმოო ძალები, წარმოებითი ურთიერთობანი და საზოგადოებრივი ცხოვრების მათ მიერ განსაზღვრული სფეროები: სახელმწიფო პოლიტიკა და სამყარო, მორალი, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია. კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა შექმნეს მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც გამოამკარავა კაპიტალისტური ექსპლუატაციის ბუნება, დაასაბუთა კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალი ხასიათი და სოციალიზმზე გადასვლის აუცილებლობა. მარქსიზმმა აჩვენა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა ხორციელდება მუშათა კლასის ბრძოლის შედეგად, რომლის ისტორიული მისიაა პოლიტიკური ხელისუფლების რევოლუციური გზით მოპოვება. ამ უკანასკნელის მიზანია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა და კომუნისმის აშენება. მუშათა მოძრაობა იმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უერთდება სოციალისტურ თეორიას - მარქსიზმს. ამ შეერთებას ახორციელებს კომუნისტური პარტია - მუშათა კლასის ავანგარდი, მისი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მარქსისტული პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის „განვითარებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება ვ.ლენინს, რომელმაც შექმნა მოძღვრება იმპერიალიზმზე, როგორც კაპიტალიზმის უმაღლეს

და უკანასკნელ სტადიაზე⁵⁴. იგი იყო ამ თეორიისა და რევოლუციის განმხორციელებელი მისი სავალალო შედეგებითურთ.

ჩვენ მიერ მოყვანილი მარქსისტული პოლიტიკური ხელისუფლების ტექსტი დატვირთულია ეგზისტენციალური ინფორმაციით. ამ ინფორმაციის განმსზღვრელი არათემატიზმებია ის, რომ „მუშათა კლასია კაპიტალისტური სზოგადოების მომავალი მესაფლავე; რომ მხოლოდ იგი აზნის სამყაროს მეცნიერულად და მხოლოდ მას შეუძლია გარდაქმნას სამყარო“. „მუშათა კლასს აკისრია ისტორიული მისია – დაამზოს კაპიტალისტური წყობა და.შ. მოცემული ეგზისტენციალური შეტყობინებები აყალიბებს პოლიტიკური ხელისუფლების ფლობის დისკურსს. მოცემული დისკურსი უცხადებს ეგზისტენცებს, კერძოდ მუშათა კლასს, მისი ისტორიული მისიის შესახებ, რომ მხოლოდ მას შეუძლია გაიგოს და მიიღოს ამ ინფორმაციის ჭეშმარიტი სზრისი, რომ მუშათა კლასს არა აქვს ეროვნული ინტერესები, გარდა საკუთარი სოციალური ინტერესებისა.“

მარქსისტული პოლიტიკური თეორიის მსოფლმხედველობრივ-მეთოდოლოგიური პორძონტი ჩვეულებრივ უკაფშირდება კმარქსის „თეზის ფოიერბახის შესახებ: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადამზვა სზბით ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, როგორ შევკვალოთ იგი“. მარქსისტული პოლიტიკური თეორიის ცზოვრებასთან, პრაქტიკასთან ანუ სამყაროს შეცვლასთან კავშირი არ არის მარქსისტული ფილოსოფიის უნიკალური თვისება. ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლების თეორია და ფილოსოფია ყოველთვის ემსახურებოდა გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებს. ამა თუ იმ ხასიათის პრაქტიკული მიზანსწრაფვა დამახასიათებელია როგორც მარქსისტული, ასევე თანამედროვე ფილოსოფიისთვისაც. მარქსამდელ ფილოსოფიურ ტრადიციასაც არ აკლდა მცდელობები არა მარტო აეხსნათ სამყარო, არამედ შეეცვალათ ის. თუმცა ეს მცდელობები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. ასე იყო პლატონის შემთხვევაშიც, როცა მან 389 წ. ჩვ.წ. აღ-მდე სიცილიელ ტირან დიონისე უფროსს შესთავზა მისი ფილოსოფიური იდეების რეალიზაცია. როგორც ცნობილია, ყველაფერი ეს

⁵⁴ იხილეთ ფილოსოფიური ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987, გვ. 337.

პლატონისთვის კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა. ან თუნდ იეზუიტების მცდელობები რად ღირს და სხვა მრავალი.

მხოლოდ მარქსისტულ ფილოსოფიას უჩნდება პრეტენზია, რომ მრავალ მიმართებაში თეორიის სტიქიურმა ორიენტირებმა მიიღოს სპეციალური კონცეპტუალური გამოხატულება და გახდეს სამყაროს ახლებურად ხედვის მეთოდოლოგიური პრინციპი.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მხოლოდ სამყაროს საკმაოდ „სრულ და ღრმა ახსნამ“ აქვს მისი შეცვლის ან გარდაქმნის პრეტენზია: მაგრამ ისეთი ამხსნელი კრიტერიუმები არ არსებობს, რომელიც სამყაროს სრულყოფილ სურათს შექმნიდა.

თავისთავად მარქსისტული პოლიტიკური თეორიის მიერ შემოთავაზებული პრაქტიკა არაფერს არ აჩვენებს და არ ამტკიცებს მის მატერიალურ დროულ-სივრცობრივ ყოფიერებაში. ონტოლოგიურად იგი უტყვია ყოფიერება ანუ საგნობრივი რეალობა განმკვანებული ხდება მხოლოდ ადამიანის გაცნობიერების ან შემეცნების მეშვეობით. №44 წ. „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ კმარქსი მიუთითებს: „ის საშუალება, როგორც არსებობს ცნობიერება და რომ რაღაც არსებობს მისთვის, ეს წარმოადგენს ცოდნას“⁵⁵. აქედან გამომდინარე, თუ ჭეშმარიტების პრაქტიკულ კრიტერიუმებს შეუძლიათ რეალურად იმუშაონ მხოლოდ ადამიანურ ცნობიერებაში, მაშინ იგი მამში წარმოდგენილი უნდა იყოს გარკვეული ცოდნით, რომელსაც რაღაც პრაქტიკაც ასახავს. პრაქტიკის ჭეშმარიტების კრიტერიუმად გაგება ერთ მნიშვნელოვან საკითხს აყენებს, კერძოდ, თუ პრაქტიკაა ჭეშმარიტების კრიტერიუმი, რა შეიძლება იყოს სისწორის ან ჭეშმარიტების კრიტერიუმი (ხშირად პრაქტიკისა და სისწორის იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება). მაგრამ, თუ პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი, მაშინ ჭეშმარიტების კრიტერიუმი კვლავ პრაქტიკა იქნება. ამგვარად, გამოდის, რომ ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტების საშუალებით ანუ სოციალურად თავისუფალი, პროგრესული და კონსტრუქციული პრაქტიკით. მამასადამე, სწორი, ჭეშმარიტი პრაქტიკა შეიძლება განვიხილოთ

⁵⁵ Маркс К., Энгельс Ф., Соч., т. 42, с. 165.

„ჭეშმარიტებათა ყოფიერების“ თავისებურებად, ე.ი. ჭეშმარიტება ნორმატიულად მიჯაჭვულია იმ რეალობის ისტორიულ-სოციალური კონტექსტისადმი, სადაც მოხდა მისი მეცნიერულ-კრიტიკული ათვისება, თუმცა ის სოციალურ-ისტორიული კონტექსტი, რომელშიც მოხდა პრაქტიკული ათვისება, შეიძლება სრულიადაც არ გამოდგეს პრაქტიკული ჭეშმარიტების კრიტერიუმში. ასევე მოუვიდა კ.მარქსის თეორიასაც, რადგანაც მის მიერ დამუშავებული კონცეფცია იმ სოციალურ კონტექსტს პასუხობდა, რომელშიც თავად იგი იყო.

თეორიას და პრაქტიკის ურთიერთკავშირის შესახებ ორიენტირების ბოლომდე გასაზრებლად მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული პარტიების ურთიერთმიმართების მარქსისტული ანალიზი – „პეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის – შესავალში“. „პირველი – პრაქტიკული პარტია ცდილობს გააუქმოს ფილოსოფია, არ განიხილოს იგი სინამდვილეში; მეორე – თეორიული ცდილობს გადააქციოს ფილოსოფია სინამდვილედ, არ გააუქმებს რა ფილოსოფიას“⁵⁶. მარქსის ამ მსჯელობას პირდაპირი კავშირი აქვს იმასთან, რომ თეორია წარმოდგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტს და არა – რაღაც ილუზორულ წარმონაქმნს. ყოველდღიური ცხოვრება, ენობრივი გარემო არ იქნებოდა ისეთი, როგორც არის თეორეტიკების გარეშე. თეორეტიკებს შედეგად წარმოქმნილი მრავალი დებულების აბსტრაქტული გამოხატულება უშუალოდ ელინდება საზოგადოების ფორმალურ დაწესებულებებში და ინსტიტუტებში (სამამართლო, საკანონმდებლო ხელისუფლება, პოლიცია და ა.შ.). კ.მარქსის მიერ წარმოდგენილი დაპირისპირება თეორიასა და პრაქტიკას შორის შეიძლება ასე გამოვსახოთ: არ შეიძლება გავავუქმოთ თეორია, თუ არ გადავაქცევთ პრაქტიკად, და არ შეიძლება გავავუქმოთ პრაქტიკა, თუ არ გადავაქცევთ თეორიად. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, შეუძლებელია თეორიის პრაქტიკად გადაქცევა, თუ ის არ გადაიქცევა პრაქტიკად ანუ, თუ ის თავის დემონსტრირებას არ მოახდენს მატერიალურ სივრცეში. და შეუძლებელია პრაქტიკის გაუქმება, თუ არ უარყავით ამ

⁵⁶ Маркс К., Энгельс Ф., Соч., 2-е изд., т. I, с. 420- 421.

პრაქტიკის ძველი თეორია, რომელმაც უკვე თავისი თავი ამოწურა. თუკი თეორია წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელ ნაწილს, მაშინ შეუძლებელია ვილაპარაკოთ, რომ ცხოვრება თავისი დინებით მიედინება, მიუხედავად თეორეტიკებისა და იდეებისა. მაგრამ ისტორიული ყოფიერების ველში საბოლოო ჯამში ყველაფერი დაკავშირებულია, პრაქტიკა და თეორია ერთად მიედინება. საეჭვო თეორიას აუცილებლად მივყავართ საეჭვო პრაქტიკასთან და პირიქით. პრაქტიკისა და თეორიის ურთიერთმიმართება მიმდინარეობს შინაგანი დესტრუქციის ველში. პრაქტიკა არ პატიობს თეორიას მისგან მოწყვეტას. მაშასადამე, შეუძლებელია თეორიისა და პრაქტიკის სრული კორელაცია, რადგანაც ისინი დესტრუქციულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი. თეორიის იდეალური ბუნება არ ითვალისწინებს სრულ კორელაციას პრაქტიკასთან. ამ პოზიციის არგათვალისწინება მსოფლმხედველობრივ განწყობილებაში და მეთოდოლოგიური პოზიციის დაკარგვაში ელინდება, რაც ფაქტობრივად მოუვიდა კმარქსის ეკონომიკურ და სოციალურ მოძღვრებას.

კმარქსმა მოგვცა არა მისი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების აღწერა, არამედ საშუალო იდეალური ტიპის კაპიტალიზმის თეორია. თუ უფრო მკაცრი ვიქნებით, ისეთი კაპიტალიზმი როგორც მარქსის „კაპიტალიზმ“ აღწერილი, საერთოდ არ არსებობდა ცხოვრებაში. მოხდა მარქსის კაპიტალიზმის თეორიის იდენტიფიკაცია თავად კაპიტალიზმთან, ამით თავისთავად დაიხურა ამ თეორიის განვითარების შესაძლებლობა, რადგანაც თეორიამ შექმნა თვითრეფერენცირებულობისა და თვითლეგალიზებულობის თეორიული ველი. თეორიის ცნებათა დელუქცია თვით ამ თეორიული ველის სივრცეში ხდება. ხოლო მუდმივი მიმართება პრაქტიკასთან, რაც საჭიროა თეორიის განვითარებისათვის, რათა გამოვლინდეს განსხვავება საზოგადოებრივ ყოფიერებაში ადამიანების არსებით და ფენომენალურ რეალობებს შორის, იგნორირებული იქნა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ იდეალური ტიპოლოგიზაცია და უნივერსალისტური მიდგომები დამპყმნაობისა არა მარტო კაპიტალიზმის თეორიისათვის, არამედ სოციალიზმისა და კომუნისტური პროგრესისტული კონცეფციისათვის.

მუშათა კლასის კაცობრიობის მხსნელად გამოცხადება, პროლეტარიატის დიქტატურის დადგომა, საკუთრების აბსტრაქტულ იდეოლოგიზებული გაგება, მისი ფაქტობრივი არავისობა და ადამიანის გაუცხოება სწოვადობრივ საკუთრებაში ეგზისტენციალური ინფორმაციის გადამცემლები ხდებიან კომუნიკაციის იდეოლოგიურ დონეზე. ეს ინფორმაცია ხდება ფაქტობრივი პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის მექანიზმი, ხოლო ბატონობის ერთი სახეობის უარყოფა იცვლება ბატონობის მეორე სახით. მარქსისტული თეორია თავისი შეუწყნარებელი გარდამქმნელი ნარატივიზმით მოითხოვს, არა მარტო სინამდვილეში ან პრაქტიკაში რეალიზებას, არამედ ახალი მისი „სინამდვილმ“ (თეორიული დესკრიპციის ველის) შესაბამისი პრაქტიკის შექმნას, რაც არსებითად „ნათელი მომავლმ“ მქონე უტოპიის რეალიზების მოთხოვნის იგივეობრივია. სინამდვილის ამგვარ ხელოვნურობას, ადამიანის ბუნებასთან გაუცხოებულობას შეუძლებელია დიდი ხნის სიცოცხლე ჰქონდეს. თუმცა გარკვეულ ეტაპზე მან შეიძლება გამოიწვიოს როგორც დიდი ენთუზიაზმი, ასევე დიდი რეპრესიები სოციალურ გარემოსთან მიმართებაში. მარქსისტული პოლიტიკური თეორიის უნივერსალისტური პოზიციები არ ცნობს რეალურ პოლიტიკურ სიტუაციებს. მისი პოლიტიკური ხელისუფლების ნარატივიზმი ვერ ითვალისწინებს თვით პრაქტიკის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. ამ უკანასკნელს აქვს თავისი გამოცდილების ველი, რომელიც გულისხმობს დაგროვილ გამოცდილებას, ჩვევებს, უნარებს, სამყაროსთან საგნობრივი შესაბამისობის რაციონალური კორიზონტის, ადამიანურ პრობლემათა გადაწყვეტის დროში გამოცდილი მექანიზმის არსებობას და ბოლოს საღი ღრის პოზიციებს. გარკვეულ საზღვრებში პრაქტიკა საკმარისად აქტიურია თეორიის მითითებების გარეშე. პრაქტიკის სამყაროში მრავალი ქმედება და მოძრაობაა, რომლებიც არ არიან აღწერილი თეორიული შეხედულებების მიხედვით. ისინი გამოდინარეობენ რეალობის ფაქტებიდან და თანდათანობით რეალიზდებიან მცდელობებისა და შეცდომების ხანგრძლივ პროცესში.

§4. ნაციონალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსი და ეგზისტენციალური ინფორმაციები

ნაციონალიზმი, სხვა პოლიტიკური დოქტრინებისაგან განსხვავებით, მისი დამფუძნებელი მამების სიმცირეს განიცდის. მსოფლიოში არ არსებობს ჯონ ლოკის ლიბერალიზმის, ედმუნდ ბერკის კონსერვატიზმის, ან კარლ მარქსის კომუნიზმის მსგავსი ნაციონალისტური თეორიის ეკვივალენტი. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ჩვენ შეიძლება მოვძებნოთ ნაციონალისტური დოქტრინის ფესვები მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელი ფოლოსოფოსების ნაწერებში. კერძოდ, ჟან ჟაკ რუსოს, იოან გოტფრიდ ჰერდერის, და იოჰან გოტლიბ ფიხტეს ნაშრომებში.

ნაციონალიზმი ორი თვალსაზრისით შეიძლება იყოს განხილული, კერძოდ, როგორც ქცევის წესი და იდეოლოგია. რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია მოვხდინოთ განსხვავება ამ ორ ცნებას შორის, რადგანაც ქცევის წესი შეიძლება იდეოლოგიის გამომხატველიც იყოს როგორც წესი, „ეთნოცენტრისტულ“ და „ნაციონალისტურ“ ქცევა, გარკვეული თვალსაზრისით, ინსტიტუტურია. ეთნოცენტრისტული ქცევა თითქმის ყველა ერისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ როცა ჩვენ განვსაზღვრავთ ქცევის წესს, როგორც ნაციონალისტურს და არა როგორც ეთნოცენტრისტულს, ფოკუსირებას ვახდენთ ერის იდეაზე და იმ სამოქმედო პროგრამაზე, რომელსაც ნაციონალიზმი ისახავს მიზნად ერთან დაკავშირებით. ეს იდეა და სამოქმედო პროგრამა ნაციონალიზმს აყალიბებს ქცევისა და იდეოლოგიის სპეციალურ სახეობად, თუმცა იგი ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოცენტრიზმთან. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ნაციონალისტური იდეოლოგია და ქცევა განვიხილოთ ეთნოცენტრიზმისაგან განცალკევებით და იმ იდეოლოგიისა და ქცევისაგან, როგორც არის რასიზმი, ჩვენ ვერ გავეჭვებით ამ ფაქტს, ჩვენ ვარსებობთ ადამიანური აქტივობის იმავე საზღვრებში, სადაც ამგვარი გამოვლინებებია.

ერის იდეა შეიძლება განვიხილოთ ორმხრივად, როგორც ბუნებრივი მოვლენა და როგორც წარმოსახვის პროდუქტი. ის

ბუნებრივია, რადგან ჩამოყალიბებულია გვაროვნული შერჩევისა და ეთნოცენტრული ინსტიტუტების საფუძველზე. ის წარმოსახვის პროდუქტია, რადგან წარმოადგენს ერის კულტურული, სხელმწიფოებრივი, გეოგრაფიული გარემოსა და ენობრივი სივრცის რეფლექსიის შედეგს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ერის იდენტობის გაცნობიერებას აბსტრაქტული აზროვნების წესი უდევს საფუძვლად და არ არის დამყარებული მხოლოდ ეთნოცენტრულ ინსტიტუტებზე.

ერისა და ნაციონალიზმის იდეა მრავალი ადამიანის მიერ წარმოსახება პოლიტიკური მოაზროვნების მხარდაჭერის გარეშე. თუმცა მის ნაკლებად განვითარებულ ფორმებშიც ნაციონალიზმი იდეოლოგიაა და თავის ფოკუსს ის გადაანაცვლებს ბიოლოგიიდან და ფსიქოლოგიიდან სოციოლოგიასა და ფილოსოფიისაკენ. როგორც ცნობილია, ამ დისციპლინებში იდეოლოგია, ჩვეულებრივ, ჩანს, როგორც იდეების სისტემა, რომელიც განსხვავებულია „ცოდნისაგან“ ან „მეცნიერებისაგან“, იმიტომ, რომ ის არამწორია და ამიტომაც იგი შეიცავს სპეციალურ მტკიცებულებათა დიდ რაოდენობას, რომელიც რაციონალური განსჯის საფუძველებს არ ეყრდნობა. ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ერის იდეაზე შენდება და ხდის მას მოქმედების საფუძვლად.

რა თქმა უნდა, ერის იდეა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, მაგრამ მისი არსი არ შეცვლილა. საფრანგეთის რევოლუციის ხანაში და XVIII ს-ის ბოლოს ერმა ახალი პოლიტიკური სპირისი შეიძინა. საფრანგეთის რევოლუციამ ნაციონალიზმი დაუკავშირა სახალხო სუვერენობის მიზანს. ეს ნიშნავდა, რომ ერი უკვე აღარ იყო პასიური სახალხო სახელმწიფო მმართველობაში, პირიქით ის აქტიური მონაწილის სახით გამოდის.

ე.გელნერის თანახმად, „ერთხელაც ნაციონალიზმისა და ნაციის იდეოლოგია საყოველთაოდ მიღებული გახდა მსოფლიო პოლიტიკურ დისკურსში, ისინი ერთიმეორეს გვერდით ვითარდებოდნენ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პოლიტიკას ყველაზე მძლავრი ემოციონალური მოწოდებით. ერთან იდენტობა ამჟამად გამოიყურება „კაცობრიობისათვის შინაგან დამახასიათებელ ნიშნად“, ადამიანის

იდეა ერის გარეშე იმგვარად ჩანს, რომ თანამედროვე კაცობრიობის წარმოდგენებს მოახვიო დიდი თავსატეხი⁵⁷.

ნაციონალიზმის თეორიული პოლიტიკური დისკურსის წარმმართველია ეგზისტენციალური ინფორმაცია „ერძ“, როგორც უმაღლესი საზოგადოებრივი ერთობა; ნაციონალიზმის თემატიზების უპირატეს მომენტს წარმოადგენს ნაციონალური უპირატესობისა და განსაკუთრებულობის იდეა. ყოველგვარი ნაციონალიზმის თემატიზში ნაციონალური მომენტის აბსოლუტიზაციაში გამოიხატება. ნაციონალიზმის თემა განიხილება, როგორც თვითკმარი სუვერენული სულიერი ძალა, რომელსაც მისტიკური ხასიათი აქვს. აქედან გამომდინარე, ნაციონალისტური პოლიტიკური ხელისუფლების თეორიებში ხდება ნაციონალური ან რასობრივი განსაკუთრებულობის თემატიზება. ნაციონალისტური პოლიტიკური თეორიის მიერ წარმოქმნილი იდეოლოგიური ნარატივი ისეთი თემების რადიკალიზაციას ეწვევა, როგორიცაა: 1) საერთო მიწისაღმი, რასისაღმი, ერისაღმი, ისტორიული კულტურისაღმი სიყვარული; 2) პოლიტიკური დამოუკიდებლობისაღმი ლტოლვა, ერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მის პრესტიჟზე ზრუნვა; 3) მისტიკური ერთგულება აუხსნელისაღმი, ზოგჯერ ზებუნებრივი სოციალური ორგანიზმისაღმი, რომელიც ცნობილია, როგორც ერი და ხალხი; 4) დოგმად აღიარება იმისა, რომ ინდივიდუუმები ცხოვრობენ მხოლოდ ერისათვის, რომელიც არის მიზანი თავის თავში; 5) ისეთი დოქტრინის მიღება, რომლის თანახმადაც მოცემული ერი წარმოადგენს ან უნდა იყოს გაბატონებული სხვა ერებს შორის და ამიტომაც ამ მიზნით მან უნდა ჩაიდინოს აგრესიული ქმედანი⁵⁸ წარმოდგენილი თემატიზებული საკითხების რადიკალიზაციის ხარისხს განსაზღვრავს სიკვდილთან თანყოფნის მოთხოვნა. ნაციონალიზმის ზოგიერთი თემატიზმები ყოველთვის მოითხოვს ან თავის თავის მსხვერპლშეწირვას, ან სხვის განადგურებას. იმის მიხედვით, თუ რომელი თემა არის წინ წამოწეული, ნაციონალისტური პოლიტიკური ხელისუფლების თეორიებში შეიძლება განისაზღვროს, თუ რა

⁵⁷ Gellner E., Nations and Nationalism, 1991, p.5.

⁵⁸ Shaffer B., Nationalism : myth and reality. N.Y. 1955, p.6.

მიზნებს ემსახურება ის. სიკვდილის თემის თემატიზაცია ზოგ შემთხვევაში ერის თავდაცვისაკენ არის მიმართული, ზოგ შემთხვევაში კი სწვისი განადგურებისაკენ. ამ პოზიციის მიხედვით თუ ვილაპარაკებთ, პირველ შემთხვევაში ნაციონალზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბუნებრივი მოვლენა, რომელიც სახელმწიფოებრიობის, ერის თვითგადარჩენის თემატიზებას ახდენს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ნაციონალიზმი სწვანე ბატონობის თემატიზებას ახდენს, სიკვდილს თემა მის თემატიზმებში გარდაუვალად მიმართულია სწვისი განადგურებისაკენ. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ნაციონალიზმის პათოლოგიურ ფორმასთან – ფაშიზმის სახით, რომელიც დაწვრილებით აღწერა ჰანა არენდტმა და გამოავლინა მისი თეორიული საფუძვლები⁵⁹.

კითხვები

1. როგორი ეგზისტენციალური ინფორმაციები აყალიბებს ლიბერალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსს?
2. როგორი ეგზისტენციალური ინფორმაციები აყალიბებს კონსერვატიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსს?
3. როგორი ეგზისტენციალური ინფორმაციები აყალიბებს მარქსიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსს?
4. როგორი ეგზისტენციალური ინფორმაციები აყალიბებს ნაციონალიზმის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსს?

პირითადი ცნებები

ლიბერალიზმი – კონსერვატიზმი – მარქსიზმი – ნაციონალიზმი.

დამატებითი ლიტერატურა

1. კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი პირველი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968.

⁵⁹ დაწვრილებით ამ პრობლემის შესახებ იხილოთ მეხუთე თავში.

2. ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზის შესახებ, თსუ გამომცემლობა, 1938.
3. მიხეილ გოგატიშვილი, თომას ჰილ გრინისა და ბერნად ბოუსენქითის პოლიტიკური ფილოსოფიის ანალიზი, ავტორეფერატი, თბილისი, 2001.
4. Джон Локк, Два трактата о правлении, В кн. Джон Локк, Собр. соч.е.3., изд. "Мысль", Москва, 1988.
5. Йсайя Берлин, Философия свободы, Новое литературное обозрение, Москва, 2001.
6. Green T.H., The political Theory of T.H.Green: Selected Writings, Rodman J.R., Green as Political Theorist, New York, 1964.
7. John Gray, Liberalism. Open University press. New York, 1986.
8. David Graham and Peter Klarke, The New Enlightenment: The Rebirth of Liberalism, Macmillan, London, 1986.
9. Robert Nisbet, Conservatism: Dream and Reality, Open University Press, 1991.
10. John Rawls, A Theory of Justice, Cambridge University press, 1971.
11. Ernest Gellner, Nations and Nationalism, Cornell University Press, 1983.

თ ა ვ ი V

პრარქპრმსიული დისკურსები ტოტალიტარიზმის კრიტიკა

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ადამიანთა უდიდესმა მსხვერპლმა, „გამარჯვებული სახელმწიფოების უსამართლო გარიგებებმა, ევროპაში გაჩაღებული პოლიტიკური რევოლუციების ქარიშხალმა, ევროპის პოლიტიკურ ავანსცენაზე ინტელექტუალები აიძულა უფრო შინაგანად დაენახათ, თუ რა განაპირობებდა პოლიტიკური ხელისუფლების, პოლიტიკური ძალადობის, ტოტალიტარული რეჟიმების წარმოშობას; რამდენად იყო პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსებში გაბატონებული „მაღალი სამეტყველო პრაქტიკა“ ადამიანებისათვის სასარგებლო.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების საშინოოება და პოლიტიკურ ხელისუფლებაში ტოტალიტარული რეჟიმების გაბატონების მზარდი ტენდენციები, ფაშისტური და კომუნისტური იდეოლოგიის საყოველთაოდ გავრცელების საფრთხე შიშსა და ყოველსმომცველი დამაბულობის შეგრძნებას წარმოშობდა ევროპაში აქედან გამომდინარე კარდინალურად დაისვა საკითხი — რა განაპირობებდა იმდევარი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების წარმოშობას, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის ხელისუფლების განხორციელების იარაღს წარმოადგენდა.

ეს ტენდენციები ყველზე უკეთ იმ სახელმწიფოებში ჩანდა, სადაც ტოტალიტარული რეჟიმების გაბატონების საფრთხე ამკარად გამოიკვეთა, განსაკუთრებით გერმანიაში და საბჭოთა კავშირში. მაგრამ, თუკი საბჭოთა კავშირში უკვე გაბატონებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავის მარწუხებით ყოველგვარი რეფლექსიის საშუალება დათრგუნა გამეფებული ძალადობისა და ტირანიის წინააღმდეგ, გერმანიაში კი ამ უკანასკნელს მაგალითზე

ძალზე მკვეთრად იგრძნეს მომასწავებელი ახალი რეჟიმის საფრთხე. ეს კი საშუალებას იძლეოდა განსზღვრულიყო მოსალოდნელი ტოტალიტარული რეჟიმის შინაგანი კონსტრუქცია და მისი გამომწვევი მიზეზები.

ამ მხრივ საყურადღებოა ერნსტ ტუნგერის, ჰანა არენდტის თვალსაზრისები. ეს მოაზროვნეები არა მარტო ტოტალიტარული ხელისუფლებისა და აზროვნების საფუძვლების კრიტიკას ახორციელებენ, არამედ იმ პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსსაც შლიან, რომლის სამეტყველო სივრცე ტოტალიტარული პოლიტიკური ხელისუფლების საფუძვლების თემატიზებას ახდენს.

§1. „მუშის გემტალტი, როგორც ტოტალიტარული ხელისუფლების სივრცის ჩამოყალიბების წინარე პირობა ერნსტ იუნგერთან

ერნსტ იუნგერმა თავად გამოცადა პირველი მსოფლიო ომის საშინელება საკუთარ თავზე. ახალი მსოფლიო ომისა და ფაშისტური რეჟიმის დადგომის საფრთხით შეწუხებული, იკვლევს თანამედროვე ტოტალიტარული აზროვნების საფუძვლებს. პირველი პოზიცია ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგოდ გამოიხატა იუნგერის ნაშრომში „მუშა“.

ე.იუნგერის თანახმად, ადამიანი პირველადი სასიცოცხლო ძალების მთლიანობაა, რომელიც გულისხმობს ინდივიდუუმის კავშირს ყოველი ცალკეული ორგანიზმის სულიერად ქცეულ სხეულებრიობის გვართან. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის ბუნების ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორგანულისა და არაორგანულის ერთიანობა. მის მიერ, სამყაროს სიღრმისეული საწყისისეული განცდა ხორციელდება სამ ძირეულ მომენტში, რომელიც, გადის რა ჩვეულებრივი გამოცდილების იქეთ, ხდება სამყაროს ძირითადი აღმქმელი. ეს არის სიცოცხლით ექსტატიური თრობა, საშინელების შეგრძნება, სიკვდილის გამოცდილებისადმი მაქსიმალურად მიახლოებული განცდა და ასევე სიზმარი და ზმანებათა სამყარო. სიცოცხლის ცხოვრებისეულ ცვლილებათა ასახსნელად ე.იუნგერი შეიმუშავებს

ფილოსოფოსობის განსაკუთრებულ მანერას. იგი ცვლის ცალკეულ ცნებებს რეალობის მითოლოგიზებული სახეებით. მისი ჭრით, ისტორიის რიტმი ემოცილება ბედს – ისტორიულ ცვლილებათა „ამაღლებულ უსაზრისობა“, სიტუაციებს, რომლის • დროსაც ადამიანი ექვემდებარება მძლავრ გარეგან ძალებს, რომლებიც ატარებენ განმეორებად ხასიათს. ეიუნგერს მხედველობაში აქვს ტოტემური, მაგიური და ტექნიკური ძალები.

ისტორიაში თავისუფლება და მორჩილება ერთიმეორეს განაპირობებენ. თანამედროვე ეპოქა, მისი ტექნიკისა და ტოტალიტარიზმის ბატონობით, ქმნის „მუშის“ და „ჯარისკაცის“ ახალ ტიპს. ადამიანური თანაცხოვრების უმაღლეს ტიპად ეიუნგერი განიხილავდა სახელმწიფოს და არა საზოგადოებას. მისი ჭრით, საზოგადოება გამოხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების წესს. ახალი სახელმწიფოს მატარებლად გამოდის მუშა: არა როგორც საზოგადოებრივი კლასი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, არამედ, როგორც გეშტალტი („სახე“ – მდგრადი სტრუქტურა), სინამდვილისადმი უზენაესი საზრისის მიმცემი „უძრავი და წინასწარ გაფორმებული ძალა“. „ხელისუფლება – ძალა“, მუშის გეშტალტის მახასიათებელია. თანამედროვეობა მისი მანიფესტაციის პროცესია. ამ პროცესში ქრება არა მარტო ინდივიდუმი, არამედ მასაც, როგორც ინდივიდუშთა უწესრიგო თავმოყრა. ადამიანის ფუნქციის შეცვლის შესაძლებლობა ეთანადება ტექნიკის განვითარებას, რომელიც ისეთსავე მჭიდრო დამოკიდებულებაში უნდა იყოს ადამიანთან, როგორც მის ნაწილთან. ეს, ერთის მხრივ, ნილაბითა და უნიფორმით არის გამოხატული, როგორც მუშისა და ჯარისკაცის ტანსაცმლის ელემენტები, და მეორეს მხრივ – სამხედრო დისციპლინითა და დღის წესრიგით. მუშა არა მარტო ახალი კლასის წარმომადგენელია, არამედ ახალი ადამიანის უნივერსალური ტიპი. იგი განასახიერებს ტექნიკის ტიტანურ ძალებს, რომლებიც ახალ ცნობიერებას აყალიბებენ, რომლისთვისაც საშსახური და თავისი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულება, თავისუფლების განხორციელების იგივეობრივია. „ამგვარად, ბოლო და უმაღლესი საფეხური მუშის გეშტალტის მიერ მატერიის მობილიზაციისა, როგორც იგი ვლინდება

ტექნიკაში.... ასევე ვლინდება იმავე გემტალტის მიერ ადამიანის პარალელურად მიმდინარე მობილიზაციაში. ეს უკანასკნელი საფეხური მდგომარეობს საშუაოს ტოტალური ხასიათის შესრულებაში, რომელიც პირველ შემთხვევაში გამოდის, როგორც ტექნიკური სივრცის ტოტალურობა, ხოლო, მეორე შემთხვევაში – ტიპის ტოტალურობა. თავის გამოვლინებაში ორივე ეს ფაზა ერთმანეთთან არის დაკავშირებული – ეს შესამჩნევი ხდება იმდენად, რამდენადაც, ერთის მხრივ, ტიპმა, იმისათვის, რომ მოიპოვოს ქმედითობა, მას ესაჭიროება სათანადო საშუალებანი, მეორეს მხრივ – თავის თავში ჩქმალავს ენას, რომელზეც ტიპს შეუძლია ილაპარაკოს. ამ ერთიანობასთან მიახლოება გამოიხატება ორგანულსა და მექანიკურს შორის განსხვავების მოშლაში. მისი სიმბოლო – ორგანული კონსტრუქციაა.⁶⁰ მუშას, მთლიანად დაკარგული აქვს რა ინდივიდუალურობა, ამ სამსხვერპლო თვითუარყოფაში თან ერწყმის საწარმო პროცესს. „მუშა“ რეალიზებას ახდენს ძალაუფლების ნებისას, რომელიც დამახასიათებელია ტექნიკისათვის ტოტალიტარულ საზოგადოებაში. ამ ეპოქაში, ადამიანისათვის დამახასიათებელია, ღირებულებებსა და სიცოცხლის საზრისზე წარმოდგენის უქონლობა: ტექნიკა ხდება ერთგვარი მეტაფიზიკა და ეთიკა, რაც მთლიანად განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს. ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც შეიძლება დადგეს, ვარაუდობს ეიუნგერი, შესაბამისია მუშის გემტალტისა. „მუშათა სახელმწიფოებში“ სამხედრო წესრიგი ბატონობს. აქ ყველაფერი ამოდაღულია, რაც კი შეიძლება გამყიდვლობის საფუძველი გახდეს, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ომის დროს. სოციალური კავშირებს შესაქმნელად, რომელიც „დარღვეული“ ლიბერალური საზოგადოების ადამიანთა ატომიზაციისა და ინდივიდუალიზაციის შედეგად, საჭიროა განსაკუთრებული სიმკაცრის ზომები, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ ხალხის სახელით იქნეს გატარებული, ე.ი. „მუშურ დემოკრატიამ“ გადასვლა, სახალხო გადაწყვეტილების მობილიზაციის გზით. ეიუნგერის თვალსაზრისით, ჩვენ აქ ვაწყდებით პარტიამი, მოძრაობაში და

⁶⁰ Юнгер Э., Рабочий. Господство и гештальт. Тотальная мобилизация. О боли, Санкт-Петербург, „Наука“. 2000, с. 260.

დაწესებულების ორგანულ კონსტრუქციაში შესვლის მომენტს, რაც გამოხატავს ერთობის ახალ ფორმას, რომელსაც ეუწოდებთ ორდენს, რომლის განსაკუთრებულ ნიშანს წარმოადგენს მუშის გეშტალტისადმი საკულტო დამოკიდებულება; მშვიდობიანობის დროს ორდენის წევრები მუშები არიან, ომის დროს – ჯარისკაცები. ამგვარად, თანამედროვე სახელმწიფოში არა მარტო საომარ ვითარებაში, არამედ მშვიდობის დროსაც, წარმოიშობა ტოტალური მობილიზაციის სიტუაცია, როცა საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და ლიბერალური დემოკრატიის ადგილს იკავებს პერსპექტიული „სამუშაო გეგმა, როგორც სახელმწიფოს აბსოლუტური ნების გამოხატულება და ყოველი მუშა ჯარისკაცია. იმავდროულად ეს სამუშაო გეგმა სრულყოფილი, მოქნილი ვირტუალური პერსპექტივაა, რომელიც ორიენტირებულია ომის მოსაგებად.

როგორც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ეიუნგერი ამაში ხედავდა ახალი მსოფლიო ომის საშიშროებას, რომელიც თავისი არსით ბრძოლაა მატერიალურ ძალებს შორის ე.ი. არსებითად „გიგანტური ინდუსტრიული პროცესი“. მასში ფორმდება ჯარისკაცის სახე, რომელიც მოკლებულია გმირობის პათოსს, რამდენადაც იგი მანქანის დანაშაუტი გახდა. ეიუნგერი ვარაუდობს, რომ ომი სიღრმისეული ადამიანური ინსტიქტების გამოვლინებაა. ახალი ეპოქის დადგომა განაპირობებს ძველი ბურჟუაზიული წესრიგის რღვევას, ხოლო ომი ეს არის „ძველი სამყაროს“ შემოქმედებითი დანგრევა. თუმცა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, – რომ „ნიჰილიზმის ზღვრის“ გადალახვა და ისტორიული სიტუაციის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ნამდვილ ინდივიდებს. ადამიანი იმთავითვე თავისუფალია, რომელსაც თავისი სიცოცხლის ფასად შეუძლია იბრძოლოს მისთვის და ვაჟკაცურად მიიღოს ბედის განაჩენი.

ეიუნგერის მიერ დაწყებული ტოტალიტარული საზოგადოების კრიტიკის პროექტს სრულყოფილი სახით ანა პარენტი ასრულებს.

§2. ტოტალიტარული ხელისუფლება და სახივოცხლო სივრცე შანა არენდტან

შანა არენდტი (1906—1975) იყო მარტინ ჰაიდეგერისა და კარლ იასპერსის მოწაფე. მსგავსად ყველა დიდი გერმანელი მოაზროვნისა მან ფილოსოფიური პილიგრიმობა განაზრციელა ანტიკური საბერძნეთიდან დაწყებული თანამედროვეობის ჩათვლით. ამის შედეგად მან ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის პოლიტიკური ანალიზი კლასიკურ კატეგორიებში მოაქცია. არენდტი გვაძლევს ჩვენ შინაგანად განვიცადოთ იმ სიტყვების სწორი როგორიცაა ტირანია, დესპოტიზმი, დიქტატურა, ხელისუფლება და თავისუფლება. მისი თვალსწარმით, ისეთმა ტერმინებმა როგორიცაა ტირანია, ხელისუფლება და ტოტალიტარიზმი დაკარგა თავის საერთო სწორი და ამიტომ, ჰარენდტი პოლიტიკურ კომენტატორებს სთავაზობს, განიხილონ ეს ტერმინები ისე როგორც ამას იგი აყალიბებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის დროს ახლად განთავისუფლებული მთელი მასმედია, ჰარენდტის მიერ შემუშავებული ტერმინების მიხედვით, ალაპარაკდა ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგოდ.

ჰარენდტმა კარგად იცოდა სახელმწიფოებრიობის უძველესი ტიპები და ვარაუდობდა, რომ ტოტალიტარიზმი წარმოადგენდა მმართველობის სრულიად ახალ ფორმას, რომელიც განსხვავებული იყო დიქტატურისაგან. ახალი კლასიფიკაცია, თანამედროვე სამყაროს სამწუხაროდ, უცნობი იყო ანტიკური ავტორებისათვის. ჰარენდტი აღიარებდა, რომ იგი ამ ტერმინს სულ სხვაგვარად მოიხმარდა. ამგვარი მმართველობის ფორმები, რომელშიც ადამიანებს უწევდათ ცხოვრება ძალიან ცოტა იყო. თუმცა მრავალი ავტორი, რომელიც ტოტალიტარულს უწოდებდა ყოველ ტირანიას და განსაკუთრებით კომუნისტურ ქვეყნებს, ჰარენდტი მიუთითებდა, რომ ეს ტერმინი ცალკე უნდა იყოს გამოყენებული. იგი ამ ტერმინს მოიხმარდა მხოლოდ ორი შემთხვევისათვის: „დღევანდელი დღისათვის ჩვენ ვიცით მხოლოდ ტოტალიტარული ბატონობის ორი აუთენტური ფორმა: 1938 წლიდან დაწყებული ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატურა და ბოლშევიზმის დიქტატურა

1930 წლიდან მოყოლებული(რომლის ტოტალიტარული ხასიათი დასრულდა სტალინის სიკვდილთან ერთად). ბატონობის ეს ფორმები არსებითად განსხვავდება სხვა დიქტატორული და დესპოტური მმართველობისაგან.⁶¹

ჰანა არენდტის ყურადღების ცენტრშია ადამიანის „ბედ“. მისი აზრით, ადამიანური მოღვაწეობა ვლინდება სამ ფორმაში:

1) „შრომპ“ – მოღვაწეობა რომელიც უზრუნველყოფს ბიოლოგიურ პროცესებს და წარმოადგენს თავად ცხოვრების ფორმას. მისი სუბიექტია – animal laborans (მშრომელი ადამიანი);
2) წარმოება – მოღვაწეობა რომელიც შესაბამისია ადამიანის ბუნების გაგარეგანებისა, რომელიც წარმოქმნის საგანთა ხელოვნურ სამყაროს – მისი სუბიექტია – homo faber (მკეთებელი ადამიანი). „აქტივობა“ (action) – მოღვაწეობა გამოიხატება ადამიანთა უშვალო ურთიერთობებში, რომლისთვისაც არავითარი მატერიალური არ არის საჭირო და რომელიც წარმოქმნის პრინციპულად აბალს. „აქტივობაში“ გამოისახება თავისუფლების საწყისი.

თავისუფლება არ არის ინტელექტის პროდუქტი, რომელიც ადამიანს უსახავს მიზნებს და რომლის მიღწევაც გადაჯაჭვულია ბუნებრივი და სოციალური კანონებისადმი მორჩილებასთან ამავედროულად იგი არ არის ნების პროდუქტი, რამდენადაც ის არ აძლევს ადამიანს საშუალებას უკან დაიხიოს გონების მიერ დასახული მიზნებისაგან. თავისუფლება რეალიზდება აქტივობაში, რომლის უნარმა ახლის „დაწყებისაში“, „დაბადებამ იმისა, რაც არასოდეს არ ყოფილა“ შეიძლება დაანგრეოს სოციალური პროცესების მყარად ფესვგადგმული „ავტომატიზმი“. ახლის დაწყების უნარს ასევე შეუძლია დაანგრეოს ტოტალიტარული საზოგადოების სიმყარე. თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკაში. ამით იგი წააგავს სამემსრულებლო ხელოვნებას, რომელიც მოითხოვს ურთიერთქმედებას მაყურებელსა და მსახიობს შორის და რომელიც არ ქნის სხვას არაფერს, გარდა ამ ურთიერთქმედებისა. მაგრამ აქტივობა, რომელიც ხდება საზოგადოებრივ ადგილზე არ

⁶¹ A r e n d t , H . . The origins of totalitarism. New York |Harcourt Brace Jovanovich, 1973. p. XXVII–XXVIII.

ამოწურავს ადამიანის მთელ სიცოცხლეს. ადამიანის ცხოვრებისეული მოღვაწეობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი უკვე ფლობს ინდივიდუალობას, რომელიც თავის არსებობისათვის „საჭიროებს პრივატულ ადგილს“ - „სამყაროს მხოლოდ იმ ნაწილს“, რომელიც ამ ადამიანს ეკუთვნის და არ უნდა იყოს გაუცხოებული მისგან ე.ი. წარმოდგენს მის კერძო საკუთრებას. „პრივატულ ადგილზე“ ხდება დაბადება და სიკვდილი, სიყვარული და ღალატი ყველა ის ადამიანური ვნებანი, რომელიც დამახასიათებელია ადამიანისათვის. იმ ადგილის წართმევა, სადაც მას შეუძლია საიმედოდ მიეფაროს თვალს, აუცილებლად მიყვავართ ადამიანის ინდივიდუალობის დაკარგვამდე. ამის შედეგად, სწოვადობრივი ცხოვრების განადგურებამდე და „სიკვდილის მომგვრელი ტოტალიტარული რეჟიმის“ დადგომამთან.

კერძო საკუთრების წართმევა ადამიანისათვის იწვევს მის გაუცხოებას. კერძო საკუთრება უზრუნველყოფს ადამიანის „განმარტობისა“ და „პრივატულობის“ ხარისხს და ასევე მის სოციალიზაციას. გაუცხოება უკავშირდება ორ ისტორიულ პროცესს: „მშრომელი ღარიბებს“ უმრავლესობისათვის საკუთრების ექსპროპრიაციას, რაც გამოვლინდა „სამყაროს ოჯახური საკუთრების კერძო ნაწილის წართმევში და თანამედროვე სახელმწიფოს გაძლიერებაში, რომელიც მრავალი ცხოვრებისეული პროცესების წარმართველი გახდა, რაც ადრე თვით ინდივიდუუმების მიერ რეგულირდებოდა.

ტოტალიტარულ სწოვადობაში ღირებულებათა გამოდევნილ ადგილს იკავებს იდეოლოგია, რომელიც არავითარ პრაგმატულ მიზანს არ ისახავს და ადამიანისაგან მოითხოვს იდეალური პოსტულატების მიღებას, ბუნების კანონების უმაღლეს რანგში აყვანას, როგორც ფაშინშშია, თუ ისტორიის კანონებისა, რაც მარქსიზმშია. ტერორისა და იდეოლოგიისაგან გათავისუფლება ხდება რევოლუციის გზით, რომელსაც სამყაროში მოაქვს „ახლის გაჩენა“.

რა აქცევს ტოტალიტარიზმს მმართველობის ახალ ფორმად? ჰარენდტის პასუხი გულისხმობს სამ ნიშანს: მარტობას, იდეოლოგიასა და ტერორს. ჰარენდტი ვარაუდობს, რომ სინამდვილეში ეს არის მმართველობის ახალი ფორმა, ის უნდა ეფუძნებოდეს

ისეთ „გამოცდილებას, რომელიც არასოდეს ყოფილა გამოყენებული პოლიტიკის საფუძვლად“. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტირანია ეფუძნება ძალას, რათა იზოლირება მოახდინოს სუბიექტებისა იმისათვის, რომ გააკონტროლოს ისინი. ტოტალიტარიზმი მოვიდა მსოფლიოში იმ დროს, როცა მას თან ახლდა კლასების, სწავადობების, ოჯახის საყოველთაო დაცემა; და მარტოობა იქცა „ჩვენი საუკუნის მუდმივად მზარდი მასების ყოველდღიურ გამოცდილებად“. ეს არის მარტოობის საყოველთაოდ გავრცელებული ის გამოცდილება, რომელიც ახალია მსოფლიოსათვის და ადამიანურ გამოცდილებათა შორის ყველაზე უიმილო და რადიკალური⁶². მარტოობა იოლად მოაქცევს ადამიანს ტერორისა და იდეოლოგიის შთაბეჭდილების ქვეშ⁶³.

მაშასადამე, ტოტალიტარიზმის ძირითადი წინა პირობაა: მარტოობა. ანტიისემიტიზმი, რასიზმი და იმპერიალიზმი — ტოტალიტარიზმის საფუძველია, მაგრამ არც ერთი ეს ფაქტორი არ ხსნის ტოტალიტარიზმისადმი მასობრივი მზარდაჭერის საფუძველს და „სტალინისა და ჰიტლერის უდავო პოპულარობას“. ჰარენდტი ამ პრობლემის ახსნას იწყებს იმით, თუ როგორ იოლია ინდივიდუუმები დაარწმუნო და გააკონტროლო, როცა ისინი იზოლირებული და უძლურები არიან. „ტოტალიტარული მოძრაობები ატომიზებული და იზოლირებული ინდივიდუუმების მასობრივი მოძრაობაა. ამგვარი მოძრაობები მოითხოვს უპრეცედენტო და უპირობო ლოიალობას და „ამგვარი ლოიალობა მოსალოდნელია მხოლოდ სრულიად იზოლირებული ადამიანებისაგან, რომლებიც რაიმე სხვა სოციალური კავშირების გარეშე — ოჯახთან, მეგობრებთან, ამხანაგებთან და უბრალო ნაცნობებთანაც კი — საყაროში თავისი ადგილის ქონის სპირისს ღებულობს მხოლოდ მისი მოძრაობისადმი მიკუთვნების გზით“⁶².

ჰარენდტი აღნიშნავს, შ.მონტესკიემ აღმოაჩინა, რომ ტირანია ყოველთვის ეყრდნობა „სუბიექტების იზოლაციას ერთი მეორესთან ურთიერთშიმისა და ეჭვს საშუალებით“. ეს არგუმენტი ძალზე ხშირად არის მოხმობილი არისტოტელეს, ტაციტუსისა და ნ.მაკიაველის შრომებში. ნებისმიერი ტირანია მოითხოვს „რადიკალურ

⁶² Ibid. p323-324.

იზოლაციას⁶³ და „მოქალაქეთა გაძევებას საჯაროობის სფეროდან და იმის მტკიცებას, რომ მათი შირები მათი პირადი საქმეა. ამგვარად, ტოვებს ტირანია მარტო ადამიანს სამოგადოებრივი საქმეების ზედამხედველობის ქვეშ. ამგვარი იზოლაცია მნიშვნელოვანია, რადგან ის ავლენს პოტენციურ ოპოზიციას და იმას, რომ მოქმედების ადგილი... იზოლაციაში არასოდეს არ არის შესაძლებელი.“⁶⁴ იზოლაცია გერმანიაში ძალზე ლოგიკურად ჩამოყალიბდა. მას თან ერთოდა ტრადიციული თანაარსებობების ნგრევა და ცხოვრების განეკრძობება. ამის საპირისპიროდ, სტალინმა თავად შექმნა „რადიკალური იზოლაციის“ სისტემა, ხელოვნური წმენდის გზით, ყოფილი ამხანაგებისა და მეგობრების დასმენის საშუალებით და ამგვარად ურთიერთეჭვის გარემო. რაც არ უნდა იყოს, სტალინისეული მიდგომა უფრო სისხლიანი ექსტენსივობით ხანიათღებოდა და უფრო მეტი საერთო ტრადიციულ ტირანიებთან ჰქონდა. ჰარენდტის შირით, ნათელია, რომ ამგვარი ფსიქიკური და ფიზიკური იზოლაცია ახალი არ იყო მეოცე საუკუნისათვის, ის გარკვეულწილად ვრცელდებოდა მაღალი დონის პოლიტიკურ ლიდერებზე, რომლებიც არ იყვნენ დახვეწილი ყაზალების ბანდა, მაგრამ ისინი გახლავან მოსალოდნელი დასმენის შიშით იზოლირებული ინდივიდუუმების ჯგუფი.

ჰარენდტის შირით, იზოლაციის თანმზლები ყოველთვის უძლურებაა. „იზოლირებული ადამიანები ყოველთვის უძლურნი არიან თავიანთი არსის მიხედვით. ტოტალიტარიზმი აქცევს ყოველ ინდივიდუმს „უძლურად... ძალაუფლების აკუცმულაციის მანქანის ჭანჭიკად“. იმ დროს, როდესაც ტირანები და დესპოტები ყოველთვის ცდილობენ თავიანთ სუბიექტებს მოუტანონ თანახმობა, ამის შედეგი ყოველთვის ის არის, რომ ყოველი თანახმობად ემოწილება ტირანსა და დესპოტს. ისინი ძირითადად ხელუზლებელს ტოვებენ ზოგიერთ არაპოლიტიკურ კავშირებს სუბიექტებს შორის. მაგალითად ისეთებს, როგორიცაა ოჯახური კავშირები და საერთო კულტურული ინტერესები, მაგრამ ზოგჯერ ეს კულტურული კავშირებიც დაუმეგებელია ტოტალიტარული

⁶³ A r e n d t, H. "The Human Condition : A Study of the Central dilemmas facing modern man. Garden City. New York: Doubleday, 1959, p. 181.

ბატონობისათვის. თუკი, ტოტალიტარულ მმართველობას არ შეუძლია გააკონტროლოს მისი სუბიექტების ცხოვრება, მაშინ ეს მმართველობა შორს დგას ტოტალურობისაგან და როგორც წესი, მან გამოაშკარავება უნდა მოახდინოს ამ პრივატული კავშირების, განიხილოს ისინი, როგორც საზიფათო და ლიკვიდაცია მოახდინოს ამ საერთო კავშირებისა ინდივიდუალთა შორის. (მაგალითად, ვისაც უყვარს ჭადრაკი და ხელოვნება). ჭადრაკის მოყვარულები, რომლებიც თამაშობენ ჭადრაკს ჭადრაკის გამო, წარმოადგენენ საფრთხეს „რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არიან აბსოლიტურად „ატომიზირებული ელემენტები მასობრივ სწოგადობაში, რომლის ჰეტეროგენური ერთგვაროვნება ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ტოტალიტარიზმისათვის“.⁶⁴ უპირველეს ყოვლისა, ტერორი და იდეოლოგია ასრულებს უძღურების შექმნის პროცესს, კერძო ცხოვრებასა და შროვნებაზე ტოტალური კონტროლის გზით. „იზოლაცია და იმპოტენცია, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ უუნარობას იმოქმედო საერთოდ, ყოველთვის დამახასიათებელი იყო ტირანიისათვის... მაგრამ ყოველი კონტაქტი და ყველა თვისება არ არის დანგრეული ადამიანებს შორის. პრივატული ცხოვრების მთელი სფერო გამოცდილების, მუშაობის და შროვნების უნარის ჩათვლით, ხელუხლებლადაა დატოვებული. ჩვენ ვიცით, რომ ტოტალური ტერორის რკინის ფარდა არავითარ სივრცეს არ ტოვებს პრივატული ცხოვრებისათვის და ტოტალიტარული ლოგიკის თვითიძულება ანგრევს გამოცდილებისა და შროვნების ადამიანურ უნარს, ისევე როგორც მის უნარს მოქმედებისათვის.“

ტოტალიტარიზმს შეუძლია იმოქმედოს ასე ეფექტურად, რადგან თანამედროვე სამყაროს ადამიანებს აქვს ფუნდამენტურად ახალი გამოცდილება, ფაქტობრივად სრულიად ახალი მსოფლიოს ისტორიაში. ეს ახალი გამოცდილება მარტოობაა „ის რაც ამზადებს ადამიანს ტოტალიტარული ბატონობისათვის არატოტალიტარულ სამყაროში, არის ის ფაქტი, რომ ერთხელაც საზღვრებში მოქცეული გამოცდილება ჩვეულებრივ გადადის გარკვეულ მარგინალურ სოციალურ პირობებში... და იქცევა ჩვენი საუკუნის ზემოზარდი მასების ყოველდღიურ გამოცდილებად“. მარტოობა არც მარტოდ

⁶⁴ Totalitarism. p. 474.146,322.

ყოფნაა, რომელიც შეიძლება შემოქმედებითი დიალოგი იყოს საკუთარ თავთან, და არც იზოლაცია, რომელიც ზოგიერთ ინდივიდებს ტოვებს სამყაროსთან გარკვეულ მიმართებაში, შრომის ან საგნების შექმნის გზით“. მარტოსული პერსონა თავის თავს მიტოვებულად გრძნობს, დაკარგული აქვს ადგილი, რომელსაც თავის საკუთარს უწოდებს და თავის თავზე განიცდის მიტოვებულობის გამოცდილებას ყველაფრისა და ყველას მხრიდან“.⁶⁵ მარტოობა სამუალებას აძლევს ტოტალიტარულ მმართველობას ძალზე წარმატებით გამოიყენოს ტერორი და იდეოლოგია“. „მაშინ როცა იზოლაცია ეხება მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების სფეროს“, მარტოობა კი ეხება ადამიანის ცხოვრებას, როგორც მთლიანობას. ტოტალიტარული მმართველობა, ყველა ტირანიის მსგავსად, ჩვეულებრივ შეუძლებელია არსებობდეს, ადამიანის იზოლაციის გზით, მისი პოლიტიკური უნარების დანგრევის გარეშე. მაგრამ ტოტალიტარული ბატონობა, როგორც მმართველობის ფორმა, ახალია იმით, რომ ის არ კმაყოფილდება ამ იზოლაციით და ასევე ანგრევს პრივატულ ცხოვრებასაც. იგი აფუძნებს თავის თავს მარტოობაზე, გამოცდილების იმ ტიპზე, რომელიც არ მიეკუთვნება სამყაროს საერთოდ და რომელიც ადამიანის ყველაზე რადიკალური და უიმედო გამოცდილებაა საბით“.⁶⁶

რატომ გახდა საყოველთაოდ გავრცელებული მარტოობა საერთო და უპრეცედენტო ფენომენი მეოცე საუკუნეში? არენდტი უკავშირებს ამ ახალ გამოცდილებას „კლასების ტრანსფორმაციას მასებში და ყველა სოლიდარული ჯგუფების თანმხლებ გარდასახვას“, ან უფრო მარტივად თუ ვიტყვით კლასებისა და ჯგუფების ნგრევას მიყვარებულ „მასობრივი ადამიანის“ და მასობრივი სპოვადობის წარმოქმნამდე. პარენდტი ვარაუდობდა, რომ ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და კაპიტალიზმი ანგრევს ყოფილ კავშირებს ინდივიდუალებს შორის – კლასების, სპოვადობების, ჯგუფების და გარკვეული დონით, ოჯახურსაც კი – და იწვევს საერთო ცხოვრების დეზინტეგრაციას“. თანამედროვე სამყარო, მოწმობს მარტოსული „გააკვებული ინდივიდუალებს სტრუქტურირებულ

⁶⁵ “The origins of totalitarianism. p. 474,478.

⁶⁶ Ibid. 475.

მასამ, რომელთაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. მასობრივი საზოგადოება და მარტოობა ფეხდაფეხ მიყვებიან ერთმანეთს“.⁶⁷

ჰარენდტი ერთობლივი ცხოვრების დეზინტეგრაციის დამაწყისად მიიჩნევს, *citoyen-ის bourgeois-ში* დეგენერაციას, ე.ი. ბურჟუაზიული ღირებულებების სრულ გამარჯვებას მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საზრისზე“. „საზოგადოებრივი საზრუნავისაგან თავიანთი თავის გათავისუფლების შემდეგ, ინდივიდუები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავიან თავს შემოსაზღვრავენ პრივატული ცხოვრებით, საზოგადოებრივი სფეროს გაქრობის გამო“. ნამდვილ საზოგადოებრივ სივრცესთან ერთად, რომელიც გაქრა ან უკვე ქრებოდა, აგორა, ანუ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილი, რათა განეხილათ საზოგადოებრივი საკითხები, ტრანსფორმირდა „მაღაზიების ანსაბლეაში“ „აღმოსავლური დესპოტიზმის ბზრების მსგავსად“.⁶⁸ ინდივიდები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას უძღვნიან სიმდიდრის დაგროვებას არ შეიძლება დაკავებული იყვნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობით, ასე რომ, მომხმარებლური ქმედება და მომხმარებლური საზოგადოება ძალიან იოლად ყიდის მოქალაქეობისა და პოლიტიკური მონაწილეობის საზრისს. ბედნიერების სურვილმა, სიმდიდრის დაგროვების გზით, შეცვალა პოლიტიკური თავისუფლების სურვილი და აქიდან გამოძინარე სიმდიდრე და დაუსრულებელი მოხმარება ღარიბების იდეალად იქცა; ძინი წარმოადგენენ მირაჟს სიღარიბის უღაბნოში“.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას ძალიან იოლად მოაქვს დიქტატურისა და ტირანიის მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს იზოლაცია და აპათია. „ინდევერენტულობა საზოგადოებრივი საქმებისადმი, ნეიტრალობა პოლიტიკური პრობლემების მიმართ, თავისთავად არ არის საკმარისი პირობა ტოტალიტარული მოძრაობის წარმოშობისათვის. ბურჟუაზიულმა ანტაგონისტურმა და მესაკუთრეთა საზოგადოებამ წარმოქმნა აპათია და მტრობაც კი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ... მოქალაქის ვალდებულებანი და მოვალეობანი შეივრძნობოდა არააჟიროდ, რომელიც თავს ესხმოდა მის შეზღუდულ ღროსა და ენერჯიას. ბურჟუაზიული მიმართების ეს ფორმა უფრო

⁶⁷ The origin of totalitarianism. p. 225, 315.

⁶⁸ Ibid, 79-80.

მეტად გამოსაყენებელია დიქტატურის იმ ფორმისათვის, რომელშიც „ძლიერი პიროვნება“ თავის თავზე იღებს საჭირობოროტო პასუხისმგებლობას, რომ მართოს საზოგადოებრივი საქმეები; ისინი წარმოადგენენ პოზიტიურ დაბრკოლებას ტოტალიტარული მოძრაობისადმი, რომელსაც შეუძლია შეიწყნაროს ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი და არავითარი სხვა სახის ინდივიდუალიზმი“.⁶⁹

ჰარენდტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება არ იყო საკმარისი პირობა, რათა ტოტალიტარზმი ჩამოყალიბებულყო, იგი გარკვეული აზრით დაეხმარა, რათა მისი საფუძველი შექმნილიყო, იზოლაციის, აპათიისა და საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინდიფერენტულობის გზით. ბურჟუაზიის სურვილი იყოს განმარტოებული, გამოიყენოს მთავრობა, როგორც პოლიციის ძალა, რადგან დაიცავს ვინმეს პრივატული სივრცე და კერძო ინტერესები, იოლად გადადის, ეფექტური ადამიანობისათვის, მოქალაქის საზოგადოებრივი საქმეების გაუქმების სურვილში. თავისუფალი ინდივიდების სივრცე, — პოლისი — გაუჩინარებულია; და ოჯახური კერია, აუცილებლობისა და იერარქიის სფერო, იქცევა მოდელად პოლიტიკური საქმიანობისათვის. ბურჟუაზიის სურვილი უბრალოდ ასეთია, რომ „ყოველდღიური საქმიანობა ოჯახური კერიის გამო, აყვანილი უნდა იქნეს საერთო ნაციონალური გიგანტური ზრუნვის რანგში“. ამ აზრით, იმედი იმისა, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები მხოლოდ კერძო ინტერესებს უნდა მოემსახუროს, სინამდვილეში შემდეგში ქმნის ტოტალიტარზმს, უბრალოდ საზოგადოებრივი და პრივატულის განსხვავების ელიმინირების გზით. ბურჟუაზიის პოლიტიკური ფილოსოფია ყოველთვის ტოტალიტარული იყო; იგი ყოველთვის ვარაუდობდა პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების იდენტობას, რომელშიც პოლიტიკური ინსტიტუტები ფასადია პრივატული ინტერესების.⁷⁰

პრივატულ ცხოვრებაში თავნარგული ინდივიდუუმები შეიძლება ფიქრობენ, რომ ისინი თავისუფალი არიან, მაგრამ იზოლირებულნი და უძლურნი, იოლად მანიპულირებადი და განადგურებულნი.

⁶⁹ The origins of totalitarianism. p.313.

⁷⁰ Hunnman condition, p.23. Totalitarianism.336.

ბურჟუაზიული ფილოსოფია ითავისებს იდეას, რომ კინმეს პრიატულ საზღვრებში, ვილაც თავისუფალია იფიქროს და შეიგარძნოს ისე როგორც მას სურს; მაგრამ ის რაც შეიძლება სწორი აღმოჩნდეს ჩვეულებრივი ტირანიის მმართველობის ქვეშ, სრულიადაც არ არის სწორი ტოტალიტარული მართვის ფორმაში. მარტოსული ინდივიდუუმები სალი შროვნების უნარსაც კი კარგავენ, როდესაც კონფორტაციაში აღმოჩნდებიან იდეოლოგიური შროვნების პირისპირ. ეს ხდება იმიტომ, რომ ინდივიდებს ესაჭიროება ერთმანეთთან საუბარი, რადგან გააცნობიერონ საზგარო. ამგვარი ადამიანური ინტერაქცია, შეუძლებელია მარტოსულების სამზაროში, რამაც დაანგრია საზოგადოებრივი სფერო და რომელიც ასე აუცილებელია დამოუკიდებელი შროვნებისათვის.

ჭარენდტის შირით, იდეოლოგია მეორე მახასიათებელია მმართველობის ახალი ფორმისა, რომელსაც პრეტენზია აქვს იცოდეს მთელი ისტორიული პროცესის მისტერია – წარსულის საიდუმლო, აწმყოს არეულ-დარეულობის სათავეები, მომავლის განსაზღვრულობა – რადგან მას აქვს შინაგანი ლოგია მის პერსპექტიულ იდეებში. ტირანია ბატონობს სუბიექტებზე ისე, რომ მათ პირად შრებს არ ეხება, იდეოლოგია კი – მარტობითა და ტერორით შეზავებული იჭრება ადამიანების პირად ცხოვრებაში, ანგრევს სალი შრის პოზიციებს და ქედმოუხრელი თანმიმდევრულობით მათი შროვნების მანიპულირებას ახდენს. „იდეოლოგიური შროვნება ყველა მიმართებას ანგრევს რეალობასთან... ადამიანი კარგავს შროვნების და გამოცდილების უნარს.“⁷¹

იდეოლოგია აქეზებს ტოტალიტარულ მოძრაობას უარყოს ყველა უტილიტარული და ეკონომიური მოტივები, რომელიც ასე არსებითია ტირანიისათვის. მიუხედავად სასტიკი მმართველობისა, ტირანები თავიანთ ღომინანტებზე ბატონობენ, რალაც წინასწარ სავარაუდო ეგოისტური ინტერესების საფუძველზე. ამისაგან განსხვავებით, ტოტალიტარულმა დიქტატორებმა სტალინმა და ჰიტლერმა მიაღწიეს იმას, რომ გათავისუფლებულიყვნენ პირადი ინტერესებისაგან და ამგვარად უმაღლესი იდეოლოგიური ღირებულებების

⁷¹ The origins of totalitarism. 469. 474.

ძიების პლანში, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების იგნორირება მოეხდინათ.

ნაცისტური იდეოლოგიის საშინელ შინაარსზე მეტად, ჰარენდტს აწუხებდა იმ ხერხების გამოყენების პრობლემა, რომლითაც ნებისმიერი იდეოლოგია ბატონობს ადამიანზე. როგორც აღვნიშნავდით, ყველა იდეოლოგია ეყრდნობა მარტივ პრინციპს, რომელიც ხსნის წარსულს, წყვეტს აწმყოს, არეულ-დარეულ პრობლემებს და წინასწარმეტყველებს მომავალს. ჰარენდტის ზრით, ყველა იდეოლოგია პოტენციურად ტოტალიტარულია და იმიტომ ინარჩუნებს მომხიბვლელობას, იგი აცხადებს, რომ მას აქვს პასუხი ყველა პრობლემაზე; და მიუხედავად იმისა, რომ მოითხოვს ახლოს იყოს რეალობასთან და მოიცავს რელაბოლიტიკა, ტოტალიტარული მოძრაობები ეფუძნება ისეთ იდეოლოგიას, რომელსაც „ფაქტებისა და რეალობისადმი“ ზიზღიანი დამოკიდებულება აქვს. ტოტალიტარული მოძრაობა არასოდეს ყოყმანობს შეცვალოს ფაქტები თავიანთი სურვილის მიხედვით. სტალინის რუსეთის რევოლუციის ისტორია, რომელიც არ ითვალისწინებს ტროცკის რაიმე სახით მოხსენიებას, სინამდვილეში შესაძლოა ყველაზე დრამატული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ფაქტობრივი ჭეშმარიტება, ტოტალიტარიზმის გამარჯვებასთან ერთად, გაუჩინარდეს სამყაროდან. ჰარენდტი ვარაუდობს, რომ „სამყარომ პირდაპირ უნდა შეხედოს საშინელ და დემორალიზებად შესაძლებლობას, რომ გიგანტური ტყუილი და საშინელი სიცრუე, საბოლოო ჯამში შეიძლება დაფუძნდეს, როგორც უეჭველი ფაქტები; ადამიანი თავისუფალია შეცვალოს საკუთარი წარსული თავისი ნების მიხედვით და ჭეშმარიტებას და სიცრუეს შორის განსხვავებამ შეწყვიტოს ობიექტურობა და იქცეს უბრალო ძალაუფლების საკითხად“.

ფაქტობრიობა რჩება მხოლოდ გარე არატოტალიტარულ სამყაროში და იმის გამო, რომ ტოტალიტარიზმი შიშს განიცდის სამხილვების წინაშე, თავს თავს რეალობისაგან თავისივე იდეოლოგიის საშუალებით იცავს.⁷²

ფაქტების შეცვლა იმის გამო, რომ მიაღწიო პოლიტიკურ მიზნებს, არ იყო მარტო ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი.

⁷² The origins of totalitarianism. 333.

უდავოა, რომ ყოველი ტირანი ჩადიოდა ამას, თუმცა ტოტალიტარიზმში, რისადმიც ის შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, გაძლიერებული გახლდათ პროპაგანდის ტექნოლოგიით და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით. ჰარენდტი ვარაუდობდა, რომ იდეოლოგიური ზროვნება უზრუნველყოფს ფაქტობრიობის გაუზიარებას ოთხი გზით. პირველი, საერთო დისკურსისაგან გამოყოფილი მარტოსული ინდივიდუუმები თანამოქალაქებთან ერთად კარგავენ საღი ზრის უნარს და იზღუდებიან იდეოლოგიის მოთხოვნით ფაქტობრიობისა და სამხილების საწინააღმდეგოდ. „იდეოლოგიური ზროვნება ანგრევს ყველა მიმართებას სამყაროსთან“. მეორე, იდეოლოგიები გულმხმობს, როგორც ჰარენდტი უწოდებს, „ლოგიკურობის ტირანიას“. თუკი, იდეოლოგია მოითხოვს, რომ ისტორიის საიდუმლოს წარმოადგენს კლასთა ბრძოლა ან რასების ბუნებრივი გადარჩევა, მაშინ ფაქტობრიობის მოთხოვნები გვერდზეა მოსროლილი. „ის რაც მასებს არწმუნებს არ წარმოადგენს ფაქტებს და გამოგონილ ფაქტებსაც კი, არამედ სისტემის თანმიმდევრულობას, რომლის სავარაუდო ნაწილია ეს ფაქტები“. როგორც ჰარენდტი აღნიშნავდა, „საგნები არაფერია, მთავარია თანმიმდევრულობა“. მესამე, იდეოლოგიებს ადამიანები მიჰყავს ინტელექტუალურ და პოლიტიკურ პასიურობამდე, რადგან ისინი, საფუძველშივე ცდილობენ „თავიქუდმოგლეჯილი გაეჭენენ პასუხისმგებლობას“. იდეოლოგიები, მოითხოვენ რა კურთხეული იყოს საზოგადოების ან ისტორიის „მეცნიერული კანონების აღმოჩენის გზით, გვეუბნება ქედი მოვებართთ გარდაუვალის წინაშე, გავხდეთ ისტორიის მატარებლის მგზავრები და ბუნებრივი გადარჩევის მყურებლები. „ისტორიის ეს ახალი ფილოსოფია გამოიხატება იმით, რომ ადამიანური ქმედების მთელი სფერო აღწერილი და გაგებული უნდა იქნეს არა აქტორისა და აგენტის ტერმინებში“, არამედ მყურებლის თვალსაზრისიდან, რომელიც სპექტაკლს უყურებს. დაბოლოს, მეოთხე – ტოტალიტარიზმი ჩვეულებრივ ტირანიზე მეტად, აუკუღმართებს ენას, რომელიც ძირითადი საშუალებაა ინდივიდების გასაკონტროლებლად. როგორც არენდტი აღნიშნავს, სიკვდილის ბანაკებში დეპორტაციას ეწოდებოდა „საცხოვრებელი ადგილის შეცვლა“, „საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა“, „მუშაობა აღმოსავლეთში“;

მასობრივ მკვლევლობებს მიწებებული ჰქონდა ან „გულმოწყალე სიკვდილს“, ან პრობლემის „საბოლოო გადაწყვეტის“ იარღივი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცინზმი დაეფუძნა „ბურჟუაზიული საზოგადოების ბრმა კონფორმიზმს“ (რომელსაც ჰარენდტი, ზოგჯერ, „ამერიკელების სოციალურ მონობას“ უწოდებს), ისინი ძალიან იოლად გავიდნენ ამგვარი კონფორმიზმის მიღმა, თანამედროვე სამაუწყებლო ტექნიკის დახმარების გზით და ორივე მათგანს იყენებდნენ პროპაგანდისა და შთაგონებისათვის. მასებზე შეიძლება მოიპოვო წარმატება პროპაგანდის გზით, მაგრამ როცა ტოტალიტარიზმი ფლობს აბსოლუტურ კონტროლს, იგი პროპაგანდას ცვლის შთაგონებით. იმ დროს როცა იდეოლოგია „ყურადღებას ამახვილებს საშუალოზე“, მისი მიზანია, მთელმა მოსახლეობამ ისწავლოს გამეორება იმისა, რაც ლიდერმა თქვა წინა საღამოს, ასევე უნდა ისწავლოს რა არის საბიფათო მტროვნება დღეს, რაც წინა კვირას ურყევზე-ურყევი რამ იყო. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ცინიზმი გამოსჭვივის ყოველდღიურ განცხადებებში, ტოტალიტარული მმართველობა წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მსმენელებს ნამდვილად სწამთ იდეოლოგიის ზოგადი მითითებების (მაგალითად, „ებრაელთა საყოველთაო მსოფლიო შეთქმულებისა“). ეს იდეოლოგიური სიცრუე ერთგვარ „ხელუბლებელ ჭეშმარიტებად იქცევა“. ყველა ამ მიმართებაში, იდეოლოგიური მტროვნება ამყარებს ტოტალიტარიზმს და ის მოქმედებს იმგვარად, როგორც სხვა ტირანიები არ მოქმედებენ. ტოტალიტარიზმი არასოდეს არ კმაყოფილდება განახორციელოს მმართველობა გარეგნული საშუალებებით, სახელდობრ, სახელმწიფოსა და იძულების მანქანის გზით; განსაკუთრებული იდეოლოგიისა და იძულების აპარატის გამოყენებით, ტოტალიტარიზმმა აღმოაჩინა საშუალებანი, რომელიც შიგნიდან ბატონობს და ადამიანის ტერორიზმებს ახდენს. მიუხედავად ამისა, ტოტალიტარიზმს უფრო მეტი უნდა. მას სურს „მოახდინოს ადამიანის ბუნების ტრანსფორმაცია“. სწორედ ამისათვის იქმნება საკონცენტრაციო ბანაკები, რომლის არსი ტერორში გამოიხატება და ეს უკანასკნელი იქცა „ლაბორატორიებად, სადაც ადამიანის ბუნების შეცვლაზე ცდებს აყენებდნენ“⁷³.

⁷³ The origins of totalitarianism, p. 325-458.

პარენდტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მრი ტოტალიტარიზმის შესახებ ისაა, რომ ტოტალიტარიზმი არის მოძრაობა, რაღაც სრულიად განსხვავებული პოლიტიკური პარტიისაგან. პარტიებს ტენდენცია აქვს წარმოადგინოს კლასების და ჯგუფების ხელშესახები ეკონომიკური ინტერესები. მოძრაობა განსხვავდება პოლიტიკური პარტიისა და ნაციონალური სახელმწიფოსგანაც კი. მას შემდეგ რაც მან თავისი შინაგანი ლოგიკით უპირატესობა ნაციონალურ სახელმწიფოზე, იგი შეეცადა თანდათანობით შეეცვალა ის. იეს წარმოადგენდა ნაცისტური მოძრაობის ბუნებას, რადგანაც ის ინარჩუნებდა მოძრაობას და ხდიდა მას უფრო რადიკალურს ყოველი თვის განმავლობაში, ისე ძლიერად, რომ მოძრაობის წევრები ვერასოდეს ვერ შესძლებდნენ განესაზღვრათ, ან განეჭვრიტათ მომავალი ცვლილების არსი. პარენდტი აღწერს ამას, როგორც „ტოტალიტარული მოძრაობის“ მუდმივი მოძრაობის მანიის სახით, რომელმაც შეიძლება შეინარჩუნოს თავისი თავი ძალაუფლებაში მხოლოდ იმ ხნით, რამდენ ხანსაც შეინარჩუნებს მოძრაობას⁷⁴. ტოტალიტარული მოძრაობის ზოგიერთი მახასიათებელი პირდაპირ ლოგიკურად გამოძინარეობს მუდმივი მოძრაობის ამ პრინციპიდან. პირველი, მოძრაობა არასოდეს არ აფიქსირებს მიზანს ან პროგრამას, არამედ წარმოადგენს ნათლად გამოხატულ „ხალხის ნებას“. ეს საშუალებას აძლევს მას ყოველდღე შეცვალოს პოლიტიკა თავისი მიზნების შესაბამისად. მეორე, ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგაც კი, მოძრაობამ თავი უნდა აარილოს ერთ ადგილზე გაყინვას, რომელიც შეიძლება იოლად მოვიდეს მმართველობის პასუხისმგებლობასთან ერთად. თუკი მოძრაობა ხდება დიქტატურის ერთ-ერთი ფორმა, ან აბსოლუტური მმართველობის რაღაც ვარიანტი, მაშინ ცვლილება წყდება და მოძრაობა მთავრდება. მაშინ ეს არ იქნება ტოტალიტარიზმი, ე.ი. მოსახლეობაზე ტოტალური ბატონობა, არამედ ეს იქნება ჩვეულებრივი ტირანია. ამგვარად, ტოტალიტარული მმართველი უნდა მისდევდეს საპირისპირო ამოცანას. „მან უნდა დააფუძნოს მოძრაობის გამოგონილი სამყარო, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ხელშესახებად მომუშავე რეალობა და მან, მეორე

⁷⁴ Ibid.306.

მხრივ, უნდა დაიცვას ეს სამყარო მისგან ახალი სტაბილურობის განვითარებისაგან⁷⁵. მესამე – მოძრაობამ თავი უნდა აირიდოს ნაციონალიზმის მოთხოვნისაგან, რადგან ნაციონალისტური დებულებანი მოძრაობის ტრანსფორმირებას მოახდენს იმგვარ მმართველობაში, რომელიც მსგავსია სხვა ნაციონალური სახელმწიფოებისა. უფრო მეტიც, მოძრაობა სიცოცხლისუნარიანია მისი ინტერნაციონალურად ქცევის შედეგად და გლობალური მიზნების დასახვის გამო. ეს უკანასკნელი, ჰარენდტის ზრით, საუკეთესოადაა გამოხატული ლ.ტროცკის პერმანენტული რევოლუციის დოქტრინაში. თუ ტოტალიტარული რეჟიმი მიზნად არ ისახავს გლობალურ მმართველობას, როგორც მის უპირველეს მიზანს, ის ძალზე ახლოსაა საფრთხესთან დაკარგოს ის ძალაუფლება, რომელიც ახლამანს მოიპოვა. იმ დროს როცა, ეს სამი მახასიათებელი ტოტალიტარულ მოძრაობას ძალზე მყიფეს ხდის, ის ასევე ემსახურება ტოტალიტარული ბატონობის მიზანს.

პარტიებზე უფრო მეტად, მოძრაობაა „იდეოლოგიის განმსაზიერებელი“ და „ფილოსოფიით დატვითული“. ჰარენდტი ამტკიცებს, რომ პარტიები უფრო მეტად გამოხატავენ პარტიკულარული კლასებისა და ჯგუფების ინტერესებს. ამიტომაც ისინი უფრო მეტად ფოკუსირებას ახდენენ ეკონომიკაზე, ვიდრე იდეოლოგიაზე. მაშინ როცა, მოძრაობა გამოხატავს იდეოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს ახსნას ყველაფერი. მოძრაობა მიზნად ისახავს წარმოადგინოს საყოველთაო კეთილდღეობა, როგორც პარტიკულარული ინტერესებისადმი დაპირისპირებული და რომ მხოლოდ მას აქვს გასაღები აბსოლუტური ცოდნისადმი, რომელიც დაპირისპირებულია ყოველგვარი შეზღუდული აზნებისადმი. „ეს არის მოძრაობის ის აბსოლუტურობა, რომელიც მას ყველაზე მეტად გამოყოფს პარტიის სტრუქტურისაგან და მისი შეზღუდულობებისაგან... ამ დინებაში მიზნებსა და საშუალებებს შორის განსხვავება უჩინარდება... და ამის შედეგია იდეოლოგიური პოლიტიკის სამინელი ამორალობა. „მოძრაობა თავის თავს მაღლა აყენებს სახელმწიფოზე, პოლიტიკურ პარტიანზე, ხალხზე და მზად არის მსხვერპლად შესწიროს სამივე მათგანი იდეოლოგიის გამო“.⁷⁶

⁷⁵ Ibid.391.

⁷⁶ The origin of totalitarianism. p. 249-250,266.

იმ დროს, როცა ჰარენდტი, ტოტალიტარულ მოძრაობაში ხელაუდა ბიზნესისა და ბრბოს კაეშირს, რომელმაც ამ უკანასკნელის დახმარებით მოიპოვა გამარჯვება, იგი აღნიშნავდა, ელიტა (ანუ ინტელექტუალები) აღფრთოვანებული იყო იმით, რომ „ბრბო“ ანგრევს „რესპექტაბელურობას“. სინამდვილეში ელიტა ხშირად თავის თავს უფლებას აძლევს ცდუნდეს ტოტალიტარული მოძრაობის მიერ, რადგან მათ აქვთ „გამართლებული ზიზღი“ ბურჟუაზიის მორალური სტანდარტებისადმი და იდეოლოგიური ხედვისადმი; მათ სურვილი აქვთ გახდნენ რაღაც დიდის და პეროიკულის ნაწილი, „რაღაც ისტორიულის, გრანდიოზულის და უნიკალურის“. (ჰარენდტი უარყოფდა ელიტის ბრალეულობას ტოტალიტარულ ტენდენციებში; ელიტის იდეები არ იწვევს ამგვარ ისტორიულ ცვლილებებს. ყველგან ელიტის შემოქმედებითობა საფრთხეს უქმნის ტოტალიტარულ მოძრაობას და აქიდან გამომდინარე ყოველთვის პირველ მსხვერპლთა შორისა). იდეოლოგიური განცხადება იმისა, რომ მოძრაობა თანხმობაშია საყოველთაო კანონთან, სავარაუდოდ ისტორიის ან ბუნების კანონთან, აცდუნებს ელიტას გახდეს დიდი და მსოფლიო ისტორიული მომენტის ნაწილი. „ბუნების ან ისტორიის კანონი, თუკი ის საკუთრივ განხორციელებადია, ვარაუდობს წარმოქმნას სამყარო, როგორც მისი საბოლოო პროდუქტი... მაშინ ტოტალიტარული პოლიტიკა მოითხოვს ტრანსფორმირება მოახდინოს ადამიანთა გვარის კანონის აქტიურ და საიმიედო მატარებლად, რომლისადმიც ისინი პასიურად არა ნებისუელად იქნებიან დაქვემდებარებულნი“.⁷⁷

ჰარენდტმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ტოტალიტარული მოძრაობებისათვის პან-მოძრაობებში აღმოაჩინა, უფრო სწორედ, ისეთ მოძრაობაში, რომელიც ცდილობს გააერთიანოს ევროპაში მცხოვრები „ხალხები“, „რასები“ ან „ერები“, რომლებიც გაფანტული არიან ნაციონალურ საზღვრებში. „ნაციზმი და ბოლშევიზმი უფრო მეტად დავალებულია პანგერმანიზმით და პანსლავიზმით ვიდრე, სხვა რაიმე იდეოლოგიით ან პოლიტიკური მოძრაობით. ეს პან-მოძრაობები ეძიებს „გააერთიანოს ყველა ხალხი მსგავსი „ხალხის“ საფუძველზე, მათი ისტორიისაგან დამოუკიდებლად და

⁷⁷ Ibid. 462, 399.

იმ საკითხების გათვალისწინების გარეშე, სადაც მათ უწევდათ ცხოვრება.⁷⁸

ეს პან-მოძრაობები აცხადებს თავის ხალხს, როგორც უნიკალურს, რჩეულს და ჩვეულებრივ გარშემორტყმულს მტრების გარემოცვით, სახელდობრ, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხით. მსგავსად რასობრივი შროვნებისა, პან-მოძრაობის მიერ მიღებული იდეები უარყოფს საერთო კაცობრიობის იდეას, რადგან დაყოს კაცობრიობა რასებად და ხალხებად, რომლებიც სავარაუდო ომის ვითარებაში არიან ერთი მუორესთან მიმართებაში.

ანტისექსიზმი იოლად მოვიდა პან-მოძრაობასთან. მათი მოთხოვნები გამორჩეულობისა, უნიკალურობისა, და ღვთივეკურთხეულობისაა, პირდაპირ კონფლიქტში იყო ებრაელების ამგვარ მოთხოვნასთან. ებრაელები იცნენ ერის სრულყოფილი მოდელი სახელმწიფოებრიობისა და საზინარი ინსტიტუტების გარეშე. მაგრამ ის რამაც ებრაელები მოახვედრა რასობრივი იდეოლოგიის ცენტრში ყველზე უფრო მეტად იყო, ჩვეულებრივი ფაქტი, რომ პან-მოძრაობების მოთხოვნა რჩეულობისა შეიძლებაოდა სერიოზულად შეჯახებოდა მხოლოდ ებრაელების ამგვარ მოთხოვნას.⁷⁹ საბოლოო ჯამში, რაც არ უნდა იყოს, ებრაელები და სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც არ იგულისხმებოდა პან-მოძრაობებში დევნილები აღმოჩნდნენ, თუმცა ამათგან ებრაელთა ბედი ყველზე საშინელი იყო. ყველა ეს ხალხები იცნენ სახელმწიფოს არ მქონენი, იოლად დენაციონალიზებადი და ზედმეტნი იმ შრით, რომ ორგანიზებულ ნაციონალურ სახელმწიფოს არ სურდა მათი მიღება. ამგვარად, რასისტული შროვნების მიერ ებრაელები და სხვები შეიძლებაოდა გამოცხადებულნიყვნენ, როგორც მტრები. ორივე ჯგუფი შხა სუბიექტები იცნენ ტერორისა და სიკვდილისათვის. კვიდრე ნაციონალიზმი განის კამერებს აამუშავებდნენ მათმა დაწვრილებით გამოიკვლიეს მისთვის საფუძველი და თავისდა სასიამოვნოდ აღმოაჩინეს, რომ არავითარი ქვეყანა არ მოითხოვდა ამ ხალხს. ეს თვალსაზრისი იმით გამოიხატება, რომ „სრულყოფილი უფლებებლობის პირობა უფრო ადრე იყო შექმნილი, ვიდრე

⁷⁸ Ibid.222,224.

⁷⁹ Ibid.239-240.

სიცოცხლის უფლება იქნებოდა ეჭვის ქვეშ დაყენებული.“
ჰარენდტი უფრო შორს წაიდა და თქვა, რომ სინამდვილეში
ტოტალიტარული მმართველობა მხოლოდ მაშინ შეიძლება აყვავდეს,
„როცა დიდი მასები არიან ზედმეტად“, რადგან ტოტალიტარული
მომართობის შემდეგ იწყება ტოტალიტარული მმართველობა და
მას ესაჭიროება მტრები ტერორიზებისა და სიკვდილისათვის⁸⁰.

ტოტალიტარული მმართველობის მესამე დამახასიათებელი
ნიშანია ტერორი. იმ დროს, როცა ტირანები სასტიკად
უსწორდებიან თავიანთ სავარაუდო და რეალურ ოპონენტებს,
ტოტალიტარული მმართველობა კი ტერორს იყენებს იმ შემთხვევაშიც
კი, როცა ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია განადგურებულია.
ტერორი და სიკვდილის ბანაკები აყალიბებს ტოტალიტარული
მმართველობის ძირითად მახასიათებლებს; და ამის გამო,
ტოტალიტარიზმის დანაშაული განსხვავდება არა მარტო სერიოზულობის
ხარისხით, არამედ თავისი არსითაც“. თუ უსამართლო მმართველობა
ტირანის არსია, მაშინ „ტერორი წარმოადგენს ტოტალიტარული
მმართველობის არსს“; და თუ ტირანეები იღწვიან ადამიანის
თავისუფლების მკაცრად შეზღუდვისათვის, ტოტალიტარული მმართველობა,
იდეოლოგიისა და ტერორის საშუალებით მიზნად ისახავს გააუქმოს
თავისუფლება და საერთოდ ადამიანის სპონტანური ქმედებაც
კი.⁸¹

ჰარენდტის მხრით იმისათვის, რომ დაფუძნდეს ტოტალიტარული
რეჟიმი ტერორი წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც სპეციფიკური
იდეოლოგიის გატარების ინსტრუმენტი. ჩვეულებრივი ტირანები
იყენებდნენ ძალადობას პოლიტიკური წესრიგის მისაღწევად.
ამისაგან განსხვავებით, ჰარენდტი ტერორს განსწავლავს, როგორც
ძალადობის გამოყენებას, როცა ის საჭირო აღარ არის
პოლიტიკური ბატონობის დამყარებისათვის. „ტერორი არ არის
იგივე ძალადობა; ის უფრო მეტად მმართველობის ფორმაა,
რომელიც მაშინ შემოდის ყოფიერებაში, როცა ძალადობა...
სრული კონტროლის სახით არის შენარჩუნებული“.⁸²

⁸⁰ Ibid. 399.

⁸¹ Ibid. 421.

⁸² Ibid. p. 6.

ჰარენდტიმა შმონტესკიესაგან აიღო, რომ ტირანია მმართველობის ფორმაა, უფრო სწორად, დიდი ძალადობა, მაგრამ ნაკლებად ძლიერი ვიდრე ტოტალიტარიზმია. ეს გამოიხატება იმით, რომ ის შედარებით უუნარო დამუკიდებელი ქალებისა და მამაკაცების ორგანიზება მოახდინოს გაცნობიერებული პოლიტიკური აქციის მიზნისათვის. შმონტესკიეზე დაყრდნობით ჰარენდტი აცხადებს, რომ ტოტალიტარიზმი წარმოადგენს მმართველობის ფორმას, რომელშიც განცხადებული ტერორი ხდება, არა საშუალება მიზნისათვის, არამედ მიზანი თავისთავად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ „პროპაგანდა ტოტალიტარიზმისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ და ყველაზე მნიშვნელოვან, ინსტრუმენტს არატოტალიტარული სამყაროსადმი მიმართებისათვის, ტერორი კი, პირიქით - წარმოადგენს მისი მმართველობის არსს.“

შმონტესკიეს მსგავსად, ჰარენდტი ამტკიცებს, რომ თანამედროვე დესპოტიზმში, რომელსაც ტოტალიტარიზმი ეწოდება, შიში ხდება ადამიანების ძირითადი წარმმართველი მოტივი „არავინ ეგზეკუტორებიც კი, არ შეიძლება იყვნენ შიშისაგან თავისუფალნი“. ამხანაგებს შორის ეჭვი, მეზობლების თვალთვალი, როგორც პოტენციური ინფორმატორის, შიში იმისა, რომ ოჯახის წევრიც კი შეიძლება იყოს პოტენციური აგენტი პროვოკატორი - წარმოადგენს სისტემის მუშაობის დერძს. ეს ატომიზაცია შენარჩუნებულია და გაძლიერებულია, ინფორმატორების ყველგან მყოფობის საშუალებით. ისინი შეიძლება ყველგან იყვნენ, რადგან ის უკვე აღარ არის ჩვეულებრივი პროოფესიონალი აგენტი, რომელსაც პოლიცია უხდის, არამედ პოტენციურად ყველა პერსონა ვისთანაც კონტაქტში შედისარ შეიძლება ის იყოს. ეს არის სამყარო, რომელშიც ყველა ინდივიდუმი საეჭვოა, უბრალოდ იმიტომ, რომ ყოველ ადამიანს აქვს უნარი იფიქროს.“⁸³

ჰარენდტის აზრით, რა თქმა უნდა ეს შიში მოდის, პოლიციის ძალების ყოვლისმომცველი ძალაუფლებისაგან, რომლებიც მშობლიურ ქვეყანას ისე მართავენ, თითქოსდა ის დაპყრობილი იყოს. „ხელისუფლებაზე მაღლა და ძალაუფლების ხილული ფასადის უკან, დახლართულ ლაბირინთებში, ხელისუფლება ხმს

⁸³ Ibid. p.430-431.

უსვამს ყოველგვარ ცვლილებას და უუნარობის ქაოსში, ქვეყნის ძალაუფლების ბირთვებს აფუძნებს, საიდუმლო პოლიციის სამსახურის ზეეფექტურობაზე და ზეკომპეტენტურობაზე“.⁸⁴ მაგრამ ესეც კი არ არის არსებითად ახალი რამ მსოფლიოს ისტორიაში, რადგან ავტორიტარული ძალაუფლების ფარგლებშიაც კი, პოლიცია შეიძლება იქცეს სახელმწიფოდ სახელმწიფოში. მაგრამ რა არის ის ახალი რაღაც, რაც მოსახლეობას, პოლიციის ძალები და ტერორის გამოყენება აქცევს დათრგუნულსა და მორჩილს? ეს არის ტოტალური ტერორი. ტოტალური ტერორი ახალია, რადგან მას რეჟიმი იყენებს არა მარტო პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ, არამედ მამინაც კი როცა ოპოზიცია გამქრალია, იმათ წინააღმდეგაც ვინც უდანაშაულოა.

ეს ხდება, იმიტომ რომ ტოტალიტარული რეჟიმი იყენებს ტერორს არა უბრალოდ რომ, მიაღწიოს თავის პოლიტიკურ მიზანს, არამედ იდეოლოგიური განზრახვით. ტოტალიტარულ სამყაროში, არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისი არ განსაზღვრავს მტრის პოზიციას, არამედ იდეოლოგიური პრინციპები. აქიდან გამომდინარე, ნაცისტების შემთხვევაში ებრაელების მასობრივი განადგურების მიზეზი ხდება რასობრივი თეორია. ანალოგიური პოზიციების მიხედვით შეიძლება იყოს განხილული კულაკობის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში.

ამგვარი ქმედებები „გიჟურ არარეალობად“ აღიქმება გარე სამყაროსათვის. „სიგიჟისა და არარეალობის ეს ატმოსფერო, რომელიც შექმნილია მიზნის ამკარა ნაკლებობის გამო, წარმოადგენს რეალურ რკინის ფარდას, რომელიც ჩქმალავს საკონცენტრაციო ბანაკების ყველა ფორმას მსოფლიოს თვალთაგან.“ მოკლედ, რომ ვთქვათ, ტოტალიტარიზმის საშინელება გამოიხატება იდეოლოგიურ შროვნებას დამატებულ ტერორში.

ჰარენდტის აზრით. ტოტალიტარული მმართველობისათვის, ტერორთან და იდეოლოგიასთან ერთად აუცილებელია ლიდერი. ლიდერზე დაყრდნობა წარმოადგენს ძირითად მათრგანზე მორჩილ პრინციპს ტოტალიტარული მმართველობისათვის. „ტოტალიტარული მოძრაობის და მმართველობის ცენტრში ზის ლიდერი, როგორც

⁸⁴ Ibid. 420.

მოტორი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ეს უკანასკნელი. იგი გამოცალკავებულია მოძრაობის ელიტური ფორმირებისაგან, შინაგანი ინიცირებულობის ციკლის გზით, რომელიც მის ირგვლივ აფრცველებს მიუწვდომელი მისტერიის აურას.

ძალაუფლების სათავეში ლიდერი აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ ქარინზაა, არამედ იმიტომ, რომ ტოტალიტარული ორგანიზაციის პრინციპი მოითხოვს ამგვარ პოზიციას. ლიდერი საჭიროა, არა როგორც პერსონა, არამედ როგორც ფუნქცია. ლიდერი იღებს პასუხისმგებლობას მოძრაობისა და ტოტალიტარული მმართველობის ყველა ქმედებაზე. „ეს ტოტალური პასუხისმგებლობა ყველაზე მნიშვნელოვანია, ეგრეთ წოდებული ლიდერის პრინციპის ორგანიზაციული ასპექტისათვის, რომლის თანახმადაც ყოველი ფუნქციონერი, არა მარტო დანიშნულია ლიდერის მიერ, არამედ მისი მთარული განსახიერებაა. ლიდერი არ ცდება. ცდება ვიღაც სხვა რომელმაც ლიდერის მითითებები ვერ გაიგო და ამგვარად, თუ ლიდერს სურს თავისი შეცდომები სხვას გადააბრალოს მან უნდა გაანადგუროს ის“.⁸⁵

ჰარენდტის აზრით, ლიდერის პოზიციამი ყველაფერი ურთიერთდაპირისპირებულია. იმიტომ, რომ ლიდერი ერთდროულად ტოტალურად პასუხისმგებელია და ტოტალურად უდანაშაულო. „ტოტალიტარული ლიდერის რეალური მისტერია მყოფობს ორგანიზაციაში, რომელიც მისთვის შესაძლებელს ხდის თავის თავზე აიღოს ტოტალური პასუხისმგებლობა ყველა დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მოძრაობის ელიტური ფორმირებების მიერ და იმავედროულად მოითხოვოს მისი ყველაზე გულუბრყვილო მხარდამჭერების ერთგულება და პატივი“.⁸⁶

ის დებულება რომ, ყოველი ოფიციალური პირი, პარტიასა და მთავრობაში, ყოველი მეთაური პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებში, წარმოადგენს ლიდერის ხელისუფლების პერსონალურ განსახიერებას კმინის იმის აუცილებლობას, რომ არავითარი ავტორიტეტი ლიდერსა და მასას შორის არ უნდა იყოს. „ტოტალიტარულ სისტემაში რაიმე ხელისუფლებისა და იერარქიის

⁸⁵Ibid 374-375.

⁸⁶Ibid.p375.

არ არსებობა წარმოდგენილია იმ ფაქტით, რომ უზენაეს ძალაუფლებასა (ფიურერი ან ბელადი) და მართულებს შორის არავითარი გამამუალებელი დონე არ არსებობს... ფიურერის ნება შეიძლება განსაზღვრავდეს იყოს ყველგან და ყოველ დონეზე“.⁸⁷

რა ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება მიუყვებოდეს ამგვარ ტოტალურ ძალაუფლებას და ერთი პერსონის პასუხისმგებლობას? ჰარენდტი განმარტავებს ავტორიტარულ, ტირანიას და ტოტალიტარულ მმართველობას შემდეგნაირად: ავტორიტარული მმართველობა ჰგავს პირამიდას, რომელშიც ყოველ გამამუალებელ რგოლს აქვს ხელისუფლების გარკვეული რაოდენობა; ტირანია წარმოადგენს პირამიდას, რომელშიც გამამუალებელი რგოლები იგნორირებულია და ტირანი მართავს ყველას ერთნაირად; და ბოლოს, ტოტალიტარული მმართველობა მსგავსია კარტოფილის მაგვარი სტრუქტურისა ცენტრში ლიდერთ, რომელიც გარშემორტყმულია ხელისუფლების რგოლებით: პირველადი ორგანიზაციები, პარტიის ბიუროკრატია, ელიტური ფორმირებები და პოლიციის ძალები. „მოძრაობის კარტოფილის მაგვარი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ყოველ ინდივიდუმს ხელისუფლების რგოლით, წარმოადგენს გამამხედროებული ორგანიზაციის სახეს“.⁸⁸

ჩვეულებრივი ტირანის ძალადობა არ ჰგავს ტოტალიტარიზმის იდეოლოგიურ ტერორს. ამ უკანასკნელის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მას არავითარი მიზანი არ აქვს. რადგან ყოველთვის ესაჭიროება ახალი მტრები, რათა მათი ლიკვიდირება მოახდინოს ტოტალიტარული მოძრაობისათვის, რომ შეინარჩუნოს მოძრაობა. თუ კი ებრაელებისა და ბურჟუაზიის სიძულვილია მთავარი საკითხი, მაშინ ტოტალიტარული რეჟიმი ერთი დიდი დანაშაულის ჩადენის შემდეგ უნდა დაბრუნებოდეს ნორმალური ცხოვრების წესს. მაგრამ, ჰარენდტის ზრით, ჩვენ საპირისპირო შემთხვევა უფრო ვიცით. ებრაელების გიგანტური განადგურების შემდეგ ნაცისტებმა მიზნად დაისახეს პოლონელი ხალხის განადგურება ებრაელების დავითის ვარსკვლავის მსგავსად პოლონელებსაც აიძულებდნენ ეტარებინათ P ნიშანი. ეს არის დამლა, რომელიც სიკვდილისათვის განწირულს ნიშანია.

⁸⁷ Ibid. p.405.

⁸⁸ Ibid. p.183.

ჰარნელტი ანალიზებს პლატონის წუხილს იმის შესახებ, რომ თუ კი ნიჰილიზმი იგულისხმება სოფისტების არგუმენტებში, ის უნდა განეგრცოს მთელ სამყაროზე, მაშინ ყველაფერი დაშვებულია. ნაცისტები ამ ნიჰილიზმს გასცდნენ, მათ ჩამოაყალიბეს ტერორის ლაბორატორიები, რომ დაენახათ რისი უნარშემწეა ადამიანი, რათა ეჩვენებინათ, — ყველაფერი შესაძლებელია. ნაცისტების მორალური ცინიზმი, მათი რწმენა, რომ ყველაფერი დაშვებულია, ეყრდნობა მყარ დარწმუნებულობას რომ ყველაფერი შესაძლებელია.⁸⁹ სიკვდილის ბანაკებში ტარდებოდა ექსპერიმენტები იმაზე, რაც კი შესაძლოა, რომელიც არც კი შეეძლო მოეპოვებინა ადამიანის გონებას. ადამიანები აქამდე, როგორც ექსპერიმენტების საშუალება, არასოდეს ყოფილან ყოველგვარი შესაძლოს სკალაზე დაყენებული. მეცნიერებით შეიარაღებულნი, მაგრამ ველური ფანტაზიებით მართულნი, რომელიც ღამის კოშმარად შეიძლება მოგვეჩვენოს, ნაცისტებმა მოიპოვეს სპიზლარი აღმოჩენები ადამიანის შესაძლებლობის სფეროში ნაცისტების მიერ განხორციელებული ტერორის მექანიზმში არაფერი ახალი არ იყო, გარდა ამ უკანასკნელისა. მოსახლეობის მასობრივი განადგურება ადრეც იყო ისტორიაში. კერძოდ, შავი მოსახლეობის განადგურება ბოერების მიერ სამხრეთ აფრიკაში, ამერიკაში ინდიელებისა და ავსტრალიაში აბორიგენებს. მაგრამ ნაცისტების მიერ გამოყენებული განადგურების ეს საშუალება სრულიად ახალია და მას ასევე გააჩნია წმინდაწყლის გამოყენებითი ინტერესები ადამიანის ბუნების შეცნობის მიზნით. ნაცისტებს სურდათ ხელი ჩაეგლოთ იმ სფეროსათვის რაც ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო, აფერო სადაც ყველაფერი შესაძლებელია.⁹⁰ იმ დროს როცა ჰარნელტი სიკვდილს ბანაკებს განიხილავდა, როგორც ჯოჯოხეთს, რომელიც შექმნილია, რათა ადამიანებს მიაყენოს შესაძლო უდიდესი ტკივილი, იგი უფრო მეტად მასში ხედავდა ექსპერიმენტების მანქანას — თუ რამდენად შეიძლება შეიცვალოს ადამიანის ბუნება. იგი ფიქრობდა, რომ რეალური სამინელება დაიწყო მაშინ, როცა SS-მა გზა მისცა თითქმის გაუგონარ სიმხეცეს

⁸⁹ Ibid.p.387.

⁹⁰ Ibid.440-441.

„ინდივიდუალური ქალისა და მამაკაცის და ადამიანური ღირსებისაც კი, ცივისსხლიან და სისტემატურ დესტრუქციას“.⁹¹ რა თქმა უნდა ეს იყო ნაცისტების სურვილით მართული სიკვდილის ბიუროკრატია, რომელიც თავიანთი მსხვერპლის არავითარ კვალს არ ტოვებდა სამყაროში. ისინი კვებოდნენ ანანომურად, ინდივიდების უნიკალურობა იგნორირებული იყო გამომწვევებითა და მსხვილფეხა საქონლის მანქანებში შეყრით, რომ მოწამებორივი სიკვდილი ვირტუალურად შეუძლებელი შეიქნა. ამგვარად, სიკვდილის ბანაკები შექმნილი იყო, არამარტო წამებისა და განადგურებისათვის, არამედ ადამიანურად ქედების წამლის „სამინელი ექსპერიმენტისათვის“. მამასადაძვე, მათი მიზანი ადამიანის საგნად გადაქცევა გახლდათ. „არაფერი არ უნდა დარჩენილიყო, გარდა ადამიანის სახის მქონე სამინელი მარიონეტისა, რომელიც პავლოვის ექსპერიმენტის ძაღლის მსგავსად იქცევა, რომელიც ყველაფერზე სრული საიმედოობით მოქმედებს, მაშინაც კი როცა საკუთარ სიკვდილზე მიდის და არაფერს აკეთებს გარდა რეაგირებისა“.

სიკვდილის ბანაკები ცენტრალურია ტოტალიტარიზმისათვის, რადგან მას მხოლოდ სიკვდილის ბანაკებში შეუძლია განახორციელოს ტოტალური ბატონობა ადამიანზე. „ტოტალიტარული ძალაუფლება შეიძლება მიღწეული იქნეს და შენარჩუნებული პირობითი რეფლექსების სამყაროში“. როცა მსხვერპლი, ებრაელები და არა ებრაელები, სიკვდილზე ცხვრების ფარის მსგავსად მიედინებიან და როცა ბანაკის მაცხოვრებლები არავითარ სჯარის არ ხედავენ, ან წინააღმდეგობაში, ან მოწამებორივ აღსასრულში, არამედ რჩებიან პასიური და დათრგუნული, მაშინ რეჟიმი აჩვენებს აბსოლუტურ ტოტალურ ბატონობას. SS-ლმა რომელმაც იცის, რომ რეჟიმი ხელს უწყობს მსხვერპლის განადგურებას ვიდრე იგი ეშაფოტზე ავა... საუკეთესო საშუალებაა მთელი ხალხი ამყოფო მონობაში. არაფერია იმაზე მეტი სამინელეობა, როცა გამოთავყვანებულ ადამიანთა პროცესია მიედინება თავის საკუთარი სიკვდილისაკენ“.⁹²

ჰარენდტის დასკვნები არ არის ოპტიმისტური ხასიათის. იგი ვარუდობს, ტოტალიტარიზმი არის მმართველობის ახალი ფორმა,

⁹¹ Ibid. 453-454.

⁹² Ibid. 455.

რომელიც ყოველთვის ჩვენში მყოფობს, როგორც ძალადობა და ცდუნება. თუმცა ახალი ადამიანები კვლავ დაიბადება, ქმედების უნარშემწენი, რომელიც საშუალებას მისცემს მას გაწვევითოს მიზეზობრიობის ვაკუვი და ამგვარად დაიწყოს რაღაც ახალი, რომელსაც შემოქმედებისა და მოვლენებზე ბატონობის უნარი ექნება. მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარიზმი ინარჩუნებს პოტენციურ ძალადობას და შესაძლოა ერთ დღეს ყველა ადამიანი საგნებზე დაიყვანოს, ადამიანები იბადებიან ახლის მოტანის უნარით. ჰარენდტის მართ, ეს არის „დაბადების“ საოცრება, რაც იმსნის კაცობრიობას განადგურებისაგან. იმიტომ, რომ ყოველი ახალი ბავშვის დაბადებას მოაქვს თავიდან დაწყების უნარი. ჰარენდტი ციტირებს ახდენს პლატონისას, რომელიც ამბობს – „დაწყება ღმერთის მსგავსია, რომელიც, ადამიანებს შორის იმყოფება და შევლის ყველა საგნების არსობას“.

ქიხხეგე

1. ერნსტ იუნგერის თანახმად, როგორ აყალიბებს „მუშის გეშტალტი“ ტოტალიტარული ხელისუფლების სიერცეს?

2. ჰანა არენდტის თანახმად, რა აყალიბებს ადამიანის სასიცოცხლო სიერცეს?

3. ჰანა არენდტის თანახმად, რა აქცევს ტოტალიტარიზმს მმართველობის ახალ ფორმად?

4. ჰანა არენდტის თანახმად, რა გზით აუკუღმართებს იდეოლოგია რეალურ ფაქტებსა და შეტყველებას?

5. ჰანა არენდტის თანახმად, რა განასხვავებს მოძრაობას პარტიისაგან?

6. ჰანა არენდტის თანახმად, რა ვითარებას ეყრდნობა ლიდერის პრინციპი ტოტალიტარულ საზოგადოებაში?

ქირიხიალი ცნებეგე

მუშის გეშტალტი – ტოტალიტარიზმი – ავტორიტარიზმი-ტირანია – ტერორი – იდეოლოგია

உய்யுத்ப்புதுது ஸுதுதுதுதுதுது

1.Эрнет Юнгер, "Рабочий". "Господство и гештальт". "Тотальная мобилизация". "О боли". Санкт-Петербург. "Наука". 2000.

2.Клод Лефор, "Политические очерки", РОССПЕН, Москва, 2000.

3.Hannah Arendt, "The origins of totalitarianism". New York: Harcourt Brace Jovanovich. 1973.

4.Hannah Arendt, "What is authority?" in between past and future: Eight exercises in political thought." New York: Viking, 1961.

თ ა გ ი VI

პოლიტიკური ხელისუფლებისა და თეორიის პრობლემა XXს დსაზღურ ფილოსოფიაში - არარეპრეზენტული დისკუსიების წარმოშობა

§1. „ყოფიერება და დრო“ როგორც წინარეპოლიტიკური პროექტი მ. ჰაიდეგერთან

არაპოლიტიკური ტექსტების ანალიზს, რომელიც არ ქმნის პოლიტიკური ხელისუფლების ნარატივებს, მ.ჰაიდეგერის ფილოსოფიით დავიწყებთ. ჩვენი აზრით, მ.ჰაიდეგერი ქმნის არაპოლიტიკურ ტექსტს, რომელიც შეუძლებელს ხდის პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსის ბატონობას. შემდგომი არაპოლიტიკური ტექსტების ხასიათი, გარკვეულ წილად, მ.ჰაიდეგერის ფილოსოფიის დესტრუქციულმა ანალიზმა განსაზღვრა. მ.ჰაიდეგერის ფილოსოფიამ გაცილებით დიდი გავლენა იქონია პოლიტიკური ხელისუფლების თეორიამ, ვიდრე თავად მისმა პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ. ჰაიდეგერის მიერ ყოფიერების სხვა კუთხით დანახვამ არა მარტო ადამიანის ყოფიერების პრობლემის ხედვა შეცვალა, არამედ მისი პერსონა ერთგვრი ხდომილება გახდა ეპოქისათვის. ყოფიერების განსხვავებული რაკურსით ხედვამ მოითხოვა პოლიტიკური ყოფიერების სხვა კუთხით დანახვა. და მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა მის გავლენას, ან მომხრეები იყვნენ თუ მოწინააღმდეგენი მ.ჰაიდეგერის პოზიციისა, ყველანი იძულებულნი იყვნენ, ან მ.ჰაიდეგერის ენით ელაპარაკათ პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის პრობლემაზე, ან მასთან კორელაციაში მოეხდინათ ანალიზი. ამიტომ უპირინია XXს-ის პოლიტიკური ხელისუფლებისა და თეორიის კონტექსტში ეს ანალიზი მ.ჰაიდეგერის ფილოსოფიით დავიწყით.

„ყოფიერებასა და დროში“ მ.ჰაიდეგერმა წამოაყენა პრობლემა, განაზღვრულიყო მსჯელობა ყოფიერების შესახებ, რომელიც ევროპულმა ფილოსოფიამ მის შესახებ მსჯელობებში მეორე პლანზე, აბსტრაქციისა და ლოგიკური განსაზღვრებების სფეროში. გადაიტანა. ხოლო ყოფიერების საკითხი იმდენად ნათლად და გასაგებად ჩაითვალა, რომ ვინც მის შესახებ საკითხს სვამდა, მეთოდურ შეცდომად ეთვლებოდა. მ.ჰაიდეგერის თვალსაზრისით, ყოფიერება იყო და რჩება აზროვნების მთავარ საქმედ, რადგან ყოფიერის საკითხი წარმოადგენს აზროვნების მთავარ პრობლემას, რომელსაც მ.ჰაიდეგერი განსაზღვრავს როგორც მუნყოფიერებას (dasain): ეს არის წმინდა ყოფიერება, რომელიც დაცლილია სპირიტუალური მოცულობებით. ეს მყოფობაა საგნობრივ მოცულობაში ჩართვითაც კი. შესაბამისად, ადამიანის გააზრება ზღვება ადამიანის მოდუსებში მისი ეგზისტენციურების გზით (ქცევაში გამოვლენით, შესაძლებლის რეალიზაციით). ეგზისტენციურებადი მუნყოფნა იმლება სამყაროში, რომელშიც ის იმთავითვე ჩაგდებული და რომელშიც იგი კვლავ ჩააგდებს თავს თავისი გეგმებით. მუნყოფნა იმთავითვე გეგულობს თავის თავს სამყაროში და იცის მასში ყოფნა. ამგვარ გაგებას ძირითად ხერხად აქვს განწყობილება (stimmung), სადაც ადამიანურ არსებას გაეხსნება სამყაროს „მთლიანობა“. ამოსავალი გაგება გაიშლება ზრუნვაში და შიდა სამყაროულ არსებობაში. ის, რომ ეგზისტენციურებადი ყოფნის ყველა მიმართება არსებულთან (საგნებთან), ხელშესახებთან (ინსტრუმენტი) იმთავითვე გამოუალბულია სამყაროსეული „მთელით“, შესამჩნევი არაა ნამდვილი ეგზისტენციისათვის, რომელიც ორიენტირებულია თავის განწყობილებებში ადამიანზე (das man) და გაემიჯნება ყოფიერების ტრანსცენდენტალურ ჰორიზონტს. ეს უკანასკნელი, რომელიც წარმოადგენს განმსაზღვრელს ყოველგვარი გაგებისას და შემეცნებისას, მოითხოვს დამლას, დესტრუქციას, მისი გადამფარავი ფილოსოფიური და იდეოლოგიური მინარევებისაგან გათავისუფლებას. დესტრუქცია წარმოადგენს წინგამსწრე აზროვნებას, უპირველეს ყოვლისა, ანტიკური აზროვნების წაკითხვას იმ ამოსავალი გამოცდილების შუქზე, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიმუშაოს ადრე არსებული და დღემდე განმსაზღვრელი

ყოფიერების კონცეფციები. მ.ჰაიდეგერი უარს ამბობს დეკარტეს შემდეგი ტრადიციული ფილოსოფიის ტრადიციულ ინსტრუმენტარიუმზე, კერძოდ, სუბიექტის, ობიექტის, შემეცნების სულის გაცნობიერებამდე და იყენებს ფენომენოლოგიურ მეთოდს გონების ისტორიულ ნაგებობათა და ადამიანის არსებობის ანალიზისათვის, რათა გამოავლინოს მისი წანამძღვრები.

ფუნდამენტური ონტოლოგიის ფილოსოფიური პროექტი მიმართული იყო მხოლოდ იმ საკითხისადმი, თუ რას ნიშნავს ყოფნა; იგი მიმართული იყო ამ ყველა ყოფიერის ყოფნის საზრისის საკითხისადმი და აღწერდა მის ფორმალურ სტრუქტურას. როგორც ფუნდამენტური ონტოლოგია, იგი მკვეთრად იყო გამოიჯნული იმისაგან, რასაც მ.ჰაიდეგერი უწოდებს რეგიონალურ ონტოლოგიებს. ამგვარ ონტოლოგიებს ახასიათებს ის ფაქტი, რომ ისინი იკვლევენ ყოფიერების სპეციფიკურ გვარს, ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ისინი კითხვას სვამენ ყოფიერთა შესახებ წინასწარ მოცემული პერსპექტივიდან. ამეთაირად ბიოლოგიას მისი გამოკვლევის სფეროდ შეიძლება ქონდეს ის ყოფიერნი, რომლებიც შეიძლება გაგებულნი იქნენ ბიოსის (Bios) ან სიცოცხლის გარკვეული ცნებების ბაზისზე. ფსიქოლოგიამ მსგავსად უნდა განიხილოს განსაზღვრული ყოფიერები მათი ფაქტს პერსპექტივიდან პოლიტოლოგიამ მსგავსად უნდა განიხილოს ის ყოფიერები, რომელთა ცხოვრების ხასიათი თვითორგანიზებულ სამოვადობაში ან პოლისში ვლინდება. ყველა რეგიონალური ონტოლოგია ვარაუდობს ყოფიერის გარკვეულ ცნებას (ყოფიერებას ცხოვრების ზრით, ყოფიერებას ბუნების ზრით, ყოფიერებას პოლისის ზრით). მაგრამ არც ერთი მათგანი არ სვამს კონკრეტულ საკითხს, რას აღნიშნავს ის ყველა ყოფიერებათვის. ამ საკითხს სვამს ფუნდამენტური ონტოლოგია, რომელიც, მ.ჰაიდეგერის თანახმად, თავად არის ფილოსოფია. მისი ფრაგმენტაციის პროცესში (ონტოლოგია, თეოლოგია, ფსიქოლოგია, ეთიკა და ა.შ.) ფილოსოფია უუნაროა მოიპოვოს საერთო საფუძველი ყველა მათგანისათვის და ამის გამო ფილოსოფია გაუცხოებულია მისი არსისაგან.

ფუნდამენტური ონტოლოგიის პროექტის პერსპექტივივიდან გამომდინარე, იოლია გავიგოთ, რომ ფილოსოფია არ გამოხატავს

თვალსაზრისებს, რომლებიც ეხება სამყაროს. იგი მხოლოდ გამოკვეთს ყოფიერის ფუნდამენტურ სტრუქტურებს და განსაკუთრებით იმ ყოფიერთა ყოფიერს, რომელსაც ჰაიდეგერი მუნყოფნას უწოდებს (Dasein). ფილოსოფია, როგორც ფუნდამენტური ონტოლოგია არ არის მოვალე ჩამოაყალიბოს პლატფორმა პოლიტიკური ამოსავლებისათვის, ამგვარი ამოსავლებისათვის ივარაუდება ადამიანის ყოფიერების მნიშვნელობის განსაზღვრული გაგება, რომელსაც მუნყოფნის ანალიტიკა ზუსტად გამოცდის. ვინმე შეიძლება უფრო შორს წავიდეს და დაამატოს, რომ თუ თავის ყოფიერებაში ეგზისტენციის დაკითხვის პროექტი წარმატებულია, მაშინ ადამიანის, როგორც ყოვლისმომცველი დაუკითხავი განსაზღვრება, როგორც პოლიტიკური ცხოველისა, თავისი ბუნების მიხედვით, განუვრცობელია. იმდენად რამდენადაც ეს განსაზღვრება სინამდვილეში იმდაგვარი რამ არის, რომ იგი მხოლოდ ხელს უწყობს დაბრკოლებებს და ზღუდავს გამოკვლევას, რათა უზრუნველყოს ადეკვატურად წამოჭრილი კითხვები მნიშვნელოვანი პასუხებით, სიტყვა „პოლიტიკა“ თავიდან უნდა იქნეს ამორებული. მის გამოყენებას მიყვარათ პოლისისა და ანთროპოლოგიის კონსტიტუციის არეკვ-დარეკვასთან. ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ადამიანი“, ეთიკა ფსიქიკა, პოლიტიკა ესაჭიროება საკუთარ თავში დესტრუქცია. ფილოსოფია გაგებული არ უნდა იყოს, როგორც პოლიტიკური თავის თავთან მიმართებაში. ამგვარად, „ყოფიერება და დრო“ რეალურად აპოლიტიკური უნდა იყოს ფუნდამენტური ონტოლოგიის სწორედ ეს პროექტი უნდა იყოს იმგვარი რაღაც, რომელიც მას მოუსპობს ტრადიციულად გარანტირებულ პრივილეგიას „ადამიანის“ პოლიტიკური ბუნების საკითხისადმი.

ამგვარად, ფუნდამენტური ონტოლოგიის აპოლიტიკური პროექტი არ შეიძლება იოლად იყოს დაფუძნებული. „ყოფიერება და დრო“ სინამდვილეში ამკარად არიდებს თავს პოლიტიკურ შეხედულებებსა და თვალსაზრისებს, ის უადგილოს ხდის ფილოსოფიური გამოკვლევის ადგილს ყოფიერების ანალიზის მიმართულებით, ან გზას, რომელშიც სავნები მუნყოფნისათვის აწმყოში არსებობენ იმ საფუძველზე, რომელიც მათ გარანტირებული აქვთ. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ იგი ასევე ცნობს

ადამიანური ეგზისტენცის კოლექტიურ და ისტორიულ განზომილებებს, რაც პირველადია იმ საკითხის მიმართ, რომელიც ეხება თანყოფნის ორგანიზაციის სახეობებს. ამ მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ „ყოფიერება და დრო“ წინარე პოლიტიკურია, სადაც „წინარე“ მოზრებული უნდა იყოს ზოგადად პოლიტიკური სფეროს შესაძლებლობის ონტოქრონოლოგიურ პირობად. თუმცა გზა, რომელშიც ადამიანური ეგზისტენცის კოლექტიური განზომილება დეტერმინირდება, „ყოფიერებასა და დროში“ უზრუნველყოფს სპეციფიკურ და გადამწყვეტ ორიენტაციას პოლიტიკურს შესაძლო თემატიზაციის მიმართულებით.

„ყოფიერებასა და დროში“ ბედი პირველად ხდება თავისუფალი შეტყობინებასა და ბრძოლაში. ისტორია, როგორც საერთო ბედის ძალაუფლება, ასეთნაირადაა გათავისუფლებული შეტყობინებასა და ბრძოლაში. შეიძლება ვინმესთვის გასაკვირი იყოს „ბრძოლის“ და „შეტყობინების“ ასე მჭიდროდ დაკავშირება, თანაარსებობა ან ხალხის განსაზღვრება სხვადასხვა შესაძლებლობის საერთო გადაწყვეტილების ტერმინით. გადაწყვეტილება არის თანაარსებობის თანაარსებობა. ამგვარად, გადაწყვეტილება შეტყობინებისა და ბრძოლის ობიექტია. რაც შეტყობინებულია ზუსტად ისაა, რაც სწავიარო: ის შეტყობინებულია ზუსტად იმ სწავიარობის გზით და ამგვარი სწავიარობა, რომელიც შორს დგას პასიურობისა და შურისაგან, წარმოადგენს ბრძოლის ობიექტს.

ადამიანური ეგზისტენცია მიედინება სიკვდილსა და დაბადებას შორის, ე.ი. სამყაროში ყოფნის ბოლოვადობაში. ბოლოვადობა იმთავითვე ხდის ეგზისტენცის სიკვდილთან მყოფს. თუნდაც, რომ ეგზისტენცი წყვეტდეს, იყოს შიდა სამყაროულ არსებულთა შორის არსებული, მიუხედავად ამისა იგი არ კარგავს თავის მიკუთვნებულობას სამყაროსა და ყოფიერებისადმი. სიკვდილი წარმოადგენს არა მუნყოფნის გაქრობას, არამედ ბოლოვადი არსების ყოფიერების წესს. სიკვდილთან მუდმივი ყოფნა აიძულებს ეგზისტენცს გვერდი აუაროს სიკვდილის საკითხს – მხოლოდ „ვიღაცები კვდებიან“. ადამიანები ცდილობენ მიჩქმალონ ეს მდგომარეობა: სინდისი უხმობს გაეხსნას ბედს, რომელიც სამყაროში მყოფთათვის გულისხმობს იყოს ღიაობა, თავისუფალი

„ნათელი“ (Lichtung), სადაც არსებული ავლენს თავის ჭეშმარიტებას. ყოფნის დროითობა (ანუ სიკვდილთან ახლოს მყოფობა) შესაძლებელს ხდის მისთვის ერთიანობას და ეგზისტენციის ერთადერთობას. ამით არის განპირობებული მისი ისტორიულობა. ყოველგვარი ისტორიის ტრანსცენდენტალურ პორინონტად რჩება სამყარო, რომელიც, თავის მხრივ ივარაუდება ეგზისტენციის ექსტასების მიერ, როგორც ისინი არიან დეტერმინებული თავიანთი დროულობით. პორინონტი აღნიშნავს დროითი ექსტასების ღიაობას, ე.ი. ეგზისტენციალურად ინტერპრეტირებულ „წარსულს აწმყოსა და მომავალს“. ის, რომ ყოფიერების სწრაფი დროითობაში გაიხსნება, რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებს ეგზისტენციურებად ყოფნას ე.ი. სწრაფი აღმოჩნდება სამყაროში მყოფის გაგების საქციელი.

1933 წელს, ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მ.ჰაიდეგერი აირჩიეს ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორად. შემდგომში მის ამ ნაბიჯს ბევრი საყვედურობდა. თუმცა ეს ნაბიჯი განპირობებული იყო მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციით. მრავალი იღეა, რომელსაც ნაცისტები დასაწყისში ქადაგებდნენ, მ.ჰაიდეგერმა ყოფიერების ღიაობასთან დაბრუნების იმპულსად აღიქვა. თუმცა იგი 1934 წელს გადადგა უნივერსიტეტის რექტორობიდან. თავისი რექტორობის პერიოდში მან შეინარჩუნა უნივერსიტეტის ავტონომია. „მ.ჰაიდეგერი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მან აწროვების რადიკალურად ახალი განზომილება აღმოაჩინა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. ამიტომ იგი ეძებდა გზებს და ძალებს, რომლებსაც შეეძლებოდათ მისი პრინციპების განხორციელება. მაშინ ქვეყნად ორი ამგვარი ძალა ჩანდა: ფაშისტები და ბოლშევიკები. ეს უკანასკნელი მ.ჰაიდეგერს მიაჩნდა ყოფიერების დავიწყების და ტექნიციზმის განსახიერებად. რაც შეეხება ფაშიზმს, მისი მტკიცე რწმენა ბელისადმი და ნაციონალისტური ორიენტაცია ჰაიდეგერს მისაღებად ეჩვენებოდა. დასავლეთის დემოკრატიის წყნარი ძალა ჰაიდეგერმა, საუბედუროდ, ვერ შეამჩნია.

მ.ჰაიდეგერის ზოგი მცოდნე ფიქრობს, რომ ოსტატმა გადაწყვიტა ბელადის ბელადი გამხდარიყო (მაგ., გამარგველამეილი), სხვები ამტკიცებდნენ, რომ მისი კავშირი ფაშიზმთან უფრო

შინაგანი იყო, რომ ყოფიერების ხმა ჰაიდგერთან ფიურერის ბრძანებებს ჰგავს (მაგ., თ.ადორნო). როგორც არ უნდა იყოს, ეს შეცდომა იყო და დიდი ადამიანები დიდ შეცდომას ჩადიან. რათა ნღობა მოუპოვებინა, მ.ჰაიდგერს მოუხდა ზოგი გამოუსწორებელი ნაბიჯის გადადგმა (მაგ., მისი სიტყვა 1933წ. 27 მაისს, როცა ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი გახდა, ასევე მისი შესვლა ნაცისტურ პარტიამში...). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგულმა საოკუპაციო მთავრობამ (მ.ჰაიდგერი მათ ზონაში იყო) მას ევროპის საუკეთესო ფილოსოფოსის პენსიაზე უარი უთხრა და უნივერსიტეტში ყოველგვარი საქმიანობა აუკრძალა⁹³.

§2. ფრანკფურტის სკოლა — ხელისუფლების უხილავი ფორმების ანთოლოგია

ჰაიდგერის შემდეგ პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის კრიტიკოსების ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენდა „ფრანკფურტის სკოლა“. იგი აერთიანებდა ინტელექტუალთა ჯგუფს, რომელიც XX ს-ის 30-იან წლებში გაერთიანებული იყო „ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტის“ ირგვლივ. ძირითადი წარმომადგენლები არიან მაქს ჰორკჰაიმერი, თეოდორ ადორნო, ერიხ ფრომი, ჰერბერტ მარკუზე, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდა იურგენ ჰაბერმასი. დამაწყობი სკოლისათვის დამახასიათებელი იყო ერთიანი თეორიული კონცეპტი — ჟურნალი. როცა მ.ჰორკჰაიმერმა წამოაყენა მოთხოვნა მიზანთა და შეხედულებათა ერთიანობის შესახებ. შემდგომში ფრანკფურტელები ამჯობინებდნენ თეორულ პოზიციასა და განსხვავებასა და მათი ურთიერთობის პრინციპს. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სკოლას აერთიანებდა საერთო განწყობილება, შეეფასებინათ XX ს-ის პოლიტიკური რეალიები და დრამატული მოვლენები, რომლებიც თან ახლდა პოლიტიკურ პროცესებს. 1933წ. ინსტიტუტი ფაშისტური გერმანიიდან პარიზში გადავიდა, 1934წ. აშშ-ში

⁹³ მარტინ ჰაიდგერი, თემშარა, თბილისი, „გონი“ 1992 (წინასიტყვაობა). გურამ თევზაძე, მარტინ ჰაიდგერი და მისი გზები. გვ. 11-12.

კოლუმბიის უნივერსიტეტში 1949 წ. ძირითადი ნაწილი დაბრუნდა ფრანკფურტში. 1950-1960-იანი წლებიდან იგრძნობა ფრანკფურტის სკოლის მბლავრი ზეგავლენა პოლიტიკური ცხოვრების პროცესებზე. მაგრამ ამ ზეგავლენას ჰქონდა ერთი სამწუხარო ნიუანსი. ფრანკფურტის სკოლის მოღვაწეობა უმთავრესად დატვირთული იყო არსებული რეპრესიული პოლიტიკური გარემოს კრიტიკით: როგორც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების კრიტიკით, ასევე სინამდვილის. სამწუხაროდ, კრიტიკული იდეა საზოგადოების ერთმა ნაწილმა (განსაკუთრებით სტუდენტობამ და რადიკალმა ახალგაზრდობამ), ვულგარულ ფორმაში, აბსოლიტური ნეგატივიზმის სახით აღიქვა, როგორც ბატონობის განმასახიერებელი ყოველგვარი ინსტიტუციონალურ (ტრადიციული თუ არა ტრადიციული) დაწესებულებათა ნგრევის მოთხოვნა. ფრანკფურტელები, რომლებიც ფილოსოფიას „ოსვენციუმის პროზის“ წინააღმდეგ ამხედრებული ტკივილისა და ტანჯვის გამოხატულებად აღიქვამდნენ, ახალი მემარცხენეების თეორეტიკოსებად იქცნენ, რომლებმაც მთელი ფრანკფურტის სკოლის არარეპრესიული დისკურსი უკიდურეს რეპრესიაში გადაიყვანეს, რომელმაც თავის გამოხატულება ჰპოვა პოლიტიკურ ექსტრემიზმში და ტერორიზმში. ფრანკფურტის სკოლის პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბებზე დიდი გავლენა იქონია, როგორც სიცოხლის ფილოსოფიის ტრადიციამ ასევე დიალექტიკური აზროვნების ტრადიციამ გ.ვ.ფ.ჰეგელიდან დაწყებული კ.მარქსის ჩათვლით. ფრანკფურტელებს ტრადიციულად მიაკუთვნებენ დამავლელ მარქსისტებს, რომლებმაც კ.მარქსის მემკვიდრეობა გეორგ ლუკანის გზით აღიქვეს, სადაც კ.მარქსი წარმოგვიდგება, როგორც ჰეგელიანელი. ასევე დიდი გავლენა ჰქონდათ მათ სწავლებებზე ზ.ფროიდისა და მ.ჰაიდეგერის ფილოსოფიას. თუმცა ამ უკანასკნელს ისინი უარყოფდნენ. დასაწყისში ფრანკფურტელების ძირითადი პრობლემა გამოისახებოდა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური პროცესების შესწავლაში ანუ ხელისუფლების ეკონომიკური შინაარსის კვლევაში ამ პერიოდის პროგრამულ ნაშრომად ითვლება მ.პორკაიმიერის სტატია „ტრადიციული და კრიტიკული თეორია“ (1937), სადაც ფრანკფურტის სკოლის სოციოლოგიური პროზიცია უპირისპირდება საზოგადოების ყველა ადრინდელ თეორიას.

მ.ჰორკჰაიმერის თვალსაზრისით, ბუნების მეცნიერების მიღწევების შედეგების მსგავსად, ტრადიციული თეორიები ცდილობდნენ არსებულის რეპროდუცირებას და შესაბამისად იყენებდნენ რადეკარტულად დაწყებულ ცნებით აპარატს. ამდაგვარი თეორიის მთავარი მიზანია. ცნებათა შეთანხმებული ჩამოყალიბება და საგანთა საგნობრივი შინაარსის მიყვანა ზრობრივ კონსტრუქციებთან, რაც მას გამოყენებადს ხდის. კრიტიკული თეორიას სხვაგვარი ლოგიკური სტრუქტურა აქვს. კრიტიკული ზროვნების ყველა ცნება განისაზღვრება წინააღმდეგობის კატეგორიების გზით, რაც ანგრევს ცნებათა დიალექტიკურ კავშირს, უარყოფს ცალკეული ეგზემპლარების ერთ გვარში გაერთიანებას და ამით ანგრევს სისტემას შიგნიდან. წიგნის შემდგომი თეზისი ძაბავს ტექნოლოგიური რაციონალობის არსებით დახასიათებას: იგივეობა, ჩაკეტილობა, რაშიც ერთვება მზის მითი და კულტურული ინდუსტრია. რაციო იმედოვნებს, რომ კალკულირებადი მეთოდების გამოყენებით თავი აარიდოს მითის განუსაზღვრელობას, მაგრამ თავის განშეორებადობის პრინციპის წყალობით ბედის მითოსური პრინციპისადმი ერთგულებას ავლენს და ამით დემონსტრირებას ახდენს მითოსისადმი შინაგან ნათესაობას: რეპროდუცირება მოახდინოს არსებულისა. ამის გამო, ისტორია წარმოგვიდგება როგორც პერმანენტული კატასტროფა, ხოლო კონკრეტულ ისტორიული მიდგომის იგნორირება უტოპიზმისა და აბსტრაქტულობის საფუძველი ხდება.

ფრანკფურტის სკოლის შემდეგი ეტაპი გამოიხატება რაციონალობის ახალი ტიპების დამუშავებაში. თ.ადორნო ქმნის „არაიგივეობრივი ზროვნების მოდელს“. მისი ნეგატიური დიალექტიკა ტრადიციულად აღიქმებოდა, როგორც აბსოლიტური ტოტალური უარყოფის მეთოდი და უკავშირდებოდა „ახალი მემარცხენეების“ ექსტრემისტულ ბუნტს. ადორნო ავითარებს ჰეგელისეულ ტენდენციას „თეზისი – ანტითეზისი სინთეზი. შემოქმედებითი პრინციპი ვლინდება მხოლოდ ანტითეზისში. უარყოფაში, რომელიც მოძრაობას არ აძლევს საშუალებას გაჩერდეს და უარყოფს ნებისმიერ პოზიტიურობას, რომელიც იმთავითვე ყალბია. ჭეშმარიტი მხოლოდ უარყოფაა. ყოველგვარი პოზიტიურობის მიუკერძოებელი ნეგაციის პროცესი, ყოველგვარ მტკიცებულებათა უარყოფა, მტრული ნებისმერი

ფინალურობისა და სისტემურობისა. „მოზროენის მთავრი მისწრაფებაა აღმოაჩინოს „ბატონობისაგან თავისუფალი სივრცე“, ე.წ. ტყვიანობითარი იგივეობისაგან თავისუფალი სივრცე. ყველა წინარე ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რომელიც სიკეთედ განიხილავდა აბსოლუტს, იგივეობას, დასრულებულობას, თ.აღორნო სიკეთედ განიხილავს მხოლოდ ნეგატიურობას, დაუსრულებულობას და არაიგივეობას. ამგვარი შროვნება, რომელიც უარყოფს ჩაკეტილობას, ამავდროულად არის ჭეშმარიტი პრაქტიკა, რამდენადაც იგი ანგრევს ბატონობის ძირითად პრინციპს – იგივეობას. არაიგივეობრივ შროვნებას მიზნად აქვს, ერთი მხრივ, უშველოს აღრე დათრგუნულის გამოცდილების ფენებს (მიმეტურს), უშუალოს, რომელშიც გამოხატულია ადამიანური ტანჯვა და ტკივილი, ხოლო, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს რაციონალური. ეს არ არის რაციონალლობის ტრადიციული დიალექტიკა, არამედ ეს არის მიმეხისის და რაციოს კონცეფცია. იგი უარყოფს სისტემურობას, მაგრამ სურს დარჩეს თეორიად, ეწინააღმდეგება მეთოდს, მაგრამ თავის თავის დემონსტრირებას ახდენს „მოდელური ანალიზების არსებულში“. არის რა „განუსაზღვრელი განუსაზღვრელობა“, „არამეთოდური მეთოდი“, „არაცნებითი ცნება“, უნდა გაანგრიოს ბატონობის დისკურსი და ორიენტირება მოახდინოს ესთეტიკურზე“. სადაც პოლიტიკა ბატონობს, დისკურსები კვდებიან.

თ.აღორნო და მ.პორკაიძერი „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ ოსვენციუმის ტრაგედიის საფუძველზე, რომელიც კულტურის წარუმატებლობის რადიკალური დადამტურებაა, ცდილობენ ხელმეორედ გადაიზრონ დასავლური საზოგადოების ისტორია, რათა ახსნან, რატომ ეფლობა კაცობრიობა ბარბაროსობის ახალ ჭაობში. სახელმწიფოს ეკონომიკური ფორმის და საწარმოო ძალების ანალიზმა არ შეიძლება ახსნას XX-ის ტრაგედიის სიდრმისეული საწყისები. ყველა დებულება აიხსნება მომავალი გამოყენების პოზიციიდან, რომელიც უნდა განხორციელდეს სამართლებრივ საზოგადოებაში. პასუხი იმაზე, თუ რატომ ჩავარდა კაცობრიობა ბარბაროსობის ახალ ტიპში, მათი შრომით, ამის მიზეზი არა ბატონობის ეკონომიკურ ფორმებში უნდა ვეძებოთ, არამედ ბატონობის რაღაც მეტაფიზიკური სუბიექტის არსებობაში, რომელიც

აყალიბებს დასავლურ ცივილიზაციას და მის საწყისებს. ისინი ცდილობენ გახსნან ბატონობის სიღრმისეული პლასტები, რომლებიც გამოდის რაღაც მეტაფიზიკური სუბიექტის სახით: გარე სამყაროზე ბატონობას პირობად აქვს შინაგანი მეობის დათრგუნვა და, საბოლოო ჯამში, პიროვნება თავის რეალიზებას ახდენს სწოგადობის საშუალებით, როგორც ძალადობა ინდივიდუალურად. ბატონობის მეტაფიზიკური სუბიექტი აყალიბებს განსაკუთრებულ კვანძი რეალობას – ობიექტურ რაციონალობას, რომელსაც თავისი რეალობა და ისტორია აქვს, სადაც ეკონომიკური მახასიათებლები თამაშობს მხოლოდ დამხმარე როლს. ადამიანი, ცდილობდა რა თავი აერიდებინა ბუნებისადმი მორჩილებისათვის მისადმი მიმსგავსებით, იმორჩილებდა მას შრომის საშუალებით. მაგრამ გარეგანი სამყაროს ათვისება შესაძლებელია მხოლოდ შინაგანი ბუნების დამორჩილების, ყოველგვარი იმპულსების, უშუალოსა და სიცოცხლისეულის აღმოფხვრით და თვითობის ზელისუფლების სუბიექტის მკაცრი მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებით. ბატონობის ყველგანშემღწევი პრინციპი ტრანსფორმირდება ადამიანის ადამიანზე ბატონობად. საბოლოო ჯამში ბატონობის საყოველთაო სუბიექტად წარმოდგება საყოველთაო, რომელსაც ერთეული დაჰყავს შიშველ ფუნქციამდე და არა მარტო მისი ცნობიერების ფორმირებას ახდენს, არამედ, კულტურული ინდუსტრიისა და გიგანტური მამინერიის საშუალებით, არაცნობიერი იმპულსებისაც. ბატონობა ცვლის ზიროვნების არსს: არ ახორციელებს რა საკუთარი მიზნების თვითრეფლექსიას, ეს უკანასკნელი გადაიქცევა ყველა სიტუაციის უცვლელ ინსტრუმენტად. იდეალურის დონეზე ეს მიიღწევა მკაცრი დედუქციური გზით, რომელიც საშუალებას არ იძლევა თამაშისა და წარმოსახვისათვის. ბატონობა განსაზღვრავს რაციონალობის ფორმებს: იგივეობას, ჩაკეტილობას, ნეგატიურობის აკრძალვას ძველი ბერძნული მითოლოგიიდან დაწყებული, კულტურული ინდუსტრიის გვიანდელი ეტაპების ჩათვლით, ეს არის რაციონალობა, რომელიც განმანათლებლობის სახელით ძალას იკრებს და იწყებს წარმოქმნილი მეცნიერების გარდაქმნას ინსტრუმენტალურიდან ტექნოლოგიურად. ფრანკფურტელები მკვებერის მიერ შემოტანილი რაციონალიზაციის პრინციპის ირგვლივ ტრიალებენ, თუმცა არ

იზიარებენ მის მიერ სამყაროს დემითოლოგიზაციის მოთხოვნას და მითისა და რაციოს ორგანულ ერთიანობას ამტკიცებენ.

თაღორჩოსა და მ.პოკაძემერის „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ კაცობრიობის ისტორიის ანალიზი ხორციელდება რაციონალობის პოზიციიდან. ავტორები მიუთითებენ მის პარადოქსულ ზმსიათზე. ადამიანი, ცდილობდა რა გათავისუფლებულიყო ბუნების, ჯ ალოქრობისა და მაგიის სამყაროსაგან იმორჩილებდა ბუნებას შრომის გზით. გარეგან ბუნებაზე ბატონობა არა მარტო სამყაროს გარდაქმნის ძალისხმევას გულისხმობს, არამედ შინაგან ძალადობასაც, რათა აღმოიფხვრას ყოველგვარი ბუნებრივი, სიცოცხლისეული და ჩამოყალიბდეს მყარ თვითობად, რომელიც მიმართულია ძალაუფლებასა და მფლობელობაზე. მაგრამ რეპრესირებული იმპულსები და ლტოლვები, რომლებიც აღმოიფხვრილია შინაგანი დათრგუნვის გზით, გამოდის კონტროლიდან და განმანათლებლობის მაღალი ჭეშმარიტების, თავისი ველურობისა და აულაგმაობის დემონსტრირებას ახდენს: მიუხედავად მისი ინდუსტრიული ფორმისა, იგი დაფუძნებულია ბუნებაზე ბატონობის პრინციპზე. იმისათვის, რომ აითვისოთ ბუნება, უარი უნდა ითქვას ბატონობის ბრმა პრინციპებზე, მთელი განმანათლებლობის რეპრესიულ საწყისზე. განმანათლებლობის დიალექტიკა ისაა, რომ სინამდვილეში კულტურულ-ტექნოლოგიურ რაციოს საფუძვლად უდევს ბატონობისა და მორჩილების ბუნებისეული პრინციპი. ადამიანი კოპირებას ახდენს ბატონობის ბუნებისეული პრინციპისა და წარმართავს მას თავის საწინააღმდეგოდ — ასე მიმდინარეობს ევროპული ცივილიზაციის გზა. განმანათლებლობის დიალექტიკა დემონსტრირდება ორი ექსკურსის გზით. პირველი ეს არის დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის ძირითადი ტექსტისადმი მიმართვა, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს განმანათლებლობის დიალექტიკის მოდელს. პირველი ექსკურსი აჩვენებს ოდისევსის მოგზაურობასა და თავგადასავალს, რომლის ყარბობა ტროადან იტაკამდე არის თვითობის გზა. ოდისევს წინ უძევს (საფრთხეს უქმნის) სამიში ცდუნებანი, მაგრამ იგი ხვდება ცდუნებათა ძალულ სწრისს: თავი რომ დააღწიოს მას, კვლავ და კვლავ უნდა მიეცეს მას, რადგან მხოლოდ სამიშროებაში, სიკვდილის

შიშში ხდება ინდივიდუმი ძლიერი და ხელისუფლების უნარშემწე ინდივიდუუმების თვითდადგენის ისტორია არის მისი თვითუარყოფის ისტორია და ამისათვის მსხვერპლად ადამიანი იღებს მისი ბუნებრიობის ბუნებისეულობას.

რაციონალობის სხვაგვარ გაგებას გვთავაზობს ჰმარკუზე (1898-1979) იგი უარს ამბობს, თეორიაში დაინახოს პრაქტიკული ქმედება და ფსონს პოლიტიკურ აქციებზე ღებს. იგი გვიანი კაპიტალიზმის ინდივიდუუმის ტიპს ანალიზებს. მისი აზრით, საყოველთაოს ხელისუფლება განმსჭვალავს არაცნობიერის დონესაც კი, რომელიც განსაზღვრავს ვიტალურ მოთხოვნილებებსაც, ისე, რომ ინდივიდუმი არ გრძნობს გაუცხოებას და კმაყოფილდება ერთგანზომილებიანი არსებობით და ღებულობს მას, როგორც თავისუფლების განზომილებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არა მარტო ამ სისტემის სტაბილიზებას ახდენს, არამედ ხელს უწყობს რეპრესიის აპარატის შექმნას, ე.ი. ხდება ტექნიკისა და ბატონობის, რაციონალობისა და ჩაგვრის შერწყმა. ტექნოკრატიული რაციონალური აზროვნების ტიპის ჩამოყალიბება ხელს უწყობს ადამიანის სულიერ სფეროზე რეპრესიულ ზემოქმედებას. ტექნოლოგია აფართოებს ბურჟუაზიულ-იდეოლოგიური პრესინგის საშუალებას და იქმნება საზოგადოებრივი ცხოვრების „ერთგანზომილებიანი“ ფორმა, რომელშიც შეუძლებელია ოპოზიცია. ადამიანს უყალიბდება ყალბი მოთხოვნილებანი და ხდება ერთგანზომილებიანი, კარგავს რა სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარს.

ჰმარკუზეს თეორიის ამოსავალი პუნქტი იყო ანტიავტორიტარიზმი. ჰმარკუზე ნათლად აჩვენებს უპიროვნო ძალების ბატონობას ინდივიდუუმებზე, რაც პიროვნების გალატაკებას და ერთგანზომილებიანი ადამიანის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ჰმარკუზეს წარმოსახვით, ერთგანზომილებიანი ადამიანი წარმოადგენს კარგად გამოკვებილ მხეცს, რომელიც უუნაროა, რომ ჰქონდეს ძლიერი ემოციები, გაძარცული სახით წარმოგვიდგება ადამიანურ ურთიერთობებში. იგი მეშჩანი მარიონეტია, რომლის ქცევებსაც და საქციელსაც წარმატებით მართავენ აკნიდან დაწყებული, საფლავით დამთავრებული.

ჰმარკუზე ხედავდა ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალიზაციის ფაქტს მოხმარებისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვაში, რომელიც

პიროვნების დანგრევისა და საზოგადოების დეკუმანიზაციის პირობაა. აქიდან გამომდინარე, იგი ახალი ტიპის რესოციალიზაციის პირობებს აყალიბებდა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, მომხმარებლობის, ერთი ადამიანის მეორე ადამიანზე ბატონობისა და მოგებისაკენ სწრაფვის საწინააღმდეგოდ უნდა იყოს. მიმართული. აქ სიტყვა ეხება „რევოლუციური განახლების“ მოქმედ პირებს – განახლების „ავანგარდს“. ასეთი ავანგარდი არ შეიძლება იყოს მოსახლეობის უმრავლესობა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს „სოციალიზაცი“ და მიესადაგენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ეს უმრავლესობა ბურჟუაზიული საზოგადოების ჭუჭყში ჩაეფლო და აღარ შესწევს განახლების უნარი. ამიტომ მოწოდება განახლებისაკენ არ ეხება პროლეტარიატს, რომელიც უიმედოდ ჩაეფლო მომხმარებლობის ტაობში, არც გლეხობას და მთლიანად ზრდასრულ მოსახლეობას, რომელიც მიეყიდა ბურჟუაზიული საზოგადოების სისტემას. ჰმარკუზე და მისი მიმდევრები ურაცოდნენ მარქსის რევოლუციური გარდაქმნის კლასობრივ თეორიას და მის ადგილზე სვამდნენ დაჩაგრულ უმცირესობას: ზანგებს, ქალებს და ახალგაზრდობას, სტუდენტებს, ფსიქიკურად ავადმყოფებს და დაძაბულებს. ჰმარკუზეს ზრით, მთავარია მივაღწიოთ პიროვნების რეგრესიას ბავშვური ფსიქიკის ფორმირებამდე, რომელიც არ არის გაფუჭებული ბურჟუაზიული ცივილიზაციის მიერ. ასეთი ტიპი მან დაინახა ჰიპების სახით: „ეს ახალგაზრდა ზალხი უკვე აღარ განიცდის კეთილდღეობის დამამცირებელ მოთხოვნილებას და ბატონობის გრძნობას: მათში, შეიძლება, ყალიბდება ახალი ცნობიერება, პიროვნების ახალი ტიპი, რომელსაც რეალობის, ცხოვრებისა და ბედნიერების, სხვა შეგრძნება აქვთ“.⁹⁴

მიუხედავად იმისა, რომ თ.ადორნო, მ.ჰორკჰაიმერი და ჰმარკუზე ყოველი რეპრესიული ზროვნებისა და დისკურსის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, მათ მიერ ჩამოყალიბებული „არათეორიული თეორიული პრინციპები“ ახალი მემარცხენეების ძირითადი დისკურსის წარმმართველი გახდა. თ.ადორნოსა და

⁹⁴ Marcuse H, The Question of Revolution . The New Left Review 1967. ix. n.4.p.6.

ჰ.მარკუზეს ბატონობის ცნების ყოველი ნეგაცია „ახალმა მემარცხენეებმა“ თეორიიდან გარეთ გაიტანეს და თავიანთი პოლიტიკური მრწამსის გამოხატულებად აქციეს. პირდაპირი შირით გაგებული ნეგატიურობა სოციალურ სექსუალურ პრაქტიკაში გადაზარდეს და ტერორისტული ტიპის პოლიტიკურ რეპრესიებში გამოხატეს ფაქტობრივად ბატონობისა და უბილავი ხელისუფლების ინსტიტუციის უარყოფის დისკურსი გადაიქცა „ახალი მემარცხენეებმა“ პოლიტიკურ დისკურსად. ე.ი. ბატონობის ნეგაცია თავად გახდა ახალი მარგინალური ტიპის ბატონობის გამომხატველი.

წმ. იურგენ ჯაბერმასის კომუნიკაციური მოქმედების პროექტი და გაუკუღმართებული კომუნიკაციის დაძლევის გზები

ზემოთ ნახსენები შედეგებიდან გამოდინარე, ი.ჯაბერმასი (1929) რაციონალობის სხვათა ვარიანტს ამუშავებს. მისი შირით, ტრადიციულმა კრიტიკულმა თეორიამ თავი ამოწურა. „მიზანრაციონალური ქმედების“ ადრინდელი პარადიგმა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუნებისადმი არაძალადობრივი დამოკიდებულება — უტოპიურია. თ.ადორნო, ეყრდნობა რა ამ უტოპიას, „ირონიული საქმიანობით არის დაკავებული, ქმნის მიმესის თეორიას და, ამის შედეგად, იძულებულია საერთოდ უარი თქვას თეორიაზე და აპელირებას ახდენს ავანგარდისტულ თეორიაზე“.⁹⁵ ჯაბერმასი, ახალიზებს რა მ.ჰორკჰაიმერის, თ.ადორნოსა და ჰ.მარკუზეს „საზოგადოების კრიტიკულ თეორიას“, ვარაუდობს, რომ ამგვარი მიდგომის ფარგლებში შეუძლებელია დავადგინოთ საკუთრივ მისი გენეზისის ნორმატიული წინამძღვრები, რომელიც აქცენტირებულია რაციონალურ, ინტელექტუალურ მოღვაწეობაზე. ი.ჯაბერმასი, ცდილობს რა გადალახოს „საზოგადოების კრიტიკული თეორიის“ ნაკლოვანებები, მიდის იმ დამსკვნამდე, რომ მისი ძირითადი ნაკლია: 1) ნორმატიული ურთიერთდამოკიდებულების

⁹⁵ Habermas J, The Philosophical Discourse of Modernity. Polity press. 107-130.

ბუნების გაურკვევლობა; 2) ჭეშმარიტებისა და ფილოსოფიურ მეცნიერებებთან დამოკიდებულების აბსოლუტისტური განხილვა; 3) სამართლებრივი საბელშიფოსა და დემოკრატიული ტრადიციების ჯერონად ვერ შეფასება. ი.პაბერმასი წინააღმდეგი გამოდის კლასიკური „კრიტიკული თეორიის“ საზოგადოებრივი რაციონალობა დაყვანილი იქნეს შრომითი მოღვაწეობის რაციონალობაზე, რომელიც გაიგებოდა როგორც ბუნების დამორჩილება. საზოგადოების ინსტიტუციონალური სწავრები („წარმოებითი ურთიერთობანი“ კ.მარქსის მიხედვით) სრულიადაც არ წარმოადგენს შრომის პროცესის უშუალო შედეგს. ფილოსოფიურ-ისტორიული გეგმის მიხედვით უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ გამოვაცალკავებდით საზოგადოების ემანსიპაციის ორ პროცესს. გარეგანი ბუნების იძულებისაგან და საკუთარი ბუნებისაგან გამომდინარე რეპრესიისაგან. პირველ შემთხვევაში იდეალად წარმოვიდგება ტოტალურად ავტომატიზებული სოციალური ორგანიზაცია — მეცნიერულ-ტექნიკური რევიოლუციის შედეგი. მეორე სცენარი ვარაუდობს საზოგადოებრივი რეფლექსიის ზრდას, რომელიც, აუქმებს რა ბატონობის არსებულ ფორმებს, ტრანსფორმაციას ახდენს ინსტიტუციონალური შეზღუდვებისა და გამოათავისუფლებს კომუნიკაციური ქმედების პოტენციალს.

ი.პაბერმასი განასხვავებს შრომას და ენობრივ კომუნიკაციას: შრომა. მისი ინტერპრეტაციის თანახმად გამოდის, როგორც ინსტრუმენტალური მოქმედება, რომელსაც წარმართავს ტექნიკური წესები და რომელიც ფუნდირებულია ემპირიული ცოდნით (მოცემული წესების ჭეშმარიტება განისაზღვრება ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებით). ხოლო კომუნიკაციური ქმედება წარმოადგენს სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციას, რომელიც ხელმძღვანელობს ინტერსუბიექტურად გაშუალებული მნიშვნელობადი ნორმებით. ეს უკანასკნელი გამოდის კომუნიკაციის მონაწილეების მხრიდან საყოველთაო ურთიერთმოსალოდნელი ქცევის საფუძვლი. ისტორია ამგვარი ვაგების მიხედვით შეიძლება აღწერილი იქნეს საზოგადოების რაციონალიზაციის სახით: 1) როგორც საწარმოო ძალების ზრდა, წარმოების საშუალებებისა და მათი არჩევის პროცედურის რაციონალიზაციის გზით; 2) როგორც მოქმედების რაციონალიზაციის პროცესი, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთვაგებაზე. მაშასადამე,

ი.ჰაბერმასის მიხედვით, რაციონალიზაცია აქ აღნიშნავს იძულების იმ მიმართებათა გაუქმებას, რომელიც ფარულად არის ჩანერგილი კომუნიკაციის სტრუქტურებში. ამგვარად, საზოგადოებრივი რაციონალიზაცია, ჰაბერმასის მიხედვით, გამოდის, როგორც კომუნიკაციის სისტემატური ღარღვევის თანდათანობით დაძლევა. ამასთან ერთად, ნორმატიული სტრუქტურები თან არ სდევს მატერიალური წარმოების განვითარების ხაზს. ამ სტრუქტურების ევოლუცია წარმოგვიდგება საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებლად, იმდენად, რამდენადაც სოციალური ორგანიზაციის პრინციპების განახლებას მივყავართ სოციალური ინტეგრაციის ახალი ფორმების წარმოშობამდე, ხოლო ეს უკანასკნელნი კი კონსტრუირებას ახდენენ ახალი საწარმოო ძალებისას. მაშასადამე, ი.ჰაბერმასის თანახმად, სოციალური ანალიზის პარადიგმა კონცენტრირებული უნდა იყოს არა ინსტრუმენტულ დონეზე (როგორც მარქსთანაა), არამედ კომუნიკაციურზე.

ი.ჰაბერმასი უარს ამბობს ჰანს ფრიდრიხ გეორგ გადამერის ფილოსოფიური პერმენენტის გამოყენებაზე. მისი თვალსაზრისის მიხედვით, იგი, სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს რა ყალბობიექტივისტურ თვითცნობიერებას, ფილოსოფიას ვხა მოუჭრა საგნის მეთოდოლოგიური გაუცხოების აუცილებლობასკენ. ი.ჰაბერმასის თვალსაზრისით, გადამერი წინარე განსჯის სტრუქტურაში შეღწევას გარდაქმნის წინარე განსჯის (Preiudicium- prejudice-vorurtiel) რეაბილიტაციად. ი.ჰაბერმასის თანახმად, წინასწარი განსჯა მართლაც გამოდის, როგორც შემეცნების შესაძლებლობის პირობა, მაგრამ ფილოსოფიური რეფლექსია მას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოახდინოს, როდესაც გამოკვეთილია ფილოსოფიური ნორმატიული საფუძვლები, რომელშიც იგი რეალიზდება. ი.ჰაბერმასი შესაძლოდ ცნობს გგადამერის ენობრივი ურთიერთგაგების მოდელი გამოყენებული იქნეს საშუალებად საზოგადოებრივი პროცესების ინტერპრეტაციის დროს. მაგრამ მან ასევე აუცილებლად მიიჩნია გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი ექსკომუნიკაციური სოციალური ეფექტები. ი.ჰაბერმასის თანახმად, ენა შეიძლება გავიგოთ როგორც მეტაინსტიტუციის სახეობა, რომელზეც დამოკიდებულია ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტი... მაგრამ ენის ეს მეტაინსტიტუცია,

როგორც ტრადიცია, თავის მხრივ, ამკარად დამოკიდებულია საზოგადოებრივ პროცესებზე, რომლებიც არ იხსნებიან ნორმატიულ ურთიერთკავშირში. ენა ასევე წარმოადგენს ბატონობისა და სოციალური ხელისუფლების სფეროს. იგი ემსახურება ორგანიზებული ძალადობის ლეგეტიმაციას.

ანალიტიკური ფილოსოფიის საფუძველზე (უპირველეს ყოვლისა, ჯონ ოსტინისა და ჯონ სერლის სამეტყველო აქტების თეორიამ დაყრდნობით), ი.ჰაბერმასი ამუშავებს კომუნიკაციური რაციონალობის მოდელს. მისი მხრით, ეს უკანასკნელი „მოდერნის პროექტს“ ახალ სულს შთაბერავს და შეინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ რაციონალური კრიტიკისა და ემანსიპაციის პათოსს.

„მოდერნის პროექტი დამთავრებული არ არის“, – ასეთია ი.ჰაბერმასის დევიზი. ამის გამო ი.ჰაბერმასი პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსების კრიტიკოსად გამოდის. იგი თვლის, რომ მათი კონცეფციები დაფუძნებულია წარსულში მიმავალი რაციონალობის კონცეფციების კრიტიკაზე, რომელიც მოცემულია ავტონომიურ-ლინგვისტური ცნობიერებამდელი მოდელის მიხედვით*.

იმ დროს, როდესაც პოსტმოდერნული რელატივისტური მხროვნების სტილი ერთგვარ ინტელექტუალურ მოდად იქცა, ი.ჰაბერმასი აფუძნებს გონის უნივერსალურ კრიტერიუმებს. ი.ჰაბერმასის მიზანი ამ შემთხვევაში იმ სოციალური სტრუქტურების გამოვლინებაა, რომელიც ვარაუდობს ნორმის სოციალურ კრიტიკას. ი.ჰაბერმასის მხრით, უკვე არასამართლიანია ვიმსჯელოთ ტელეოლოგიურის შესახებ და ობიექტურ კანონზომიერებს დამორჩილებულ „ისტორიულ პროცესზე“, სიტყვა შეიძლება ეხებოდეს კონტიგენტურ და მრავალფაქტორიან ევოლუციას: „ისტორიულ მატერიალიზმს არ ესაჭიროება რაღაც გვარეობითი სუბიექტის დაშვება, რომლითაც ხორციელდება ევოლუცია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ევოლუციის მატარებლები არიან მასში ინტეგრირებული მოქმედების სუბიექტები“.

ი.ჰაბერმასი ცდილობს ბუნებასთან დამოკიდებულების რაციონალობის ფაქტი გადაიყვანოს ადამიანთა შორის ურთიერთობაზე კომუნიკაციურ

* Habermas J., The Philosophical Discourse of Modernity, Polity Press, p xx-ixx.

დისკურსში არა მარტო ყველა შემეცნებითი აქტი გაშუალდება ურთიერთგაგებით, ობიექტური სამყაროს ცნობით დაწყებული, არამედ პირადი ინტერესებისა და ლტოლულების კორექტირება ხდება. გარეგანი ცხოვრების სამყაროს წევრებს არ აქვს, წარმატების თვალსაზრისით. რაციონალური, ყოველგვარი ქმედების უფლება, არამედ მხოლოდ ის ქმედებებია დასაშვები, რომლებიც ღირებულების თვალსაზრისით გამოცდილია დისკურსის მონაწილეების მიერ.

ი.ჰაბერმასი გამოყოფს ქცევის ორ ტიპს: კომუნიკაციურსა და სტრატეგიულს და ამყენებს, რომ სტრატეგიულად ორიენტირებული ქმედება (რომლის მიზანი არა პარტნიორების ურთიერთგაგებაში მდგომარობს, არამედ ინტერესებისადმი მიღვენებაში) საბოლოო ჯამში მიდის პარტნიორის ან შეგნებულ, ან შეუგნებელ მოტყუებადის. პირველ შემთხვევაში ყალიბდება მანიპულირების სისტემა, მეორეში – სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაცია. პირველსა და მეორე შემთხვევაში შედეგი საზოგადოებისათვის დამანგრეველია. სოციალური ინტერესების ველში ბატონობს ანომია, გაუცხოება და იკარგება კოლექტიური იდენტიფიკაცია; კულტურის სფეროში ხდება საზრისის დაკარგვა, ორიენტაციისა და სახელისუფლებო სტრუქტურების დელეგიტიმაცია; პიროვნების სფეროში – ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა, მოტივაციური კომპლექსების მოშლა და სხვადასხვა ტიპის ფსიქოპათოლოგიები. იმ შემთხვევაში, თუ ქცევა ორიენტირებულია კომუნიკაციაზე, ყალიბდება მოწესრიგებული მინიატურული გარემო, მდგრადი პიროვნებათშორისი ურთიერთობა, მყარი პიროვნებათშორისი სტრუქტურები. ჰაბერმასის თვალსაზრისით, ფუნდირებული ვეროპული ზროვნება სუბიექტ-ობიექტური ოპოზიცია განაპირობებს ტიპურ და სუბიექტ-ობიექტურ (ე.ი. „შიგნიდან დეფორმირებულ“) დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ამასთან დაკავშირებით ი.ჰაბერმასი ვარაუდობს, რომ აუცილებელია პრინციპული პერეორიენტაცია მოხდეს სუბიექტ-სუბიექტის სტრუქტურაზე, რომელიც მოდელირდება პიროვნებათშორისი ურთიერთობებით, ე.ი. „ინტერაქციაზე“, რომელიც მის მიერ გაიგება არა როგორც უბრალო სოციალური ურთიერთქმედება, არამედ როგორც სიდრმისეული შინაარსიანი კომუნიკაცია, რომელიც პიროვნულად მნიშვნელოვანია მის

არტიკულირებულ ფორმებში. თუკი სტრატეგიული მოქმედება მიმართულია მიზნის მიღწევაზე, რაც აუცილებლად ვარაუდობს ანტიმეტრიულ სუბიექტ-ობიექტურ პროცედურას და სხვის პრაგმატულ გამოყენებას ობიექტის (სამუალების) სახით, კომუნიკაციური ქმედება კი პრინციპულად სუბიექტ-სუბიექტურია და ვარაუდობს სხვის მიღებას თვითმკმარი ღირებულების სახით. ეს უკანასკნელი შეიძლება განხილული იქნეს თვითმკმარი პროცესუალობის კატეგორიებში, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ მიზანს, გარდა საკუთარი აქტის განხორციელებისა.⁹⁷

მართადად, სტრატეგიული და კომუნიკაციური ქმედების ანალიზი იძლევა სამუალებას თანამედროვე სოციალურ-კულტურული პროცესების ორგანიზებისას, საზოგადოების მიერ აღმოჩენილი იქნეს მალული ძალადობითი სისტემები, რომლებიც თითქოს გარდაუვალია, რამდენადაც გარანტიებს იძლევა საზოგადოების ინტეგრაციისათვის. ჭეშმარიტი ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ კომუნიკაციური გაგების ველში.

ი.ჰაბერმასის თანახმად, თეორიული დისკურსის ფორმამ შესაძლებელი უნდა გახადოს თანდათანობითი რადიკალიზაცია, ე.ი. შემეცნებელი სუბიექტის თვითრეფლექსია. ამ შემთხვევაში პირველი ნაბიჯია პრობლემატიზებული მსჯელობებიდან მტკიცებებისაკენ გადასვლა, სადავო მნიშვნელოვნების პრეტენზიისაკენ,⁹⁸ რომელიც

⁹⁷ Habermas J., Postmetaphysical Thinking, Blakwell Publishers, 1998, p.77-78.

⁹⁸ „მნიშვნელოვნების პრეტენზია“ (Gestungsanspruch გერმ. Validity claims ინგლ.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა ჰაბერმასის ფილოსოფიაში. მისი შრიტით, წინადადებების წარმოქმნა გრამატიკის წესების მიხედვით სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა, წინადადებების გამოყენებას პრაგმატული წესების მიხედვით, რომელიც აყალიბებს მეტყველების სიტუაციის ინფრასტრუქტურას უნივერსალური პრაგმატიკის გამოცალკეება ლინგვისტურისაგან მიღწევა წინადადების და გამოთქმების განსხვავების გზით: იმდენად, რამდენადაც გარკვეული გრამატიკულად სწორი წინადადებები გამოდიან, როგორც გარკვეული სამეტყველო სიტუაციის გამოხატულება, იგი ღებულობს რეალობასთან მიმართების კომპლექსს, რომელიც ადრე არ იყო მასში – ამით გამოთქმა ღებულობს მნიშვნელოვნების პრეტენზიას, რომელიც მასში ადრე არ იყო.

P.S. ამ ცნების ამგვარი სახით გადმოქართულება ჰაბერმასის შრომების მთარგმნელის პროფესორ გიორგი ბარამიძის მიერ არის შემოთავაზებული.

ხდება დისკურსის საგანი (დისკურსში შესვლა). მეორე ნაბიჯი პრობლემატიზებული მტკიცებების თეორიული ახსნაა (თეორიული დისკურსი). მესამე ნაბიჯი კი პირველსაწყისად აღებული ენის სისტემის მდიფიკაციისაკენ ან ენის ალტერნატიული სისტემის ადეკვატურობისაკენ გადასვლაა (მეტათეორიული დისკურსი). ბოლო ნაბიჯი და შემდგომი რადიკალიზაცია დასაბუთების ენების სისტემური ცვლილების რეფლექსიისაკენ გადასვლას გულისხმობს. შემეცნების პროცესის რეკონსტრუქცია, რომელიც ხორციელდება ენის სუბსტანციონალური კრიტიკის ფორმით და არაადეკვატური ენის სისტემების და ცნებების თანმიმდევრული გადალახვითაც კი, მიკვავართ შემეცნების ნორმატიულ გაგებასთან. ეს უკანასკნელი საკითხი გადის თეორიული დისკურსის საზღვრებს იქით.

ი.ჰაბერმასის თანახმად, ანალოგიური თვალსაზრისით ფორმაც უნდა შეუწყოს ხელი რადიკალიზაციას, ე.ი. მოქმედი სუბიექტის თვითრეფლექსიას. პირველი ნაბიჯი გამოიხატება პრობლემატიზებული დამკვიდრებულ სტრუქტურებთან, რომელსაც თავად მოქმედა წარმოადგენს, რეკომენდაციებისაკენ გადასვლაში, რომელთა სადაც მნიშვნელოვნების პრეტენზიები ხდება დისკურსის საგანი (დისკურსში შესვლა). მეორე ნაბიჯი მდგომარეობს, პრობლემატიზებული დამკვიდრების/სტრუქტურების თეორიულ დასაბუთებაში, ე.ი. ენის სისტემის შიგნით არჩეული არგუმენტის მითითება (პრაქტიკული დისკურსი). მესამე ნაბიჯი, პირველ საწყისად არჩეული ენის მდიფიკაციისაკენ გადასვლა ან ენის ალტერნატიული სისტემისაკენ გადასვლაა (მეტაეთიკური და მეტაპოლიტიკური დისკურსი). ბოლო ნაბიჯი და შემდგომი რადიკალიზაცია – ჩვენი ცოდნის და შესაძლებლობის მდგომარეობიდან რეფლექსიისაკენ გადასვლაშია ჩვენივე მოთხოვნილებათა სტრუქტურის შესაბამისად: ჩვენ ვერთიანდებით ჩვენივე მოთხოვნების საფუძველზე. ი.ჰაბერმასი დისკურსის დონეებს შემდეგი სახით წარმოადგენს:

რადიკალიზაციის საფეხურები	თეორიული დისკურსი	პრაქტიკული დისკურსი
მოქმედა	მტკიცება	თეორიული დასაბუთება
ენის სუბსტანციონალური კრიტიკა	მეტათეორიული ცნებებისა და ენის	მეტაეთიკური/მეტაპოლიტიკური სისტემის შეცვლა
თვითრეფლექსი	შემეცნების კრიტიკა	ენის ფორმირება შემეცნების პოლიტიკის სფეროში

ი.ჰაბერმასის ეს სქემა იძლევა რადიკალიზაციის საფეხურების დონეებს, რომლებიც ჩვენ უნდა განვასორციელოთ დისკურსში. თუკი, თეორიულმა ახსნებმა ან თეორიულმა დასაბუთებებმა რაციონალური მოტივირება უნდა მოახდინონ სადავო მნიშვნელოვნების პრეტენზიებისა. იმდენად, რამდენადაც ჩამოყალიბებული კონსენსუსის არგუმენტის ძალა ეყრდნობა იმას, რომ ჩვენ გადავდივართ ერთი დისკურსის დონიდან მეორე დონეზე და პირიქით, ვიდრე არ წარმოიშობა კონსენსუსი. არგუმენტირებულად დადგენილი კონსენსუსი წარმოადგენს კრიტერიუმს დისკურსული მნიშვნელობის პრეტენზიის შესრულებისათვის მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა დისკურსის ფორმალური თვისების საფუძველზე უზრუნველყოფილია დისკურსების დონეებს შორის თავისუფალი გადასაცვლება. როგორია დისკურსის ფორმალური თვისება? ი.ჰაბერმასის აზრით, ეს არის იდეალური სამეტყველო სიტუაცია. იგი იდეალურ სამეტყველო სიტუაციას უწოდებს ენობრივ სიტუაციას, რომელიც კომუნიკაციებს არ ეწინააღმდეგება არა მარტო კოგნიტური ზემოქმედება, არამედ ასევე იძულება, რომელიც წარმოიქმნება თვით კომუნიკაციის სტრუქტურისაგან. ე.ი. კომუნიკაციის სტრუქტურა მხოლოდ მაშინ არ წარმოქმნის იძულებას, როცა დისკურსის ყველა მონაწილისათვის უზრუნველყოფილია შანსების სიმეტრიული განაწილება მეტყველების აქტების არჩევისა და განხორციელებისათვის.

ძალზე შეკუმშულად ი.ჰაბერმასის ძალზე რთული კონცეფციის ძირითადი მოტივები შეიძლება ასე გადმოვცეთ: ფილოსოფიას, რომელსაც პრეტენზია აღარ აქვს იყოს საერთო საკაცობრიო გონის წარმომდგენი და შესაბამისად კულტურისა და მეცნიერების უზენაესი მსაჯული, იგი თავის თავს პოულობს კომუნიკაციის მონაწილეების ინტუიციურ, წინარე თეორული ცოდნის სისტემატურ რეკონსტრუქციაში და ამით ხელს უწყობს რაციონალობის პოტენციალის აქტუალიზაციას, რომელიც ჩადებულია კომუნიკაციურ ქმედებაში. ი.ჰაბერმასი ეწინააღმდეგება ინსტიტუციონალურ და კულტურულ იძულებას, რომელიც აუკუღმართებს კომუნიკაციას და თავს ახვევს ყალბ შეთანხმებას. ამიტომაც ნებისმიერი ხელისუფლების დისკურსი, რომელიც ბატონობისაკენ ისწრაფვის

სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაციაა. ჭეშმარიტი რაციონალური კონსენსუსი მიიღწევა დისკურსის გზით – თანაბარუფლებიანი დიალოგური არგუმენტაციის პროცედურის გზით – და წარმოადგენს უნივერსალურ თანხმობას (რომელიც მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ყველა სუბიექტისათვის). გაუკუღმართებული კომუნიკაციის მოთხოვნა გზას უღობავს ღია საზოგადოებრიობის ემანსიპაციის პერსპექტივას, რომელიც გამოიმუშავებს ერთობლივი ცხოვრების რაციონალურ გამჭვირვალე ფორმებს. იმედგარეულად რაციონალიზებული ცხოვრების სამყარო ისეთი ინტერაქციის შესაძლებლობებს ქმნის, რომელიც ზელომღვანელობს არა ნორმატიულად მიწერილი თანხმობით, არამედ არგუმენტირებულად მიღწევადი კონსენსუსით.

კითხვები

1. რატომაა მარტინ ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო“ არაპოლიტიკური ტექსტი?
2. რა გზით აზორციელებენ მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ადორნო ხელისუფლების უხილავი ფორმების გამოვლენას?
3. როგორ ბატონობენ ხელისუფლების უპიროვნო ძალები ადამიანებზე პერბერტ მარკუზეს თანახმად?
4. როგორ შეიძლება მოხდეს კომუნიკაციური ქმედების პოტენციალის გამონთავისუფლება იურგენ ჰაბერმასის მიხედვით?
5. როგორ შეიძლება იქნეს აღმოჩენილი მალეული ძალადობითი სისტემები და როგორ უნდა მოხდეს მისი დაძლევა იურგენ ჰაბერმასის თანახმად?
6. როგორ განსაზღვრავს იდეალურ სამეტყველო სიტუაციას იურგენ ჰაბერმასი?

პირითაღი ცნებები

წინარე პოლიტიკური – იგივეობა – ბატონობის დისკურსი
– ანანომური იძულება – ფორმები – კომუნიკაცია –
გაუკუღმართებული კომუნიკაცია

ღამატკობი ლიტერატურა

1. მარტინ ჰაიდეგერი, ყოფიერება და დრო, თბილისი, 1989.
2. გურამ თევზაძე, ფრანკფურტის სკოლა, „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია XXს-ის მეორე ნახევარძ, თსუ გამომცემლობა, 1988.
3. Герберт Маркузе, Разум и революция: Гегель и становление социальной теорий, Владимир Даль, Санкт-Петербург, 2000.
4. Герберт Маркузе, Одномерный человек. Кеел - бок. Москва, 1994.
5. Теодор Адорно, Исследование авторитарной личностей, Академия исследования культуры, Москва, 2001.
6. Макс Хоркхаймер и Теодор Адорно, Диалектика просвещения, Москва, 1999.
7. Юрген Хабермас, Моральное сознание и коммуникативное действие, Наука, Санкт-Петербург, 2000.
8. Юрген Хабермас, Вовлечение другого. Очерки политической Теорий, Наука, Санкт-Петербург, 2001.
9. Юрген Хабермас, Демократия, разум, нравственность: Московские лекции и интервью, Ками, 1995.
10. Jurgен Habermas, The Philosophical Discourse of Modernity, Polity Press Oxford, 1999.
12. Jurgен Habermas, The New Conservanism Polity Press, 1998.
13. Jurgен Habermas, Knowledge And Humman Interest, Hinemann-London, 1979.
14. Jurgен Habermas, Postmetaphysical Thinking, Blakwell Publishers, Oxford, 1998.
15. Jurgен Habermas, The Theory of Communicative Action: Reason and The Rationalization of Society. Heinemann, London, vol. 1.
16. Jurgен Habermas, The Theory of Communicative action: Lifeworld and system. Cambredge: Polity Press. vol. 2.
17. Miguel De Beistegui, Heidegger and Political: Dystopias, Routledge, London, 1998.

წინარეპოსტმოდერნული სიტუაცია და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის პრობლემები

ფრანკფურტის სკოლის მიერ განხორციელებული ხელისუფლების დისკურსის კრიტიკამ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი.ჰაბერმასის კომუნიკაციური მოქმედების პროექტს) უცნაური სიტუაცია შექმნა. ერთის მხრივ, ფრანკფურტელების კრიტიკა მიმართული იყო ხელისუფლებისა და ძალადობის ნებისმიერი დისკურსის დარღვევისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკურად სწრაფად მზარდი დასავლური სამყაროს და სიუხვის სწრაფადობის ჩამოყალიბების ფონზე, მარკსისტული ანტიკონსერვატიზმის, სტრუქტურის, ინტელექტუალური და პიპეტის იდეოლოგიად იქცა. მოხდა უცნაური რამ, ხელისუფლების უჩინარი ფორმებისა და იდეოლოგიის კრიტიკა თავად იქცა იდეოლოგიად. გარკვეულწილად სტრუქტურმა ბუნებამ ხელი შეუწყო იმას, რომ თეორეტიკოსების ნაწილს სხვა მხრიდან შეეხედა დასავლური სწრაფადობის რაციონალიზმის მომენტებსა და ხელისუფლების ლეგიტიმაციის მექანიზმისათვის. ამიტომაც სტრუქტურმა მოძრაობებმა, რომელიც საბოლოო ვაგონში „ახალი მემარცხენეობა“ სახით ჩამოყალიბდა ერთგვარი წინარე პოსტმოდერნული პოლიტიკური სიტუაცია შექმნა. გარკვეულწილად კრიტიკული ფილოსოფიის იდეოლოგიად ქცევის პარადოქსულმა ვითარებამ მოამწიფა მოდერნის ეპოქის დასასრულისა და პოსტმოდერნის ეპოქის დაწყების საკითხი პოლიტიკურ დებატებში, რომელიც უკვე აქტუალური დისკუსიის საგნად იყო ქცეული ხელოვნებასა და არქიტექტურაში. საკუთრივ, ამ პრობლემის გააზრება, პოსტსტრუქტურალისტებთან ერთად, შემდგომში სტრუქტურული მოძრაობათა ყოფილი წევრების მიერ მოხდა.

§1. „ახალი მემარცხენები“ — ცოდნისა და ხელისუფლების პრობლემა

„ახალი მემარცხენები“ ეწოდებოდა 60–70-იანი წლების კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკურ მოძრაობათა ერთობლიობას, რომელთა წარმომადგენლები გამოდიოდნენ „ძველი მემარცხენების“, კომუნისტური და მუშათა პარტიების კრიტიკით. მათი აზრით, „ძველი მემარცხენები“ ვერ აფასებდნენ შეიარაღებული ძალადობის როლს, თანამედროვე რევოლუციურ მოძრაობას და ისტორიის მამოძრავებელი ძალის შესახებ მოძველებული წარმოდგენა ჰქონდათ.

სიტყვათშეთანხმება „ახალი მემარცხენები“ ფართო ხმარებაში შემოვიდა ჩარლზ რაიტ მილსის (1916–1962) 1961 წელს „ღია წერილი ახალ მემარცხენებს“ გამოსვლის შემდეგ. ჩ.მილსი მიუთითებდა არსებული საზოგადოების გარდაქმნის შეუძლებლობას ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოლიტიკის ან ნებისმიერი ლიბერალური რეფორმის გზით. იმავდროულად მილსი მიუთითებდა იმასაც, რომ მუშათა კლასმა, რომელზეც ორიენტირებული იყვნენ „ძველი მემარცხენები“, როგორც ისტორიის განვითარების მამოძრავებელ ძალაზე, კრახი განიცადა. მუშათა კლასმა დაკარგა ბურჟუაზიული საზოგადოების გარდაქმნის ძირითადი მამოძრავებელი ძალის თვისება და უმრავლეს ქვეყნებში იგი მიმართულია, რათა ინტეგრირება მოახდინოს ამ საზოგადოებებში. ჩ.რ.მილსის თანახმად, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროცესებმა უარყვეს კმარქსის მოძღვრება პროლეტარიატის ისტორიული მისიის შესახებ. ჩ.რ.მილსი ვარაუდობდა ახალი მემარცხენე მოძრაობის შექმნას, რომელიც ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ინტელიგენციამე და სტუდენტობამე, როგორც არსებული საზოგადოებრივი წყობის ძირითად გარდაქმნელ ძალაზე. თავის მხრიდან, იგი უარყოფდა ახალი მემარცხენე იდეოლოგიის პოლიტიკის კონტურების ჩამოყალიბების იდეას, მხოლოდ მიუთითებდა ამ მოძრაობის პრინციპულ განსხვავებაზე, როგორც ბურჟუაზიულ-ლიბერალური ასევე მარქსისტული (სოციალისტური) ტრადიციისაგან.

ჩ.რ.მილსის თანახმად, ცოდნა და ძალაუფლება არ არის განვითარებული მმართველ წრეებში და როცა მცოდნე ადამიანები

შედიან იმ პირებთან კონტაქტში, ვინც ფლობს ხელისუფლებას, მაშინ ისინი გამოდიან არა როგორც თანასწორი, არამედ როგორც დაქირავებული მუშაკები. ამიტომაც ისინი ერთადერთი ექსპულატირებულნი არიან ამ საზოგადოებაში.

განხეთქილება ცოდნასა და ძალაუფლებას შორის დამლუპველია ცოდნისათვის. ხელისუფლების მხრიდან ცოდნა ხდება შეტყვის ობიექტი. ამის შედეგად საფრთხე ექმნება თავად გონებას, რადგან საზოგადოებრივი სისულელის ყველა ფორმას აუცილებლად მიყვავართ ინდივიდუალური გონების ექსპროპორციამდე. ამიტომაც მოწოდება, შეერთდეს ცოდნა და ხელისუფლება, ობიექტურად აღნიშნავს მოთხოვნას, დაუბრუნდეს ინტელიგენციას ყოფილი პრივილეგირებული მდგომარეობა. ინტელიგენციის როლი პოლიტიკაში გამოიხატება იმით, რომ ეძებოს ჭეშმარიტება: „ინტელიგენტი უნდა განასაზიერებდეს თავის საზოგადოების ცნობიერებას, სულ მცირე, იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც შეეხება ჭეშმარიტებას, საბოლოო ჯამში ჭეშმარიტება წარმოადგენს ინტელიგენტის პოლიტიკას“.⁹⁹ თანამედროვე პოლიტიკური სტრუქტურა ართმევს რა ადამიანებს ცოდნას და უფლებას, ზემოქმედება მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ამით მმართველი ელიტა უზრუნველყოფს შესაძლებლობას უკონტროლოდ გაატაროს პოლიტიკა, რომელიც კარგავს კონტაქტს რეალობასთან და აუცილებლად ხდება ამორალური, რადგანაც ეს უკანასკნელი ვიწრო უცოდინარი ჯგუფის ინტერესებით განისაზღვრება. ამიტომაც საზოგადოება მიექანება ტოტალიტარიზმისაკენ.

1960-ნი წლების სტუდენტურმა გამოსვლებმა თურქეთში, კორეაში, იაპონიასა და ინგლისში, საფრანგეთსა და ა.შ.შ.-ში და ასევე კუბის რევოლუციამ (რომელთა მონაწილეების საშუალო ასაკი 30 წელი იყო) „ახალი მემარცხენეების თეორეტიკოსებს“ საშუალება მისცა ეფიქრათ, რომ ძირეული სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი ხდება სტუდენტი-ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის ზრდასთან ერთად, რომელსაც თან ახლდა დასავლეთში მემარცხენე ანარქისტული და ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების

⁹⁹ Voices of dissent N. Y. 1958, p. 388.

აღზევება აფრიკასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, „ახალი მემარცხენეების“ ჩამოყალიბების გადამწყვეტი ფაქტორი შეიქნა. ამ მოძრაობათა განსაკუთრებულობის შესწავლამ ახალ ისტორიულ გარემოებებში, მათი ბელადების სტრატეგიამ და ტაქტიკამ, „ახალი მემარცხენეების“ იდეოლოგიები ისეთები როგორიც იყვნენ ფ.ფანონი, რ.დებრე იმ დსკვნამდე მიიყვანა, რომ თანამედროვეობის ძირიადი რევოლუციური ძალა არის გლეხობა, რომელიც არ არის გაბრწყინილი დასავლური ბურჟუაზიის გაკლენისაგან; მათი ზრით, ქალაქის ინტელიგენცია და სტუდენტობა შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ამ მოძრაობას და ითამაშოს დომინანტური როლი გლეხურ აჯანყებებში, უარს იტყვიან თავიანთი ცხოვრების სტილზე, წაეღენ მთაში და შექმნიან პარტიზანულ რამებს, რომელშიც ჩართავენ გლეხობას. ახალი მემარცხენეები აქცენტს აკეთებდნენ პოლიტიკური ბრძოლის ძალადობრივ მეთოდებზე, განსაკუთრებით შეიარაღებულ ძალადობაზე, რომლის მნიშვნელობასაც, მათი ზრით, არ აფასებდნენ „ძველი მემარცხენეები“. ე.პ.სარტრის მიერ ფანონის იდეების მემარცხენე ჰიპების ენაზე თარგმნამ – გლეხური აჯანყების სტრატეგიისა და ტაქტიკის მნიშვნელობის გადაჭარბებულმა შეფასებამ, რომელიც „ახალი მემარცხენეების“ მიერ შემოთავაზებული იყო როგორც „მოდელი“ ინდუსტრიული სპოგადობისათვის, რასაც ხელს უწყობდა „ახალი მემარცხენეების“ მიერ ჩინური გამოცდილების ტენდენციური ინტერპრეტაცია – ამ ტენდენციამ საბოლოო ჯამში ჰიპერტროფიული ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით ახალ მემარცხენეებთან პოპულარობა მოიპოვა „პარტიზანული კერების“ შექმნის იდეამ, „დიდი ლამქობის“ რევოლუციურმა ინტენციამ, როგორც სამუდებამ მთელ ქვეყანაში მისი გავრცელებისა. იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული ზრით, არ შეიძლებოდა გლეხობაზე ლაპარაკი, ისინი უნდა შეცვალოს „რევოლუციონერმა ინტელექტუალებმა“ და „სტუდენტებმა“; იქ სადაც არ არის აფრიკული და ლათინო-ამერიკული ჯგუფები იცვლება დიდი ქალაქის ქვის ჯუნგლებით, სადაც უნდა იქნეს შექმნილი „პარტიზანული რამები“ (ქალაქური გერილები). „ახალი მემარცხენეების“ ზრის ამგვარი მიმართულებით განვითარება მისცა რ.დებრემ, რომელიც ეყრდნობოდა კუბური რევოლუციის

გამოცდილებას. „თანამედროვე რევოლუციური პროცესების გადაჭრებამ“ და მის პერეორიენტაციაში აღმოსავლურ ყაიდაზე დიდი როლი ითამაშა ნომარქისიზმა, განსაკუთრებით მის მიერ განვითარებულმა კონცეფციამ დასავლური ზროვნების მიერ განცდილი მარცხისა და პროლეტარიატის კრახის შესახებ. „თუ ევროპის მზის ჩასვენებზე უკვე განხორციელდა (თადორნო) და თანამედროვე კაპიტალისტური ზროვნების ლიბერალურ-დემოკრატიული დეკორაციები მხოლოდ ჩქმალავენ მის ფაშიზოიდურ არსს. მაშინ სინათლეს უნდა ველოდოთ მხოლოდ აღმოსავლეთიდან ან ისეთი ძალებიდან რომელიც პერიფერიამა, ან „გვიანი კაპიტალისტური განვითარების ფსკერზე“. დასავლეთ ევროპაში ამ იდეათა კომპლექსები გამოვლინდა დევიზში „მშვიდობა ხალხს, ომი ინსტიტუტებს“, რომელმაც თავის რეალიზება მოახდინა ერთი მხრივ, სტუდენტურ ბუნტებში (რომლის ლიდერებიც იყვნენ რ.დუჩეკე, კოლბენდიტი და ბერგერი), მეორე მხრივ, მემარცხენე ექსტრემისტული ჯგუფების „პირდაპირ მოქმედებებში“, რომლებიც თანდათანობით გადაიზარდნენ მემარცხენე ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებად („წითელი ბრიგადები“ – იტალიაში და „წითელი არმიის ფრაქცია“ გფრ-ში.).

„ახალი მემარცხენეების“ მოძრაობის პიკის შემდგომ 70-იანი წლებში დაიწყო მათი უკუსვლა. ერთი მხრივ, ეს გამოიწვია მათი აღიარებული მებრძოლი ლიდერის ერნესტო ჩეგევარას ტრაგიკულმა სიკვდილმა ბოლივიაში და ინტელიგენციის იმედგაცრუებამ „გლეხური რევოლუციის შედეგებში“, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი მიზეზი ამისა იყო ის ნეგატიური შთაბეჭდილება, რაც დასავლურ საზოგადოებას შეექმნა მემარცხენე ექსტრემისტული „პირდაპირი მოქმედების“ შედეგად, ასევე მიუღებელი გახდა სოციალური პრაქტიკის გათანაბრება სექსუალურთან.

„ახალ მემარცხენეებს“ პრეტენზია ჰქონდათ შეექმნათ ისეთი „სოციალისტურად“ კონცეფცია, რომელშიც ბრძოლა სოციალიზმისათვის გამოდის, ადამიანის საზოგადოებაში გაუცხოების ყოველგვარი ფორმების წინააღმდეგ. თეორიულად ამდაგვარი კონცეფცია ვარაუდობს „ხელისუფლების ნებისმიერი სტრუქტურის რადიკალურ უარყოფას“. მაგრამ ამგვარი უარყოფის შედეგი უმნიშვნელოა, რადგანაც საკითხის წმინდა თეორიულ რაკურსში დანახვა და

რეალურისაგან აბსტრაგირება არათუ არსებული ხელისუფლების სტრუქტურებსა და ინსტიტუტების წინააღმდეგობებში ვლინდება, არამედ მისი განმხორციელებლები თავად გახდნენ მარგინალური ხელისუფლების მატარებლები და როგორც თეორიული, ასევე ტერორისტული რეპრესიების ხორცშემსხმენი.

§2. „ხელისუფლების დისკურსი“ და „დისკურსის ხელისუფლება“

„ხელისუფლების დისკურსისა“ და „დისკურსის ხელისუფლების“ პრობლემა 70-იანი წლების ფრანგულ ფილოსოფიაში მრავალი პირობის გამო იყო თემატიზებული. პირველ რიგში ამ პრობლემატიკის თემატიზებას მოითხოვდა არსებული პოლიტიკური სიტუაცია – 1968 წლის სტუდენტური მოძრაობები, საფრანგეთის ალჟირის სამხედრო ოპერაციები. რეალპოლიტიკური პროცესებისა და დისკურსული პრაქტიკების არაადეკვატურობამ საკითხი სხვაგვარად დასვა. 1968 წლის მაის-ივნისის მოვლენებმა ეჭვქვეშ დააყენა ჰუმანიტარული მეცნიერების პრესტიჟი, რომელმაც ვერ შეძლო ეწინააღმდეგებლა ან აეხსნა სოციალური კატაკლიზმები. განსაკუთრებით ეს ეხებოდა საფრანგეთის სოციოლოგიური კვლევითი ცენტრის „სარფესის“ მიერ გაკეთებულ პროგნოზს, რომელიც რაიმონ არონის პირით გაცხადდა, მიუთითებდა ფრანგი სტუდენტი ახალგაზრდობის ბურჟუაზიული ღირებულებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებებზე და მისაღებობაზე. შეიცვალა სწავლა-მეცნიერებაში ჰუმანიტარული კულტურისადმი დამოკიდებულებაც – სწავლა-მეცნიერებაში ახალგაზრდობის რაოდენობა საუნივერსიტეტო დიპლომებით ძალზე გაიზარდა, ხოლო მათი როლი ძალზე შემცირდა. განათლებული ადამიანების დაუსაქმებლობამ და მარგინალურ სივრცეში ყოფნამ საბოლოო ჯამში მასობრივი პროტესტების ფორმაში ამოხეთქა.

ჰუმანიტარულ ინტელიგენციას ამრწუნებდა „მასობრივი რევოლუციური მოქმედებების“ რეალობასთან შეჯახება და იმავდროულად სოციალური იძულებისა და ხელისუფლების ანანიმალური მექანიზმების ყველაგან შემღწეობა, რომელიც ობიექტურობის ძიების იდეის

დისკრედიტირებას ახდენდა. საფრანგეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მყარად ფესვგადგმული სტრუქტურალისტური პოზიცია, რომლის თანახმად, ადამიანი, ან საერთოდ არ შეიძლება იყოს გატანილი სტრუქტურის საზღვრებს იქით, ან შეიძლება განვიხილოთ, როგორც ობიექტური სტრუქტურის მიერ წარმოქმნილი ან მასზე დამოკიდებული — ვერ პასუხობდა საზოგადოებაში მომხდარ კატაკლიზმებს. პასუხი ამ შემთხვევაში ერთადერთი იყო — „სტრუქტურები ქუჩაში არ გამოდიან“. ამ დროს ფილოსოფიაში ექსისტენციალურ-ინდივიდუალური და სტრუქტურალისტური სუბიექტის, როგორც სასაუბრო პრაქტიკების გადაკვეთის პუნქტის ადგილს, იკავებს კოლექტიური „მე“, თანამშრომელთა მცირე ჯგუფი. იგი უძღურია „ხელისუფლების დემონიზმის წინაშე“, უუნაროა და არც ცდილობს ხელისუფლების მოპოვებას. მაგრამ მიზნად ისახავს ხელისუფლების ბერკეტების აღწერასა და მის საყოველთაოდ გამოაშკარავებას — მისი სტრატეგიის ფიქსაციას. ამ პრობლემის დამუშავებამ საფუძველი ჩამოაყალიბა, რათა შექმნილიყო ისეთი კონცეფციები, რომელიც დაანგრევდა „ენის ყოფიერების სოციალურ ფორმებს“, და განიხილებოდა როგორც სოციალური ცხოვრების მალული საფუძველი.

პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ენის გამოყენების საკითხის დამუშავებამ სტრუქტურალისტებისაგან, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ენის სპეციფიკური ხელისუფლება ინდივიდუუმებზე, წარმოადგენდა ახალი ფილოსოფოსების მიერ ჩამოყალიბებულ „ინტელექტუალური წინააღმდეგობის“ პოზიციას, რომელიც ხელისუფლების ტოტალიტარულობას გამოხატავდა სიტყვების ხელისუფლების სახით. ეს არის ერთგვარი ანტიისტორიული ანთროპოლოგია, რომელშიც ადამიანის არსი განიხილება ამა თუ იმ ეპოქის ენის ყოფიერების პროლუქტად, ხოლო ინდივიდუუმები ნაშენებს სოციალური მეგამანქანებისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტებად.

როლან ბარტის მიერ გამოცხადებული მოწოდება „ხელისუფლებისაგან თავის არიდებისა“ და „ენის ფაშისტური ხასიათის“ კრიტიკა, ჟაკ დერიდას მიერ „არალოგოცენტრული“ („არქიწერილის“) ძიებამ, ჟილ დელიოზისა და ფელიქს გვატარის მიერ სამყაროს ახალი ტიპის დაფუძნებამ, როგორც „რიზომისამ“

(საფუძვლისეულობა¹⁰⁰), და ასევე პარიაში საერთაშორისო ფილოსოფიური კოლეჯის ჩამოყალიბებამ, როგორც „მზროვნების გათავისუფლებულმა ტერიტორიისამ“, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ატოპური (პრინციპულად ანტისოციალური) ორგანიზაციები — შესაძლებელი გახდა „ხელისუფლების დისკურსის“ და „დისკურსის ხელისუფლების“ ნეგატიური ხასიათის ელიმინირება.

ამგვარად, ხელისუფლება გაიგება ძირითადი დეტერმინანტის სახით, რამდენადაც იგი აყალიბებს ძალაუფლების დისკურსს, ხოლო ენას მზროვნების მიეწერება საშუალებით სახელისუფლებო იძულების ფუნქცია „ფორმალურ-ჭეშმარიტი გამოთქმების“ წარმოქმნის გზით. ასე, რომ სტრუქტურალისტურ ტრადიციაში განიხილება თეზისი, რომლის თანახმადაც ადამიანური ისტორია არსებობს უფრო დიდი ხნით ადრე, ვიდრე წარმოიშობოდა სახელმწიფო და ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობა, რომელიც ატარებს ენაში განხორციელებულ სიმბოლურ ხასიათს.

„ყოფიერებაზე არსებობს პოლიტიკა“ — ამტკიცებს ფ.გვატარი. ამ შემთხვევაში პოლიტიკა გაიგება, როგორც *სოციალური პროცესის მანქანისებური სახელისუფლებო ორგანიზაციის საყოველთაო პრინციპი*.

იგი განიხილება მხოლოდ ენობრივი ნიშნების ფორმით — „სოციალური ინსტიტუტების კოდიფიცირებული ნიშნების ფორმის სახით, რომელიც გაშლილია გამოთქმის აქტის საშუალებით სოციალურ-ჰემიტიკურ პროცესში — დისკურსში. ეს უკანასკნელი გაიგება როგორც გამოთქმული ნიშნების ჯაჭვი, რომელიც იმართება ნორმატული არგუმენტაციის, საღი მზრისა და საყოველთაო ლოგიკის გზით. დისკურსი აყალიბებს „ფენობრივი ტესტის აპარატს“, რომელიც შედგება სწავლასზე დონებისაგან და რომელიც სწავლასზე სიღრმეებზეა განთავსებული, რომელთაგანაც ყველაზე უკანასკნელი და ზედაპირული დებულებას სემანტიკურ ინტერპრეტაციამ¹⁰⁰. დისკურსული პრაქტიკების თავმოყრა აყალიბებს ხელისუფლების, როგორც სოციალურ მანქანასა და, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის გულისხმობს ინდივიდუუმებსა და ნიშნებს. ხელისუფლებას დისკურსულობა

¹⁰⁰ Гермес А. Ж., Куртеж Ж., „Семнотика“. Москва. 1983, ст. 489-490.

განსაზღვრება, „როგორც ეპისტემის რებრესიულობა, მრავალგვარობის ნიშნისეული ასპექტი, სოციალური მანქანების ანონიმური და ავტომატური ხელისუფლება. ინდივიდუუმის დონეზე ხელისუფლების დისკურსი ფუნქციონირებს, როგორც ჭეშმარიტების, საუბრის, სექსუალობისა და ხელისუფლების წარმოქმნის მექანიზმი. წამყვანი როლი ამ მექანიზმების ჩამოყალიბებისას მიეწერება იდეოლოგიას, რამდენადაც იგი აზორციელებს ნიშნისეულ „ტოტალიზაციას“, სამყაროს სიგნიფიკაციას და დისკრიმინაციას (ე.ბოდრიარი „საგანთა სისტემა“). ხელისუფლების დისკურსის კონცეფცია გამოძინარეობს ხელისუფლების გაფართოებული განხილვიდან: როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური მოვლენიდან. როლან ბარტი წერს, რომ „დისკურსის ხელისუფლებას“ მე ვუწოდებ ნებისმიერ დისკურსს, რომელიც ვინმეს, ვისთვისაც ის არის გათვალისწინებული უღვიძებს ბრალეულობის გრძობას, თავისი დამნაშავეობის შეგრძნებას“.¹¹

როლანდ ბარტი და მიშელ ფუკო ვარაუდობდნენ, რომ ინტელიგენციის ჭეშმარიტი ამოცანაა „ხვადასხვა ტიპის ხელისუფლებისადმი“ მუხლჩაუხრელი ბრძოლა (მაგრამ არა თავად ხელისუფლებისადმი), რამდენადაც „ხელისუფლება ისტორიულ განზომილებაში მარადიულია“ და წარმოადგენს „პარამიტულ წარმონაქმნს ტრანსსოციალური ორგანიზმის შიგნით“. რ.ბარტი ვარაუდობდა, რომ ის წარმონაქმნი რომელშიც იმთავითვე ჩაეწერება ხელისუფლება არის ენობრივი სტრუქტურა, უფრო სწორად, მისი არტიკულირებული გამოხატულება, ენა.

მაგრამ ივარაუდება, რომ თვით ენა დისკურსის ფორმაში ფლობს თავის ავტონომიურ ხელისუფლებას. ეს არის „დისკურსის ხელისუფლება“, რომელიც გამოიხატება როგორც საერთო შირის, სიტყვების, ლოგიკური ოპერაციების, „განმეორების სტადიურობისა“ და ავტორიტეტული მტკიცებების ფარგლებში გამოთქმული ყოვლისმომცველი ტირანია.¹² რამდენადაც საუბრის ტირანია

¹¹ Б а р т Р., Вступительная лекция на кафедре литературной семиологии. Современная структуралистическая идеология” (Генезис политологических концепций). Москва, 1984, с.106.

¹² Louis M., "Discourse of power - power of discourse". Philosophy in france today". ed. by Montefiore A, Cambridge university press 1983. London, p. 164-174.

ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანზე ბატონობის დასამყარებლად გამოიყენება და რამდენადაც „ისაუბრო ნიშნავს იბატონო“, კეთდება დასკვნა, რომ ყოველგვარი ხელისუფლება სინამდვილეში არის დისკურსი, რომელიც ფლობს ბატონობის – ენის სტრუქტურას, რაც იწვევს ბრალეულობის შეგრძნებას. შედეგად ამისა საზოგადოება შეიძლება განხილული იყოს, როგორც სხვადასხვა ყალიბის მოსაუბრე ტირანთა ერთობა.

აქიდან გამომდინარე, მიშელ ფუკო ქმნის „დისკურსული პრაქტიკების“, როგორც „ხელისუფლებისა და ცოდნის“ ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციას. დისკურსების ისტორიულობისა და ადამიანის ისტორიული ენობრივი პრაქტიკების, გონისა და ტანის აღწერის გზით. ფუკომ შეისწავლა სოციალური ბატონობის დისკურსული ფუნქცია, რამდენადაც ვარაუდობდა, რომ ნებისმიერი ტიპის დისკურსული ფორმაციის უკან იმალება დაკვირვებისათვის შეუმჩნეველი ხელისუფლება.

„პუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგიაში“ „სიტყვებსა და საგნებში“ მფუკო ვარაუდობს, რომ ევროპის ისტორიაში შემეცნება გამოითვლება სამი ეპისტემით, ან შემეცნებითი ველით – აღორძინება, კლასიკური რაციონალიზმი და მოდერნიზმი. მათი ურთიერთშეთანადებისა და ურთიერთდაპირისპირების ძირითად საფუძველს წარმოადგენს – აღმნიშვნელი მექანიზმის სპეციფიკა, ე.ი. „სიტყვების“ და „საგნების“ და შესაბამისად ამისა ენის პერიპეტიები (თავგადასავალი) კულტურაში: ენა, როგორც საგანი საგანთა შორის (აღორძინება), ენა როგორც მზრის გამოხატვის გამჭირვალე საშუალება (კლასიკური რაციონალიზმი) და ენა როგორც დამოუკიდებელი ძალა თანამედროვე ეპისტემეაში (მოდერნიზმი). ენის „სიცოცხლეს“ და „შრომაში“ გარდასახვა საფრთხეს უქმნის ადამიანის მთლიანობას: თანამედროვე ეპოქაში საკითხი ადამიანის შესახებ, როგორც არსებულზე შეუძლებელია. აქიდან გამომდინარე, ფუკოს ამოცანაა „ხელისუფლების გენიალოგიის“, როგორც ხელისუფლება ცოდნის სპეციფიკური კომპლექსების, ძალაუფლების სტრატეგიის და დისკურსული პრაქტიკების ანალიზი, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ამ თუ იმ შემეცნებით სკლებს ადამიანისაკენ. ხელისუფლებას არასოდეს არა აქვს

წმინდა ნეგატიური ხასიათი (ძალადობა, იძულება და ა.შ.). სხვადასხვა ტიპის ხელისუფლება ბადებს განსხვავებული ტიპის რეალობებს, შემეცნების ობიექტს და მათი წვდომის „რიტუალს“. „ხელისუფლება-ცოდნის“ თანამედროვე დისპოზიცია წარმოიშობა განმანათლებლობისა და XIX-ის ზღვარზე; ხელისუფლება აქ არის ერთი პიროვნების პრივილეგია (როგორც მონარქიაშია მოცემული). მას არ აქვს ცენტრი და არ წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს პრივილეგიას ამ ხელისუფლების ძირითადი ნიშნითვისებაა „ყოველისზედამხედველობა (პანოპტიზმი), დისციპლინიზებულიობა და ნორმირება. ეს ვარაუდობს ინდივიდუუმების მართვის გარკვეულ სტრატეგიას (სოციალური ფიზიკა), მათზე ზედამხედველობას (სოციალური „ობტიკა“); მათი იზოლაციისა და გადაჯგუფების პროცედურებს (სოციალური ფიზიონომია). ყველზე აშკარა გამოხატულება ამ პროცედურებისა არის ციხე, როგორც სოციალური ინსტიტუტი. მაგრამ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება გამსჭვალავს მთელ საზოგადოებას: ის შეიძლება აღმოაჩინო სკოლაში, ყზარმაში, ექიმის კაბინეტში და ოჯახში. თანამედროვე ინდივიდები, მისი სული და ტანი, მის მიერ შესასწავლი ჰუმანიტარული მეცნიერებანი – ეს არის ერთდროულად სოციალური ნორმირებისა და ინდივიდუალიზაციის მექანიზმის წარმოქმნა. რაც უფრო ანანოპურია ხელისუფლება, მით უფრო ინდივიდუალიზებულია მისი ობიექტები – ის წარმოგვიდგება, როგორც ბავშვი, ავადმყოფი, პატიმარი, ჯარისკაცი და ა.შ.; იგი ამავედროულად უფრო მიღწევადია ემპირიული კონტროლისათვის. მაშასადამე, „ცოდნის არქეოლოგიის იქით რჩება ერთი შემეცნებითი კონფიგურაციიდან მეორე შემეცნებითი კონფიგურაციისაკენ გადასვლის მამოძრავებელი ძალები. ეს ძალები აიხსნება და გაიშლება ხელისუფლების გენიალოგიაში. ეს არსებითად ხელისუფლება-ცოდნის კომპლექსებია. მაშინ „გენიალოგიის ჩარჩოებს იქით რჩება საკითხი თვით ხელისუფლების წინააღმდეგობის შესაძლებლობის შესახებ და ამ შესაძლებლობის გაზრების შესაძლებლობა.

გვიანდელ ნაშრომებში ფუკო ხელისუფლებას განსაზღვრავს, როგორც ძალთა საყოველთაო ურთიერთობას, რომელიც გაიშლება „სოციალური ტანის“ ყველა უჯრედში. ამით ფუკო უარს ამბობს

ხელისუფლების კლასიკურ გაგებაზე, როგორც „ბატონობისა და მორჩილების ძალისმიერ დამოკიდებულებაზე“ და იგი სპოგადროებაში სახელისუფლებო მიმართებას განიხილავს, როგორც „ხელისუფლების მანქანებისა“ და „კერების“ მრავლობითობას.

XX ს-ის 80-იან წლებში „ხელისუფლების დისკურსის“ და „დისკურსის ხელისუფლების“ პრობლემატიკამ ახალის საზრისი შეიძინა „დეკონსტრუქციის“ სექტორში, როგორც კულტურისა და ცოდნის ახალი ტიპის ორგანიზაციაში. ჟაკ დერიდას მიერ შემოთავაზებული დეკონსტრუქცია ვარაუდობს სემიოტიკური სტრუქტურების განხილვას „მეტაფიზიკური ილუზიების“ გამოამკარავების მხრით. იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ სტრატეგიას ტექსტთან მიმართებაში. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ დერიდას მიერ შემოთავაზებულია, როგორც მ.პაიდევერის „დესტრუქციის“ თარგმანი იგი ვარაუდობს ევროპული ფილოსოფიური ტრადიციის, როგორც მეტაფიზიკის ტრადიციის გადაზრებას, სადაც მთავარი მომენტია არა ევროპული ფილოსოფიური ტრადიციის დანგრევა, არამედ პოზიტიური მხროვნება. დეკონსტრუქციის ამოსავალი პუნქტია ტექსტის გარეშე მყოფობის შესაბამელობა. დეკონსტრუქციის იდეა გამომდინარეობს დამავლური კულტურის „ფონოლოგოცენტრიზმის“ (განმავანებული საუბრის პირველადობა წერილის მიმართ) კრიტიკიდან და ვარაუდობს დისკურსული საუბრის წინაშე წერილის პირველადობის აღმოჩენას. ყოველგვარი ინტერპრეტაცია და კრიტიკა, რომელიც უშვებს მკვლევრის ტექსტის იქით არყოფნას, იმთავითვე შემდგარია. დეკონსტრუქცია ვადგება, როგორც აქტიური გამოამკარავება ფონეტიკური წერილისა, რომელიც რეპრესიულია პირველადი სოციალური წერილის („არქიწერილის“), როგორც ბუნებრივი „წმინდა განსხვავებათ“ თამაშის, მიმართ. დეკონსტრუქციის ძირითადი ობიექტია „მეტაფიზიკა“ „ტექსტში“, რომელიც „ცენტრაციის“ პრინციპით არის განპირობებული, ე.ი. როცა მიმართების ერთი მხარე უპირატეს ცენტრალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ხოლო სხვები განიღვენება მარობრივ პერიფერიაში. დეკონსტრუქცია ეს არ არის ინტერპრეტაციის მეთოდი ან კრიტიკა; ეს არის ტექსტის მეტაფიზიკურობისადმი წინააღმდეგობა, რომლის ორგანიზება ისევ ტექსტის ველზე ხდება, იმავე საშუალებების გამოყენებით.

ტექსტში გამოიყოფა მარგინალური დათრგუნული მოტივები, რომელიც „საწინააღმდეგოდ მიმართულია“ მისი ძირითადი მიმართულებისადმი. ტექსტი ამ შემთხვევაში აღმოჩნდება არა მშვიდობიანი პოპოგენური ერთობა, არამედ რეპრესიის ველი. დეკონსტრუქციის მიზანს წარმოადგენს „ლოგოცენტრიზმის წინააღმდეგ“ შიდა ტექსტური „წინააღმდეგობის კერების“ აქტივიზაცია. ეს გამოიხატება იმით, რომ ურთიერთმიმთითებელი ნიშნების ქსელიდან გამოცალკავდება ერთი კვაზი ობიექტი, რომელიც თავად არაფერს არ აღნიშნავს, სხვა დანარჩენი ნიშნებით აღინიშნება. ეს არის – „ტრანსცენდენტალური აღნიშვნადი“, რომელსაც მიეწერება განსაკუთრებული, თვითაღმოჩენის თვისება – ინტენციამი და ცოდნამი. დეკონსტრუქცია ურაყოფს „აღნიშნულების“ ანალიზის შესაძლებლობას „აღნიშვნადების“ გვერდის ავლით და მთელ ყურადღებას ამახვილებს „აღნიშვნადების“ დონეზე. „აღნიშნულისა“ და „აღნიშვნადების“ დამოკიდებულება აყალიბებს ბინარულ ოპოზიციას. ჟღერიდა ზმს უსვამს დისკურსში ბინარული ოპოზიციის არა ერთფასეულობას, რომელიც იერერქიულ წყვილებს ქმნის: მათში პოზიტიური წევრი ბატონობს გამოკვეთილად ნეგატიურზე; ყურადღებას იქცევს, ისიც რომ ეს უკანასკნელი ქმნის ხელისუფლების მექანიზმს დისკურსში, იმდენად რამდენადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიური წევრის მყოფობას (presence). ოპოზიციის წყვილებში მიმართება ამგვარია: თეთრი – შავი, ყოფნა – არყოფნა, საზოგადოებრივი – კერძო, ქალი – მამაკაცი და სხვა, რომელიც ქმნის ხელისუფლების მანქანის ელემენტარულ „ბინარულ ოპოზიციებს“.

დისკურსში არაფერი არ არის გარდა „განსხვავებისა“ და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული იგივეობისა, თუმცა თვით განსხვავებანი არ არიან „ამკარა“, სინამდვილეში ისინი წარმოადგენენ „განსხვავებითობის სისტემატიზებული ოპერაციის პროდუქტებს, რომელიც ამბინიჯებენ პირველად განსხვავებას.“¹⁰³ დეკონსტრუქციის ოპერაციის საფეხურები დერიდასთან შემდეგია: 1) ელემენტარული ბინარული ოპოზიციის გამოკვეთა; 2) ნეგატიური ტიპის ტერმინის – „თემა“,

¹⁰³ Derrida Jacques. "The time of a thesis: Punctuations." Cambridge university press. 1983, p. 40-41.

„არყოფნა“ – გამოვლენა; 3) საერთო ნეიტრალური წანამძღვრების ფიქსაცია; 4) ტერმინთა ინვერსია; 5) ტერმინების ერთგვაროვნების დემონსტრაცია და ნეგატიური ტერმინის პოზიტიურთან თანასწორობის დამტკიცება; 6) ევროპული ცნობიერების როგორც „თეთრი მითოლოგიის“ დანგრევა (ე.ი. იმგვარი მითოლოგიის დანგრევა, რომელიც პირველად მნიშვნელობებს პოზიტიურ ტერმინებს ანიჭებს).

მეტაფიზიკის ლოგოცენტრიზმი განუყოფელია ფონოცენტრიზმისაგან. მეტაფიზიკური ტექსტის პრინციპი ყურის დაგდებაა ხმისადმი (ყოფიერების, ღმერთის, ნივთების თავისთავად) და ტექსტის მატერიალური მხარის იგნორირება, როგორც ჰრთან დამოკიდებულებაში რაღაც მეორადს. დეკონსტრუქცია დეზაუირებას ახდენს მეტაფიზიკისა და ფალოლოგოცენტრიზმის შრით, როგორც მამაკაცური საწყისი უპირატესობა ქალურ საწყისზე, რომელიც დევნის ქალის ხმას კულტურის ტექსტების მრავალხმოვანებისაგან.

დეკონსტრუქციის პროცესი მოწოდებულია ხელისუფლების და დისკურსის „მიღმური წარმოსახვითი ხასიათის დანგრევისაკენ. დერიდა ვარაუდობს ფრიდრიხ ნიცშეს „მხიარული მეცნიერების“ და „დავიწყების ხელოვნების“ კვალდაკვალ, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსი ანტიჰეგელიანელია, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს „differance-ის“¹⁰⁴ ხელისუფლების გაფართოებისათვის „ითყვებისა და საგნების“ სამყაროზე. დერიდა ფაქტობრივად ანგრევს ჰიპერბოლებსა და მეტაფორებს, როგორც დისკურსის იარაღს და ქმნის ახალ ენას, რომელიც უუნაროა იყოს ზროვნებისა და ხელისუფლების გამომხატველი. დეკონსტრუქცია ანგრევს მეტაფიზიკის ბაზისს – იგივეობის პრინციპს და differance-ის მოძრავი სტრუქტურის შემოტანით, რადიკალიზაციას ახდენს მ.ჰაიდეგერის ონტოლოგიური განსხვავებისა და სოხიურის ნიშნის დიფერენციული სტრუქტურისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დეკონსტრუქციის

¹⁰⁴ ინგლისური to differ განსხვავდება to defer-ისაგან (რაღაცზე დადება. დერიდა ამ ნეოლოგიზმს ასე ხსნის: 1) ტერმინორიზაცია და პირველადი სივრცობრივი მოწესრიგება; 2) იყო სხვა, განსხვავებულად differance დერიდასთან აღნიშნავს პირველ წერილს, რომელიც ერთმანეთში თქვეფს კონცეფციებსა და კატეგორიულ განსხვავებებს და საფუძველს უდებს ველა შესაძლო განსხვავებას.

თეორია უარყოფს მეტაფიზიკის საბოლოოდ გადალახვას და შეუძლებლად თვლის აბსოლიტურად დეკონსტრუქციული ტექსტის შექმნის იდეას.

ჟღეროდს მიერ დაწყებული „ტექსტის“ როგორც ხელისუფლების აპარატის დეკონსტრუქცია გრძელდება სხვა „ახალი ფილოსოფოსების“ ნაშრომებში, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების ენობრივი ჩარჩოები შეცვალონ ცივილიზაციის რაღაც უხელისუფლებო ორგანიზაციით ისინი ვარაუდობენ, რომ ლინგვისტიკა და ინფორმატიკა ფუნქციონირებს, როგორც „ხელისუფლების აპარატში მოქმედი ბინარული მანქანები“, ხოლო ენა „არც ნეიტრალურია და არც ინფორმაციული“ და ის არა იმისთვის არსებობს, რომ ვირწმუნოთ, არამედ რათა დავემორჩილოთ. ამგვარად, ფილ დელიოზი და ფელექს გუატარი გვთავაზობენ ინფორმაციასთან, „მართალ იდეებთან“, და „სწორ წინადადებებთან“ ბრძოლა დავიწყოთ ხმაურის ყოველმხრივი გაფრქველებით, ანტიინფორმაციით, მრავალსიტყვაობით, რათა შეზღუდული იქნას ენის ნორმალურ-სწორი გამოყენება.

ხმაური მოხმობილია, რათა დაინგრეს დისკურსები და მისი ცენტრალური ღერძი, რომელიც მხროვნების ორგანიზებასა და წვრთნას ახდენს. ავტორები გამოყოფენ „ხის“ პარადიგმას როგორც თანამედროვე მხროვნების სიმბოლოს და ცენტრალურ მეტაფორას, რადგანაც სწორედ ეს მეტაფორა აიძულებს მხროვნებას წარმოქმნას „სწორი იდეები“. ჟღერიოზი და ფგუატარი „აღწერენ ხეს“, როგორც ხელისუფლების ბინარულ მანქანას, რომელიც თავის თავში გულისხმობს დიხტომიის პრინციპებს, წარმოშობას, ცენტრს, ჩანასახს, განშტოებას, მოძრაობის ცენტრს, დამოჩილებას, ბრძანებათა სისტემას, ხსოვნას, კომბინირებას, სკოლებს, ავანგარდებს და უკმაყოფილებას. მხროვნების ორგანიზაციის ხისეული პრინციპი — ცოდნა, ცხოვრების სტილი, მეცნიერებანი, პოლიტიკა — გამსჭვალავს თანამედროვე ცივილიზაციას და თავად წარმოადგენს ხელისუფლების პროდუქტს „ხის ხელისუფლები“ პრინციპი ჩანერგილია ხელისუფლების მიერ ადამიანთა ცნობიერებაში სხვადასხვა სახით: „მოამხროვნის კეთილი ნების“, „შემეცნების ცნობისმოყვარეობის“, მხროვნების კეთილგონივრული ბუნების, რომელიც ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფვის“ და ასე შემდეგ.

ასოციალურად ორგანიზებული ხმაური, ავტორების შრით, უნარშემწეა არა მარტო „ატოპიური“ (ე.ი. ხელისუფლების გარეშე მყოფი ადგილი) შექმნას, არამედ საზოგადოებისა და კულტურის საერთო ატოპიური ორგანიზაცია და იმავდროულად ხესთან ბრძოლის მანქანა. ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს „რიზომ“ – ფესვები. რიზომა განისაზღვრება, როგორც გამოვლენა წარმოშობისა მოხელის, ხსოვნის, ბრძანების, ბინარული მანქანების გარეშე; როგორც ყველაფრის უწყვეტი ჩამოყალიბება (რომელიც არც კაცი ხდება და არც ქალი), ცხოველის ჩამოყალიბება (რომელიც არც კაცი ხდება და არც ადამიანი) და ა.შ.

„უდაბნოში დათესილი ბალახი“ ანუ რიზომა ეწინააღმდეგება ხეებს, შროვნება სახის გარეშე ეწინააღმდეგება შროვნების სახეს, ომის მანქანა ეწინააღმდეგება სახელმწიფო აპარატს, მრავალრიცხოვანი კომპლექსები უარყოფს უნიფიკაციას და ტოტალიზაციას, დავიწყების ძალისხმევა ეწინააღმდეგება ხსოვნას, გეოგრაფია ანგრევს ისტორიას, ხშირ უარყოფს წერტილს და ა.შ. ფ.დელიოზისა და ფ.გვატარის შრით, ბრძოლის ეს მიმართულებანი ყველა სფეროში აყალიბებს „ომის მანქანას“ ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც რაღაც ახალი ტიპის რევოლუციას ავტორები „რიზომს“ სახით წარმოადგენენ „ნომადოლოგიის“ ძირითად პრინციპებს და ვარაუდობენ, რომ „ნომადებმა“ (მოხეტიალენი), რომლებიც მოდიან მიზეზისა და შედეგის გარეშე, როგორც ბედისწერა, თანამედროვე ცივილიზაციის სრულიად საწინააღმდეგო რამ შექმნეს. ამიტომ დღესდღეობით სრულიად არასაკმარისია განეცხადოთ „ვაუშარჯოს მოძაველს!“ აუცილებელია ერთობლივად შექმნათ მრავალფეროვნება რიზომის აგებულების საერთო პრინციპის თანახმად.¹⁰⁵

ფ.დელიოზი და ფ.გვატარი „წესრიგს“ დაქვემდებარებული სამყაროს ნგრევას იწყებენ არა „მიზონანალიზით“ (რომელსაც თავად გვთავაზობენ), არამედ ენის დანგრევით. საკმე იმაშია რომ „différance“-ის ფილოსოფიაში არ არსებობს „არც ტანი და არც ენის ორგანიზ“, არამედ მხოლოდ ნიშნების ორგანიზაციის აბსტრაქტული

¹⁰⁵ Deleuze G., Guattari F. "A Thousand Plateaus". Capitalism and schizophrenia". London. 1988. p21.

მანქანა, ან „კოლექტიური მოწყობილობა“¹⁰⁶, რომელიც მანქანის მფლობელს ფუნქციონირებს.¹⁰⁶ ავტორები წარმოადგენენ აბსტრაქტულ სოციალურ მანქანებს, რომელიც ენას აძლევს კოლექტიური გამოთქმის მოწყობილობას (რომელშიც არ არსებობს სუბიექტი) და იმავდროულად ქმნის სურვილების მანქანისებურ მოწყობილობას, რომელშიც არ არსებობს სურვილის აღმნიშვნელი და მოქმედებს „კოდის ლოგიკა“. პრაგმატიკა გამოცხადებულია ნამდვილ პოლიტიკად ან „ენის მიკროპოლიტიკად“, ხოლო თვით ენა წარმოადგენს რამდენიმე ენის ერთობლიობას: იგი ერთდროულად ბილინგვისტური და პოლილინგვისტურიცაა, რამდენადაც ნიშნების რეჟიმის შინაარსში შეთანადებულია გამოთქმისა და შინაარსის ნაკადები¹⁰⁷. ამის შედეგად ენა გაიგება როგორც ნაკადების მიმართება, რომელიც განსაზღვრულია ნიშნების მანქანისებური რეჟიმით. მანქანა წარმოადგენს ადამიანის იარაღს (ხელსაწყოს), ცხოველების, ნიშნების, თანაარსებობის ანსაზღვრულ და იმდენად, რამდენადაც ის აბსტრაქტული ხაზია, ის პირველადია მათთან მიმართებაში და აიძულებს მათ ერთდროულად ფუნქციონირებას. ამიტომაც „ხისეულ“ სტრუქტურაში ხელისუფლება განიხილება შემდეგი სქემის მიხედვით: „ხელისუფლების მექანიზმები რომლებიც კოდირებას ახდენს სხვადასხვა სეგმენტებისას და აბსტრაქტული მანქანა, რომელიც მათ პერეკოდირებას ახდენს და მართავს მათ ურთიერთობას. ბოლოს კი, სახელმწიფო აპარატი, რომელიც რეალიზებას ახდენს ამ მანქანისას“¹⁰⁸. ყველა სეგმენტი (მრავლობითი, ანუ მოლარული, ხაზები, ისეთი ტიპის, როგორიცაა ოჯახი – პროფკავშირები – სამუშაო – დასვენება – სკოლა) კოდირებულია სახელმწიფო აპარატის აბსტრაქტული მანქანის მიერ „გაბატონებული გამოთქმების, საზოგადოებრივი წესრიგის, ენების, გაბატონებული ცოდნის მოქმედებებისა და კონფორმული გრძობების სახით. ამ ზრით, რიზომა წარმოადგენს რადიკალურ უარყოფას ყოველგვარი ორგანიზაციისას. რიზომის პრინციპებია: ყველა წერტილის კავშირი და ჰეტეროგენურობა, მრავლობითობის არსებობა, ყოველგვარი შემეცნების გარეშე,

¹⁰⁶ Ibid. p.140.

¹⁰⁷ Ibid. p.142.

¹⁰⁸ Ibid. p. 160.

მნიშვნელობის არმქონე დაყოფები, რიზომის კარტოგრაფია (მისი შიფრი), დეკალკირება – ყოველგვარი სტრუქტურის ანუ გენერატიული მოდელის უარყოფა.¹⁰⁹ რიზომა ვარაუდობს არა საგნებს და სისტემებს, არამედ „მოლეკულარული ნაკადების მიკროქმნადობებს“.

საზოგადოებისათვის მოლეკულარულობის მოთხოვნის ერთ-ერთი შედეგია სექსის მიხედვით ადამიანების დაყოფის უარყოფა, ადამიანების მორალური (ორპოლუსიანი) განაწილება სექსის მიხედვით და უპირატესობა ენიჭება ინდივიდუუმებს შორის სქესთა განაწილების მოლეკულარულ პრინციპს „ყოველს თავის განსხვავება თავის სექსის“ პრინციპის თანახმად, მთლიანობაში მოიპოვება ახალი ასოციალური სისტემა, რომელშიც არ იქნება განსხვავება ინდივიდებსა და კოლექტივს, ხელოვნურსა და ბუნებრივს, სპონტანურსა და ორგანიზებულს, სეგმენტარულსა და ორგანიზებულს . შორის.¹¹⁰

ამ ანარქისტული იდეალის მიღწევისათვის ყ.დელიოზი და ფ.გვატარი, უარყოფენ ნებისმიერი ორგანიზებული ბრძოლის ფორმებს სახელმწიფოს წინააღმდეგ და სევამენ საკითხს: შესაძლებელია კი საერთოდ რაიმე ორგანიზებული ფორმები, რომელიც მოდელირებას არ ახდენს სახელმწიფო აპარატის ტირანიას. სახელმწიფოს უპირისპირდება „ომის მანქანა“, რომელსაც ფაშისტინზაციის საფრთხე ემუქრება. ამის შედეგად ახალი ტიპის რევოლუციის დადგომა ცხადდება – ახალი რევოლუციის და ადამიანების ჩამოყალიბების – რომელიც საბოლოო ვაშში დაანგრევს „სახელმწიფოსა და სამყაროს ორგანიზაციის „მარადიული დაბრუნების“ ფ.ნიცშესეულ გეგმას.

ამგვარად, ხელისუფლების ენობრივი გარსის დანგრევით თავად ხელისუფლების მანქანა უნდა დაინგრეს. ასე, რომ სტრუქტურალიზმის ანტიკომანიზმი, რომელმაც „ადამიანის გაუჩინარებზე“ გამოაცხადა, ადამიანის ხელისუფლების აბსტრაქტულ მანქანაში სრულიად გათქვეფის თეზისად იქცა, რომელიც ინდივიდუუმების სასიცოცხლო ძალების კორდინირებას ახდენს. სტრუქტურალისტების

¹⁰⁹ Ibid. p. 21-40.

¹¹⁰ Ibid. p. 175.

სციენტში გარდაისახა პოსტრუქტურალისტურ ძალისხმევაში ეპოვათ „ყოველგვარი რეპრესიულობის პირველსაწყისები“ და აღმოეჩინათ ძირითადი სოციალური მეგამანქანა, რომელიც კნის იმგვარი ფუნქციონირების საშუალებას იძლევა, რომლის დროსაც ყალიბდება იგივეობრივი მტკიცებულებების წარმოსახვითი სურათები, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ჭეშმარიტი დისკურსები ეპისტემში.

პოსტსტრუქტურალისტურ კონცეფციებში ყოველგვარი ტიპის თვორეტიზირებისა და ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების ჰეგემონის, აბალი პოლიტიზებული ფილოსოფიის საფუძვლად იქცა ნებისმიერი დოგმატური დისკურსის უარყოფა თავად ითხოვს ლეგეტიმაციას. ამ მხრით, „დესტრუქციულ-კონსტრუქციულმა“ პროგრამამ რეალური სიცოცხლე შეიძინა 1983 წ. სართაშორისო ფილოსოფიური კოლეჯის შექმნას პარიზში.

ჟ. დერიდამ, ფ. შატლემ, ჟ. პ. ფაიმ და ლევერმა დაწერეს მოხსენება ახლადშექმნილი კოლეჯის ძირითადი მიმართულების შესახებ. კოლეჯის ინსტრუქტორებს შორის ითვლებოდნენ ისეთი ავტორები, როგორცაა: ფ. გვატარი, დ. კუპერი, კბიუსი-გლუკსმანი ჟ. დელიოზი, და სხვები. მოხსენების ავტორების თვალსაზრისით, მასწავლებელთა შერეულ შემადგენლობას უნდა უზრუნველყოფო მათთვის პლურალიზმის და სამეცნიერო პრობლემატიკის ფართოდ მოცვა. კოლეჯის პროგრამებს განზრახვა პქონდა განეეითარებინა „მტკიცებითი ფილოსოფია“, რომელიც უნარშემწე იქნებოდა თავის ადგილი დაეკავებინა სხვა მეცნიერებსა და პრაქტიკულ გამოკვლევებს შორის. უნივერსალური ჭეშმარიტების უარყოფასთან ერთად კოლეჯის დამაარსებლებმა უარყვეს „ინდუსტრიული სმოგადოების ეპოქის უნივერსიტეტის კონცეფცია, „რომელიც ფილოსოფიას „აბსოლიტური იურიდიული ავტორიტეტის“ ფუნქციას ანიჭებდა“. ამგვარად მოხსენებში აღინიშნება, რომ „ფილოსოფიას არ შეუძლია იყოს მბრძანებელი ჰეგემონის პოზიციიდან ცოდნის სფეროზე“ და მან თავის თანაბარი შანსი უნდა დაამტკიცოს ყოველგვარი სხვა გამოკვლევის წინაშე. მოხსენებში წინ წამოწეულია ორი თეზისი: 1) კოლეჯის მასწავლო ამოცანები მიზნად ისახავს პლატონური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლას, ე.ი. იმგვარი ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც

უპირისპირდება სხვა ტიპის ცოდნასა და ხელოვნებას. კოლექტი მოწოდებულია აღადგინოს ყველა ცოდნის ღირებულება და ყველა პრაქტიკის ჭეშმარიტება. ყოველგვარი სოციალური მამშობით ჩამოყალიბებული სახელისუფლებო იერარქიის მოცემულობის გარეშე; 2) კოლექტი ვარაუდობს დაუბრუნდეს შემეცნების სპეციფიკურ ფორმას — „გამოკითხვის ფილოსოფიურ წესს“ — როგორც არცოდნის გამოვლინებისას. ამგვარად, „არცოდნის სოკრატესეული მტკიცებ“ ცხადდება ერთადერთ შესაძლოდ ცოდნის ხელისუფლებისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულებისათვის. ამის შედეგად კოლექტმა უნდა იფუნქციონიროს, როგორც „ზროვნების გათავისუფლებულმა ტერიტორიამ“, სადაც თავისუფლად განიხილება საკითხი ანალი ტიპის ფილოსოფიური დაფუძნებებისათვის. ამდაგვარი კონცეფცია „არც მეცნიერულია და არც ფილოსოფიურია“. ფილოსოფიური კოლექტის სივრცეში შეუძლებელი უნდა გახდეს ნებისმიერი სახელისუფლებო დისკურსი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიებს უზიდავი ბატონობის მექანიზმით. ცოდნის „სივრცის დემოკრატიზაცია“ და ხელისუფლებიდან გასვლა ვარაუდობს ცოდნის არასპეციალიზებული ფორმების დანერგვას, „ჭეშმარიტი“ ფორმულირებებისას, რომელიც ყველა დროისათვის არის გამოსაყენებელი.

§3. პიტერ სლოტერდაიკი — განმანათლებლობის მარცხი და ხელოვნულების ცინიზმი

1983 წლის საერთაშორისო ფილოსოფიური კოლექტის მანიფესტის კვალდაკვალ გერმანიაში გამოდის პიტერ სლოტერდაიკის „ცინიკური გონების კრიტიკა“ (1983), რომელიც ითვლება პოსტმოდერნიზმის მანიფესტად. სლოტერდაიკი ამ ნაშრომში აჯამებს დასავლური ინტელიგენციის მიერ იდეოლოგიის კრიტიკის საქმეში განცდილ მარცხს. იგი ამტკიცებს, რომ XIX ს-ის ფილოსოფიის სისუსტე გამოიხატებოდა მცდელობაში რათა დაეკავშირებინათ სიყვარულისა და ცოდნის კატეგორია, ლაპარაკობდნენ სიყვარულზე ცოდნის გზით, და ცოდნაზე სიყვარულის გზით. პრაქტიკაში ამან არ

მიგვიყვანა ძალაუფლებასთან ცოდნის გარეშე და ცოდნასთან ძალაუფლების გარეშე. განათლება, მედიცინის გამოკლებით, ვერ უზრუნველყოფს სიცოცხლის სტანდარტებს, ძველმა ღირებულებებმა დაკარგეს თავიანთი კრედიტი, ახალი კი წარმავალი და არამდგრადია.

პ.სლოტერდაიკის ზრით, განმანათლებლობა თავის მთავარ წარუმატებლობას განიცდის მმართველ ხელისუფალთა ცინიზმის გამო. იმდენად რამდენადაც ცოდნა – ეს არის, ძალა და ხელისუფლება, ხოლო ხელისუფლება კი, რომელიც იძულებულია აწარმოოს ბრძოლა, უნებურად ყოფს ცოდნას სიცოცხლისუნარიანად და სიცოცხლის უუნაროდ. ზედაპირულად ეს ჩანს „რეალიზმის“ და „იდეალიზმის“ შორის დაპირისპირებაში. ხოლო სინამდვილეში ერთმანეთს უპირისპირდება შიზოიდური და ანტიშიზოიდური რეალიზმი. პირველი ჩანს თითქოს და სერიოზულია ხოლო მეორე კი – თავზედური. პირველი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ უუნაროა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე კი, არ ატარებს რა არავითარ პასუხისმგებლობას, იმ მხარეზე დგება, ვინც უნარშიმწეა ატაროს პასუხისმგებლობა. მათი მტკიცების თანახმად, პირველი მათგანი უზრუნველყოფს სიცოცხლის გდარჩენას; მეორე კი ისურვებდა ეშველა სიცოცხლის სიცოცხლისეული ღირსებისათვის ხელისუფლების მხარედი რეალიზმისაგან.¹¹¹

განმანათლებლობის მთავარი ჩავარდნა, რომელიც გამოწვეული იყო ხელისუფლებათა პოლიტიკის გამო, მიმართულია რეფლექსიის საწინააღმდეგოდ და ცდილობს სხვათა გაცნობიერებული გულუბრყვილობის კონსერვაციას. ამის გამო განმანათლებლობა თვითუარყოფის გზას დაადგა.

მიუხედავად დამუხრუჭებისა, ჩავარდნებისა და თავის ძალებში შეეჭვებისა განმანათლებლობამ თავის წიაღში წარმოშვა რეფლექსიის მძლავრი პოტენციალი. ამის არ ცნობა შეუძლებელია მისი დღევანდელი განვითარების დონითაც კი, რომლისთვისაც დემორალიზაციაა დამახასიათებელი. სციენტინზაციამ, ფსიქოლოგიზაციამ და სპაკლო

¹¹¹ Слотердайк Петер. “Критика цинического разума”, перевод Перцова А. Екатеринбург. Издательство Уралского университета. 2001. ст 110.

განათლების გავლენამ, სწოვადოვებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროზე. ჩამოაყალიბა რეფლექსიის მძლავრი საშუალებანი, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენტურ ფენაში და სახელმწიფო შენობის საშუალო დონის ჩინოვნიკების შროვნებაში. ხელისუფლების დიფუზიამ თანამედროვე სახელმწიფოში, მიგვიყვანა სახელისუფლებო ცოდნის საგანგებო განვრცობასთან, რომელმაც იმავედროულად, ხელისუფლების შესახებ ცოდნის ცინიზმი – ე.ი. მორალის თვითუარყოფა და იმ შეხედულებათა უკუგდება, რომელიც შორს არის ცხოვრებისაგან – დიფუზიური კოლექტიური მენტალიტეტის რანგში აიყვანა. სლოტერდაიკის შრით, აქ ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამოსავალ თეზისს: დღესდღეობით კულტურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება როგორც უნივერსალური დიფუზიური ცინიზმი.

ცინიზმის დიფუზიის გამო, რომელიც ინტელიგენციის კოლექტიურ მენტალიტეტად იქცა, სახელმწიფო და სახელისუფლებო ცოდნის განვრცობის ველში, კრახს განიცდის ადრინდელი მორალური საფუძვლები იდეოლოგიის კრიტიკისათვის. სლოტერდაიკის შრით, ამ პოზიციის კონსტატაციას ახდენს ვალტერ ბენიამინი: კრიტიკოსები დიდი ხანია თანშეერწყნენ გასაკრიტიკებელს და ყოველგვრი დისტანცია მათ შორის, რომელიც შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო მორალის წყალობით დაიკარგა, არა მორალში, ნახევრად მორალში და „ნაკლებ ბოროტებაში“, საყოველთაოდ გათქვეფისა და ნელ-ნელა ჩაჩოჩების გამო.

პ.სლოტერდაიკის შრით, ჩვენ გვიწევს არა მარტო განმანათლებლობის კრიზისის კონსტატირება, არამედ მთელი განმანათლებლური პრაქტიკისა და განმანათლებლური ანგაჟირებულობის.

განმანათლებლობის მორალური ფუნდამენტის დანგრევის შემდგომ, რამდენადაც თანამედროვე სახელმწიფო სულს უმპაზინჯებს განათლებულებსა და იმავედროულად მათ თავთან ჩინოვნიკებად აქცევს, ის პერსექტივები რასაც ადრე ანგაჟირებულობას უწოდებდნენ, ძალზე ბუნდოვანი რამ არის. პ.სლოტერდაიკის შრით, თუკი ვინმე შეეცდება „განმანათლებლურად“ მოახდინოს ჩემი ავტირება არსებითად ჩემი პირველი რეაქცია ცინიზმი იქნება: უკეთესი არ არის შენს საკუთარ ქაქზე იზრუნო?¹²

¹² Ibid. 116.

პ.სლოტერდაიკი პოლემიზირებას ახდენს თ.ადორნოსა და მ.პორკაბიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკასთან“. კრიტიკული თეორია ამოდიოდა იმ წინამძღვრიდან, რომ „საყოველთაო მსოფლიო გლოვაში“ ჩვენ გვეხსნება აპრიორული ცოდნა ამ სამყაროს შესახებ. ის რასაც ჩვენ მისგან აღვიქვავთ, მოწესრიგდება ტანჯვისა და ტკბობის ფსიქოსომატიკური კორდინატების სისტემაში. კრიტიკა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ტანჯვა გვეუბნება ჩვენ იმის შესახებ, რა არის „ჭეშმარიტი და ყალბი“. ამასთან ერთად კრიტიკული თეორია აკეთებს „ელიტარულ“ დაშვებებს დაურღვეველი მგრძობელობისა და აღქმადობის არსებობის შესახებ. ამასთან მისი ძალისა და სისუსტის ნიშანი; ამით არის განპირობებული მისი ჭეშმარიტება და იზღუდება სფერო, რომელშიც იგი უდავოდ მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად ძალზე დიდი ელიტარული გრძობაა საჭირო. იგი ნორმალურობის გვამისეული შხამის სიბუღვილით იკვებება გაყინული ტვინებისა და ბრონირებული სულების ქვეყანაში. არავითარი იმედი არ არის იმისა, რომ გარკვეული ტიპის მოწინააღმდეგეებს დაარწმუნებ; არსებობს წარმოდგენა ჭეშმარიტების საყოველთაოობის შესახებ, რომელიც ქმნის ალიბის იმათთვის, რომელიც უუნაროა გაიგოს; აქ სადაც, განსჯის უნართვისება არ ეფუძნება თვითწვდომის „ყოველის მომცველ მგრძობელობას“ დამარწმუნებელი ძალა არ გააჩნია ძალზე სოლიდურ არგუმენტაციას კომუნიკაციის თეორიის სფეროდან.

პ.სლოტერდაიკის მხრით, განმანათლებლობის მთავარი გემო გამოიხატებოდა იდეოლოგიის კრიტიკის სუბიექტურ მხარეში, რომელსაც ოპონენტი დაჰყავდა საგნების დონეზე, რომელიც გათვალისწინებულია მოწინააღმდეგის გამანადგურებლად. ცოდნისა და ზეღისუფლების კონფლიქტი შეიძლება გადაწყვეტილი იქნას სხვა გონების შექმნის გზით, კერძოდ განმანათლებლობისა და სუბიექტურობის საფუძველზე. სლოტერდაიკის მხრით, თანამედროვე დომინანტობის გამოძხატველია ცინიზმი, როგორც პირად ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე — ან განათლებული ყალბი ცნობიერება, ან განახლებული უბედური ცნობიერება, რომელშიც განმანათლებლობა წარმატებით მუშაობს თუმცა უმართ. იგი

ითვისებს გნმანათლებლობის გაკვეთილებს, მაგრამ არ სურს და უუნაროა გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. ეს ცნობიერება, რომელიც ვინმერთელი და არარაობაა ერთდროულად, არ გრძნობს მოთხოვნას იდეოლოგიისადმი, მისი სიყალბე რეფლექსურად ანტიისტიმულია. ცინიზმის ვადალასვას სლოტერდაიკი ხედავს ცინიზმის ტრადიციების აღდგენაში დიოგენედან დაწყებული შვეიკით დამთავრებული, როგორც განსაზიერება „თავად წინააღმდეგობის“, რომელიც სტაბილურობის თანამედროვე ცნებებს საწინააღმდეგოდ, ორიენტირებულია კაპიტალისტური კულტურის რაციონალიზაციასა და თვითშენახვაზე. მასში ხედავს სლოტერდაიკი ინტელიგენციის ერთად ერთ გზას ფრანკფურტის სკოლის მიერ იდეოლოგიის წარუმატებელი კრიტიკისა და დასავლური მარქსიზმის განცდილი კრახის შემდეგ.

კითხვები

1. როგორაა გამოსახული ცოდნისა და ხელისუფლების მიმართების პრობლემა „ახალი მემარცხენეების“ მიერ?
2. როგორაა გამოსახული „დისკურსის ხელისუფლების“ და „ხელისუფლების დისკურსის“ პრობლემა მიშელ ფუკოსა და როლან ბარტიის მიხედვით?
3. როგორ ხორციელდება ეს დერიდას მიერ დეკონსტრუქციის პროცესში ხელისუფლების მიღმური ხასიათის დანგრევა?
4. როგორ ხორციელდება ჟილ დელიოზისა და ფელიქს გვატარის მიერ ხელისუფლების ენობრივი გარსის დანგრევით ხელისუფლების მანქანის დანგრევა?
5. რაში გამოიხატება ხელისუფლების ცინიზმი პ. სლოტერდაიკის თანახმად?

ძირითადი ცნებები

- ახალი მემარცხენეები – დისციპლინარულობა – ნორმირება
- დისკურსის ძალაუფლება – ძალაუფლების დისკურსი – რიზომა – დეკონსტრუქცია – ფონოლოგოცენტრიზმი – difference
- ცინიკური გონება.

დავატეხილი ლიტერატურა

1. თთარ ჯიოევი, „მიმელ ფუკო“, „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია XXს. მორე ნახეარო“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1988.
2. მიშელ ფუკო, „სოვა ი ვეში. არქეოლოგია ჰუმანიტარნიხ ნაუკ“. „პროგრეს“. მოსკოვა, 1977.
3. მიშელ ფუკო, „ზაბოთა ო სებე“. მოსკოვა, კეელ-ბუკ., 1998.
4. პეტერ სლოტერდაიკ, კრიტიკა ცინიჩესკოგო რაზუმა. იზდ. ურალსკოგო უნივერსიტეტა. ეკატერინობურგ, 2001.
5. Gilles Deleuze and Felix Guattari. A Thousand plateaus. Capitalism and schizophrenia, The Athlon Press, London, 1988.
6. Philosophy in France today. Ed. by Alan Montefior. Cambridge university press. London, 1983.
7. Michel Foucault, Dicipline and Punish: The Birth of The Prison. Alan Lane London, 1977.
8. Jacques Derrida. Writing and Difference. Routledge, 1978.
9. Jacques Derrida. The Other Heading: Reflections on Today's Europe. Indiana University Press. Bloomington, 1992.
10. Richard Beardsworth, Derrida and the Political. Routledge, 1996.

თ ა ვ ი VIII

ანტირეპრესიული დისკუსიები

წ1. ანდრე გლუკსმანის ანტიიდეოლოგია

ახალი ფილოსოფოსების ერთ-ერთი ლიდერის ანდრე გლუკსმანის (დაიბ. 1937) ფილოსოფიურ გამოკვლევათა პრობლმატიკა უმთავრესად განპირობებული იყო სტუდენტურ მოძრაობებში მისი აქტიური მონაწილეობით. XXს-ის 60-70-იან წლებში იგი თავიდან მაონისტური კავშირის, მარქსისტულ-ლენინური ახალგაზრდობის კავშირის წევრი იყო. მისი ფილოსოფიურ-სამოდერნიზაციო ასპარეზზე გამოსვლა წარმოადგენს მის სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის კრიტიკულ რეფლექსიას. გარკვეულწილად გლუკსმანი იმ რეპრესიული ნარატივების გამოვლინებას ცდილობს, რომლის გავლენის ქვეშ თავად იყო. იგი ახალი ფილოსოფოსების ერთ-ერთი ლიდერია. იყო რაიმონ არონის ასისტენტი. პირველად მან ყურადღება მიიქცია, როცა დაწერა „ტრაქტატი განაზრებანი ომის შესახებ“. ომის პრობლემა განიხილება როგორც ცენტრალური საკითხი თანამედროვე ცივილიზაციისათვის. ძირითადი ყურადღება ექცევა არა ომის კონკრეტულ პოლიტიკურ პრობლემებს, არამედ ომის არსს როგორც ფილოსოფიურ პრობლემას. მისი აზრით, კლავზევიცის დოქტრინა წარმოგვიდგება არა მხოლოდ გ.გ.ფ.ჰეგელის იდეების მისადაგება სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, არამედ სამყაროს აღქმის ორი არსებითი ტიპი: ომი როგორც წინააღმდეგობის სისტემა, როგორც რევოლუცია, რომელიც უპირისპირდება ომს როგორც აბსოლუტურ განადგურებას. მისი აზრით, მთელი თანამედროვე ისტორია არის ამ იდეათა წინააღმდეგობა. წიგნში „მზარეული და კაციაჰამი“ ის ცდილობს წარმოადგინოს ძალადობა,

როგორც მარქსისტული თეორიის ლოგიკური შედეგი, როგორც კომუნისტური საზოგადოების პროექტის უცილობელი მომენტი. აქ აგლუკსმანის მიერ წამოყენებული იქნა წინარე იდეოლოგიის, როგორც ტოტალიტარიზმის წყაროს უარყოფის თეზისი. ეს უკანასკნელი „ხალი ფილმის“ გამაერთიანებელი ფუნდამენტური გახდა. აგლუკსმანის თანახმად, სოციალური არსი გამოიხატება ბატონობისა და მორჩილების მიმართებაში; ამიტომაც საზოგადოება და მისთვის აუცილებლად დამახასიათებელი ბატონობა განსაზღვრებს ტოტალიტარიზმს. მასში თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია: ჯერ ერთი ის არ არსებობს საზოგადოების წევრებისათვის, რადგანაც ყოველთვის არსებობს „არმყოფი ბატონი“, რომელმაც შექმნა ეს საზოგადოება და მოიგონა მისთვის კანონები; მეორე მხრივ, საზოგადოება არ არის თავისუფალი როგორც მთლიანობა, რამდენადაც თანასწორუფლებიანთა საზოგადოებას (ანუ ევალიტარული იდეების რეალიზაციას) აწესებს თავის თავის დისციპლინა – „ეს არის დამონების საყოველთაო რაციონალური პრინციპი; ასეთი საზოგადოება გარედან გამოაჩვენებს არათავისუფლებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორაა იგი ეკონომიურად უზრუნველყოფილი. რევოლუციას არ შეუძლია შეცვალოს საზოგადოება და საბოლოო ჯამში სახელისუფლებო ურთიერთობის გაძლიერების ფაქტორია. ამიტომაც მთავარი არის ტოტალიტარული ტენდენციების გამოვლინებისა, რომელიც გაძლიერებულია ადამიანების ევალიტარული ილუზიებით, არიან რევოლუციური თეორიები შექმნილები (ი.გ. ფიხტე, გ.გ. ჰეგელი, ფ. ნიცშე, კ. მარქსი). თანამედროვე ისტორია, დიდი ავტორიტეტების ტექსტებში გამოხატულ იდეათა რეალიზაციაა, რომელიც საკაციალურად არის შექმნილი როგორც ბატონობის მისაღწევი „ხელისუფლების მპყრობელის“ დისკურსი. რევოლუცია და მათი წინასწარმეტყველები – ი.გ. ფიხტე, გ.გ. ჰეგელი, კ. მარქსი და ფ. ნიცშე – იმავე დონით არიან ტოტალიტარიზმის საშინელებაში დამნაშავე, რა დონითაც ისინი დაკავშირებული არიან თანასწორობის იდეალებთან (სულერთია ყველა ინდივიდუალისათვის არის ის განზრახული, თუ მისი რჩეული ნაწილისათვის). დიდი ავტორიტეტის ტექსტები აუცილებლად აყალიბებს „ხელისუფლების მპყრობელის“ დისკურსს, რომელიც თავის თავს უმორჩილებს ისტორიას. გამოგონებული

ფორმულა „აკეთე ის, რაც გსურს“: ა) რადიკალურია, რადგანაც იგი მიმართულია აწმყოსაკენ („აკეთე“). მართავს მომავალს („ის რაც გსურს“). წარსული წაშლილია, რამდენადაც ამ ფორმულის გამეორება ნიშნავს ყველაფერი კვლავაც ნულიდან დაიწყო... თვით კონსტრუქცია და მოცემული ორგანიზაცია სვამს მსმენელებს გარკვეული ტიპის ანტიმონასტერში, რომელსაც მორჩილებაში მოჰყავს ისინი გარკვეული ანტიწესების მიხედვით, რომლებიც ასევე გულმოდგინედ არის დამუშავებული; ბ) რევოლუციურია, იმდენად რამდენადაც იგი იმ მომენტის აქცენტირებას ახდენს, როცა „ყველაფერი შესაძლებელია“: ის მომენტი, როცა ყველაფერი შესაძლებელია, მოცემულია როგორც ყოველი ინდივიდუუმის დაბადების აქტი, რომელიც შედის ამ ერთობაში; დ) ეყრდნობა კოლექტივიზმს: ჩვენ თავისუფალი ვართ ყველანი ერთად, ე.ი. მხოლოდ კოლექტივია თავისუფალი: „ამ თავისუფლების წყალობით ისინი ავლენენ ძალისხმევას, რათა განაზოციელონ ის, რაც მათი ზრით, ინდივიდუუმებს უნდა მოსწონდეს... სწოგადობა ამგვარად განწირულია უსასრულოდ გაიმეოროს თავისი დაბადების აქტი: იგი არსებობს მხოლოდ ბრძანების წყალობით და პირველ შემდგომს ცვლის შემდგომი შემდგომი... მთავარია მხოლოდ აწმყო: მომავალი წარსულის კვალდაკვალ დანგრეული უნდა იყოს, რადგანაც იგი ატარებს გაუთვალისწინებელი ცვალებადობების საფრთხეს; ე) დიქტატორულია: „აკეთე ის, რაც გსურს“ ანალოგიურია უფრო ბუნდოვანი „აკეთე ის, რაც გამოძინარეობს მარქსიზმისაგან“. ბრძანება ყოველგვარი შეპასუებისა და გამოპასუების გარეშე თავისთავად აგებს განუსაზღვრელ დისიმეტრიას — იმათ შორის ვინც ამ კანონს აყალიბებს და ვინც ამას ღებულობს როგორც ცხოვრების წესს; ე) თეოლოგიურია: მისი საფუძველი რელიგიურია, ისევე როგორც წმინდა ავგუსტინესთან „გიყვარდეს ღმერთი, ემსახურე (მას) და აკეთე რაც გსურს“. XX-ის ზროვნება აცხადებს „ყველაფერი დაშვებულია“ — ღმერთის ნებასთან კავშირის გაწყვეტა აუქმებს რელიგიურ შეფერილობას, მაგრამ ამ კავშირის გაწყვეტის კვალი რჩება: ქვეტექსტი გულსხმობს, რომ „თუ ღმერთი მოკვდა, მაშინ ყველაფერი დაშვებულია“. რელიგიური კავშირი ქრება, მაგრამ

მის ადგილს იკავებს უნივერსალიზებული მსჯელობა, რომელიც იმავე ავტორიტეტს ეყრდნობა, რაც დამახასიათებელი იყო რაციონალური თეოლოგიისათვის. აგლუქსმანის მართ, „ბიუროკრატიული სისტემების ამოცანათა ამოცანა“ – წარმოსდგეს როგორც სისტემა, საქმე ეხება არა იმდენად კანონის გამოყენებას, არამედ იმას, რომ არსებობს ისეთი რაღაც როგორცაა კანონი“. აგლუქსმანის მართ, განმანათლებლობის შემდგომი ევროპული ეპოქა დემონსტრირებას ახდენს სწორადობრივ ცხოვრებაში გონების როლის ზრდისას და მის გაიგივებას ხელისუფლებასთან: 1789 წელს მასებში ინიცირებული იქნა „ბატონობის ნების პროცესი. სახელდობრ ი.გ.ფიხტემ, რომელმაც გამოაცხადა, რომ ფილოსოფია უნდა იყოს ლოგიკურად დამსაბუთებელი სისტემა, „საფუძველმდებელი მეცნიერება“, „მეცნიერებათ მოძღვრება“, წარმოქმნა განწყობა, რათა იგი გარდაქმნილიყო (ი.გ.ფიხტეს სიტყვებით თუ ვიტყვი) „ადამიანური ძალმოსილების საფუძველად“. ი.გ.ფიხტეს მართ, ამგვარ მეცნიერებას „უნდა ჰქონდეს პრინციპი, რომელიც არ შეიძლება დადგენილი იყოს თვითონ მისგან და არც სხვა მეცნიერების გზით, რადგანაც თავად არის ყველაზე უმაღლესი მეცნიერება“ ი.გ.ფიხტეს მართ, „მოქმედება! – აი რისთვისაც ჩვენ ვარსებობთ“ – აგლუქსმანი ამ ინტელექტუალურ ზამში ხელავს ფილოსოფიის პოლიტიზაციის პროექტს, რათა მიღწეულ იქნეს სუბიექტის აბსოლუტური ბატონობის მიზანი. მოცემულ კონტექსტში – მოქმედი და აქტიური – სუბიექტი ხდება თავად ცოდნა, ხოლო „მე“-ს გაშლა აღმოჩნდება ბატონობის პრინციპის იგივეობრივი ექსპანსია. ცოდნა და გონება იწყებს დომინირებას სინამდვილეზე: ე.ი. მეცნიერების (აბსოლუტური ცოდნის) და რევოლუციის (გონების „აბსოლუტური მოქმედების“ ორიენტირება ყოვლისმომცველი და პერმანენტულ უარყოფაზე) ერთმანეთთან შერწყმა ხდება, რომელიც მიმართულია მეტაფიზიკური ბატონობისაკენ – მორჩილებისაკენ.

აგლუქსმანის მართ, ი.გ.ფიხტეს მოძღვრების არსი თავისუფლების შესახებ, ასეთია: „ჩვენ ადამიანების სოციალიზება უნდა მოვახდინოთ მათი თავისუფლებიდან გამომდინარე“. შემდგომში გ.ვ.ჟ.ჰეგელმა ი.გ.ფიხტეს იდეებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბა დამკვნა –

„შეიმეცნო ე.ი. იბატონო დაუმატა თეზისი, „ვამროვნებ, მამსადაძმე სახელმწიფო არსებობს“. აგლუქსმანის ინტერპრეტაციის მიხედვით, თავისუფლება, გ.ვ.ფ.პეველის თანახმად განისაზღვრება, როგორც „პრინციპი, რომელიც ლაპარაკობს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მართოს მმართველმა“ აფასებს რა, კმარქსის წვლილს კაცობრიობის დაბნობის საკითხში, აგლუქსმანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მან შემოგვთავაზა დემოფირების სტრატეგიული გეგმა და ამის შედეგად თანამედროვე საზოგადოებაში მსჭვილი კონფლიქტების ორგანიზაციის სქემა“. აგლუქსმანი ვარაუდობს, რომ კმარქსი ისევე როგორც სხვა „ვაუბატონი მოამროვნებები“ იწყებენ შემდგენიარად: „ანგრევენ რა წარსულის გამოცდილებას, იწყებენ ნულიდან და — შემდგომში — „ქმნიან უნდას მეცნიერებას“. კმარქსმა შეძლო „ფრანგული რევოლუციის საკითხის მთლიანობაში გადაწყვეტის“ ჩამოყალიბება, იმ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით, „თუ როგორ უნდა იყოს საზოგადოება ორგანიზებული; რა გზით შეიძლება იყოს მასში მცხოვრები ადამიანები თავისუფალი; როგორ უნდა მართო „პლებესი“. აგლუქსმანის მხრით, კმარქსის მიერ შემოთავაზებული სქემა ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც „სახელისუფლებო მიმართება განისაზღვრება საგანთა შორის მიმართებისაგან“ ამგვარად, საწარმოო ძალები სხვა არაფერაა, თუ არა „ხელისუფლების ინსტიტუტების წარმოქმნელად“, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს თანამედროვე საზოგადოების კონფლიქტები.

დაბოლოს, ფნიცშემ, აგლუქსმანის მხრით, უარყო ყოველგვარი ზედმეტობანი და სოციალურობის საფუძვლად „ძალაუფლების ნება“ წარმოადგინა. ფნიცშესათვის „ყველა ორგანიზაცია, სახელმწიფო, მეცნიერება, ხელოვნება, პოლიტიკა, რელიგია, ბატონობის ნაირსახეობა“, „ძალაუფლების ნების სტრუქტურა“. გლუქსმანის მხრით, ფნიცშემ უარი თქვა სახელისუფლებო ურთიერთობის შესაძლო ინდიკატორზე — ეკონომიკურ მოცემულობაზე (საქონელზე). ფნიცშემ განაცხადა: „ხელისუფლების მპყრობელი აწესებს ზომის განმსაზღვრელს და ამასთან ერთად არავის არ აძლევს უფლებას თვითონ იყოს გამომილი; იგი თვითონ იძლევა ნორმებს“.

გლუქსმანი აჯამებს რა XIX–XXს-ების ევროპული ფილოსოფიის ინტელექტუალურ მიღწევებს, თვლის, რომ ზოგადი ონტოლოგიის

რაკურსში მიმდინარეობს პასუხის ძიება კითხვებზე რა „არის არსებული და ყოფიერება“, ხოლო „ეკაუბატონი მოაზროვნების სპეციალური ონტოლოგიის ჩარჩოში „რა არის არსებული“ წარმოგვიდგება ყველა მათგანზე რადიკალური ბატონობის სახით. აგლუქსმანის ზრით, „მთელი თანამედროვე ბატონობის არსი, მისი სიღრმისეული საფუძვლებიდან გამომდინარე, მეტაფიზიკური“.

სამოქმედო აქტივისტური იდეოლოგიები წარმოადგენს, რაღაც სოციოდეციებს – მცდელობებს მოარგონ საზოგადოების რაიმე მოდელი არსებულ სოციალურ უსამართლობებს. ღირებულებათა სისტემა საზოგადოებაში ფუნქციონირებს, როგორც ადამიანის დამთრგუნავი სტერეოტიპი. ეს არის სისულელე. მთავარ სისულელედ აგლუქსმანი მიიჩნევს „კეთილდღეობის“ იდეას, რომელზეც არის აგებული როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე იდეოლოგიები, რომელმაც აჩვენა თავისი ისტორიული შეუმდგარობა ასევე მისი თეორიული აბსურდულობა. არსებული იდეოლოგიების შეცვლა შეუძლებელია, მისი ნეგაცია შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ფილოსოფოსების მიერ – ისეთი როგორიც იყო სოკრატე. ახალ დროში კი რ.დეკარტე. რ.დეკარტე მკაცრი მოაზროვნებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არ ქმნის პოზიტიურ იდეოლოგიას, არამედ ზნის დაბნეულობებს. რ.დეკარტე წარმოგვიდგება ჰიპერბოლარული შეფასებების ფილოსოფოსად. აგლუქსმანი უერთდება ნეგატიური ჰუმანიზმის იდეას, რომლის სათავეებშიც იდგა დეკარტე: ეს არის ადამიანის ხედვა, არა მის საუკეთესო, არამედ ყველაზე უარესს გამოვლინებებში – არა იდეალის კულტისა, არამედ რეალობის საშინელებების მიღება. გლუქსმანი საერთოდ უარყოფს რაიმე პოზიტიური პროგრამის შექმნის იდეას და თვლის, რომ თავის არიდება კონფლიქტებისა და ბრძოლისაგან საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიშოროთ კატასტროფები რეალიზება მოვახდინოთ ჰუმანიზმისა. შევინარჩუნოთ ერთეული, თუმცა იგი განწირულია მარტოობისათვის.

§2. მორის ბლანშო - უხელისუფლოს მცდელობა

მორის ბლანშო (დაბ. 1907წ.) არამარტო ანტირეპრესიულ დისკურსს ქმნის, არამედ მისი გადაღავის გზებსაც ეძებს. მისი შრით ინდივიდუალური თვითშემეცნება იწყება „მუძღვლების მცდელობიდან“ - საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და გაფართოების გზით, რომელიც არ ემთხვევა სოციალურ ველებს, კულტურული ტრადიციებისა და ენობრივი ნორმების ზღვრებს. იგი ავითარებს ხელისუფლების ნების თეორიას, რომელიც თავად ხელისუფლებას უპირისპირდება: სადაც გონებისათვის, როგორც ხელისუფლების საწყისისათვის არსებობს ქაოსი და „წმინდა ნეგატიურობა“, რომელიც აუცილებელია გადაიღავოს; მხოლოდ ძალაუფლების ნებისათვის იწყება „წმინდა პოზიტიურობა“. ხელისუფლება მბლანშოს მიერ გაიგება, როგორც ნორმატიული რაციონალობის ტოტალური ბატონობა (სოციალურად მიწერილი კანონი), რომელიც მისწრაფვის მიჩქმალს თავისი ანანომური საფუძველი - ძალაუფლების ნება. იქ სადაც გონებისათვის ხელისუფლების ანონიმურ საწყისს კიპოსტაში არსებობს „წმინდა ნეგატიურობა“ და ქაოსი, რომელიც თავის საკუთარი თავის გადაღავისაკენ მისწრაფვის, „ძალაუფლების ნება“ გამოდის მხოლოდ „წმინდა პოზიტიურობის“ სზღვრებში. ენის ნებისმიერი ნორმატიული მოცემულობა - ლინგვისტური, სემიტიკური, ლიტერატურული და რიტორიკული - ხელისუფლებს გადამტანია. ენაში იმ მოცემულობების გადაყვანა (ონტოლოგიური ნიშნების), რაც თვითონ ენას არ აქვს, არ არსებობს როგორც სპონტანური ენა და წარმოადგენს „ხელისუფლებაში ვარჯიშს“. ხელისუფლება უხელისუფლოსაგან გამოიყოფა სპეციფიკური კულტურული წარმონაქმნით - წიგნით. სწორედ ეს უკანასკნელი უღებს სადემარკაციო ზმს, როგორც კულტურის პროდუქტი, ხელისუფლებას. შროვნება, როგორც უხელისუფლებოს მცდელობა, შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც გაუქმებულია ყოველგვარი სუბიექტურობა. რაიმეს წერა, რომელიც არ წარმოადგენს წიგნს, ნიშნავს ძალაუფლების ნების სტიქიაში მყოფობას, მარადიულ დაბრუნებაში, ნიშნების გარემოც რომელიც წერის ზღვარის მარკირებას ახდენს როგორც წიგნისას. ამ

რალაცაში ქრება საკითხი ადამიანის შესახებ და აიხსნება ფილოსოფიის ყოფიერება, როგორც წმინდა ტრანსაგრესიულობის მცდელობა ე.ი. „ზღვრებს იქით“ გაცვლის სფერო. ხელისუფლების ნეიტრალიზაციის პრობლემა წყდება „ძალაუფლების ნებისადმი“ მიმართვით სუბიექტის „გარეგანი“ პოზიციის „მინაგანი პოზიციამდე“ გადასაცვლების გზით. ამის შედეგად, სუბიექტი აღარ ექვემდებარება ერთმნიშვნელოვანი „სრული“ საბით იდენტიფიცირებას რეალობის ბოლომდე გამოვლენილ „ონტოლოგიურ ნიშანს“, ე.ი. მისი სიღრმისეული საზრისი გაურბის სოციალური კოდირების ნებისმიერ საშუალებას და ისტორიის, კულტურის და კოსმოსის სუბიექტის ნიშნით აღნიშნულ მის შემდგომ ექსპულატაციას. ადამიანი არ შეიძლება განხილული იყოს მიკროკოსმოსის საბით, რომელიც თავის თავის დუბლირებას ახდენს რელობაში. იგი წარმოადგენს მხოლოდ აბრივიატურას არასრული და ფრაგმენტული ნიშნების სიმბოლოებისას, რომელიც გამოდის ე.წ. ონტოლოგიური სრული ნიშნების საბით, რომელიც ჩაწერილია ადამიანის ისტორიაში კულტურაში და მაქსიმალურად ფრაგმენტულია. აქედან გამომდინარე, სემიოტიკა, რომელიც იკვლევს ძალაუფლების ნების არაცნობიერ იმპულსებს, შეუძლია დაეყრდნოს მეცნიერებას, იმდენად რამდენადაც, მეცნიერებაში დომინირებს სამყაროს სრულყოფილად წარმოდგენის მოდუსი. სემიოტიკა კი უნდა აიგოს, როგორც ღია სერია სხვადასხვა და იმავდროულად იგივეობრივი ნიშან-იმპულსებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიებია წარმოსახვამი; უშუალო მოქმედებაში კი თავიანთი შინაგანი ფორმით იგივეობრივი, ე.ი. თანაბარი დონითაა დაკავებული რეალობის შექმნით. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს „რეველუცია“, „კანონი“, „ხელისუფლება“. ისინი ყველანი მოგვეცემა სემიოტიკის ღია პროცესში, რომელიც არ არის დამახივებული სოციალობის ნიშნებით. სოციალობის ნიშნებით თამაში სოციალობის გარეშე ეს არის უხელისუფლების მცდელობა. ტრანსაგრესიული ტექსტულობის სინონიმი არის სურვილი ამავედროულად იგი არ ცნობს, რომ არსებობს ქცევის ტიპები, რომელიც არ დაიყვანება სურვილზე ან წმინდა ტექსტზე, და იმავდროულად სურვილს აცხადებს ისტორიულობის ატრიბუტად. მბლანშო ამგვარად ეძებს არა ახალ სოციუმებს, არამედ ისტორიის დასასრულს.

კითხვები

1. რას ნიშნავს ხელისუფლების მპყრობელის დისკურსი ანდრე გლუქსმანის თანახმად?
2. რა პოზიციებს ავითარებს დიდი ავტორიტეტების ტექსტები ანდრე გლუქსმანის მიხედვით?
3. რას ნიშნავს ტრანსაგრესიის ცნება მორის ბლანშოსთან?
4. რას გულისხმობს უხელისუფლოს მცდელობა მორის ბლანშოს მიხედვით?

პირითაღი ცნებები

ხელისუფლების მპყრობელის დისკურსი – დიდი ავტორიტეტების ტექსტები – ტრანსაგრესია – ხელისუფალი და უხელისუფლებო

ღამატაბილი ლიტერატურა

1. Андре Глюксман, Глупость, Культурология 20 век. Москва, 1999.
2. Андре Глюксман, Цинизм и страсть, Философские науки, “Высшая школа“, 1990, №4.
3. Andre Glucksmann, Le Maitres Penseurs, Pinguin, 1997.
4. Blanchot M. L'espase litteraire, Pinguin, 1993.

პოლიტიკური ხელისუფლების რეპრესიული დისკურსის უარყოფა

წი. ჟან ბოდრიარი — თვით რეფერენციალურ ნიშანთა სისტემა და ხელისუფლების სიმულაკრები

პოლიტიკური ხელისუფლების რეპრესიული დისკურსების უარყოფის პროექტი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი ჟან ბოდრიარსა და ჟან-ფრანსუა ლიოტარის ნაშრომში.

ჟან ბოდრიარი (დაბ. 1929) ცდილობს გაემიჯნოს როგორც ი.ჰაბერმასის მოდერნიზმის დაუმთავრებელ პროექტს, ასევე სტრუქტურალისტურ და პოსტსტრუქტურალისტურ ტენდენციებსაც. პოლიტიკური ხელისუფლების პროექტი მის ნაშრომში ჰიპერრეალური სივრცის პროდუქტია. ამიტომაც მასთან ხელისუფლების ნარატივების აღმოჩენა და რეპრესიულობის დისკურსების უარყოფა ჰიპერრეალობის სივრცეში წარმოქმნილი ახალი ტიპის რეპრესიების უარყოფას უკავშირდება.

ჟ.ბოდრიარის პირველი ნაშრომი („საგანთა სისტემა“) კმარქსის გავლენით არის დაწერილი. იმაედროულად იგი ეყრდნობა ზ.ფროიდს და სოსიურის თეორიას. მის მიერ შექმნილი ენის თეორია განზრახული იყო როგორც დამატება მარქსისტული პოლიტეკონომიისადმი. ჟ.ბოდრიარი აჩვენებს, როგორც სოსიურის „აღნიშნულისა და აღნიშვნადის“ დიხოტომიის შეუძღვარობას, ანალოგიურად კმარქსისეული „საცვლელი და სახმარი ღირებულებების“ დიხოტომიის შეუძღვარობას. ჟ.ბოდრიარის მართ, საგანთა დისკურსი და მათი წარმოება, რომლებიც ყოველთვის რაციონალურია და მოხმარების ობიექტის დისკურსი, როგორც ნიშნადი ფუნქცია,

სტრუქტურირებას ახდენს ადამიანის ქცევისას („სუბიექტის დისკურსი“). არა მოთხოვნილებანი წარმოადგენს საქონლის წარმოების საფუძველს, არამედ – წარმოებისა და მოთხოვნილების მანქანა წარმოშობს „მოთხოვნილებებს“. მოხმარების აქტში მოხმარება არა საქონელი, არამედ ობიექტების მთელი სისტემა, როგორც ნიშნისეული სტრუქტურა. გაცვლისა და მოხმარების სისტემის გარეშე არ არსებობს არც სუბიექტი და არც ობიექტი. მოხმარების ობიექტი, როგორც ასეთი, კონსტრუირდება იმით, რომ მოთხოვნილება ექვემდებარება რაციონალურ განზოგადებას; ასევე იმით, რომ საგანი არტიკულირებას ახდენს გამოთქმებისას ობიექტების დისკურსიდან, რომელიც წინ უსწრებს მათ „გასაჭონლებას“ და მათ შექმნას საცვლელი ღირებულების მიხედვით. საგანთა „ენა“ კლასიფიცირებას ახდენს სამყაროსას მანამდე, ვიდრე იგი წარმოადგება ყოველდღიურ ენაში; ობიექტების პარადიგმატიზაცია იძლევა კომუნიკაციის პარადიგმას; საქონლის ბზარზე გაცვლა წარმოადგენს საფუძვლისეულ მატრიცას ენობრივი ურთიერთქმედებისათვის. სუბიექტი, იმისათვის, რომ ასეთი დარჩეს, იძულებულია თავის თავის კონსტრუირება მოახდინოს, როგორც ობიექტმა და ეს „პერსონალიზაციით მართულის სისტემას“ მოხმარებლის მიერ ცნობიერდება როგორც თავისუფლება – თავისუფლება ფლობდეს საგნებს.

ჟ.ბოდრიარის ჰერით, იმისათვის რათა თავისუფალი იყო მოხმარების საზოგადოებაში, სინამდვილეში აღნიშნავს თავისუფლად მოახდინო სურვილის პროეცირება წარმოებულ საქონელზე და ჩავარდე „საგანთა დამამშვიდებელ რეგრესიასში“. ჟ.ბოდრიარის თანახმად, არ არსებობს ინდივიდუალური სურვილები და მოთხოვნილებანი, არსებობს მხოლოდ სურვილის წარმომქმნელი მანქანები, რომელიც გვაიძულებს დავტკებთ და რომელიც ექსპულატაციას უწევს ჩვენი ტკობის ცენტრებს. ობიექტები წარმოადგენს ობიექტების კატეგორიებს, რომელთა ტირანია აყალიბებს პიროვნებათა კატეგორიას. პიროვნებათა ადგილი სოციალურ იერარქიაში მონიშნულია გარკვეულ საგანთა ფლობით. ნიშნისეული კოდი – ყოველთვის განზოგადებული რაციონალური მოდელი – და მასში მოხსნილი ეკვივალენტობის პრინციპი, მონოპოლიურად ორგანიზებას უწევს ხელისუფლებისა და წესრიგის

ველს. მოხმარება — ესეც თავისებური ბიზნესია, შრომა, როცა ინვესტირებას ვაზღვრთ საკუთარი აზრებისას და მნიშვნელობებისას ობიექტების დისკურსის სისტემაში. მოხმარების აქტში, „ფიდვის ჯადოსნობაში“, ხორციელდება არაცნობიერი და მართვადი მიღება ნორმების მთელი სოციალური სისტემის. ობიექტების დისკურსმა, როგორც ენის პარადიგმამ, კომუნიკაციამ და იდენტობამ გამოდევნა სიმბოლური გაცვლა — ის სოციალური ინსტიტუტი, რომელიც არქაულ საზოგადოებებში ქცევასა და კომუნიკაციას განსაზღვრავდა ყოველგვარი გაცნობიერებისა და რაციონალიზაციის გარეშე. სიმბოლური გაცვლა აიგება სუბიექტებისა და სიმბოლოების, მათი ყოფნის, მიმართებაში; ინტერაქციულობის პრინციპს აქ წარმოადგენს, არა ეკვივალენტური გაცვლის სიმეტრია, არამედ შენაწირი მსხვერპლთშეწირვა, ე.ი. უთანასწორობის პრინციპი, ან ამბივალენტობა. სამომხმარებლო ღირებულება და მისი ფუნქციონალური, ცხოვრებისეულ-პრაქტიკული საფუძველი უარყოფის ფაქტურულ შესტში იცვლება საცვლელი ღირებულებით — ე.ი. საბაზრო ღირებულებით, რომელიც ფუნდირებულია ეკვივალენტობის პრინციპით: ყველაფერი უთანასწორდება აბსტრაქტული ფულის ეკვივალენტს. მაგრამ შემდგომში „სამომხმარებლო ღირებულების ფეტიშიზმი“, რომელიც მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის თეორიაში ცნობილია, როგორც გაუცხოების პრობლემა ნიშნისეული ღირებულების მსხვერპლი ხდება, რადგანაც იგი „კოდის მონოპოლიის“ (სავაჭრო მარკის) ქვეშ ჩაინთქება. ობიექტი ხდება ნიშნისა და საქონლის ერთობა; აქედან დაწყებული, საქონელი — ეს ყოველთვის ნიშანია, ხოლო ნიშანი კი — ყოველთვის საქონელი. ნიშანი პროვოცირებას ახდენს ღირებულებისას, სჭრისის (აღნიშნულის), რეფერენტის გაუცხოებისას. მაშასადამე, ის რეალობის გაუცხოებასაც ახდენს. რეკლამის დისკურსში, რომელიც ორგანიზებას უწევს საგნების შექმნას, მისი სჭრისის მოპოვებისა და სურვილების მართვის გზით, წარმოსახული და არაცნობიერი გადადის რეალობაში. ამ სამუშაოს აკეთებს ნიშანი, მაგრამ იმავდროულად იგი თვითონ წარმოქმნის თავის რეფერენტებსა და მნიშვნელობებს. მაშასადამე სამყარო და რეალობა აღნიშნულის ასახვაა, მისი აფექტებისა და ფანტასმაგორიების წარმოსახვაა.

ამ პუნქტში როგორც შემდგომში აღნიშნავდა ჟბოდრიარი, მნიშვნელოვნად ცილდება კმარქსსა და სტრუქტურალიზმს: ღირებულების ნიშნისეულ ფორმაში დომინირებს აღნიშნული, რაც ანგრევს სოსიერისეულ აღნიშნულისა და აღნიშვნადის დიხოტომიის საფუძველს; ღირებულების პოლიტეკონომიური სტრუქტურები წყვეტენ მუშაობას ნიშნის დიქტატურის სამყაროში.

ჟბოდრიარის აზრით, ნიშნების ერა „აღორძინების“ ეპოქასთან ერთად იწყება, იმ დროს როცა კოდები ღებულობს დამოუკიდებლობას რეფერენტებისაგან. ისინი დამოუკიდებლობას ღებულობს არქაული სწოგადობების „სამსხვერპლო კრიზისის“ გამო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უშუალო სიმბოლური გაცვლა. ადამიანთა სოციალური ისტორია ხდება სიკვდილის გამოღვენის ისტორია. ნიშნის ცენზურა სოციალური სივრციდან გარდაცვლილებს გამოღვენის კვალდაკვალ თანმიმდევრულად ღენის კელურებს, გიყებს, ბავშვებს, მონუცებს, გაუნათლებლებს, დარიბებს, გარყენილებს, ინტელექტუალებს და ქალებს. მამასადამე, ის რაც ღევიაციას იწყებს ნიშანთა სისტემის მიმართებაში, იმის იგნორირება ხდება. მისი მყოფობა რეალობაში იღენად არის მისაღები, რამღენდაც ზუსტ თანაფარდობაშია კოდებთან.

იღეოლოგია სწორედ კოდის ამ მონოპოლიის დაპყრობას ცდილობს. ამიტომაც იღეოლოგია არ წარმოაღვენს „ყალბი ცნობიერების“ ფორმას, როგორც ამას განიხილავს მარქსიზმი. იღეოლოგიური დისკურსი ცნობიერებამღელია. იგი აღწევს რაციონალიზაციისა და განზოგადების უმაღლეს წერტილს ნიშნისეული კოდების ყველა დონის კოლონიზირებით. იღეოლოგია, ისევე როგორც კოდები, ბადებს კონოტაციებს და არა დენოტაციებს; იგი პარაზიტირებას ახღენს ნიშნების მრავალგვარობის საფუძველზე; იგი მახინჯი მუტანტია, ექსკრემენტი, ყოველთვის გაქრობადი ნარჩენი. ამიტომაც აქ ლაპარაკი აღარ შეიძლება იღეოლოგიაზე. აქ არის მხოლოდ სიმულაცია. XXს-ის ბოლოს ენის განუწყვეტელი ექსპულატაციის შეღვევად, სოციალური კონტროლის ინსტრუმენტის სახით, ნიშნები საბოლოოდ წყდება თავის რეფერენტებს და ღებულობს სრულ ავტონომიურ ხასიათს – „სიმულაკრებს“, რომელიც წარმოქმნის და ტრანსლაციას ახღენს სმარისებისას,

რომელიც არაადეკვატურია მიმდინარე მოვლენების და ფაქტები არ ექვემდებარება ერთგვაროვან შეფასებას.

ჟბოდრიარის მხრით, სამი ტიპის დისკურსი ცდილობს სიცოცხლისა და სიკვდილის ამბივალენტურობის შენიღბვას. იგი ერთმანეთს უპირისპირებს წარმოებას-„შეწირვას“, სურვილს – „სიკვდილის ინსტიქტს“, საზრის – „ანაგრამებს“.

ჟბოდრიარის მხრით, შესაწირისა და შეწირვის, მსხვერპლში ჩანაცვლების, დროთა მიმდინარეობისა ციკლებში, წარმოებისა ნგრევაში, და ყოველგვარი ლინგვისტური მნიშვნელობისა ანაგრამებში ურთიერთჩანაცვლება (ციკლური ჩანაცვლება, ანულირება) წარმოადგენს ერთ ყოველსმომცველ ფორმას. იგი წერტილს უსვამს დროის სწორზმონებებს, ენას, ეკონომიკურ გაცვლას, სიმდიდრის დაგროვებას, და ხელისუფლებას.

ჟბოდრიარი გამოყოფს სიკვდილის გამოდგენის სამ სოციალურ ისტორიას, სიმულაციის სამ წყებას (სამი წყების „სიმულაკრებს“), ღირებულების კანონის პარალელურ სახეცვლილებას: სოციალურის გაყალბება მისი ყოფიერების მეტაფიზიკითა და გარეგნული სახით(რენესანსიდან დაწყებული და სამრეწველო რევოლუციით დამთავრებული); სოციალურის წარმოება მისი ენერჯის (შრომის) დიალექტიკით და ბუნების კანონებით (სამრეწველო ეპოქა); სოციალურის სიმულაცია მისი განუსაზღვრელობის კიბერნეტიკითა და კოდით. ამ უკანასკნელ ეტაპზე ხდება შესაძლებელი სისტემის აფეთქება. ჟბოდრიარის მხრით, მოხდა ჭეშმარიტი რევოლუცია, რომელმაც დღის წესრიგიდან მოხსნა ორი წინგამსწრე (ასევე „ჭეშმარიტ“, პროლეტარული რევოლუციისაგან განსხვავებით) რევოლუციის საკითხი – რენესანსის „ყალბანაქნევის“ და ინდუსტრიული ეპოქის წარმოების პროსაბულაკრების რევოლუციისა. თავის მდგომარეობას კარგავს როგორც აღორძინების ეპოქის ყალბანაქნევი სიმულარები (ე.ი. ტრადიციის პრინციპები, კასტები, ბუნებრივი კანონი, საკრალური და რელიგიური), ასევე ინდუსტრიული რევოლუციის სიმულაკრი – პროდუქცია – ეკვივალენტობის პრინციპი, ავანგარდი, კლასი, იდეოლოგია, წარმოება და შრომა. დღის წესრიგიდან ასევე მოხსნილია ინდუსტრიალიზმის მიერ შექმნილი თეორიები: ანთროპოლოგია, პოლიტეკონომია, სტრუქტურალიზმი, სემიოტიკა,

ფსიქონალიზი, რომელიც მხოლოდ ნიღბავდა სისტემის ტერორს და „ალიბს“ უქმნიდა მას.

უბოდრიარის თანახმად, თანამედროვე სამყარო შედგება მოედლებიდან და სიმულაქრებისაგან, რომლებიც თავიანთ რეფერენტებს არ ფლობენ და რომლებიც არავითარ რეალობაზე არ არიან დაფუძნებული, გარდა საკუთარისა, რომელიც წარმოადგენს თვითრეფერენციალურ ნიშანთა სისტემას. სიმულაცია, რომელიც არ ყოფნას ყოფნად ასაღებს ერთმანეთში თქვეფს რეალურსა და წარმოსახულს.

უბოდრიარის თანახმად, ნიშანი გადის განვითარების ოთხ სტადიას. პირველი ასახავს რაღაც სიღრმისეულ რეალობას; მეორე – ამ რეალობის შენიღბვასა და გარყვას; მესამე – ყოველგვარი სიღრმისეული რეალობის არ ყოფნის შენიღბვა; მეოთხე – რეალობასთან ყოველგვარი კავშირის დაკარგვა და მისი სიცხადის რიგიდან სიმულაციის რიგში გადასვლა. ეს უკანასკნელი (სიმულაცია) უზარობას წარმოადგენს მგერამ იმავდროულად იგი ამტკიცებს, რომ ამ უზარობაში არის რაღაც მომნიშვნელობა: „ცდუნება“ ან „შეცდუნა“. ცდუნება გადის სამ ისტორიულ ფაზას „რიტუალურს“ (ცერემონია), ესთეტიკურს (შეცდუნა როგორც მცდუნებლის სტრატეგია) და პოლიტიკურს (როცა ცერემონია და სტრატეგია ერთიანდება).

უბოდრიარის ზრით, ცდუნება დამახასიათებელია ყოველგვარი დისკურსისათვის. სამყარო ვიდრე ნაწარმის სახით იქნებოდა გაფორმებული, იგი შეცდენილი იქნა. სამყარო არადიალექტიკურია, იგი მოძრაობს უკიდურესობებისაკენ და არა წონასწორობისაკენ. ამიტომაც თეორიის ამოცანაა, არა რაციონალური კრიტიკა, არამედ წინ გაუსწროს ობიექტების გამოვლენას თავისი არსიდან, რომელსაც მეტაფიზიკა მიაწერდა მას „სიკეთის პრინციპიდან“ გამომდინარე, რომელიც ობიექტს აქცევდა სუბიექტის ასახვად. სამყარო ამჟამად შეუძლებელია განხილული იქნეს ობიექტის პრინციპიდან გამომდინარე. ი.კანტის დროის, სივრცისა, მიზანმიმართულებისა და მიზეზობრიობის კატეგორიებმა შეწყვიტეს გამოყენებითობა. ამიტომ აუცილებელია გადავიდეთ ობიექტის მხარეზე – ჰიპერრეალურისა და სიმულიაციურისაკენ, რომელიც

ექვემდებარება არა სიკეთის მეტაფიზიკურ პრინციპს, არამედ ირონიულსა და ამორალურს ე.ი. ის, რაც ღირებულების იქითა მხარეს დგას — „ბოროტების პრინციპს. „ისიტემას ამ უჰაერო ჰიპერსივრცეში“ ახსიათებს ჰიპერტროფია, ჰიპერკაუზალობა და ჰიპერფუნქციონალობა. სიმულაცია წარმოშობს რეალობას ისე როგორც რეალობა დადებდა წარმოსახულს.

ჟ.ბოდრიარის გამოთქმით, ობიექტის „კიმსუქნე“, რომელიც თავის თავის ზრდაში უსწრებს, ქრება დროისა და სივრცის სცენიდან. იგი ხდება უზამსი (ob-scene). უზამსია ეგრეთწოდებული „მასები“ ისეთი რაღაც, რაც სოციალურზე სოციალურია, რამაც თავის თავში შეიწოვა ანტი-სოციალურის მთელი ენერგია.

„მასები“ — ეს არის მდუმარე უმრავლესობა, შავი ხვრელი, რომელიც ნთქავს სოციალურს; ისინი შეუძლებელია მართული იქნენ რაიმე პოლიტიკური ხელისუფლების მიერ, მაგრამ ისინი ბადებენ პოლიტიკური ხელისუფლების ილუზიას — ილუზიას იყოს ხელისუფლება; მთელი თანამედროვე ისიტემის ფუნქციონირება მიწებებულია ამ მასების გაურკვეველი არსების სხეულზე. მასები არსად არავის მიერ არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ისინი არსებობენ დემოკრატიული რეპრეზენტაციის გარეშე; პარადოქსალური სახით ითავსებენ ყოვლისმომცველ მართვადობას და ტოტალური დერეგულაციის კატასტროფულ საფრთხეს. მასები იძლევიან ტავტოლოგიურ პასუხს ყველა კითხვაზე, რადგანც სინამდვილეში ისინი დუმან — ისინი მდუმარენი არიან როგორც მხეცები. ჟ.ბოდრიარის მზრით, გულუბრყვილობა იქნებოდა თუ ვიფიქრებთ, რომ მასები შექმნილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მანიპულაციის გზით. მასები თავად წარმოადგენენ მესიჯს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — ეს ერთგვარი გენეტიკური კოდაა, რომელიც მართავს რეალურისა და ჰიპერრეალურის მულტიციას; ეს ჰიპერრეალობა დაბადებულია „სრულყოფილი და ზეზუსტი წარმონაქმნის (სახეების, ზმების და ა.შ.) ტექნიკური სივრცით. ჰიპერრეალობაში „რეალობა“ განისაზღვრება ობიექტების მიკროდეტალიზაციით და უსასრულო რეპროდუქციით, რომელიც მათ აქცევს მოდელურ სერიებად. რეალური ობიექტები აქ დერიალიზდება და აბსორბირდება სიმულაციებით. ჰიპერრეალობის

ეს გამჭირვალეობა აუქმებმს დისტანციას ობიექტებთან მიმართებაში და ჩვენ ვითქვიფებით ობიექტებთან გარყვნილ სიახლოვეში. ებოღრიაარი აღნიშნავს, რომ ჩვენ ჩათრეული ვართ ჰიპერრეალობის მიერ, მამსადაძე ჩვენ ჩათრეული ვართ გარყვნილებაში (პორნოგრაფიული დეტალიზირება, ხმის ატომები, კვადროფონია და სხვა). ყველაფერი დაპყრობილი აქვს სიმულაკრებს და გადაქცეულია უსასრულო ჰიპერტროფიად: მოდა — აღარ არის მშვენიერი, რასაც მშვენიერება წარმოადგენს თავისთავად; პორნოგრაფია — უფრო სექსუალურია, ვიდრე თავად სექსი; ტერორიზმი — უფრო მეტი ძალადობაა, ვიდრე თავად ძალადობა; კატასროფა უფრო დიდი მოვლენაა, ვიდრე თავად მოვლენა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა გაუცხოების ტრაგედიასთან, არამედ კომუნიკაციის ექსტაზთან. როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცდუნებული ვართ ჰიპერ სიახლოვეში ვიყოთ რეალობასთან. ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს არა რეალობასთან, არამედ ჰიპერრეალობის მიერ ჩანაცვლებულ სახეებთან. პორნოგრაფიამ შეცვალა სექსუალობა; ძალადობა შეიცვალა ტერორით; ინფორმაციამ გააუქმა ცოდნა. კატასტროფის ამბივალენტურობა სმღვრებს უღებს კოდს — ეს სიკვდილია.

ამ კატასტროფების კულტურის მთავარი აქტორი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანია — ეკრანი როგორც ნიშნის ზედაპირი, კომპიუტერი, თანამედროვე ტექნოლოგიები და მასების მღუმარე დიდი უმრავლესობა. ინდუსტრიული ეპოქის პარანოიალურ სუბიექტს ცვლის ახალი სუბიექტი შიზოფრენიკი, რომელიც ავად არის იმანენტური თავამებეულობის შიზოფრენიით. ეს სრულიადაც არ აღნიშნავს მის მიერ რეალობასთან კონტაქტის სრულ დაკარგვას. პირიქით საქმე აქ ეხება ობიექტებთან სრულ ჰიპერკონტაქტს, სამყაროსთან პერმანენტულ ჰიპერსიახლოვეს.

ამიტომაც, ჩვენ აქ ვარსებობთ როგორც ადრესატები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაყვანილობის ტერმინალები, იმ დროს, როდესაც სუბიექტ-დემიურგის, ფაქტორი მთამამშის კრეაციული თამაში უკვე ნათამაშებია. რაციონალური ანუ ირონიული სუბიექტის კონტროლის „ბანალური სტრატეგია“ ობიექტებთან მიმართებაში უკვე შეუძლებელია. შიზოფრენია ჩვენ არავითარ არჩევანს არ გვიტოვებს „ფატალური სტრატეგიის“

გარდა გადავიდეთ ობიექტის მხარეზე ობიექტმა უნდა გვაცდუნოს ჩვენ, ხოლო ჩვენ უნდა მივეცეთ ობიექტს. „ცდუნების“ მომხაზველობა და უპრობა ანულირებას ახდენს „იკიეთის მეტაფიზიკური პრინციპისა“. „ფატალური სტრატეგია“ ბოროტების პრინციპს მისდევს. „ბორიტების გამჭვირვალობაში“ ფატიალური სტრატეგიისადმი მიდევნებას მოითხოვს პოსტმოდერნული სამყარო, რომელსაც ე.პოდრიარი ახასიათებს, როგორც „ორგის შემდგომ“ მდგომარეობას. ორგია დამთავრებულია, ყველაფერი უკვე ახდა, ყველა ძალები – პოლიტიკური, სექსუალური, საწარმო და ასე შემდეგ – გათავისუფლებულია, უტოპიები „რეალიზებულია“. ახლა მხოლოდ შეგვიძლია სიმულირება მოვამდინოთ ორგანისტული კრუნჩხვებისა, უსასრულოდ მოვამდინოთ აღწარმოება იდეალებისა, ღირებულებებისა, ფანტაზმებისა და მივიღოთ ისეთი სახე თითქოს ეს არ ყოფილა. ყველაფერი ის, რაც გათავისუფლებულია უსასრულოდ იწყებს გამრავლებას და მუტაციას. იდეებმა და ღირებულებებმა (პროგრესის, სიმდიდრის, დემოკრატიის და ა. შ.) დაკარგეს თავიანთი სფეროები, მაგრამ მათი აღწარმოება გრძელდება და ხდება უფრო სრულყოფილი. ისინი მიცოცავენ მთელ სამყაროში და ვითარდებიან როგორც სიმსივნის მეტასტაზები. სექსი, პოლიტიკა, ეკონომიკა, სპორტი და ა.შ. ყველგან მყოფობს და ე.ი. არსად. პოლიტიკა სექსუალურია, ბიზნესი – ეს სპორტია. ეკონომიკა არ განსხვავდება პოლიტიკისაგან და ა.შ. უკვე შეუძლებელია ღირებულებათა იდენტიფიცირება, კულტურა გახდა ტრანსკულტურა, სექსუალობა-ტრანსსექსუალობა, პოლიტიკა – ტრანსპოლიტიკა, ეკონომიკა – ტრანსეკონომიკა. ყველაფერი დაექვემდებარა „რადიკალურ გარყვამ“ და ჩაეარდა აღწარმოების ჯოჯოხეთში. სხვა როგორც განსხვავების პრინციპი გახდა საქონელ-ნიშანი ბზარზე, ე.ი. გახდა სერიული რესურსი, რომელიც უკვე ამოწურულია. სხვის ადგილზე აღმართულია ისევე ის (ობიექტი) – ორგის მთავარი მონაწილე, რომელსაც ჩვენ გულმოდგინებით ვნიღბავთ სხვის ფორმაში.

აღარ არსებობს სხვა, რომელიც ჩვენ მიერ შეიგრძნობოდა როგორც მზერა, როგორც სარკე. დსავლური სამყაროს კულტურა ყალიბდება ჰიპერკრიტიკის სიმულაკრით, როგორც გიგანტური

ნახევრადცოცხალი და იმავდროულად ზეაქტიური მუტანტის სხეული — უკვლავი და მარადიულად თვითიგივეობრივი თავის აღწარმოების ორგანისტულ სიმულაციაში. ამ მუტანტს სახელი — ამერიკაა. უკვე აღარაფერი აღარ მოდის გარედან; ყველაფერი ჩვენი თავიდან გამოდის. ჩვენ აღარ ველოდებით სტუმრებს და უცხონი ვართ სტუმართმოყვარეობისადმი. სხვა კულტურები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან და ეს ხდის მათ კულტურად, რადგან სტუმარი ყოველთვის სხვაა.

§2. ჟან ფრანსუა ლიოტარი — დიდი ნარატივები და პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრინციპები

ჟან ფრანსუა ლიოტარი (დაბ. 1924) ცდილობს უშველოს „ზროვნების ღირსებას ოსვენციუმის შემდეგ“. ტოტალიტარიზმის ტრაგედია ევროპაში უშვალოდ არის დაკავშირებული მისი ზროვნების არსთან, რომელიც ორიენტირებული იყო უალტერნატივო ჭეშმარიტების ძიებასთან. პირველ რიგში, ამგვარი პრეტენზიები დამატებათებელია მოდერნისტული ტიპის იდეოლოგიისათვის, ან როგორც ის უწოდებს „მეტანარაციებისადმი“.

ჟ.ფ.ლიოტარის ზრით, ფ.ნიცშემ დიაგნოზი დასვა ახალი ტიპის ნიჰილიზმის მოსვლისა, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გულმხმობდა შემდეგ რევოლუციონერები წარმოისაბავენ, თითქოს და მათი ოპოზიცია მოცემული სოციალური წესრიგისადმი ფუნდირებულია ჭეშმარიტებით. მოცემული ჭეშმარიტება, რომელიც გამოდის „რევოლუციური თეორიის“ საბით, ავითარებს იმ ზრს, რომ თანამედროვე წარმოების წესი და მის მიერ განპირობებული ზედნაშენი განწირულია იმანენტური წინააღმდეგობისათვის; რომ არსებულის მომავალი კატასტროფისაკენ მიემართება (საყოველთაო მსოფლიო ომი ან ფაშისმის პლანეტარული განვრცობა). ამ კატასტროფისადმი თავის აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუკი კაცობრიობა რადიკალური ძალისმიერი გადაწყვეტილების საშუალებით შეძლებს მოძებნოს გზა წარმოების

სხვა ტიპისადმი. რევოლუციონერი ამ შემთხვევაში თავის თავს წარმოსახავს ჭეშმარიტების ქადაგად და ზნეობრივი იდეალის გამოჩნატველად. მაგრამ რევოლუციური მოლოდინები არ შესრულდა. ამის შედეგად – რევოლუციურ ღირებულებათა კრაში ამიერიდან განისაზღვრება როგორც რელიგიურ ღირებულებანი (ადამიანთა ხსნის საშუალებების ძიება ყველა დამნაშავეისადმი მიზღვევის გზით) და კლერიკალური (განათლებული ინტელექტუალი გამოდის მასების კეთილი მწყემსის სახით). სოციალიზმი უფრო ნაკლებად რევოლუციური აღმოჩნდა, ვიდრე კაპიტალისტური რეალობა. ამის მიზეზია სოციალიზმის რელიგიურობა და ცინიზმი, რომელიც კაპიტალის სამყაროსადმი აბსოლიტური ურწმუნოებით არის ნაშარდობი. ამგვარად, რევოლუციური თეორიის ჭეშმარიტება სხვა არაფერია თუ არა – იდეალი, იგი მხოლოდ ჭეშმარიტების გამოხატვის სურვილს წარმოადგენს. კაპიტალიზმს ვერ დავაბრალებთ ცინიზმს და ურწმუნობას: იმდენად, რამდენადაც კაპიტალიზმი ლიკვიდაციას ახდენს ყველაფრისას, რაც კაცობრიობას სიწმინდედ მიაჩნდა და ეს ტენდენცია უფრო ლიკვიდირებადი გახდება. ამ შრიტით, „ისტორიის დასასრული“ აუცილებელია გავიგოთ, როგორც კაცობრიობის გამოსვლა ისტორიის დროდან იმ მიზნით, რათა აღმოჩნდეს „მითების დროში“. საბოლოო ჯამში სამყარო არ შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გამოგონებული ნარატივი. ისტორიის დინებაში, ისტორიულ დროში, სამყარომ თავის თავს განუცხადა ჭეშმარიტება, რომელიც გახსნილი იყო ერთადერთი ლოგოსისადმი. მოვიდა დრო იმისა, რომ საპირისპირო გადასვლა გაკეთდეს. ფ.ფ.ლიოტარის შრიტით, ესაა „მეტანარაციების ჩასვენების“ მთავარი შრიტ. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ნატლოში ლოგოსიდან მითოსისაკენ? მხოლოდ იმის დემონსტრირებით, რომ თვით ლოგოსი იყო მითი. ფილოსოფია ერთმანეთისაგან შკაცრად მიჯნავდა ნარატიულ და თეორიულ დისკურსს. პირველში არის მტკიცება იმისა, რომ „არის ყოველთვის და ყველგან“. მეორეში კი ყველა ეჭვდება და ამბობს: „არასოდეს“. ლიოტარი ნაშრომში „პოსტმოდერნის მდგომარეობა: მოხსენება ცოდნის შესახებ“, ცდილობს გამოავლინოს ცოდნის დომინირებადი როლი ევროპულ კულტურაში. ცოდნის „გამოყენების“ ძირითად ფორმებს წარმოადგენს

„ნარატივები“ – ნარაციული სტრუქტურები. რომელსაც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ახასიათებს სხვადასხვა ტიპის დისკურსები. ფუნქციონირებს გამოყოფს ლეგეტიმირებად „მაკრონარატივებს“, რომელთა მიზანია არსებული პოლიტიკური წყობის, კანონების, მორალური ნორმების და სოციალური ინსტიტუტების დაფუძნება მაკრონარატივებთან ერთად არსებობს მიკრონარატივები, რომლებიც უზრუნველყოფს ყოველდღიური ცხოვრების სისტემას, და პრეტენზია არა აქვს ხელისუფლებას. დისკურსი წარმოადგენს მეტანარაციას, რომელიც ქმნის „სოციალურ მითოლოგიას“ და რომელიც უზრუნველყოფს მართვის ფუნქციონირების ყველა მექანიზმს.

საყოველთაო დისკურსის უარყოფამ, როგორც ხელისუფლების დისკურსი, ხელისუფლების მყარობის ტენდენციასთან მიმართებაში უნდა ახსნას ევროპის კულტურის ტოტალიტარული იმპულსები, ცოდნის ნარატიული ბუნების ექსპლიკაციის გზით. ნარაცია მრავალი დისკურსის ერთ-ერთი შესაძლო ტიპია. სხვადასხვა ნარაციებს ერთი მეორესთან მეზობლობა ასწლებლების განმავლობაში ბუნებრივი იყო. მაგრამ გარკვეულ ეპოქაში წარმოიშობა დისკურსის ტიპი, რომელსაც სხვაგვარი მიმართებაში განსაკუთრებული სტატუსის პრეტენზია აქვს. „ეს არის ლეგეტიმაციის დისკურსი“ ე.ი. ზოგიერთი ენობრივი პრაქტიკის იმდაგვარი დასაბუთებისა და გამართლების მცდელობა, რომელიც ყველა სხვა დანარჩენ დისკურსებს დააყენებს ქვეშევრდომის მდგომარეობაში; „ლეგეტიმაციის დისკურსი“ გამოვლენა, რომელსაც პრეტენზია აქვს „მეტადისკურსის“ როლზე. ეს იგივეა როცა „დიდი ნარაციისადმი“ დაქვემდებარება აღნიშნავს სპეციფიკური ეპოქის დადგომას – „მოდერნის“ ანუ თანამედროვეობის. შესაბამისად ამისა, „დიდი ნარაციის“ მზის ჩასვენება მოასწავებს მოდერნის დასასრულს და პოსტმოდერნიზმის დასაწყისს. „დიდი ნარაციები“ („მეტანარაციები“ მისწრაფის თავიანთი თავის დაკანონება მოახდინონ არა მარტო ჭეშმარიტების თვალსაზრისით, არამედ სამართლის თვალსაზრისით. მათი ლეგეტიმაცია იგივეობრივია გარკვეული სოციალური ინსტიტუტების ლეგეტიმაციისა, გარკვეული საზოგადოებრივი მოწყობის ხერხის დაფუძნებისა და გამართლებისა. ამიტომაც მეტანარაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან. „სხვადასხვა ენობრივი თამაშებიდან“, ერთ-ერთი

შესაძლოს, ერთად ერთი ენის დადგენა ან მიღება უნივერსალურის სახით ემთხვევა გარკვეული სოციალური სისტემების უნივერსალურობის მტკიცებას. რაციონალობის ერთი ლუგეტიმური ფორმის ნორმებისა და წესების ბატონობა და ყველა სხვაგვარის გამათრახება, როგორც არასრულყოფილის გულისხმობს ყველა სხვა დანარჩენი არალეგეტიმური ცხოვრების ფორმების უარყოფას. სინამდვილეში არ არსებობს და შეუძლებელია არსებობდეს, უნივერსალური ენა, ისევე როგორც შეუძლებელია უნივერსალური რაციონალობა — არსებობს მხოლოდ სხვადასხვა ენობრივი თამაშები. მათგან შეიძლება გამოიყოს „დენოტატიური“ (მნიშვნელობა) და პერსპექტიული (მოქმედება). მაგრამ დენოტატიური გამოთქმები საბოლოო ჯამში ეყრდნობა რაღაც წესებს, რომელიც ატარებს არა დენოტატიურ, არამედ პერსპექტიულ ხასიათს. მცდელობანი, რათა მიიჩქალოს ეს გარემოება მათ უწოდებენ მეტაპერსპექტიულ გამოთქმებს. მაგრამ ნათელია, რომ მეტაპერსპექტივის საფუძველი უნდა ვუძებოთ არა ლოგიკურში, არამედ სოციალურში, არა სემანტიკაში, არამედ პრაგმატიკაში. სოციალური პრაგმატიკა აელენს პეტეროგენურ გამოთქმათა აღრევას, და ამავდროულად აჩვენებს, რომ არავითარი მეტასკრიპციის შესაძლებლობა არ არსებობს, რომელიც საერთო იქნებოდა ყოველი ენობრივი თამაშისთვის. უფრო მეტიც მისი ჩამოყალიბება, რადგანაც საყოველთაო ნიშნებისა და წესების დადგენა თავის თავში გულისხმობს ტერორის შესაძლებლობას.

ე.ფ.ლიოტარი მიუთითებს დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელი მეცნიერების ენის, ეთიკისა და პოლიტიკის ენის ნათესაობაზე. ხელისუფლების პოზიციიდან ლეგეტიმაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც კანონმდებელს უფლებას აძლევს მოცემული კანონი გამოაცხადოს ნორმად. იმ დროს როდესაც ცოდნის პოზიციიდან „ეს არის პროცესი, რომლის თანახმადაც, კანონმდებელს, რომელიც განმარტავს მეცნიერულ დისკურსს, უფლება აქვს მიაწეროს იგი მხოლოდ არსებულ პირობებს. იმისათვის, რათა ზოგიერთმა გამოთქმებმა შეადგინოს ამ დისკურსის ნაწილი და მიღებული იქნეს მეცნიერული საზოგადოების მიერ“. ამის გამო სიტყვა უნდა ეხებოდეს „ორმაგი ლეგეტიმაციის“ პრობლემას: „ვინ წყვეტს, რა არის ცოდნა და ვინ იცის, რა

არის გადასაწყვეტად? ახსიათებს რა თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობას, როგორც კრიზისულს, ლიოტარის ამას უკავშირებს პოსტმოდერნის მდგომარეობის წარმოშობას და ენობრივი თამაშების საყოველთაო დელეგატიმაციას. ლიოტარის მხრით, მოდერნის სიტუაციის წარმოშობა მეცნიერებაში დაკავშირებული იყო მისი სტატუსის გარშემო ლეგეტიმაციის დისკურსის წარმოშობასთან. მოდერნისტულ მეცნიერებას, არ ჰქონდა რა საკუთარი თავის ლეგეტიმაციის საშუალება, ცოდნის დაფუძნებისათვის მიმართავდა სპეკულატურ ფილოსოფიას ან პოლიტიკურ „დიდ ნარატივებს“ (მაგ. გონის დიალექტიკას, სმარისის ჰერმენევტიკას, შშრომელთა გათავისუფლებას, ან კეთილდღეობის გამრღას). ამგვარად „დიდი ნარატივი“ ან „მეტანარატივი“ წარმოადგენს ეპისტემოლოგიურ კონსტრუქტს, რომელიც ლეგეტიმირებას ახდენს მხროვნების ხერხებისას და ამით ქმნის ტოტალიტარული მხროვნების შესაძლებლობას. პოსტმოდერნის ეპოქის სპეციფიკა, ჟ.ფ.ლიოტარის თანახმად, განისაზღვრება ოცი საუკუნის კატასტროფების შემდგომ, მაკრონარატივების მიერ თავისი ლეგეტიმირებადი ძალის დაკარგვაში. იდეოლოგიის მუდმივი ცვალებადობანი ამტკიცებს იმას, რომ გონების ბატონობაში რწმენა, სამართლებრივი თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისა დანგრეულია. ამის გამო იგი კარგავს თავის „მოქმედ პირებს“, „დიდ გმირებს“, „სამშრობეებს“, „დიდ თავგადასავლებს“, „დიდ მიზანს“ და იძლება ლოკალურ ენობრივ ელემენტებად.

ხსენებული პროცესის კატალიზატორი გამოდგა პოსტარაკლამიკური მეცნიერება, მისი განუსაზღვრელობით, არავერიფიცირებულობით, კატასტროფულობით და პარადოქსალურობით. ენთროპიის, უთანხმოების, პრაგმატიზმისა და ენობრივი თამაშების თემებზე გამოდევნეს „დიდი ნარატივები“ განმანათლებლობის დიალექტიკის, ანთროპოლოგიის, ჭეშმარიტების, თავისუფლებისა და სამართლიანობის, მოსაუბრეთა შორის კონსენსუსის თემები.

ტექნოკრატიის მცდელობამ, ემართა სოციუმი კომპიუტერის მეშვეობით წარმოშვა „ტექნოლოგიური“ ტერორის შიში. მრავალი მეცნიერული აღმოჩენის მიმართება პოლიტიკისა და მორალის საკითხებთან აქცენტირებას ახდენდა ახალი ცოდნის ინფორმაციულ

საქონლად გადაქცევის სამიშრობებზე, რომელსაც შეედლო უზრუნველყო ადამიანთა მცირე ჯგუფი ხელისუფლების ინსტრუმენტით.

ფ.ფ.ლიოტარის მხრით, „დიდი ნარატივების“ ლეგეტიმაციის პროცესის წარმართველად წარმოგვიდგება თავად თვით ლეგეტიმაციის პროცესი, რომელიც თავის თავისაკენ არის მიმართული. სხვაგვარად თუ ვიტყვით: როგორ დავამტკიცოთ მტკიცებულება? როგორ მოვახდინოთ ლეგეტიმაციის ლეგეტიმირება?

პოსტმოდერნიზმმა, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროცესიდან მომდინარეობს, „მოქმედების შედეგის აქცენტი გადაიტანა მის საშუალებებზე“, რამაც „ცოდნის ერთგვარი ეროზია მოახდინა“ და მოშალა „მეცნიერების ენციკლოპედიური სტრუქტურა“, სადაც ყოველ დარგს თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი ჰქონდა.

პოსტმოდერნისტული ცოდნის პრაგმატიკას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო შედეგიანობის ძიებასთან, რომელიც დამატებითი იყო ტრადიციული მეცნიერებისათვის. იმუშაო მტკიცებულებებზე, ნიშნავს ემპირიკონკრეტული მაგალითი; მოიპოვო არგუმენტაცია, ნიშნავს ემპირიკ პარადოქსი და მისი ლეგეტიმირება მოახდინო ენობრივი თამაშის ახალი წესების წყალობით. პოსტმოდერნული ცოდნის ძირითადი ნიშანია წესების შესახებ თავის თავის დისკურსებისადმი იმანენტურობა, რომელსაც ისინი აკანონებენ. მეცნიერება წარმოადგენს არასტაბილურ და ღია სისტემას, ამიტომაც მისადმი მიყენებადი არ არის არც შედეგიანობის კრიტერიუმი, და არც ი.პაბერმასის მიერ წამოყენებული კონსენსუსის კრიტერიუმი.

ფ.ფ.ლიოტარის მხრით, ი.პაბერმასის კონცეფცია გამომდინარეობს კაცობრიობის გათავისუფლების მეტანარატივიდან. მისი მხრით, ი.პაბერმასი ამოდის „რწმენიდან“, რომ „კაცობრიობას როგორც კოლექტიურ სუბიექტს სურს თავის თავის გათავისუფლება „დარტყმების“ დარეგულირების გზით“, რომელიც დაშვებულია ყველა ენობრივ თამაშებში. კონსენსუსის მიღწევა „დიალოგის არგუმენტაციის“ გზით ვარაუდობს სხვადასხვა ენობრივი თამაშის დაყვანას უნივერსალური მეტაენის ენობრივი თამაშების არგუმენტაციაზე, რომელიც აღწერს ყველა ენობრივი თამაშების წესს, ე.ი. ახალ

მეტანარატივზე. კონსენსუსი იკაბერმასთან აღნიშნავს დიალოგის დამთავრებას, თუმცა იგი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დროებითი მდგომარეობა. მეორე მხრივ კონსენსუსი წარმოადგენს სისტემის ელემენტს, რომლითაც იგი მანიპულირებას ახდენს, რათა გაზარდოს თავის შედეგიანობა. საბოლოო ჯამში იგი წარმოადგენს სისტემისა და ხელისუფლების ლეგიტიმაციის ინსტრუმენტს.

ფ.ფ.ლიოტარი ცოდნის ლეგიტიმაციის საფუძვლად წარმოადგენს პარალოგიას, რომელიც იზომორფულია დერიდს differance-ს ცნების და ვარაუდობს „ღია სისტემატიკა“, ლოკალურობას და „ანტიმეთოდს“. პარალოგია ლეგიტიმირებას გამოთქმებისას იმ დონით რა დონითაც ის ანგრევს წინა გამოთქმებს და ენობრივი თამაშის წესებს და ახლის გენერირებას ახდენს.

პიონჰაჰი

1. რას ნიშნავს სიმულაცია ჟან ბოდრიარის თანახმად?
2. რას აღნიშნავს სიმულაკრები ჟან ბოდრიარის თანახმად?
3. როგორ ყალიბდება თვითრეფერენციალურ ნიშანთა სისტემა ჟან ბოდრიარის თანახმად?
4. რას ნიშნავს ლეგიტიმაციის დისკურსი ჟან ფრანსუა ლიოტართან?
5. როგორი მიმართება არსებობს მეტანარატივებსა და მიკრონარატივებს შორის ჟან ფრანსუა ლიოტარის მიხედვით?

ქირითაღი ცნებები

სიმულაციები – სიმულაკრები – თვითრეფერენციალობა – ცდუნება – ლეგიტიმაციის დისკურსი – მეტანარატივი – მიკრონარატივი

დავატაჰიი ლიტერატურა

- 1 გიგი თევზაძე, საქართველო ძალაუფლების სიმულაციები, თბილისი, 1999.
2. Жан Бодрийяр, Соблазн, Ад маргнем, Москва, 2001.

3. Жан Бодрийяр, Символический обмен и смерть, "Добросвет", Москва, 1999.

4. Жан Бодрийяр, Прозрачность зла, "Добросвет", 1997.

5. Jean Baudrillard, The Disappearance of Art and Politics, Macmillan, New York, 1992.

6. Jean-Francois Lyotard, The postmodern Condition: A Report on Knowledge, Manchester University Press, 1989.

7. Jean-Francois Lyotard, Political Writings, UCL Press, 1993.

თ ა გ ი X

პოლიტიკური თეორიის გასაცნობის პრობლემა

§1. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია და პოლიტიკური მითოსი

პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის გაუცხოვების პრობლემას პოლიტიკურ პროცესებთან ჩვენ დავიწყებთ პოლიტიკური მითოსის ანალიზით. XX ს-ში მითი შეისწავლება სხვადასხვა მხრიდან. ის განიხილება როგორც დამატება პირველყოფილი რიტუალისადმი, როგორც არქაული კოლექტივის ცხოვრების წესის რეგულატორი, სოციალური ფენომენი, განსაკუთრებული მხროვნების ტიპის განსაზღვრება, რომელიც განსხვავდება თანამედროვე ადამიანის მხროვნებისაგან, როგორც სიმბოლოთა სისტემა, რომელშიც განიხილება სამყაროს შექმნების სტრუქტურა, როგორც არაცნობიერი პროდუქტი. ამ მიდგომების მხედვით, ჩამოყალიბდა მითის შესწავლის ტრადიციები. მაგრამ აქ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სოციალურ მითოლოგიაზე, როგორც XIX–XX ს-ის იდეოლოგიური პრაქტიკის სპეციფიკურ ფენომენზე და სულიერი მოღვაწეობის განსაკუთრებულ ტიპზე რომელიც ქმნის და ავრცელებს იდეოლოგიურ მითებს. უახლესი და ახალი იდეოლოგიური მითის გაგებაში არსებითი ცვლილებები მოხდა. იგი განიხილებოდა სხვადასხვა ტიპის ილუზიური წარმოდგენების აღსანიშნავად, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენებოდა სხვადასხვა გაბატონებული ჯგუფების მიერ მასზე ზემოქმედებისათვის. განსაკუთრებული როლი იდეოლოგიების, როგორც სოციალური მითოლოგიის გამარბებაში ითამაშა არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშეს, ჟორჟ სორელის, ვილჰელმ პარეტოს,

ზიგმუნდ ფროიდის, კარლ იუნგის ნაშრომებმა. ა.შოპენჰაუერის ფილოსოფიის ძირითადი არსი გამოხატავდა ბრმა ნების პრიორიტეტის მტკიცებას გონებასთან მიმართებაში. იგი იდეოლოგიის ანალიზებას ახდენდა სუბიექტის პოზიციიდან, რომელიც ცდილობს განსაზღვროს თავისი მიზნაფუძვანი, მისცეს მას საზრისი, მისთვის დამახასიათებელი ნების თვალსაზრისიდან. ფნიცსემ რადიკალიზება მოახდინა იდეოლოგიის კრიტიკის. კრიტიკას ექვემდებარებოდა არა მარტო სულიერი განწყობილებანი, არამედ შროვნების ლოგიკური კანონები და ფორმები. ვ.პარეტოს თვალსაზრისით, წინარე განსჯათა (prejudice) საწყისები, რომელიც ფართო გავრცელებას პოულობს მასებში, არც ლოგიკაში უნდა ვეძებოთ და არც გონებაში, არამედ ემოციებში. იგი შეეცადა პროპაგანდის ენის ინვენტარიზება მოეხდინა. მისი აზრით, თანდაყოლილი წინასწარ განსაზღვრული დისპოზიციები უბიძგებენ გარკვეულ ინდივიდუუმებს გარკვეული ქცევისაკენ, რომელიც ჭეშმარიტი საზრისის შენიღბვას ახდენს ფსევდოარგუმენტების საშუალებით, და რომელიც ყველა საზოგადოებრივი თეორიის არსია. ნებისმიერი თეორიების კონსტრუქციები, ნებისმიერი იდეოლოგია მოქმედების გამართლებაა და მიზნად ისახავს ამ უკანასკნელს გარეგნულად ლოგიკური ფორმა მისცეს და მიჩქალოს მისი ჭეშმარიტი მოტივი. ამ უკანასკნელს, ვ.პარეტო უწოდებდა იდეოლოგიურ სისტემებს დერივაციებს, რომელსაც ყალბი შინაარსი აქვს. ეს უკანასკნელი წარმოშობილია გრძნობიდან („ნარჩენები“, რომელიც ადამიანის ფსიქიკის ინტენციონალურ პლასტებში ბუდობს). ეს იდეოლოგიური იმპულსებია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქმედებას. ჟორჟ სორელი იდეოლოგიას განიხილავდა, როგორც სოციალური ინტეგრაციის საშუალებას, რომელიც ამჭიდროვებს და სულიერებას აძლევს ადამიანებს. მისი აზრით, სოციალური კლასის ან ჯგუფის ცნობიერების ფუნდამენტური კომპონენტია მითი, ამ ცნებას ფ.სორელი განიხილავს როგორც ემოციურ ფსიქოლოგიურ იმპერატივებს, რომელიც მოქმედების განმამტკიცებელი და ბიძგის მიძცემა. იგი ახლოა რელიგიასთან, რამდენადაც ეფუძნება არა ცოდნის დეტერმინისტულ სქემებს, არამედ რწმენას. ეს განსაზღვრავს მითს უტოპიისგან, რომელიც ექვემდებარება რაციონალური ანალიზის კრიტიკას და უარყოფას. მითი წარმოადგენს

სოციალურ-ფსიქოლოგიურ მთლიანობას, რომელშიც გამოხატულია ლტოლვა, გრძობა, ინტერესი და სოციალური ჯგუფის ინტუიციური რწმენა. ამგვარად გაგებული მითების რიცხვს მიეკუთვნება რევოლუციის იდეა, საყოველთაო გაფიცვა და ა.შ.

პოლიტიკური მითი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის უშუალო შემადგენელი ნაწილია. გარკვეულწილად, ინსტიტუციონალური ხელისუფლების ფორმებთან ერთად, ის ამ პოლიტიკური მითების გზით ახორციელებს ხელისუფლებას. ამიტომაც ის არა მარტო, პოლიტიკური იდეოლოგიის დეკონცენტრირებული გამოსატყულებათა, არამედ ხელისუფლების განხორციელების საშუალებაა.

მარტინ სელიგერი მის ნაშრომში პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე განსხვავებს ამ უკანასკნელს ორ განსხვავებულ კატეგორიაში: შეზღუდული და მომცველი. შეზღუდული იდეოლოგიის ცნება ეფუძნება ტრადიციულ მარქსისტულ განსაზღვრებას, რომელიც ზღუდავს ამ ტერმინის გამოყენებას „სპეციფიკურ რწმენათა სისტემით“. კმარაქსი აღწერს „იდეოლოგიურს“ როგორც პოლიტიკური ილუზიების რიგს, რომელიც წარმოიქმნება კლასების სოციალური გამოცდილების მიხედვით. იდეოლოგიის ეს შეზღუდული თვალსაზრისი ფართოდ იყო გამოყენებული სოციალურ მეცნიერებებში როცა სხვადასხვა სოციალური ფენომენების ინტერპრეტაცია ხდებოდა. ის ძირითადად განიხილავდა იდეოლოგიას, როგორც მმართველი ელიტის ინტერესების გამომხატველს.

იდეოლოგიის მეორე კატეგორია – მომცველი – ამ ცნების უფრო ფართო ინტერპრეტაციას ახდენს. იდეოლოგია არ არის მხოლოდ გაბატონებული კლასების სამფლობელო; იგი შეიცავს რწმენის სისტემებს, ღირებულებებს, სიმბოლოებს, მითოსს, მიზნებს, მოტივაციებს და შესაბამისად ამისა ყველა სოციალურ სისტემამი აღმოჩნდება. იდეოლოგია ნებისმიერი პერსონის ინტელექტუალური რეზერვუარია და მიუხედავად მათი პოზიციებისა, მათი პრესტიჟის, ძალაუფლების გამომხატველია.

იდეოლოგიის ამ ორივე თვალსაზრისში ჩანს ძლიერება. იდეოლოგია მომცველია იმ აზრით, რომ იგი შეიძლება წარმოშობილი იყოს ყველა სოციალური კლასისა და ჯგუფის მიერ. ამის გამო შეზღუდულიცაა: გაბატონებული ჯგუფების

იდეოლოგია, რომელიც პოლიტიკურ აქტივობაში ვლინდება, ხშირად უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ჯგუფების იდეოლოგია.

მითოსი აქ განხილულია როგორც პოლიტიკური ყოფიერების შემადგენელი ნაწილი. იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპისაა პოლიტიკური იდეოლოგია, შეზღუდული თუ მომცველი, განისაზღვრება ამ იდეოლოგიის პოლიტიკური მითების ხასიათი. მაგალითად, პოლიტიკური მითის მრავალრიცხოვანი მარქსისტული და ნაციონალისტური ინტერპრეტაციები ხშირად შეზღუდული ხასიათისაა, პოლიტიკური მითის არსებობა ერთგან დეტერმინებულია ბურჟუაზიის მიერ და გამოყენებულია, როგორც პროლეტარიატის ჩაგვრის იარაღი, ხოლო მეორეგან ხდება ნაციონალური განსაკუთრებულობის თემატიზირება, რომელიც სხვა ალტერნატიულ კულტურულ-ნაციონალურ სამყაროებს მტრად აღიქვამს.

ერთ-ერთი ადრეული მოხსენიება პოლიტიკური მითისა გვხვდება პლატონის „სახელმწიფოში“. მესამე წიგნში პლატონი განიხილავს ათენური საზოგადოების დანაწილების იდეას, რომელიც სახელმწიფოს მართვის სისტემის საფუძველი უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე, იგი საზოგადოებას ყოფს მმართველებად (სახელმწიფოს უმაღლეს პირებად) და დამხმარებად. საზოგადოების პლატონისეული აღწერა შედარებით თავისუფალია ნეპოტიზმისაგან საზოგადოების კლასთა შორის მობილურობა დაფუძნებულია მხოლოდ დამსახურებაზე. მოკლედ, რომ ვთქვათ, ყველაზე საუკეთესო ინდივიდუუმები უნდა გახდნენ მმართველები და სხვები გადანაწილებულნი უნდა იქნენ დაბალ კლასებს შორის მათი მემკვიდრეობითი პოზიციების გათვალისწინების გარეშე. პლატონი აქ ეყრდნობა მითს, რომლის თანახმადაც, ინდივიდუუმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი სულიერი და ფიზიკური მოცემულობებით. ამის საფუძველი ისაა, რომ ზევსმა, როცა შექმნა ადამიანები, მასალად გამოიყენა ოქრო სპილენძი და რკინა. საუკეთესო ინდივიდუუმები თავიანთი სულიერი განწყობით და შეხედულებებით ოქროს შეიცავენ, ხოლო ნაკლები უნარის მქონენი სპილენძსა და რკინას.

პლატონის „ჯადოსნური მითი“ ჯერ კიდევ წარსულში იყო გაკრიტიკებული. ნათელია, რომ პლატონი პოლიტიკურ პროპაგანდას

ეწევა. მსგავსად მითისა და იდეოლოგიისა დასაჯერებელი ქმედება უფრო მისაღებია დასარწმუნებელისადმი თუ დარწმუნების მექანიზმში, რაღაც აუხსნელი ან მისტიური თემა თემატიზირდება.

პლატონი ამგვარად ზედება, რომ მითი არის ამბავი რომელიც ვიღაცის მიერ გაცნობიერებულადაა შექმნილი. პლატონისათვის ამკარაა, რომ პოლიტიკური სისტემები ითხოვენ ზებუნებრივ ამბებს მათ გასასამართლებლად. ეს ამბები საზოგადოებრივი ტრადიციის განუყოფელი ნაწილებია, რომელიც უზრუნველყოფილია ინტელექტუალური და სულიერი ნიადაგით, რომელშიც ორმხროვნებანი და შეუთავსებლობები ბუნებრივად ეთანადება ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ „ჯადოსნური მითი“ განკუთვნილია რათა შეცვალოს ამ სამი კლასის ტრადიცია, რომელიმეს მფარველობის გარეშე, ეს მითი თავისთავად განკუთვნილია აკადემიის წევრებისათვის, ათენური სკოლის სახელმწიფო მოღვაწეებისათვის. უეჭველია, რომ ნაწილი მისი მსმენელთაგან საკუთრივ გუშაგები არიან. ამიტომ საკითხი ასე უნდა იყოს დამძული – თუ შეიძლება ელიტური კლასების წევრებმა – კერძოდ გუშაგებმა – განავითარონ ისეთი პოლიტიკური მითი, რომელიც არ იქნება კეთილგანწყობილი საკუთარი კლასის მიმართ?

პლატონის ჯადოსნური მითის ამ შეზღუდულ თვისებას ბევრი რამ აქვს საერთო იდეოლოგიის კმარქსისეულ დეფინიციასთან.

მითი არის კოლექტიური რწმენა, რომელიც აგებულია უფრო მეტად ჯგუფის სურვილების შესაბამისად და არა სურვილების ანალიზის მიხედვით. ამიტომაც მითები დაფუძნებულია იმზე, რაც ხალხს სურს. მითები აუცილებლად ასახავენ იმას, რაც მმართველი ან რომელიმე სხვა ჯგუფი გაცნობიერებულად აყალიბებს მითებს თავისი მიზნების შესაბამისად. პოლიტიკური მითები ვითარდება ხელისუფლების სრუქტურიდან, რომელიც გამყარებულია იმით, რაც უკვე ჩამოყალიბებულია ან მღვრადია, ან ილუზორული; იმავდროულად იგი კიცხავს სხვა სისტემების ალტერნატიულ იდეებს. ამიტომ იგი წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ სამუალებას. ამ მხრით, მიუხედავად იმისა, რომ პლატონი გაცნობიერებულად ქმნის მითს, ეს ამბავი არავითარ შემთხვევაში არ არის

„ტყუილდ“. მითი პლატონისათვის ინარჩუნებს ძალზე მნიშვნელოვან აზრებს, რომელიც განპირობებულია მისი საკრალურობით, სანიშნობით და მნიშვნელოვანი ბუნებით. თუმცა იგი ამავდროულად წარმოადგენს პოლიტიკური სისტემისა და ხელისუფლების განხორციელების საშუალებას.

თანამედროვე პოლიტიკური მითის ჩამოყალიბებაში ჩვენ შეიძლება დავეუშვათ სამი პოზიცია. ეს არის ისტორიული, მეცნიერული შესაძლებლობისა და გამოყენებითი მომენტი.¹¹³ პოლიტიკური მითი წარმოადგენს ამ სამი მომენტის დეკონცენტრირებულ გამოხატულებას.

მითის ისტორიულ მომენტში იგულისხმება ის ფაქტი, რომ იგი „მოგვითხრობს საკრალურ ისტორიას“: იგი აკავშირებს შემთხვევებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველს-ძველ დროში – იგავად ქცეულ დასაწყისის დროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მითი მოგვითხრობს ზებუნებრივი არსებების გმირობების საშუალებით თუ როგორ ჩამოყალიბდა რეალობა-კოსმოსი ან რეალობის ფრაგმენტი – მიწა, მცენარეთა სახეობა, ადამიანური ქცევის განსაკუთრებული სახე და სოციალური ინსტიტუტები. მაშასადამე, მითი ყოველთვის არის „კრეაციის აღწერა“, იგი აკავშირებს იმას რაც ხელმეორედ მოხდება, რომელიც განაცხადებს თავის თავს სრულყოფილად.¹¹⁴

ისტორიული მითის აქტუალიზაცია უმთავრესად კონსერვატორული იდეოლოგიის მითებში ხდება. იგი უმთავრესად უკავშირდება საბელმწიფოს დაფუძნების აზრებს. ისტორია აქ აწმყოს და წარსულს ერთმანეთთან აკავშირებს. იგი არა მარტო უხსოვარ დროში მომხდარი ამბის ნარატივია, არამედ აწმყოს გაგების ისტრუმენტი. ყველაფერი მეორდება, რაც მოხდა წარსულში აწმყოშიც ის მოხდება. ისტორიული მოვლენები ერთმანეთს იმეორებს დროის სხვადასხვა კონტექსტში. ერი მარადიულია. პროგრესი არ არსებობს. მხოლოდ ადამიანური თანაარსებობის ფორმები იცვლება დროის შესაბამისად. ხოლო მარადიული

¹¹³ The political mythology of apartheid' London 1985. p.12.

¹¹⁴ Eliade M. „The myth of eternal return, cosmos and history“. 1989 L. p.52.

ღირებულებები, ისეთი როგორიც არის სიყვარული, ოჯახი, ადამიანურობა, სამშობლო და ერი არ იცვლება.

თანამედროვე პოლიტიკური მითის ჩამოყალიბებაში გამოიყოფა მეცნიერული შესაძლებლობის თემატიზაცია. მეცნიერული ცოდნის ობიექტი ცოდნის აკუმულაციის პროცესია და უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მას გაფართოვებადი ხასიათი ჰქონდა. ბუნების მეცნიერების დარგში მიღწეული წარმატებები გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ წარმოქმნილიყო ის ვარაუდები, რომელიც გამოიბატა რასისტულ და კომუნისტურ მითოლოგიაში.

ამა თუ იმ ფორმაში რასისტული მითოლოგია შეთანადებული იყო დასავლური მეცნიერების მონაპოვართან. ჩ.დარვინის ევოლუციონისტური თეორია უფრო და უფრო იპყრობდა მეცნიერული სპოზადობის ყურადღებას. მეცნიერები ამ უკანასკნელს უკავშირებდნენ ყოფიერების დიდი ჯაჭვის კონცეფციას, სადაც ამ ჯაჭვის თავში თეთრი რასის წარმომადგენლები იყვნენ და ბოლოში შავი რასისა. ამის შედეგი იყო ის პროფანაციული სინთეზი, რომელშიც მრავალი მეცნიერი თანხმდებოდა, რომ რასობრივ დიფერენციაციას ჯერ კიდევ ადამიანური ევოლუციის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.¹⁵ რა თქმა უნდა ეს მითოლოგია სავარაუდო მეცნიერული დასკვნების შესაძლებლობის პრინციპზე იყო დაფუძნებული.

აქიდან გამომდინარე, ნაციაში მეცნიერული შესაძლებლობების თემის აქტუალიზაციის გზით მეცნიერების სავარაუდო დასკვნების აბსოლუტიზაციას ახდენდა. შესაბამისად ამისა, იქმნებოდა რასობრივი მითოლოგია რომელიც სხვადასხვა ერების დიფერენციაციას რასობრივი პრინციპების მიხედვით აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ასაღებდა.

ანალოგიურ პრინციპზეა აგებული მარქსისტული პოლიტიკური მითოსი. სპოზადობრივი განვითარების კანონების მატერიალისტური გაგების საფუძველზე კმარქსი ვარაუდობდა, რომ პროლეტარიატს უნდა მისცეს მომავლისათვის სახელმძღვანელო, ისტორიის მატერიალისტური გაგების მეცნიერების დაფუძნების გზით, რომელიც ჭეშმარიტი პროლეტარული უნდა იყოს, მასებმა უნდა მოძებნონ გზა „თავიანთი ყალბი ცნობიერებიდან“ გამოსასვლელად, რომლის

¹⁵ Tomson L. „The political mythology of The apartheid“ P.13.

შედგვიც თავიანთ თავსა და მათ მიერ ნაწარმოებ პროდუქციას შორის გაუცხოებაში ვლინდება. ამ მეცნიერების წანამძღვარი ადამიანური თვითგაუცხოების შეუნიღბაობა, რომლის გაუქმებაც მიზნად ისახავს იდეოლოგიის მარქსისტული თეორია. ამ მოცემულ „შეუნიღბაობაში“ ყველაფე ი უნდა იყოს ნათელი: „ამიტომაც, ისტორიის ამოცანაა, ერთხელაც სხვა ქვეყნის ჭეშმარიტება გაქრეს და დაფუძნდეს ამ სამყაროს ჭეშმარიტება“. კ.მარქსს სჯეროდა, რომ მისი საკუთარი შეხედულებები არ ჩამოაყალიბებდა იდეოლოგიას. პირიქით იგი ვარაუდობდა, რომ ეს იქნებოდა ისტორიული ურყევი ჭეშმარიტება. კ.მარქსი ვარაუდობდა, რომ კომუნისტური პარტიის მანიფესტიც გამორიცხული იქნებოდა ყალბი ცნობიერებიდან (მითოსიდან). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური იდეის ნარატივი უარყოფს საკრალურ ჭეშმარიტებებს – ამ ჭეშმარიტების ადგილს თავად იკავენს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში და ისტორიულ დროში.

მესამე პოზიცია რომელიც ჩვენ შეიძლება ჩამოვყალიბოთ არის პოლიტიკური მითის გამოყენებადობა. ამ კრიტიერიუმის გამოყენებისას პოლიტიკური მითების სისტემები მოითხოვენ, თუ როგორი იქნება მითის ეფექტი მომავალში; რამდენად იმუშავებს პოლიტიკური მოთხენების სისტემაში. პასუხი ამ საკითხზე მერყეობს იმ ღირებულებების ცვლილებებთან ერთად, რომელიც აქვთ ადამიანებს. ადამიანთა ღირებულებანი სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ სივრცეში სიღრმისეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ადამიანთა ყოფიერების წესი ყალიბდება კულტურაში. გარკვეულწილად პოლიტიკური მითოსის გამოყენებითი მხარე ყალიბდება ამ კულტურული სივრცის ღირებულებების ცვალებადობის შესაბამისად. პოლიტიკური მითის გამოყენებითი მხარე პასუხს იძლევა სოციალურ-კულტურული ღირებულებების შესაძლო ცვლილებებზე.

იმისათვის რათა, პოლიტიკური მითის რეალიზაციას ჰქონდეს მძლავრი ეფექტი პასუხს უნდა სცემდეს საზოგადოებაში წარმოშობილ სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. როგორც ჩვენ აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ პლატონი ქმნის პოლიტიკურ მითს მისი გამოყენებადობის მიზნით. გარკვეულწილად მის მიერ

პოლიტიკური მითის შექმნა განპირობებულია ძველი ბერძნული ქალაქსახელმწიფოს რღვევის პროცესის გამო. სოფისტი პროტაგორა ამბობს, რომ „შეუძლებელია ქალაქი“ ე.ი. ინგრევა „იზონომიის“ და „ავტონომიის“ საფუძველზე შექმნილი ძველი ბერძნული ქალაქის ცხოვრების წესი. პლატონის მიერ იდეალური სახელმწიფოს მოდელის შექმნა წარმოადგენს პასუხს პოლიტიკური სისტემის კრიზისზე. ამიტომაც მის მიერ შექმნილი პოლიტიკური მითი მისი იდეის დეკონცენტრირებული გამოხატულებაა, რომელსაც გამოყენებადი ხასიათი აქვს. პლატონის მიერ შექმნილი სახელმწიფოს მოდელი თავისთავად გულსნმობს, რომ ის არ არის მკაცრ შესაბამისობაში რეალობასთან. ეს არის იდეალური სახელმწიფოს მოდელი.

ნებისმიერი პოლიტიკური თეორიის პოლიტიკური იდეა დეკონცენტრირებული სახით ვრცელდება იმათ მიმართ, ვინც გარკვეულწილად პასუხს ელის გარკვეულ მოვლენაზე. ამ პოლიტიკურ მითში ვაცემულია პასუხი სოციალურ-კულტურული ღირებულებების შესაძლო შეცვლის მოლოდინზე. გარკვეული შირით, როგორც აღვნიშნავდით, პოლიტიკური მითი გამოსახავს ჭეშმარიტების შესაძლებლობას იდეალურ სივრცეში. იგი ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ იდეალურ სივრცეში ვერიფიცირდება. მითოლოგიური ჭეშმარიტება ფარდობითი ცნებაა. იგი არსებობს მხოლოდ მოცემულ დროში და მოცემულ კონტექსტში. ეს მითები ამახინჯებს ან აკანონებს გავრცელებულ ჭეშმარიტებებს. კარლ მანჰეიმის თვალსაზრისს თუ დავეთანხმებით „არც ერთი იდეა არაა რეალობასთან მკაცრ შესაბამისობაში, რაც არ უნდა დაუინტერესებელი ან აბსტრაქტული შირის გამოხატულება იყოს ის, ყველა იდეები მეტ-ნაკლებად სოციალური უკმაყოფილების პათოლოგიური გამოხატულებაა“¹⁶

პოლიტიკური მითი მხოლოდ მაშინ ხდება საბიფათო, როცა იგი ამოწურავს თავის გამოყენებადობას ცვალებად სოციალურ კონტექსტში. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მითი ნაცვლად იმისა, რომ ახსნას რაიმე მოვლენა იწყებს კონფორმულობის მოთხოვნას მისი საკრალური ამბისადმი. ამ შემთხვევაში იგი

¹⁶ Mannheim K. Ideology and utopia: an introduction to the sociology of knowledge” L. p.93.

გადაიქცევა დამაკანონებელ ისტორიად. იგი რეალიზდება იმგვარ სოციალურ კონტექსტში, სადაც პოლიტიკური მითი ავტორიტეტული განმკარგულებლის ფუნქციას ასულებს. უმთავრესად ასეთი პოლიტიკური მითები ტოტალური რეჟიმებისათვისაა დამახასიათებელი.

მაშასადამე, ჩვენ ჩამოვთვალეთ თანამედროვე პოლიტიკური მითის სამი პოზიცია. ეს არის: ისტორიული, მეცნიერული შესაძლებლობის და გამოყენებადობა. პოლიტიკურ მითებში ეს სამი პოზიცია ზოგჯერ ერთად თემატიზირდება. თუმცა თემატიზაციის პრინციპი განისაზღვრება იმის მხედვით, თუ რა პრობლემის თემატიზირებას ახდენს პოლიტიკური მითი. მაგრამ ნებისმიერი საკითხის პრობლემატიზაციის შემთხვევაში იგი აუცილებლად გულისხმობს გამოყენებადობას.

ჩვენი აზრით, ამ პრობლემატიზაციის საფუძველი კვლავ იმ გენერალური ნარატივებიდან გამომდინარეობს, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებას წარმოადგენს პოლიტიკური მითოლოგიის კონტექსტში და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სტრუქტურის განმსაზღვრელი ხდება. ჩვენ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე თემა რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიებს აქტუალიზაციის ხარისხს განსაზღვრავს და საბოლოოს ჯამში მათი კრიზისი განმსაზღვრელი ხდება.

მაშასადამე, ჩვენ გამოვყოფთ რამდენიმე მითს, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში ყოველგვარი ლოგიკური საფუძვლის გარეშე ოპერაციონალიზდება. ეს მითები ოპერირებს როგორც მარადიული ჭეშმარიტებანი, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პოლიტიკური პროცესების არაადეკვატურ აღქმას და პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის გაუცხოებას. ამ მითებმა ამოწურა თავიანთი გამოყენებადობის სოციალური კონტექსტი და მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების დისკურსის უზრუნველყოფელი გახდა. საბოლოო ჯამში გარკვეულწილად ეს მითები უზრუნველყოფს პოლიტიკური ხელისუფლების ტრანსცენდენტალურ დისკურსს. ისინი მიიღება როგორც უდავო ჭეშმარიტება რომელსაც შემოწმება არ ესაჭიროება.

პოლიტიკური დისკურსის მუდმივი თემა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ხელისუფლების ფლობის კონტექსტები, ბრუნავს იმ

აუცილებლობის გარშემო, რომ არ შეიცვალოს პოლიტიკური პროცესების სტრუქტურა და ინდივიდუუმის ან ჯგუფების პოზიცია. მაგრამ თუ უდავო ჭეშმარიტებების ნიადაგი მითებია, მაშინ მათ იშვიათად დაესმით კითხვა. ეს არის ის ნიადაგი, რომელიც მუდმივად აკანონებს პოლიტიკურ სტრუქტურებს და ერთობლივ პოზიციებს, ღირებულებებსა და მიზნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მითები ბაზისია იდეოლოგიისათვის და პოლიტიკური ორგანიზაციისათვის.

ჩვენ მოვხდენთ სამი მითის განხილვას მათი ელასტიურობისა არქიტექტონური ბუნების გამო, რომელიც შეიძლება მიეწეროს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სტრუქტურას.

პირველი მითი: „ისტორია ყოველთვის მეროდება“.

უეჭველია, რომ ვიღაც დღევანდელი დღის ჩათვლით იზარებს ამ მითის კონცეფციას და ოპერაციონიზებულია პოლიტიკური ხელისუფლება თეორიაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფერი ახალი არ უნდა განვითარდეს.

არისტოტელეს პოლიტიკაში განცხადებულია, რომ „რაიმე ღირებულების ყველა იდეები უკვე იყო აღმოჩენილი და შემოწმებული“. რაც არ უნდა იყოს არისტოტელესაც კი არ ჰქონდა რაიმე ლოგიკური ბაზისი ასეთი ვარაუდისათვის. იგი იმეორებს ამ იდეას თითქოს და საყოველთაოდ იყოს მიღებული, რომ მას არ ესაჭიროება არავითარი დასაყრდენი.

ისტორიის განმეორებადობის იდეა, რომელიც ეკლესტიასეშია მოცემული ისტორიის ციკლურობიდან იღებს სათავეს. ისტორიის ამ „ციკლურ თეორიებს“ ანტიკური საწყისი აქვს. ის იდეა, რომ ყველა შემთხვევას ადგილი აქვს ციკლებში, რომელიც მეტი ან ნაკლებს მსგავსებით ერთი მეროეს იმეორებს, რაღაც ფორმით არსებობდა ძველ ინდოეთში, ბაბილონში და საბერძნეთში.

მითოსის ცნობილი მკვლევარი ბოასი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „კოსმური შემთხვევების რითმული განმეორების კონცეფცია ვითარდებოდა მზის წლების მახასიათებლებიდან, მთვარის ფაზების პერიოდულობიდან, სეზონების წრის რეგულარული წესრიგიდან, ინდივიდუური ადამიანის ცხოვრების ციკლიდან; რომ დაბადების, მოწიფულობის, სიმწიფის და სიკვდილის იდეას მოსდევს –

მოწიფულობის, სიმწიფის, და სიკვდილის ციკლი და ეს უსასრულობაში მვორდება. ამ პროცესს ძველი ხალხები მითებისა და რიტუალების სახით გამოხატავდნენ, რომელშიც ეს მოვლენები ფიგურირებდა.

ეს თვალსაზრისი მრავალი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის მიერ გამოიყენება დღევანდელი დღის ჩათვლითაც კი; ოდესმე განმეორებადი კოსმოსის და ადამიანის ისტორიის კონცეფცია გამოყენებულია გვ.ფ.ჰეგელის, კ.მარქსის, ფ.ნიცშეს და სხვა მრავალი ავტორის ნაშრომში.

„მარადიული დაბრუნების“ მითის კონცეფციის პრობლემა ის არის, რომ ისტორია ყოველთვის მვორდება. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში აქტივიზებული ეს მითი საუკეთესო მკვებავი ხდება პოლიტიკური პროცესის მართვისათვის. თუ ისტორია მვორდება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც იყო მაშინ შეუძლებელია პროგრესი. ამ სამყაროში არაფერი არ იცვლება, ადამიანები არ იცვლება — ეს მითი ისტორიული განპირობებულობის იდეას გადმოსცემს. პოლიტიკური ხელისუფლების რეალმაციის პროცესში იგი სხვადასხვაგვარად ვლინდება. ძირითადი ნიშან-თვისება კი, ის არის, რომ პოლიტიკური მეტყველების სივრცე ჩაკეტილ წრეშია, სადაც ისტორიის განმეორების დეტერმინატორი არავითარ იმედს არ იძლევა რაიმეს შეცვლისას.

მეორე მითი: უნივერსი უსასრულოა.

მათემატიკაში არსებობს უსასრულობის ცნება, რომელიც ხსნის ზრდას საზღვრების გარეშე, მაგრამ უსასრულო უნივერსის ცნებას თავისი ფესვები უფრო მეტად თეოლოგიაში აქვს გადგმული, ვიდრე მათემატიკაში. თეისტებისათვის, უსასრულო სრულყოფილი ღმერთი იდეის წყაროა. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, ღმერთის უსასრულობა არის უფორმო და მიუწვდომადი სასრული არსებისათვის, როგორც არის ადამიანი. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უსასრულო ღმერთი და მისი უნივერსი. ჩვენ ვიცით, რომ ის არსებობს.

როგორ შეიძლება ამ მითს ჰქონდეს დამოკიდებულება პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის კრიზისთან. ამ მითის მიერ უნივერსის უსასრულობის პრინციპი პროეცირებულია ადამიანზე

და საზოგადოებაზე. უსასრულობის სიბრტყეში გადასროლილი ადამიანი და საზოგადოება ემორჩილება უსასრულო სამყაროს გარდაქმნის პროექტს. იგი არ ითვალისწინებს არც ტექნოლოგიური რესურსების შეზღუდულობას და არც სამყაროს ზღვრულობას. სამყაროს ათვისებისა და გარდაქმნის იდეა უკუპროეცირდება ადამიანთა საზოგადოებზე და გამოსახება ადამიანური თანაარსებობის გარდაქმნის იდეაში. ეს მითი ხდება უნივერსალისტური პრინციპების უზრუნველყოფელი, რომელიც ადამიანს მოიზრებს უსასრულო უნივერსუმთან შეთანადებულად. საბოლოო ჯამში ეს მითი განაპირობებს მეცნიერული შესაძლებლობის საფუძველზე დაფუძნებული მითების წარმოშობას.

მესამე მითი: პროგრესის შეჩერება შეუძლებელია.

პროგრესის იდეით დეტერმინებული ეს მითი ადამიანური გვარის ისტორიას გამოსახავს, როგორც მცდელობას განახორციელოს სამოქალაქო ცხოვრების სრულყოფილი მოდელი, სადაც ადამიანური ბუნების ტენდენციები სრულყოფილად და ყოველმხრივ იქნება განვითარებული. პოეტურმა წარმოსახვამ ეს იდეა ოქროს ეპოქაში იგულისხმა. ადამიანური გვარის ოქროს ეპოქა არ არის ჩვენს უკან. იგი ჩვენს შემდეგაა. ჩვენი წინაპრები ვერ იბილავენ მას, მაგრამ ერთ დღეს ჩვენი შვილები შეიძლება მოესწრონ მას. ეს არის ნათელი მომავალი რომლისკენაც ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ. საბოლოო ჯამში ეს მითი ხდება ნებისმიერი უტოპიური მოდელების გენერატორი, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსებში ოპერაციონალიზდება.

ჩვენს მიერ დახასიათებული სამივე მითი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსებში უმრავლეს შემთხვევაში ერთობლივადაა წარმოდგენილი. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ სამივე ამ მითს თავისი გამოყენებადობის კონტექსტი ამოწურული აქვს და მხოლოდ პათოლოგიური პოლიტიკური დისკურსების უზრუნველყოფელები ხდებიან. საბოლოო ჯამში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ტრანსცენდირებად სტრუქტურებს ეს პოლიტიკური მითები ქმნის. რაც აყალიბებს დისკურსების იერარქიულობასა და მის რეალპოლიტიკასთან გაუცხოებას.

§2. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ტრანსცენდენტალური განხილვის სტრუქტურა

ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული სამყაროს გაგების პრინციპთან. შეიძლება ის მკვეთრად არ იყოს გამოკვეთილი, მაგრამ მისი ფარული პორიზონტის თემატიკები გულისხმობს მას. სამყაროს გაგების სტრუქტურა და პოლიტიკური ხელისუფლების მოლოდინებისა და ხელისუფლების რეალიზაციის პრინციპი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ აღწერილი ობიექტების სტრუქტურული ანალიზის ასპექტები, რომელიც გამოისახება იმგვარი ტერმინებით როგორცაა „ხელისუფლება“, „ურთიერთკავშირ“, „ორგანიზაციის პრინციპები“, სხვა დისკურსის ველთან იდენტიფიცირდება, რომელიც ამ თეორიაში არ ჩანს. კერძოდ რა არის ის, რაც პოლიტიკური თეორიის ხასიათს განსაზღვრავს?

ძირითადი მახასიათებელი ყველა პოლიტიკური თეორიისა არის ის, რომ იგი ეყრდნობა საფეხურებრივ იერარქიულ სქემას, რომელიც ამ თეორიაში არსებობს. ე.ი. თუ არსებობს „ხელისუფლება“, როგორც ყველა თეორიისთვის წარმართველი დისკურსი, აუცილებლად უნდა არსებობდეს, რაღაც სხვა დისკურსი, რომელიც ამ დისკურსის ლეგიტიმაციას მოახდენს; სხვადასხვა დისკურსები, რომელთაც სხვადასხვა ადგილები უკავია თეორიის სტრუქტურაში კერძოდ, „კლასთა ბრძოლა“, „ისტორიის მატერიალისტური გაგება“, „ადამიანთა ექსპლუატაცია“ და ა.შ. ხელისუფლების ლეგიტიმაციის დისკურსში ყოველი იერარქიული დისკურსი თავის თავის ლეგიტიმაციას ახდენს. ამ ლეგიტიმაციის საფუძველი არის ის, რომ იგი მიზნად ისახავს „სიკეთეს“. ეს სიკეთე ისეთივე ტრანსცენდენტური ობიექტია, რომელსაც კონკრეტული ნიშან-თვისება არ აქვს. ამიტომ რასაც მიაწერს თეორია ამ სიკეთეს ნიშან-თვისებად ის ახდენს თავის თავის ლეგიტიმირებას. იმისათვის, რომ აიგოს პოლიტიკური ხელისუფლების თეორია საჭიროა განსაზღვრული იქნეს პოლიტიკური ხელისუფლების ელემენტარული ობიექტების ნიშნები. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ხელისუფლების მნიშვნელოვან

მახასიათებელს წარმოადგენს განსაზღვრული ობიექტების ერთობლიობის ტიპი და მათი თვისებრივი სპეციფიკა. ეს სპეციფიკაციები მხოლოდ აბსოლუტური „სიკეთის“ (სოციალური კეთილდღეობა ძმობა, ერთობა, თავისუფლება და ა.შ.) რაკურსიდან დაინახება. ამასთან ერთად განხილვადი თეორიის სხვა ძირითადი ნიშან-თვისებანი თავად შესაბამის თეორიაზე აისახება. ამგვარად, პოლიტიკური თეორია იწყებს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სახისა და გვარის ელემენტარული ობიექტების ერთობლიობაში მოცვას, რომელიც განიხილება როგორც სრტრუქტურულად რთული ნაერთები და რომელიც თავის მხრივ გულისხმობს რთულ მიკროსამყაროებს და გვარობებს. მატერიალური სამყაროს დიფერენციაციის კრიტერიუმში ძალზე სპეციფიკურია. ამა თუ იმ რაოდენობის ობიექტების მიკუთვნებით ის შეიძლება განთავსებული იქნეს გარკვეულ იერარქიაში, რომელიც შეეთანადება გვარებსა და სახეებს. ასეთი იერარქიული თანმიმდევრობა წარმოიშობა იქ, სადაც ზოგადი განსაზღვრებები მოიცავს უფრო ნაკლებ ზოგად განსაზღვრებებს. ყველა ამ განსაზღვრებაში ყველა ობიექტს მიეწერება ის ნიშან-თვისება, რომელიც განსაზღვრული დისკურსის ნიშან-თვისებიდან გამომდინარეობს ანუ მიეწერება ის, რაც თავად მხოლოდ ამ ობიექტისათვის დაინახება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ყველა საგნის ნიშან-თვისება ტრანსცენდენციების გზით ახდენს თავისსავე გამართლებას ტრანსცენდენტალურ დისკურსში.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ამგვარი პრინციპით აგება უკავშირდება იმ ტრადიციას, რომელიც შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. კერძოდ როცა ფენომენის ცნება შეთანადებულია არსებულის ცნებასთან და დაპირისპირებულია მასთან. რეალობის განხილვის ამგვარი წესი ვარაუდობს იმას, რომ საგანთა განხილვის გულუბრყვილო წესიდან („ვხედავ საგნებს“) გადადის იმის გაცნობიერებაზე, რომ საგანთა მოვლენები არაიგივეობრივია თვით საგნებისადმი. ფენომენის ცნების გაგების პრობლემა საბოლოოდ გნოსეოლოგიური დუალიზმის სახით ყალიბდება, სადაც ხდება მისი ტრანსცენდენტური და იმანენტური განსხვავება; ტრანსცენდენტური გაიგება ორგვარად, ის, რაც საერთოდ ჩვენი ცნობიერების მიღმაა (ღმერთი, სულის უკვდავება, თავისუფლება)

ან ის, რაც ჩვენი მე-ს იქეთაა. პირველ შემთხვევაში ეს არის შესაძლო ცდის ზღვარი. ხოლო მეორე შემთხვევაში – სუბიექტური ცდის საზღვარი. იმანენტური – ცნობიერების შინაარსი, ფენომენალური მოცემულობა.

ზნოვნების ეს წესი. რომელიც ტრანსცენდენციების ჩარჩოში მოიზარებს სამყაროს ყველა მოვლენას თორიულ კონსტრუირებას ახდენს ტრანსცენდენტურ და იმანენტურ მოცემულობათა რიგის მიხედვით. შესაბამისად ამისა, ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლების თეორია ტრანსცენდენტალური კონსტრუქციების გზით აიგება და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსი ტრანსცენდენტალური კონსტრუქციებით ოპერირებს.

ტრადიციის თანახმად, რომელიც სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს, ტრანსცენდენტალიებს მიაკუთვნებენ ექვს ცნებას *ens* (არსებული), *res* (საგანი, სუბსტანცია), *aliquid* (რადაც), *unum* (ერთობა) *verum* (ჭეშმარიტება), *bonum* (სიკეთე). ამათგან ძირითადია ერთობა, ჭეშმარიტება და სიკეთე. ტრანსცენდენტალიები უმთავრესად თომზმში განიხილებოდა, როგორც ონტოლოგიური ზეკატეგორია და გამოხატავს იმას, რაც არის ყოფიერების ყველა სახეობის მიღმა და გამსჭვალავს ყველაფერს. აქედან გამომდინარე, იმდენადაა გავრცობილი, რამდენადაც არსებული განვრცობა. ერთიანობა (*unum*) გაიგება, როგორც ფორმის გამოხატულება, რომელიც მასთან განუყრელად დაკავშირებული აქტის საშუალებით მიანიჭებს ყოფიერებას ყოველგვარ არსებობას და აყალიბებს მატერიას, რადაც განუყოფელში. ტრანსცენდენტალური განუყოფელობის ცნება, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ განუყოფელობას, აბასიათებს ყოფიერებას თავის თავთან მიმართებაში. ყოფიერების ტრანსცენდენტალური განსაზღვრება, როგორც ჭეშმარიტებისა, გამოხატავს აზრობრივ დამოკიდებულებას არსებულისადმი საგნის შემეცნების შესაბამისად. ამგვარ კონცეფციას საფუძვლად უდევს ონტოლოგიური ჭეშმარიტების ცნება, რომელიც გამოიყენება ავგუსტინეს, ანსელმ კენტინბერიელის, იბნსას მიერ -- „ჭეშმარიტია ის რაც არსებობს“. ყოფიერების ტრანსცენდენტალური განმარტება, როგორც სიკეთისა (*bonum*) მიზეზობრივი მიზეზის არისტოტელესული განსაზღვრებებიდან იღებს სათავეს: სიკეთე არის ის, რისკენაც

ყველა მიისწრაფის. სხვაგვარად თუ ვიტყვით ყოველგვარი ყოფიერება უნდა განვიხილოთ, როგორც რაღაც, რომელიც უნარშემქნეა მოახდინოს თავის თავის აქტიური ზიარება, განხორციელდეს და სრულყოფილი გახდეს.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორია ზუსტად იმავე სქემის მიხედვით ახდენს რეალპოლიტიკური თემების პრობლემატიზირებას, როგორც ეს შუა საუკუნეების ფილოსოფიაში იქნა გამოხატავებული. ისევე როგორც შუა საუკუნეებში ყოველი პოლიტიკური ხელისუფლების თეორია თავის თავში სვამს სიკეთის პრინციპს და თავის თავს მოიპარებს აბსოლუტური სიკეთის მატარებლად (არ აქვს მნიშვნელობა რაში გამოიხატება ეს „სიკეთე“ – ერის კეთილდღეობაში, პროლეტარატის გათავისუფლებაში, რასობრივ სიწმინდეში და ა.შ.). ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური სიძარტლე მამშივე გამოყენებული ცნებებით ტრანსცენდირდება ანუ ვერიფიკაციას მხოლოდ თავის თავში იღებს ეს სხვა არაფერია თუ არა ყოფიერების ტრანსცენდენტალური განსაზღვრების სქემა, როგორც ჭეშმარიტებისა, რომელიც გამოხატავს ზიარობრივ დამოკიდებულებას არსებულისადმი. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია თავისავე დისკურსში რომელიმე ცნებას ანიჭებს ჭეშმარიტების სტატუსს და შემდეგ ამ სტატუსის მიხედვით განსაზღვრავს სხვა ცნებათა ჭეშმარიტებას. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია ამგვარი ზიარობრივი კონსტრუქციების გზით კითხულობს სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეს. და თუ ის შესაბამისობაში არ მოდის ამ კონსტრუქციასთან ის იოლად შეიძლება იქცეს ძალადობის ობიექტად.

ამის გამო XX-ის 50-იანი წლებიდან დადგა საკითხი, რას უნდა დაეყრდნოს ხელისუფლების თეორია ზიარობრივ უნივერსალიებს, რომელშიც ადამიანი მიზნის სახით მყოფობს თუ ადამიანურ განცდებს, ტკივილს და ყოველდღიურობას. მამსადამე, პოლიტიკური ყოფიერების სფეროში ისეთი რამის თემატიზირება უნდა მოხდეს, რომელიც დაანგრევს უნივერსალური ცნებებით ზიარონების სქემას, რომელშიც უხილავი ძალადობის სუბიექტი ტრანსცენდენტალური „მე“-ს სახით მყოფობს.

ამგვარად, პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის კონცეფციებში თემატიზირებას იწყებს ტანის თემა, რომელიც თავისუფალია ხელისუფლების ანტიროფომორფებადი კოდებისაგან. პოლიტიკურ

დისკურსში სხეულის პრობლემატიკისადმი მიმართვა დაკავშირებულია იმდაგვარი ფენომენის შემოტანასთან, რომელიც ასწლეულების განმავლობაში სისტემატურად განიღვენებოდა ჰროვნების სფეროდან (აფექტი, ავადმყოფობა, სიკვდილი) და რჩებოდა მარგინალური ზრის სფეროში (ს.კრიკვეგორი, ფნიცშე, ფ.კაფკა და სხვები). პოლიტიკურ ყოფიერებაში ტანის პრობლემატიკაცაა იმპლიციტურად გულისხმობს კლასიკური ჰროვნების ტრადიციიდან გამიჯვნას, რომლის კონცეპტუალურ ღერძს აყალიბებს ტრანსცენდენტულარი სუბიექტის ცნება. ჰროვნების სუბიექტი, როგორც ტრანსცენდენტალური „მე“ წარმოადგენს გამჭირვალე „მე“-ს, რომელიც მოკლებულია სივრცულ და დროულ მახასიათებლებს. ტრანსცენდენტალური ყოფიერების უსხეულო და უკვდავი სუბიექტი წარმოადგენს არა მარტო გნოსეოლოგიურ აბსტრაქციას, არამედ ცნებას რომელიც სრულიად ცვლის ნამდვილი სუბიექტის ზრს. უნივერსალური ჰროვნების სქემების გამოყენებით და ლოგიკური პროცედურების დახმარებით ცნობიერებიდან თანმიმდევრულად გამოიღვენება გრძნობადობის ყველა ელემენტი და ამით მისი საშყაროსთან კავშირის ყველა მომენტი. სხეულის შემოყვანა ჰროვნების სტრუქტურაში ანგრევეს სუბიექტის თვითგანსაზღვრულობის იდეალს. ცნობიერების სივრცეში არსებობის დემონსტრირებას ახდენს იმით, რაც არ ექვემდებარება რეფლექსურ კონტროლს. ტრანსცენდენტალური სუბიექტის საზღვრების იქით გასვლა ხდება ჰროვნების პრობლემატიკის არა ბიოლოგიურ და ფიზიკურ სივრცეში გადატანის მიზნით, არამედ ჰროვნების ბიოგრაფიული და ტოპოლოგიური ახნის მიზნით. ტანს კერძოდ ახასიათებს ცნობიერების იმდაგვარი მდგომარეობა, როდესაც ცნობიერების სუბიექტი არა უფლებამოსილია, არამედ უფლებოა (შეში, შოკი, ეიფორია). სხეული არის ცნობიერებიდან გრძნობადობის არაილუმინირებულობის ჩვენების ზერზი, ჰროვნების წმინდა აქტის შეუძლებლობა. არ არსებობს ჰროვნება საერთოდ – მხოლოდ გარკვეული ტიპის ჰროვნებანი არსებობს, რომლის უკანაც გარკვეული ტიპის გრძნობადობანი იმალება. ტანის პრობლემატიკის ეს თეორია წინ არის წამოწეული მ.ფუკოს შრომებში, რომელიც აჩვენებს სოციალურ პრაქტიკათა და სხეულებრივ პრაქტიკათა ურთიერთგანპირობებულობას, ასევე ტანის

ტიპების ჩამომავალიბებელ მექანიზმს, რომელიც ადეკვატურია საზოგადოებრივი წყობის ამა თუ იმ ტოპიისადმი. სხეული წარმოადგენს სოციალურ შემოქმედებათა პროდუქტს და ობიექტს, რომელზედაც ზდება ნორმათა და კანონთა ჩაწერა. მფუკოს გამოკვლევებთან შეიძლება შეთანადებული იყოს ეიუნგერის გამოკვლევანი, რომელმაც მოიყვანა „ჯარისკაცის“ და „მუშის“ ფიგურათა აღწერა, როგორც ტანის ფორმებისა, რომელიც არ ექვემდებარება პოლიტიკურ-ეკონომიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ან კულტუროლოგიურ კატეგორიებში ექსპლიკაციას. როლან ბარტი ხაზს უსვამს რა წერის განსაკუთრებულ როლს, მართწარმოქმნის პროცესში გვთავაზობს განვიხილოთ ტექსტი როგორც განსაკუთრებული სახის ტანი. ტექსტში რეალიზებული სხეული ეს არის გარკვეული ორგანიზაციის ან სტრუქტურირებული ცდის (როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური) ცნობიერების მუშაობის მექანიზმი, მზრის მატერია, პირველადი თვით მზრისადმი და მისი გაშლის დამსახავი ხერხი. რ.ბარტის ვარაუდით ენა, რომელიც ეთანადება კომუნიკაციის ნეიტრალურ სამუალებებს სინამდვილეში გატარებულია მეორადი აღნიშვნის მექანიზმების კალაპოტში, (იდიომატური სმზრისები, ჟანრობრივი კონვენციები და ა.შ.) რომელსაც იდეოლოგიური ხასიათი აქვს და უზრუნველყოფს ენისათვის სოციალურ ქმედითობას და დისკურსის სტატუსს. ამგვარად რ.ბარტის მზრით ხელისუფლება ხორციელდება დისკურსული სტრატეგიის ფორმით, რომლის ქვეშევრდომიც ინდივიდუაია იმის გამო, რომ იგი იყენებს ენას და ერთობლიობაში აყალიბებს იბულების პირველად დონეს. ამ სტრატეგიიდაგან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინგრევა პოლიტიკური მზროვნების სტრუქტურა, პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსები და ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის შესაძლებლობა, მაგრამ ჩვენ საკითხი აქ შეიძლება ასე დავსვათ — ქრება კი პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუციონალური ფორმები?

სხეულის თემის აქტუალიზაცია არა მარტო ბატონობისა და ხელისუფლების უხილავ ფორმებს ანგრევეს, არამედ ხელისუფლების ინსტიტუციონალურ ფორმებსაც. მაშასადამე, ხელისუფლების

კონტექსტიში ნებისმიერი კონსენსუსის შესაძლებლობა იგნორირდება და საერთოდ პოლიტიკურის პრობლემა ენობრივი თამაშებიდან გამოირიცხება. მაშინ როგორ უნდა იარსებოს ხელისუფლებამ და საერთოდ ნებისმიერმა ინსტიტუციონალურმა ფორმებმა – თუ კი ნებისმიერი პოლიტიკური ტექსტი და ხელისუფლების ინსტიტუციონალური ფორმები იმთავითვე მოითხოვს მორჩილებას. მამსადაძე, აქედან გამომდინარე ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი და პოლიტიკური ხელისუფლების თეორია მუდმივად არის განწირული უცხოობისათვის. თუმცა იგი ყოველთვის წარმოიშობა როცა დადგება პოლიტიკურის პრობლემა (პრობლემატურის მით). აქ გამოსავალი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს რამდენად არის კონსენსუსი სხვადასხვა პოლიტიკურ დისკურსებს შორის შესაძლებელი. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი თუ პოლიტიკური კონსენსუსის პრინციპით იქნება ნორმატივირებული და მოტივირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ ხსენებული პროექტის რეალიზების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის კრიზისი ან მისი ინდიკატორი გამოდგეს. ეს უკანასკნელი კი უშუალო კავშირშია საზოგადოების სისტემური და სოციალური ინტეგრაციის პრობლემასთან. საზოგადოება სოციალურად ინტეგრირებულია მაშინ, როდესაც მისი შემადგენელი ინდივიდები აღწევენ კონსენსუსს – საზოგადოების საფუძველში მდებარე საერთო ნორმებისა და ღირებულებების – ფაქტუალური თაობაზე. ი.ჰაბერმასის პროექტის თანახმად, აქედან გამომდინარეობს ხელისუფლების და ინსტიტუციონალური ბატონობის გამართლება, რომლის თანახმადაც: 1) ინსტიტუციონალური სისტემა გამართლდება სამყაროს სურათების საშუალებით, რომელიც ჯერ კიდევ არ ფლობს ლეგიტიმური ბატონობის ფუნქციას, მაგრამ აღწერის გზით გვიხსნიან ინსტიტუტების დაკმაყოფილების საზოგადოებრივი დათრგუნვის აუცილებლობას; 2) ინსტიტუციონალური სისტემა ლეგიტიმირდება სამყაროს სურათების გზით, რომლებიც წარმოიშვა იდოლების ფორმირებებსა და იერარქიულად ორგანიზაციის მექანიზმების წყალობით, ისინი ინარჩუნებენ ლეგიტიმური ბატონობის ფუნქციას შესაბამის სიტყვარსებების (leerstellen) დამატებითი ინტერპრეტაციის წყალობით; 3) სამყაროს სურათების წყალობით

ლეგეტიმაცია ხდება მოქნილი; მის ადგილზე გამოდის მოქნილი ერზაც-იდეოლოგიები. პირად ურთიერთობაში ცნობილი უნივერსალისტური მორალი, რომელიც აუქმებს განსხვავებას შინაგან და გარეგან მორალს შორის და ონტოლოგიური დასაბუთების უნარი არ აქვს (ბუნების, საზოგადოების და ინდივიდუუმის გლობალური განხილვის გზით), შეიძლება განხილული იქნეს გონივრული მეტყველების ძირითადი ნორმების პროექციის სახით, შეუზღუდავ და თავისუფალ დისკურსში მოქმედების ნორმების გამართლების პრინციპის პროექციის გზით.

ზემოთ თქმულიდან გამოდინარე, ასევე მიუღებელი ხდება ფ.ფ.ლიოტარის მიერ შემოთავაზებული პროექტიც. ფ.ფ.ლიოტარი ჰაბერმასის კონსენსუსის პრობლემის იგნორირებით და ყველა მიკრონარატიული დისკურსების ლეგეტიმაციის მოთხოვნით საფრთხეს უქმნის ნებისმიერ ნორმატიულ სტრუქტურებს (სამართალი, საბელმწიფო). ი.ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული „მოსაუბრეთა შორის კონსენსუსი“ არ წარმოადგენს გაქვავებულ მდგომარეობას. კონსენსუსი მოსაუბრეთა შორის მუდმივი პროცესია. მოსაუბრეთა შორის კონსენსუსის მიღწევა არ გულისხმობს პროცესის გაჩერებას. ნებისმიერი მიკრონარატივების ლეგეტიმაციის მოთხოვნამ შეიძლება სოციალური იდენტურობის პრობლემა დასვას. პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის დისკურსში განხორციელებულ ყველა მიკრო ნარატივებს შეიძლება გაუნდეს ლეგეტიმაციის პრეტენზია, რომელიც საზოგადოების სისტემურ და სოციალურ დეზინტეგრაციაში გამოვლინდეს. თუ იდენტურობის კრიზისი უშვალოდ ემუქრება სოციალურ ინტეგრაციას, მაშინ სისტემის მართვისა და რეგულირების რეზულტატები ნულს უტოლდება. ამ შემთხვევაში მიკრო ნარატივების ლეგეტიმაცია ლეგეტიმურობის კრიზისის გამწვავებას შეუწყობს ხელს, რომელიც განსხვავებულ სოციოკულტურულ სისტემაზე და შეცვლილ ღირებულებით წარმოდგენებზე მოქნილად ვერ მოახდენს რეაგირებას.

კითხვები

1. რა მოთხოვნებს უზრუნველყოფენ პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში პოლიტიკური მითები?

2. როგორი პრიციპების საფუძველზე ივება პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის სტრუქტურა?

3. რატომ შეიძლება წარმოიშვას ლეგიტიმაციის კრიზისი? ძირითადი ცნებები პოლიტიკური მითი - პოლიტიკური ხელისუფლებს თეორიის სტრუქტურა - ლეგიტიმაციის კრიზისი

დამატებული ლიტერატურა

1. დომენიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია. „მარტო“, თბილისი, 1999.

2. ამირან ბერძენიშვილი, პოლიტიკური სოციოლოგია, „მერიდიან“, 2000.

3. Жорж Сорель, Размышления о насилии, Москва, 1907.

4. Платон, Сочинения, В 3-х т. Т. 3- “Мысль”, 1971.

5. Юрий Качанов, Политическая топология: Структурирование политической действительности. Ад маргинем, Москва, 1995.

6. Ролан Барт, Вступительная лекция на кафедре литературной семиологии. Современная структуралистическая идеология (Генезис политологических концепций). “Прогресс” Москва 1984

7. Юрген Хабермас, От критической теории к теории коммуникативного действия”, Ульяновск, 2001.

8. Jürgen Habermas, The Philosophical Discourse of Modernity, Polity Press, 1992.

9. Jean - Francois Lyotard, The Post Modern Condition: Report on Knowledge, Manchester University Press, 1989.

10. Tomson L. The political Mythology of The Apartheid. London, 1983.

11. Mannheim K. Ideology and Utopia: An Introduction to the Sociology Knowledge. 1978.

12. John G. Gunnell, Between Philosophy and Politics: The alienation of political Theory. Massachusetts Press, 1986.

13. George H. Sabine, A History of Political Theory. Reinhart and Winston, 1973.

14. David M. Ricci, Tragedy of political Science. Yale University Press, 1978.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორია და საწყისებთან დაბრუნების პრობლემა

წ1. პოლიტიკური მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში

მსოფლმხედველობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქისათვის გამსჭვალავს ადამიანის მთელ მოღვაწეობას თუჯის წარმოებიდან დაწყებული ფიზიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების სფეროთი დამთავრებული. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვაცალკევოთ ეპოქის მსოფლმხედველობრივი სისტემა ხელოვნებისა და ფილოსოფიის სფეროდან, რომელშიც იგი ყველაზე აშკარად ავლენს თავს და შემდგომში ვაჩვენოთ, თუ როგორ ვლინდება ეს პრინციპები პოლიტიკისა და ხელისუფლების სფეროში.

ახალი დროიდან დაწყებული „თანამედროვე“ ეპოქიი წარმომადგენლების მსოფლხედვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა დარწმუნებულობა საბოლოო ჭეშმარიტებათა არსებობაში, მარტივ პინციპებში, გონების ძალაში და ნათელ მიმზიდველ მომავალში. ამ ზრით თანამედროვე ეპოქა შეიძლება განხილული იყოს როგორც „მოდერნიზმის“ ეპოქა.

თანამედროვეობის საწყისებს ხელავენ ხან ახალი დროის რაციონალიზმში, ხანაც განმანათლებლობაში, მისი პროგრესში დარწმუნებულობითურთ და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებითურთ; ხანაც XIX-ის მეორე ნახევრის ლიტერატურულ ექსპერიმენტებში, ხანაც XX-ის ათიანი და ოციანი წლების ავანგარდიზმში.

თუ მოდერნიზმის ძირითადი მიმართულებების ანალიზს მოვახდენთ არქიტექტურის მაგალითზე ხელოვნებათმცოდნე ჩ.ჯენკისი

მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ახალმა არქიტექტურამ“ როგორც განმანათლებლობის შვილმა შემკვიდრებით მიიღო მისთვის დამახასიათებელი წარმოდგენები... იგი ისეთ შეცდომებს ჩადის, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად ეპოქისათვის, რომელიც ხელახლა ცდილობს თავის თავის კონსტრუირება მოახდინოს რაციონალურ საფუძველზე“.

ადამიანი-შემოქმედის მიერ სამყაროს ტოტალური გარდაქმნის იდეა წარმოადგენს მოდერნისტული შეხედულების ლოგიკურ შედეგს. ახალი დროის ესთეტიკა, არქიტექტურა და ხელოვნება მიიღტვის აღმოაჩინოს ისეთი პრინციპები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანურ ცხოვრებაში ახალი წესრიგის კონსტრუირება. კამალევინის მიერ შესრულებული ნახატი „კვადრატ“ აშკარა გამოხატულებაა ამ ძიებისა. მის მიერ შექმნილი კვადრატის ფორმა ზუსტად ამ სიმარტივისა და აბსოლუტურობისაკენ მიისწრაფვის. ნებისმიერი ფორმალური სირთულე შეიძლება უმარტივეს ფორმაზე იქნეს დაყვანილი.

მოდერნისტული ხედვის გავლენა შეიმჩნევა ისეთ მიმართულებებშიც, რომელიც თითქოს ანტირაციონალისტურია და უარყოფს ლოგოსს და გონებას. ამის მაგალითს წარმოადგენს ინტუიტივიზმი. მასშიც ჩანს მცდელობა აღმოჩენილი იქნეს მარტივი პრინციპები, რომელიც ყოველდღიურობის ფარდის უკან არის მიჩქმალული და მის საფუძველზე, ძველის დანგრევის შემდგომ, კონსტრუირება მოხდეს ახალი სინამდვილის. ასეთ მარტივ პრინციპს, რომელიც გამოხატავს ახალი სინამდვილის სზრისს, დადაიზმის წარმომადგენელი ტრისტან ტცარა უწოდებდა „აქტიურ უსასრულობას“.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს მოდერნისტული ხედვის ორი ტიპი „კლასიცისტური“-რაციონალისტური და „რომანტიულ“ (ინტუიციური). პოლიტიკაში ეს ორი მიმართულება ერთ მთლიანობაში ვლინდება რევოლუციურ მარქსიზმში: ყველაფერი ძველის დანგრევა (რაციონალური მოდერნიზმი) და ტოტალურად ახლის შექმნა (რაციონალური მოდერნიზმი).

მოდერნისტული ხედვის ძირითადი მეთოდი მრავალფეროვნების გამარტივებაა. მას სამყაროს მთელი მრავალფეროვნება განუსაზღვრელობა და უთანხმოებანი ორ პრინციპზე დაჰყავს — ეს არის ფუნქცია

და სტრუქტურა. მოდერნისტული ხედვა აბსტრაგირებას ახდენს ყოველგვარი მეორე ხარისხოვანისაგან და ყურადღებას ამახვილებს „მთავარზე“ და ცდილობს შექმნას მხროვნებისა და მსოფლმხედველობის ყოველგვარი ეკლექტიზმისაგან თავისუფალი მოდელები. ინგლისელი ფილოსოფოსი თ.პ.კრინი ეძებდა შემეცნების ისეთ „მაუნიფიცირებელ პრინციპს“, რომელიც მთელ სამყაროს ერთ სისტემაში მოიყვანდა, ყველაფერი რაც ამ მთავარის მიღმა დგას წარმოადგენს ზედმეტობას. მოდერნისტული ხედვისათვის დამახასიათებელი ეს გამარტივებისა და რედუქციონიზმის პრინციპი, რომელიც მოითხოვს სამყაროს მრავალფეროვნებების „ძირითად“ პრინციპზე დაყვანას, პოლიტიკისა და ხელისუფლების სფეროში აუცილებლად მოითხოვს ყველაფრის სტანდარტიზაციას და უნიფიკაციას.

ამგვარად, პოლიტიკისა და ხელისუფლების სფეროში „მოდერნისტულ“ ხედვის ძირითადი ნიშნები ვლინდება – უნიფიცირებულ მასობრიობაში, ინდივიდუალური საწყისის უარყოფაში, სტანდარტიზმში, გამარტივებაში, რედუქციონიზმში, აბსოლუტურობაში და საბოლოო ჭეშმარიტებათა სიმარტივეში, ქმედითობაში, უტოაზიზმში, განზრახვებისა და გადაწყვეტილებების ტოტალურობაში.

პოლიტიკურმა მოდერნიზმმა თავი იჩინა რენესანსული განწყობით. იგი ცდილობდა მოეწესრიგებინა სამყაროს „არასრულყოფილება და ქაოტურობა“ და შეექმნა იდეალური წესრიგი ადამიანთა ბედნიერებისათვის. ამის დადასტურება თომზო კამპანელას „მზის ქალაქი“ და თომას მორის „უტოპია“. ამან განსაკუთრებით იჩინა თავის ახალი დროის ფილოსოფოსებში (ნ.მაკიაველი, ჯ.ლოკი და თ.პობსი). ეს გამოიხატა ხელისუფლებისა და პოლიტიკის „დემისტიფიკაციაში“ და „დესიმბოლიზაციაში“. ხოლო ფრანგული განმანათლებლობიდან დაწყებული საერთოდ უარყოფა ისტორიულად ჩამოყალიბებული შუასაკუნეობრივი მხროვნების წესი. საბოლოო ჯამში პოლიტიკურმა მოდერნიზმმა საერთოდ უარყო ისტორიული გამოცდილების პრინციპი და მთელი ყურადღება გაამახვილა მარადიულ, ტრანსცენდენტალურ და „საბოლოო“ ჭეშმარიტებათა ძიებაზე, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს სწორადობრივი წყობილების მოდელირება. ამგვარად, გაჩნდა თვითლეგიტიმიზებადი და თავისთავის აღმომჩენი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს

იდეა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება და არ ითვალისწინებს ისტორიული ერთობის წესებს, ტრადიციებსა და ადათებს. თუმცა ამგვარი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დესპოტურობის სპირისი ჩქარა იქნა გაცნობიერებული. საქმე იმაშია რომ XIX-ის დასასრულსა და XX-ის დასაწყისში პოლიტიკურ არენაზე გამოდის მასები. ხალხის მონაწილეობა ხელისუფლების რეალიზების საკითხში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ხდება სახელმწიფოებრიობის იდოლოგიაში. ამ პროცესმა გამოიწვია ნაციონალური სახელმწიფოებრიობისა და ხელისუფლების იდოლოგიის (ბ.ბოუსენჭითი, თ.პ.გრინი და კრონერი) ჩამოყალიბება. იმ ქვეყნებში, სადაც ამ პროცესმა მთელი საზოგადოება მოიცვა და ჰქონდათ დემოკრატიული თვითმართველობის დიდი ხნის გამოცდილება თვით ამ საზოგადოებების ხასიათმა იქონია შემზღვეველის როლი სახელმწიფოს ავტორიტეტული როლის აღკვეთაში. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი ტრადიციები არ ჰქონდათ მოდერნისტული ხედვა გახდა ხელისუფლებისა და პოლიტიკის ძირითადი განმსზღვრელი (რუსეთი, ჩინეთი, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოები).

ახალი დროიდან დაწყებული სახელმწიფოს აუცილებლობის დასაბუთების მცდელობა გვხვდება მოდერნისტული პრინციპებიდან გამომდინარე სოციალ-უტოპისტურ და კომუნისტურ მოძღვრებებში. უტოპისტებს მიერ განვითარებული იყო მოდერნისტული სახელმწიფოს მთელი კომპლექსი და პრინციპები. ამგვარი სახელმწიფო თვალს ადევნებს შრომითი ვალდებულების შესრულებას და ინდივიდუუმის პირად ცხოვრებას და ამ პოზიციას იგი ყოველთვის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ურთიერთდამხმარის სისტემით. უტოპისტურ ტრადიციაში სახელმწიფო წარმოგვიდგება, როგორც ავტორიტეტული და კანონზე მაღლა მდგომი. სხვადასხვა ტიპის მოდერნიზმის მსგავსად უტოპისტური ტრადიცია ეფუძნება გამარტივების სქემას და „შეორე ხარისხოვანის“ ძირითადზე დაყვანას: აქ უკვე ყალიბდება იმის რწმენა, რომ პოსტკაპიტალისტურ სახელმწიფოში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დარჩება სახელმწიფოებრიობის სტრუქტურისაგან და კანონებისაგან, ხოლო პერსპექტივაში ყველა სახელმწიფო ინსტიტუტები და კანონები უნდა გაქრეს.

ტექნოლოგიისა და ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ ძლიერდება ტექნოკრატიული მართვის იდეები, რომელშიც ძლიერ არის გამოხატული მოქალაქეთა უნიფიკაციის ტენდენცია, ასევე – ადამიანური არსებობის ყველა ფორმის დაყვანა კოლექტიური ცხოვრების წესზე. ინდივიდების პრობლემა საერთოდ იგნორირებულია და ძირითადი ყურადღება ექცევა საშუალო სტატისტიკურ მწარმოებელს და მომხმარებელს, რომელიც ყველა სხვა დანარჩენის თანასწორია და იგი ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სახელმწიფო ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზატორი და ინიციატორი.

კმარქსმა აშკარად გამოხატა მოდერნისტული ხედვის პრინციპები თავის ფილოსოფიაში. დასაწყისში (გენცენტან პოლემიკის დროს) რევოლუციის ჩატარების შემდეგ მან უარყო სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეა და მთელი პრობლემის გადაწყვეტა დაიყვანა მუშათა კლასის ბატონობის დამყარებაზე. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ საუბარია იმაზე, რომ პროლეტარიატი აფუძნებს თავის სახელმწიფოს, ხოლო „ვითამ პროგრამის კრიტიკაში“ პროლეტარული სახელმწიფო ეს არის „პროლეტარიატის დიქტატურა“. დიქტატურა კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელისუფლების ყველაზე გამართლებულ სახეობას, სამართლებრივი სახელმწიფოსთან შედარებით. ხელისუფლების ამ თეორიის სინამდვილეში რეალიზებას, ლენინურ-სტალინური შესრულებით, ჩვენთვის კარგად ნაცნობი შედეგები ახლდა.

მაგრამ ცხოვრებამ აჩვენა, რომ უკიდურესად გამართლებული მართვისა და ხელისუფლების პირობებში არსებული სახელმწიფო სრულიადაც არ აპირებდა სიკვდილს ან გაქრობას, როგორც მას უწინმწარმეტყველებდნენ. პირიქით უტოპისტური ტრადიციის საფუძველზე სახელმწიფომ სამოქალაქო საზოგადოებას წაართვა სამოქალაქო და სამეურნეო ინიციატივა. რამდენადაც სახელმწიფო ყურადღებას ამახვილებდა ძირითადზე „წარმოების საშუალებების წარმოებაზე“, ეკონომიკური აქტივობის სფეროდან საერთოდ იქნა გამორიცხული მოქალაქეთა კონკრეტულ მოთხოვნილებათა მთელი მრავალფეროვნება. სამყაროს განხილვა, როგორც გარდაქმნადის და ადამიანის ბატონობის უცილობელი ინსტრუმენტის, გახდა სამყაროსა და

საზოგადოებაზე ძალადობის საფუძველი. თავისუფლების, არჩევანის უფლების და პლურალიზმის პრობლემები სერთო განხილვის გარეშე იდგა. და ყველაღფერი ჩაინთქა მმართველობაში. ადამიანის თავისუფლების გაგება, როგორც ბუნებაზე და თავის თავზე ბატონობამ, გამოიწვია ეკოლოგიური კატასტროფები და რჩეულთა ბატონობა – ანუ მათი ვინც სამყარო გააცნობიერა „მეცნიერულად“ და „გამოხატავდა ყველა სხვა დანარჩენის ძირეულ ინტერესებს“.

ამგვარად ხელისუფლებისა და პოლიტიკის მოდერნიზტული ხედვა ყველა საკითხის გადაწყვეტას ლამობდა „პრინციპულად“ და „ერთობლივი გმირული ძალისხმევით“. მაგრამ იმდენად რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანები მათი გადაწყვეტის შეუძლებლობას აჩვენებდა ის მითები, რომელიც საზოგადოების მობილიზაციას ახდენდა შეიცვალა თავისთავის შემნახავი მითებით. მართვისა და ხელისუფლების თეორია სრული თვითრეფერენციის წრეში ჩაერთო მხოლოდ და მხოლოდ თავის თავის აღმნიშვნელი გახდა. ხელისუფლების თვითრეფერენციულ ნიშანთა სისტემამ იგნორირება დაიწყო სამყაროს ფაქტების. საბოლოო ჯამში თვითრეფერენციათა წრეში ჩართულმა ხელისუფლების სიმბოლიზაციამ სრული დისფუნქცია განიცადა, რაც საბოლოოდ მის კოლაპსში გამოიხატა. ეს კოლაპსი არა მარტო პოლიტიკური მოდერნიზმისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ მთელი კულტურულ ღირებულებითი საზოგადოებო ველისათვის.

მოდერნიზტული აზროვნება თავის თავში სვამს საკითხს მისი ამოწურულობისა და პოსტმოდერნის შესახებ. ამ ტერმინის მოხმარება იწყება XX-ის 60-იანი წლებიდან, როცა იგი აღნიშნავდა სტილიზტურ ცვლილებებს არქიტექტურაში, ხოლო შემდგომში უფრო ხშირად გამოიყენებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურული ნოვაციების აღსანიშნავად; ასევე სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ პოლიტიკური ტრანსფორმაციის აღსანიშნავად.

თეორიულ პლანში შეუძლებელია ვილაპარაკოთ ერთიან პოსტმოდერნულ მსოფლმხედველობაზე არა იმიტომ, რომ არ არსებობს პოსტმოდერნისადმი მიკუთვნებული მოაზროვნების ერთიანი მსოფლმხედველობრივი პრინციპები, არამედ იმიტომ რომ ფილოსოფიაში

იგი წარმოიშვა როგორც რადიკალური შეეჭვება ამ უკანასკნელის მსოფლმხედველობრივ-თეორიული და ჟანრობრივი ერთიანობის შესაძლებლობის შესახებ. უფრო მისაღებია თუ ვილაპარაკებთ პოსტმოდერნულ სიტუაციაზე, რომელსაც მრავალმხრივი განზომილება აქვს და ვლინდება სხვადასხვა კონტექსტში. პოსტმოდერნი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება იმ მდგომარეობის გააზრებას, რომ საგანი ეწინააღმდეგება ადამიანურ ზემოქმედებას და პასუხობს მას უკუზემოქმედებით: რომ საგანთა არსებობის წესი შურს იძიებს ჩვენი მცდელობების გამო გადაკეთებული იქნეს იგი და ამიტომაც ნებისმიერი გარდამქმნელი პროექტი კრახისთვისაა განწირული. პოსტმოდერნი გულისხმობს იმ თეორიული ზროვნების წესის ამოწურულობას, რომლის ონტოლოგიურ „კოდიფიკაციებში“ რეალობა იძულებით გარდაქმნას ექვემდებარება - ანუ „არა გონივრული მგომარეობიდან“ გონივრულ მდგომარეობაში გადაყვანას. ამგვარი ონტოლოგიის კვალიფიკაცია, როგორც მოდერნულის, რომელმაც ისტორიულად ამოწურა თავის თავი ამავედროულად წარმოადგენს ახალი პოსტმოდერნული ერის დასაწყისს. სამყაროს გარდამქმნელი პროექტის თეორეტიზირებაზე უარის თქმა ასევე გულისხმობს მის სისტემატიზაციის მცდელობაზე უარის თქმას: სამყარო არა მარტო არ ექვემდებარება ადამიანის ძალისხმევას გარდაქმნას, არამედ შეუძლებელია მისი ნებისმიერ თეორიულ სქემაში მოთავსება. მოვლენა ყოველთვის უსწრებს თეორიას (ჟ.ბოდრიარი). პოსტმოდერნს, საქმეს არ წარმოადგენს ზროვნების პროდუქტის გარე სამყაროსაკენ მიმართვა. ზროვნების პროდუქტი თავად ზროვნებაა - ტექსტში გაფორმებული, რომელიც თავის თავს კითხულობს. საქმე ისაა, რომ ობიექტურად შეუძლებელია დაფიქსირება მოხდეს მკაცრი და თავის თავში ჩაკეტილი სისტემების, მიუხედავად იმისა, ეკონომიკის სფეროში იქნება ეს, პოლიტიკისა თუ ხელოვნების.

ამ ტრანსფორმაციის ინტელექტუალური ათვისების პროცესში წარმოიშობა ზროვნება, რომელიც საერთოდ არ ოპერირებს რაიმე მდგრადი მოცემულობებით (აღმოსავლეთი - დასავლეთი, კაპიტალიზმი სოციალიზმი, ქალი - მამაკაცი). პოსტმოდერნული ზროვნების წესი ანგრევს კლასიკურ ფილოსოფიურ პარადიგმებს,

რომლის შედეგსაც წარმოადგენს სუბიექტის, როგორც მეტაფიზიკური წვდომისა და წარმოდგენის, გაქრობა: სუბიექტის, როგორც ყოფიერების სტრუქტურის განმსაზღვრელის ადგილს იკავებს „სურვილთა იმპულსები“, „სერიალობა“ და არაკონცეპტუალური ინტენსივობანი (მ.ფუკო). „დეკონსტრუირების“ გზით კლასიკური ფილოსოფია დეზაუირდება, როგორც „ყოფნის“ მეტაფიზიკა. ამ უკანასკნელის ძირითად ინტენცია მარონების აბსოლუტურობაა, ტოტალურობაა, ყველაფრის მომცველობაა, რომელიც არ ცნობს ყოფნის ცარიელ ადგილებს. ამიტომაც კლასიკური დისკურსი, წარმოგვიდგება როგორც რეპრეზენტაციის დისკურსი – წარმოდგენა რაღაც პირველადი საწყისის, პირველადი მარობრივი მოცემულობის, რომელიც ნაწარმოებია მეორად დერივაციულ ფორმებში. ყოველი ცალკეული მოვლენა აქ დებულობს საწყისის სპირისს აბსოლუტურ მთლიანობასთან თანამონაწილეობის წყალობით; იგი ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც დაიყვანება პირველად სპირისზე. კლასიკურ პარადიგმაში ყველა მარის ყველა შინარისს არსი წარმოადგენს მხოლოდ პირველსაწყისის რეპრეზენტაციის სპირისს – სუბსტანციასა და საწყისს. კულტურის ყველა ნიშანი აქ მნიშვნელადია რამდენადაც მოძღვრებას პირველი სპირისიდან – „ტრანსცენდენტალურად აღნიშვნადიდან“. ამ ინსტიტუციის უნივერსალურობაზე უარის თქმა დისკონტინუუმისა და არაფრის პრობლემებზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს შევხედოთ მოვლენებს არა როგორც ჭეშმარიტების ყოფიერების ანარეკლს, არამედ როგორც თვითკმარ მოცემულობებს და ამავედროულად ხორციელდება გამავლა ლინგვისტური ნარატივების კელიდან „სხეულის სიბრტყეში“.

თუ ამ კრიტიკიუმებით შევხედავთ პოლიტიკური მარონების კვლს, მაშინ ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ მოდერნისტულ-პოლიტიკურ თეორიას ყოველთვის თან ახლდა პოლიტიკური პოსტმოდერნისტული კრიტიკა. ბასტილიის შტურმიდან ერთი წლის შემდეგ ინგლისელმა ფილოსოფოსმა ედმუნდ ბერკმა ჩამოაყალიბა დებულება, რომლის არსი შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს, რომ „სამოგადოებისა და ადამიანთა საქმიანობის სირთულე მიუთითებს იმაზე, რომ „მართველობის უბრალო ხერხები იმთავითვე დეფექტურია“. მას ეკუთვნის ასევე ის მარი,

რომ რაც უფრო დიდია რეველუციური აზრების დოქტრინალური სიწმინდე მით უფრო ნაკლებად არის იგი გამოსაყენებელი პოლიტიკისა და მორალის სფეროში. მოდერნისტულ წარმოდგენას ადამიანსა და საზოგადოებაზე ებერკმა დაუპირისპირა მოძღვრება საზოგადოებრივი მთელის სირთულესა და ორგანულობაზე. „ჩვენი საზოგადოება მოწყობილია იმგვარად – წერდა იგი, რომ ყოველი მისი ნაწილი დამოკიდებულია მეორეზე და ყოველი მისი კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან“. სამოქალაქო საზოგადოების სირთულე და მრავალფეროვნება გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პოლიტიკურ და საკანონმდებლო სფეროში გამოყენებული იყოს „აბსოლუტური, უნიფიცირებული და საყოველთაო პრინციპები“. ამიტომაც ადამიანის გონება, რომელიც აბსტრაქტული ცნებებით ოპერირებს ვერასდროს ვერ მოგვცემს სწორ წარმოდგენას საზოგადოების შესახებ. ალექს დე ტოკვილმა განავითარა პოსტმოდერნული ფილოსოფიური კრიტიკის ტრადიცია. მან ნათლად განსაზღვრა სახელმწიფოს მზრიდან საზოგადოების ტოტალური მართვის შეუძლებლობა. ადე ტოკვილმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების სიჯანსაღისათვის ხელისუფლების რამდენიმე ცენტრის არსებობა, ასევე იმ სტრუქტურებისა, რომელიც აშუალებს ურთიერთობას ცენტრალურ ხელისუფლებასა და ინდივიდუმებს შორის. საფრანგეთის მაგალითზე მან აჩვენა, რომ საზოგადოების მოწყობის რთული ხასიათის უარყოფას მივყავართ ხელისუფლების ცენტრალიზაციასთან და მოქალაქეთა ატომიზაციასთან. ანალიზებს ახდენდა რა აშშ-ს ცენტრალური ხელისუფლების მოქმედებისას იგი მიუთითებდა ცენტრალიზებული მართვის შეუსაბამობაზე საზოგადოების ჯანსაღი განვითარების ტენდენციებთან. „ადმინისტრაციულ ხელისუფლებას შეუძლია გააერთიანოს ერის მთელი ძალები გარკვეულ ეპოქაში და გარკვეულ ადგილზე, რომელსაც ფლობს ერი, მაგრამ იგი ხელს არ უწყობს ამ ძალების კლავწარმოებას“... ამგვარად, იგი შეიძლება ხელს უწყობდეს ვიღაც ადამიანის გარდამავალ დიდებას, მაგრამ არაფერი შეუძლია გააკეთოს ხალხის აყვავებისათვის“.

თავის დროზე ჩამოწერილი პოსტმოდერნისტული პოლიტიკური კრიტიკა, როგორც „რეაქციული“, კვლავაც აქტუალურია. ეს

პოლიტიკაში, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მასობრიობის, გიგანტიზმის, უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის, სინქრონიზმის, სტრუქტურის განწყობილებათა – ინდივიდუალურობით, კამერულობით, მრავალფეროვნებით, პიროვნების თვითგამოხატვით, დიაქრონულობის შეცვლით. მეორე მხრივ პოლიტიკაში ტოტალური გარდაქმნის გმირული განწყობილებანი, ერთგაროვანი გადაწყვეტილებანი, აბსოლიტური ჭეშმარიტება, „თანმიმდევრულობა“ და უტოპია იცვლება – თანმიმდევრულობით, გამხრებულობით, მრავალგარანტიულობითა და პლურალიზმით, მრავალფეროვნებით ურთიერთობაში და განვითარებაში, სიფრთხილით რთულ და ბოლომდე შეუცნობელ სინამდვილეში ჩარევის დროს. მოკლედ, რომ ვთქვათ პრიორიტეტული ხდება რეალპოლიტიკა და არა პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის მიერ შექმნილი აბსტრაქტული მოდელები, რომელიც ყოველთვის პრობლემატურია სინამდვილესთან კორელაციის ზრით.

რეალპოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი პერსპექტივები პოლიტიკაში გულისხმობს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და პლურალიზაციას; სახელმწიფოს მოქალაქისა და საზოგადოების საქმეში ჩარევის შეზღუდვას, მოქალაქეთა დაცვის სამართლებრივი გარანტიებით უზრუნველყოფას და მათ უზრუნველყოფას გარკვეული სასიცოცხლო მინიმუმით, რომელიც აუცილებელია ცივილიზებული არსებობისათვის; ადამიანთა რეალურ მონაწილეობას კომუნიტარულ და თვითმართველობის სტრუქტურებში; მემარცხენე ძალების მიერ უარის თქმას დოქტრინალურ თანმიმდევრულობაზე და მემარჯვენე ძალების მიერ თანასწორობის პრინციპების აღიარებას.

პოსტმოდერნისტული კრიტიკის შემდეგ საბოლოოდ ხდება მოდერნისტული წარმოდგენების დანგრევა, „მემარცხენეების“ და „მემარჯვენეების“ დოქტრინალური განსხვავებულობის შესახებ. ღირებულებების მემარცხენე ფლანგზე მდგომი იდეა მთლიანად იცვლება დემოკრატიზაციისა და სამართლებრივი გარანტიების მიოთხოვნით. თავის დროზე მემარცხენეების მიერ გატარებულმა თანასწორობის პოლიტიკამ სრული ატროფირება განიცადა საზოგადოებისა და ინდივიდების ყოვლისმომცველი განსახელმწიფოებრიობის გამო. ხოლო მთელი ღირებულებათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებული იყო თანასწორობის იდეასთან მემარჯვენეების მონაპოვარი გახდა.

მომავალი ეკუთვნის იმ ღირებულებათა კომპლექსს, რომელიც აყალიბებს „თავისუფლებს“, ინდივიდის თვითგამოწატებისა და სოლიდარობის პრინციპებს – ლიბერალურ დემოკრატიულ საზოგადოებას, რომელიც, რიჩარდ რორტის სიტყვებით თუ ვიტყვით – არ ცნობს არავითარ ხელსუფლებასა და უნიფიკაციას, გარდა „მოსაუბრეთ“ საერთო ინტერესისა.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ამოცნა არაა საზოგადოების გარდაქმნის პროექტია, არამედ შენარჩუნების პროექტი. შანტალ მუფის სიტყვებით თუ ვიტყვით დაბრუნება უნდა მოხდეს პოლიტიკურისადმი ყოვლგვარი თეორიული კონსტრუქტების მოშველიების გარეშე. აქ შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ მოუღებს ბოლოს შენარჩუნების პროექტი ლიბერალურ იდეას. რა თქმა უნდა არა, რადგან ლიბერალური ღირებულებები და იდეა გაიგება ტრადიციის, კულტურული და კომუნიტარული ცხოვრების წესის კონტინუუმში.

კითხვები

1. რა პრინციპების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური მოდერნიზმი „პოლიტიკური ხელისუფლების თეორიამ“?
2. რას გულისხმობს პოლიტიკური პოსტმოდერნული კრიტიკა?
3. რატომ უნდა მოხდეს დაბრუნება პოლიტიკურისადმი?

პირითაღი ცნებები

პოლიტიკური მოდერნიზმი – პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი – პოლიტიკური პოსტმოდერნული კრიტიკა – დაბრუნება პოლიტიკურისადმი

დამატებითი ლიტერატურა

1. კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.
2. აკაკი ყულიჯანიშვილი, კულტუროლოგია, „უნივერსალი“ 2001

3. Винсент Декомб, Современная французская философия, "Весь мир", Москва, 2000.
4. Джовани Реале, Дарио Антисери, Западная философия от истоков до наших дней, "Петрополис", Санкт-Петербург, 2000.
5. Алексис Де Токвил, Демократия в америке, "Весь мир", 2000.
6. Edmund Burke, Reflections on the Revolution in France, "Selected writings and Speeches", Stalis Smith, 1968.
7. Robert Nisbet, Conservatism: Dream and Reality, Open University Press, 1991.
8. Roger Scruton, The Philosopher on Dover Beach, Carcanet, 1990.
9. Frederic Jamson, Postmodernism or, The Cultural logic of The Late capitalism, Duke University Press, 1999.
10. Stefen K. White, Political Theory of Postmodernism, Cambridge, 1991.
11. Chantal Mouffe, The return of Political. Verso. London. 1993.
12. Richard Rorty, Contingency, Irony and Solidarity. Cambredge University press. 1995.
13. Charles Jencks, The language of Post-Modern Architecture. Academy Editions. London
14. Frederic Jamson, The political Unconscioousness: Narative as a Socially Symbolic Art. Methuen. London, 1981.

მიხეილ გოგატიშვილი

ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში

თბილისი
„მეცნიერება“
2003

გამომცემლობის რედაქტორი: ი. გველესიანი
ტექნოლოგიური: ნ. თკეჯაია
კორექტორი: ა. გოგატიშვილი, ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 24.12.2002; ხელმოწერილია დასაბუქლად 30.05.2003
ქალაქის ზომა 60X90^{1/16}; ქალაქდი ოფსეტური;
ბეჭდვა ოფსეტური. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,5თ.

ფასი სახელმძეკრულებო

ტირაჟი 500

შეკვეთა № 246

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“
თბილისი, გამრეკელის ქ. 19